3
1946

XXIV, XV

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შრომები

ТРУДЫ
ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX
DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

XXIV

სტალინის სახელობის თბილისის სახელმ. უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина
თბილისი 1945

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შრომები

**ТРУДЫ
ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА**

**TRAVAUX
DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)**

XXIV

10/VII
4 6
83

სტალინის სახელობის თბილისის სახელმ. უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского Государственного Университета им. Сталина

თბილისი 1945

რედაქტორი დოც. დ. ყიფშიძე.
გადაეცა წარმოებას 5/VI-42 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IX-45 წ.
ფუსკი 40.
ტირაჟი 300.
შეკვეთა № 2026

ადგ. მრეწველობის სახ. კომისარიატის სტამბა ფურცელაძის ქ. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. სავლე წერეთელი, დასაბუთების ხასიათისათვის არისტოტელეს სილოგისტიკაში 1
2. თ. წერეთელი, რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისათვის 17
3. იასე ცინცაძე, კახეთის სამეფოს საკითხი მე-16 საუკუნის მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში 61
4. გრ. ნათაძე, მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მართვა მეროვინგების მეფობის ხანაში 105
5 ლ. კიკნაძე, ხ- ბგერის განვითარების შემთხვევები ქართულში . . 125
6. თინ. შარაძენიძე, თა-სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში 129

СОДЕРЖАНИЕ

1. С. Церетели, К характеру доказательства в силлогистике Аристотеля 1
2. Т. Церетели, Применение категории реальной возможности для построения понятия покушения 17
3. И. Цинцадзе, Кахетинский вопрос во внешней политике Московского государства в XVI в 61
4. Гр. Натадзе, Организация крупного землевладения в эпоху Меровингов 105
5. Л. Кикнадзе, Случаи наращения „х“ в грузинском языке . 125
6. Т. Шарадзенидзе, К использованию флексии -თა в творительном и направительном падежах множественного числа . 129

SOMMAIRE

1. S. Tséréthéli, Le charactère de preuve dans la syllogistique d' Aristote 1
2. Th. Tséréthéli, Application de la catégorie de la possibillté réelle pour la construction d'une notion de la tentative 17
3. Iassé Tsintsadzé, La question de Kakhétie dans la politique extérieure de Moscou en XVI siècle 61
4. Gr. Natadzé, L'organisation de la grande propriété sous les Mérovingiens 105
5. L. Kiknadzé, Les cas d' accroissement du „ხ“ dans la langue géorgienne 125
6. Thin. Charadzénidzé, Sur l'utilisation de la flexion -თა en ablatif et en directif du pluriel 129

სტალინის სახელოგის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXIV, 1942
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXIV, 1942
TRAVAUX DE L'UNIVERSITÉ STALINE à TBILISSI, XXIV, 1942
ეროვნული ბიბლიოთეკა

საგლე წერეთელი

დასაბუთების ხასიათისათვის არისტოტელეს სილოგისტიკაში.

(ფორმალური ლოგიკის კრიტიკისათვის)

თანმიმდევარი დიალექტიკა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკაა. ყოველნაირი გადახვევა მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიიდან მატერიალისტური დიალექტიკის დარღვევას წარმოადგენს. ეს დარღვევა და გადახვევა მხოლოდ ფორმალური ლოგიკის საფუძვლებზე გადასვლით შეიძლება, რადგან, როგორც ენგელსი ამას მშვენივრად განსაზღვრავს, აზროვნების მხოლოდ ორი წესი არსებობს: მეტაფიზიკური (ფორმალ.-ლოგიკური) და დიალექტიკური. ამიტომ მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციების დაცვა და განმტკიცება მხოლოდ ფორმალური ლოგიკის (უკეთ: ძველი ლოგიკის) საფუძვლიანი კრიტიკის ნიადაგზე შეიძლება. თუმცა არისტოტელეს ლოგიკა არაა წმინდა ფორმალური ლოგიკა, ის უფრო საგნობრივი ლოგიკაა (ლენინი), მაგრამ ძველი ლოგიკა არსებითად არისტოტელეს სილოგისტიკას წარმოადგენს. ფორმალური ლოგიკის პრინციპების კრიტიკა დიალექტიკური ლოგიკის პრინციპების განმტკიცებისათვის, უსათუოდ, არისტოტელეს ლოგიკის პრინციპების კრიტიკას უდრის. ჩვენც აღვნიშნოთ არისტოტელეს სილოგისტიკის ერთი ძირითადი ნაკლი, რომელიც ამჟღავნებს ძველი ლოგიკის შეუძლებლობას. ეს ნაკლი დასკვნისა და დასაბუთების არსებაში არის (დასკვნა და დასაბუთება კი არსებითია ლოგიკაში). მონათმფლობელობის საფუძველზე მიღებული შეუძლებლობა არსებითად ყოველი რეაქციული კლასის ნიადაგზე აშენებული თეორიის შეუძლებლობას უდრის.

იმ მოაზროვნემ, რომელმაც პირველად დასკვნის ლოგიკური თეორია მოგვცა, „ანალიტიკების" შექმნით, ჩამოაყალიბა ლოგიკა, როგორც დასკვნისა და დასაბუთების თეორია. პლატონის აზროვნებაში ἔρως-ის რეგრესული გზის დასკვნად გზად გადაქცევის სიძნელემ არისტოტელესთან „პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფიის“ გვერდით ჩამოაყალიბა დ ა ბ ო ლ ო ვ ე ბ უ ლ ი ა ზ რ ი ს ანდ ასკვნა-დასაბუთების თ ე ო რ ი ა.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს სილოგისტიკის ძირითადი ნაკლის გარკვევისათვის ორი რამ უნდა გაირკვეს—ეს იქნება რეგრესულობის გასწვრივ ორი მხარე: 1. მეტაფიზიკის უპირატესობა (ჩვენი საკითხისათვის) მისგან გაშოყოფილი ლოგიკის წინაშე, ლოგიკის დანაკლისის მეტაფიზიკაში არსებობა და ამ გარემოების ნათელყოფა მომავალი დასკვნის ახალი თეორიისათვის; 2. ლოგიკის უპირატესობა; დასკვნა სწორედ აქ ირკვევა და არა მეტაფიზიკაში; მაგრამ მეტაფიზიკას (ონტოლოგიას) დაშორებული დასაბუთება უთავბოლობას შეიცავს. ლოგიკას აკლია პირველი[1] (გერმანული კლასიკური იდეალიზმი იტყვის: პირველი დებულება) და ამიტომ ბოლოც; მეტაფიზიკას აკლია ის, რაც მთავარია—დასკვნის ხასიათის გამორკვევა. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს საგნობრივი ლოგიკა და ლოგიკური საგნობრივობა მაინც ასეთ ნაკლს შეიცავს. ეს არის ხელისშემშლელი ნამდვილი დასკვნის თეორიის გამომუშავებისათვის, რაიც შეიქმნება მონათმფლობელობიდან წამოსული კლასთა ბრძოლის ძალიან დიდი მანძილის შემდეგ.

დასკვნა-დასაბუთების[2] პროგრესული თეორია,—განვითარების—ისტორიულობის ასახვის ნამდვილი ლოგიკური თეორია გვაქვს მაშინ, როცა დიალექტიკა („მეტაფიზიკა“-ონტოლოგია), შემეცნების თეორია და ლოგიკა გაიგივებულია. ლ ე ნ ი ნ ი ს ეს დებულება და მატერიალისტური დიალექტიკის უძირითადესი პრინციპი განსაზღვრავს ყველა იმ ნაკლსა და ღირსებას, რომლებსაც ფილოსოფიის ისტორიაში ლოგიკური თეორიები განიცდიან. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს ლოგიკაც, როგორც დასკვნისა და დასაბუთების პირველი თეორია, ცხადია, მხოლოდ ამ აზრით გაიგება. თუმცა ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს ლოგიკური საგნობრივია და მეტაფიზიკური ლოგიკურია, მაგრამ საბოლოოდ ერთი მეორისაგან სრულიად განსხვავდებიან: ორივე ერთი მეორის ნაკლს ატარებს თავისში, როგორც საკუთარი თავის ღირებულებას, მაგ.: ლოგიკაში აპოდეიქტიკური გამოყვანა გვაქვს, მეტაფიზიკაში სირთულისაკენ წასვლის პროცესი, მაგრამ დასკვნადობას მოკლებული რეგრესული ხასიათის პროცესი. ორივე კი ისტორიულობის ამსახველ დასკვნადობას მოკლებულია.

Ἀπόδειξις-ის აზრი ზოგადიდან კერძოს გამოყვანაში მდგომარეობს. ამდენად წინამძღვრების სიძლიერე ვერასოდეს ვერ მოექცევა დასკვნაში. ზოგადი მსჯელობები ყოველთვის წინ არიან და არა შემდეგ (ბუნების მიხედვით). გამოყვანა ცნების შინაარსისა და მოცულობის არადიალექტიკური დამოკიდებუ-

---

[1] დეფინიციაში მოცემული საგნის არსება, რომელიც საშუალო ცნებით დასაბუთებასა და დასკვნაში უნდა გადასულიყო, არ შესრულდა ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს თ ა ნ, იგი მხოლოდ მოთხოვნად დარჩა.

[2] „დასკვნასა“ და „დასაბუთებას“ შორის კავშირი შემდეგითაა გამართლებული: ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს ა თ ვ ი ს ყოველი დასაბუთება არის დასკვნა, მაგრამ ყოველი დასკვნა არაა დასაბუთება. ის დასკვნაა დასაბუთება, რომელიც კეშმარიტი წინნამძღვრებიდანაა მიღებული. შინაარსეული ლოგიკისათვის ყოველი დასკვნა არის დასაბუთება (შდრ. H e g e l Enz. § 192-ის დამატება). (იხ. ამ წერილის გვ. 24).

ლების ძალით არის გაღარიბება, ამდენად რეგრესულობა. რომ ყველაფერი პროგრესულობით, როგორც პირველით (საგანთა ბუნების გამომხატველით), მართლდება, ეს გარემოება სილოგისტიკურ გამოყვანაში უკან—უფრო ძლიერი საფუძვლისაკენ მიბრუნებაში და ამ მიბრუნების მოთხოვნაში მჟღავნდება. ამიტომ არისტოტელეს სილოგისტიკური დასკვნისა და დასაბუთებისათვის პროგრესულობა კი არა და რეგრესულობაც უფრო პირველია. დასაბუთების სათავე მეტაფიზიკურად ნამდვილია; საშუალო ცნების ხაზით წინამძღვრები გამოდიან უშუალოდ საგანთა არსებიდან, იმ არსებიდან, რომელიც არსებულის როგორც არსებულის („პირველი ფილოსოფიის" საგანი) ერთ-ერთი ნაირობაა და ნამდვილად კერძო საგანს წარმოადგენს, იმ კერძოს, რომელსაც ნამდვილი არსებობა ეკუთვნის და ზოგადის სუბიექტია. პლატონის დამოუკიდებლად არსებული ზოგადი აქ სუბიექტზე (კერძო საგანი) დამოუკიდებელ პრედიკატად გამოცხადდა. აპოდეიქსისი ზოგადიდან კერძოს გამოყვანაშია. დასაბუთების სათავეში დეფინიციაა, რომელიც კერძოს არსებას გამოსთქვამს. გამოყვანის ბოლოში კერძო და ერთეული საგანია. მაშასადამე, კერძო და ერთეული არის და უნდა იყოს დასაბუთების თავსა და ბოლოში. როგორ არის ეს შესაძლებელი? აქ გამოჩნდება არისტოტელესებური დასკვნისა და დასაბუთების სისუსტეც (ეს აიძულებს არისტოტელეს მიიღოს ერთეული ზოგადი ღმერთის სახით ნამდვილ სინამდვილედ, ერთეულისა და ზოგადის პირველყოფილ საფუძვლად).

აპოდეიქსისი, ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, რომელიც ლოგიკურ აუცილებლობას მოასწავებს და რომლის უქონლობასაც არისტოტელე პლატონს იდეების გამოყვანაში უსაყვედურებდა[1]. სხვა არაფერია, თუ არა აუცილებლობის გზა პირველიდან—ბუნებით პირველიდან—ზოგადიდან უკანასკნელისაკენ—კერძო და ერთეულისაკენ. დასკვნა გამოყვანაა ჩვენთვის პირველისა ბუნებით პირველიდან. πρότερον πρὸς ἡμᾶς გამოდის πρότερον τῇ φύσει-დან, ე. ი. ὕστερον πρὸς ἡμᾶς (ჩვენთვის გვიანდელი) არის საფუძველი, საიდანაც გამოდის ὕστερον τῇ φύσει (თავისი ბუნებით გვიანდელი)[2]. უკეთ შეიძლება ასე ითქვას: დაბოლოვებულისათვის პირველი და დაუბოლოვებლობისათვის უკანასკნელი გამოდის დაუბოლოვებლობისათვის პირველიდან და დაბოლოვებულისათვის უკანასკნელიდან. ბუნებით პირველი ცნობისთვისაც პირველია. დასკვნისათვის, დასაბუთებისათვის უპირველესი, უზოგადესი არის Schlechthin früher und bekannter. ის, რაც დაბოლოვებულისათვის საცნობარია, როგორც პირველი, არის შესაძლებელი იმით, რომ ბუნებით პირველი დაბოლოვებულისათვის ცნობილი არის, როგორც პირველი, უპირველესი. განსაზღვრულ აზრში განუსაზღვრელის არსებობა (ნაწილობრივ მაინც) ცხადია იმით, რომ ჩვენთვის ნათელია ბუნებით პირველის, როგორც პირველის, არსებობა და სწორედ ამის საშუალებით არის შესაძლებელი ჩვენთვის პირველის ცნებაც. გამოყვანის როგორც თავისებურება, ისე აუცილებლობაც სწორედ აქ არის მოცემული.

---

[1] Metaph. 990 b 8—991.

[2] Anal. post. I. 2. 71 b—72, Metaph. 1018 b (s. 118 და სხ. როლფეს გამოცემით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყვანის პროცესი (როგორც საერთოდ პროცესი—ამას აღმოაჩენდა პლატონიც) წრისებურია და ორ მხარეს შეიცავს: ერთი დაბოლოვებულთანაა დაკავშირებული, მეორე კი დაუბოლოვებელთან[1]. გამოყვანა ამ ორმხრივობის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ საკითხავია: ორმხრივობა ჰქმნის გამოყვანადობას თუ პირიქით, გამოყვანით იქმნება ორი. თუ არსებობს ორი და გამოყვანა ამის შემდეგი საქმიანობაა, მაშინ ნამდვილად აღარც გამოყვანაა საჭირო, რადგან გამოსაყვანი როგორღაც გამოუყვანლად წინასწარ მოცემულია. ამ შემთხვევისათვის ორი პრინციპის აღიარება და დუალიზმი აუცილებელია. ზოგადსა და ერთეულს შორის, აქედან, იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის მერყეობა, ლენინის აზრით, არსებითია არისტოტელესათვის[2].

არისტოტელემ დასკვნისა და დასაბუთების თეორიაში დაბოლოვებული აზრის თეორია მოგვცა, დანაკლისის ასანაზღაურებელი მეტაფიზიკაში გაარკვია; მაგრამ არისტოტელესთან საგნობრივი ლოგიკა და ლოგიკური საგნობრივობა ამ გათიშვის წინააღმდეგია. ამიტომ შერიგების ცდა არსებითია არისტოტელეს მთელი ფილოსოფიისათვის.

როგორც გაირკვა, დასკვნით პროცესში ჩვენ გვაქვს ორი მხარე: ბუნებით ადრე და ჩვენთვის ადრე. დასაბუთებაში დასკვნას—ზოგადიდან კერძოს გამოყვანას ის აზრი აქვს, რომ კერძოს ზოგადი საფუძველი ირკვევა. დასაფუძვლებაში კერძოსათვის ზოგადი საფუძვლის აღმოჩენის გზა არის ზოგადისაკენ, ე. ი. გზა წინ უზოგადესისაკენ, უზოგადესიდან გამოყვანა არის დასკვნა წინ კერძოსაკენ. უფრო ზოგადი საფუძვლის მონახვა, დასაფუძვლების გზა არის გზა უკან საფუძვლისაკენ. უფრო კერძოს გამოყვანა არის გზა უკან ერთეულისაკენ. გზა წინ არის გზა უკან. ბუნებით პირველისათვის გზა წინ არის ჩვენთვის გზა უკან და ჩვენთვის გზა წინ არის ბუნებით პირველისათვის გზა უკან. რკალი აქ ცხადია, მაგრამ საკითხავია: რკალის ორივე მხარე ერთგვარია ლოგიკურად თუ არა. ამასთანავე, რამდენადაც აზრი ახერხებს ბუნებისათვის პირველი მისთვისაც პირველად გაიხადოს, ამდენად არისტოტელეს აზრი შორსაა იმ აზრისაგან, რომლისთვისაც გზა წინ არის ბუნებისათვის გზა წინ (აქ ზოგადობა სრულებით სხვაგვარი იქნება, ვიდრე ზოგადობა, რომელიც უკანაა ფიქსირებულად მოტოვებული).

მაგრამ, რამდენადაც გზა წინ არის გზა უკან, ამდენად უფრო კერძო, ამავე დროს, უფრო ზოგადს გულისხმობს, და პირიქით, ყოველ ასეთ პუნქტში ერთად არის მოცემული ორი საწინააღმდეგო გზა—გზა წინ და გზა უკან (ეს არის არსებითი იდეისა და მოვლენის ურთიერთობაში)[3]. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს დიალექტიკა. მარქსისა და ენგელსის აზრით „არისტოტელე ანტიკური ქვეყნის ჰეგელია". ენგელსი გარკვევით ამბობს: არისტოტელემ უკვე

---

[1] დაუბოლოვებელის ცნება ატებულია აქ არსისა და აზრისათვის პირველის აზრით.

[2] Ленинский сборник, XII. ст. 239. ჰეგელმა კი არისტოტელე სულ იდეალიზმში გადაიყვანა.

[3] Ленинский сборник XII (არისტოტელე პლატონს ებრძვის, როგორც ფეოლისტს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიკვლია დიალექტიკური აზროვნების უარსებითესი ფორმები"[1]. მაგრამ, საბოლოოდ ნამდვილ დიალექტიკამდე მისვლის მაგიერ ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს, რორგორც ლ ე ნ ი ნ ი ამბობს, „თ ა ვ ს ი მ ტ ვ რ ე ვ ს" დიალექტიკის დედაარსის ირგვლივ. ამიტომ სწორი იქნება თუ ვიტყვით: ჩვენ მასთან მხოლოდ დიალექტიკის მომენტები გვაქვს. თუმცა ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს ზოგადის და ერთეულის, დაუბოლოვებელის და დაბოლოვებულის ერთიანობა სურდა დაესაბუთებინა, მაგრამ, საბოლოოდ, მასთან წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი დაცულია, როგორც სახელმძღვანელო. გზა ბუნებით პირველიდან ჩვენთვის პირველამდე და პირიქით არის სხვადასხვა მხოლოდ სხვადასხვა მიმართებით, და არა ერთი და იგივე მიმართებით. ცნების მოცულობისა და შინაარსის გათიშვის დროს ზოგადიდან კერძოსკენ სვლა ლოგიკური სიძლიერის დაკარგვას ნიშნავს, ხოლო კერძოდან ზოგადისაკენ[2] სვლა კი კონკრეტულობის დაკარგვას, ამით ლოგიკური მნიშვნელობის სიძლიერე იკარგება. ლოგიკურის სიძლიერის შენარჩუნება და ამ მხრივ წინ წასვლა მაშინ დასაბუთდება, როცა მოცემული იქნება ლოგიკური, სადაც წინსვლა და უკან დაბრუნება ისეთ ერთ მთლიან ლოგიკურ პროცესად ჩამოყალიბდება, სადაც კონკრეტულისაკენ სვლა ამავე დროს საყოველთაობის გაძლიერებისაკენ სვლაც იქნება[3]. ეს გარემოება ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე მ ა ც შეამჩნია. ჰ ე გ ე ლ მ ა აბსოლუტური იდეის ნიადაგზე სცადა ეს მოეხერხებინა, მ ა რ ქ ს მ ა კი ისტორიულის და ლოგიკურის ურთიერთობის მატერიალისტურ-დიალექტიკური გადაწყვეტით მოგვცა.

ზოგადიდან კერძოსაკენ სვლა არის დასკვნა, ხოლო კერძოდან ზოგადისაკენ კი არა; აქ აღმოჩენას და ინდუქციას აქვს ადგილი და არა ლოგიკურ გამოყვანას, „სილოგიზმის აუცილებლობას". ამიტომ წინსვლა—უკანდაბრუნების რკალს არა აქვს ორივე მხარე ერთნაირი ბუნების. ერთი მხარე სილოგისტიკური გამოყვანისაა, მეორე კი დასკვნის თვალსაზრისით გაურკვეველია. სწორედ ისაა გაურკვეველი, რაც მთავარია, რაც საფუძველს წარმოადგენს საბოლოო დასაბუთებისათვის და სილოგისტიკურ-დედუქციური გამოყვანისათვის. ლოგიკურად უფრო ძლიერისაკენ წასვლა, ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს შემთხვევაში—უკან სვლა, არაა ლოგიკურად გამართლებული. აქ არაა დასკვნითი სვლა. ასეთი უკანსვლა მეტაფიზიკაში ირკვევა, მაგრამ ირკვევა როგორც მხოლოდ არა დასკვნის ხასიათის მქონე უკანსვლა.

მეორე მხრით, ერთეული საგანი ნამდვილია, ზოგადი შესაძლებლობაა[4]. ზოგადიდან კერძო ერთეულისაკენ სვლა შესაძლებლობიდან სინამდვილისაკენ სვლაა. აქ არის დასაბუთება ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს ლოგიკის თვალსაზრისით, მაგრამ აქაური ლოგიკურის შეუძლებლობა იმაში ჩანს, რომ გამოყვანა უსათუოდ წინასწარ გულისხმობს სინამდვილეს, სინამდვილე წინ უსწრებს შესაძლებლობას. დასაბუთებაში ზოგადი პირველია, ერთეული კი უკანასკნელი. ეს ნიშნავს: შესაძლებლობა პირველია და სინამდვილე უკანასკნელი. მეტაფიზიკისათვის კი: სი-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი (1931), დამატება, გვ. 357 (რუს.).

[2] ამიტომ პრედიკატული ზოგადი ვერაა ნამდვილი პირველი და დაუბოლოვებელი.

[3] აქ გვეკუნება ნამდვილი დაუბოლოვებლის გამომხატველი ლოგიკური.

[4] Metaph. IV., „სულის შესახებ"—430 a და სხვ.

ნამდვილე პირველია, შესაძლებლობა გვიანდელი. ეს უკანასკნელი „ანალიტიკებისათვის“ ნიშნავს: კერძოდან გამოდის ზოგადი, რაც შეუძლებელია — მეტაფიზიკისათვის შესაძლებელი და აუცილებელი დასკვნისათვის (დასაბუთებისათვის) შეუძლებელია. დასაბუთებისათვის შესაძლებელი და აუცილებელი მეტაფიზიკისათვის შეუძლებელია. ამის გამო, როგორც დასკვნა-დასაბუთების ნაკლოვანებაა მოუხსნელი, ისე მეტაფიზიკურის ნაკლოვანებაც.

არისტოტელესთან აღნიშნული სიძნელის გადაწყვეტის შესაძლებლობის მითითება არის ლოგიკაშიც და მეტაფიზიკაშიც. მეტაფიზიკაში ეს მითითება განვითარების აღიარებაშია, სისრულისკენ წასვლაშია. მაგრამ აქ მხოლოდ მითითება და მხოლოდ მოთხოვნაა. ლოგიკაში სიძნელის გადაწყვეტის შესაძლებლობა მსჯელობის აზრში მდგომარეობს: S+P—ზოგადი კერძოზე გამოცხადების, მასზეა დამოკიდებული (აქ არის წასვლა მატერიალიზმისაკენ და ბრძოლა პლატონის წინააღმდეგ). მაგრამ დასკვნა-დასაბუთების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ერთეული დამოკიდებულია ზოგადზე, რადგან ის სწორედ ზოგადიდან გამოიყვანება და საფუძვლად ზოგადს გულისხმობს. მეტაფიზიკურად ერთეული საგანი ნამდვილია, ზოგადი შესაძლებლობაა. სინამდვილეა საფუძველი და ნამდვილი სინამდვილე პირველი ძირი, პირველი საფუძველია. ხსენებული წინააღმდეგობის გადაწყვეტის შესაძლებლობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ არსებობს მესამე, რომელიც არც ერთეულია და არც ზოგადი, არამედ ერთიც არის და მეორეც; უკეთ: უფრო მაღლა დგას, ვიდრე ზოგადი და ერთეული. ის არის ნამდვილი ერთეული—ნამდვილი სინამდვილე და, ამასთანავე, ნამდვილი ზოგადი, შესაძლებლობის არმქონე სინამდვილე, ნამდვილი დაუბოლოვებლობა, ნამდვილი უპირობო. ის არის νόησις νοήσεως, როგორც πρώτη ἀρχή. სწორედ ეს მესამე მოჩანს პირველ სუბიექტში, რომელიც მსჯელობის სუბიექტია და რომელშიაც თავს იყრის არისტოტელესეული არსებობა და ცნება.

პირველი სუბსტანცია ნამდვილი და პირველი სუბიექტია. ზოგადი მასზეა დამოკიდებული. ის საგანთა ზოგადი მხარეა და არა დამოუკიდებლად არსებული, როგორც ის, არისტოტელეს აზრით, პლატონს ჰქონდა წარმოდგენილი. ზოგადი წინასწარ გულისხმობს გარკვეულად არსებულ ერთეულს, ეს უკანასკნელი კი თავის ლოგიკურ საფუძველს ზოგადში პოულობს, რადგან დასკვნა ზოგადიდან დასკვნაა. მაგრამ გამოყვანისა და პრედიცირების ურთიერთობა ისეთია, რომ არც ერთეული საგანია ნამდვილად ნამდვილი და არც ზოგადი, როგორც პრედიკატი არის ნამდვილი დაუბოლოვებლობა, ყოვლად სრული უსასრულობა, ნამდვილი ზოგადი. ერთეული საგნები შეადგენენ მთელს მატერიისა და ფორმისაგან[1] და ცვალებადნი არიან, როგორც შესაძლებლობის მქონენი. ზოგადი—პრედიკატი, თუმცა ზოგადია, მაგრამ არაა დამოუკიდებელი, ის მაინც შესაძლებლობაა, ნამდვილი ზოგადი უფრო მაღალ საფუძველში იგულისხმება. ნამდვილად დამოუკიდებელი ზოგადი და ნამდვილად არსებული ერთი და იგივეა. იგი ყოველთვის ყოველ საგანს მასში თავისი მონაწილეობით აძლევს არსებობის და დაფუძნებადობის უფლებას. ყოველ ცალკეულ—

[1] Metaph., VII.

ერთეულ საგანშია მოცემული არსებული ზოგადი, როგორც არსობა (Wesenheit) ის, რაც ცნებით გამოითქმება და არის καθόλου[1]. ყოველ საგანში არის, რომ-ორც არსება, ცნებით გამოსათქმელი ზოგადი და ეს იმ ბუნებისაა, რომ ის არის საგანში ursprünglich Seiende das nicht etwas ist, sondern einfach ist, die Substanz...[2]. არსებისათვის მთავარი ის არის, რომ მასში მოცემულია განკერძოებით არსებობის უნარი (= ფორმა), მოცემულია ის, რაც აი ამ განსაზღვრული საგნის მოცემის უნარია[3], და ამავე დროს არსებულის როგორც არსებულის გარკვეული მომენტია. მაგრამ არსებითი არსის მხოლოდ დეფინიცია შეიძლება და არა დასაბუთება. დასაბუთება ამიერიდან არ გვაძლევს ცოდნას, არამედ წინასწარ გულისხმობს ამ ცოდნას დეფინიციაში. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს ა თ ვ ი ს საგანში არსებითი არაა დასკვნადი და დასკვნადი არაა არსებითი (აქ ეს დებულება წინასწარ გარკვეულად იგულისხმება). დეფინიციიდან საგნის არსება მხოლოდ საშუალო ცნების საშუალებით გადადის დასაბუთება-დასკვნაში. ნამდვილად პირველი ზოგადებში საშუალო ცნების იმ განასერში მდგომარეობს, რომელშიც საგნის არსებაა (საგნის არსებობა როგორც არსებობისაკენ—აზროვნების აზროვნებისაკენ მიმავალი ხაზი) მოთავსებული. ის ზოგადია, პირველი და ნამდვილად ნამდვილი, რომელიც ერთეულ არსებობას შეიცავს თავისში; და ეს ერთეულია ნამდვილი, რომელიც ზოგადს თავის არსებად შეიცავს: ორივე ეს (ნათქვამიდან ცხადია) პირველ საფუძვლად ერთსა და იგივეს გულისხმობს. წმინდა ერთეულს, როგორც ასეთს, არა აქვს დეფინიცია (Das Einzelne hat keine Definition)[4]. დეფინიცია ზოგადის დეფინიციაა. Die Definition trifft ja das Allgemeine und die Art[5]. მეცნიერება მხოლოდ ზოგადზეა შესაძლებელი; სუბსტანცია რომ ერთეული, მხოლოდ ერთეული იყოს, მასზე მეცნიერება არ იქნებოდა შესაძლებელი[6]. მეცნიერება ცნებებით აზროვნებას ნიშნავს, ცნება კი მხოლოდ ზოგადია (... Der Begriff ist Begriff des Allgemeinen)[7]. მაგრამ, აი, სწორედ ეს ზოგადი, რომლის დეფინიციაც არის მხოლოდ შესაძლებელი, არის არა მხოლოდ ზოგადი და საერთო, არამედ არის καθ' αὐτό და არის საგნის არსებითი არსი. ეს καθ' αὐτό (ein An sich) არის das wesentliche Sein eines Dinges[8]; აქედან, ცხადია, განსხვავდება ის ზოგადები, რომლებიც სუბსტანციალური ხასიათის არ არიან. რომ სუბსტანციები ასეთი ზოგადები იყვნენ, მაშინ სუბსტანციებიც არ იქნებოდნენ, რადგან საერთო არაა „აი ეს"; სუბსტანცია კი არის „აი ეს"[9], საშუალო ცნებაა[10] დასკვნი-

[1] Anal. post. I. 73b. S. 10—11; 74a—S. 12.
[2] Metaph. 1028a.
[3] ibid. 1029a.
[4] Metaph. 1036a. (S. 165); Natorp, Plat. Ideenlehre. S. 389.
[5] Met. 1036a (S. 166).
[6] ib. 1003a, 999a.
[7] ib. S. 165.
[8] ib. 1022a.
[9] ib. 1003a.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის პირველი და არა terminus major, რადგან ის ჰქმნის გამოყვანის ერთი მეორიდან გამომდინარეობის, ერთზე მეორის მოყოლების შესაძლებლობას. თუ კი ზოგადი—პრედიკატი ერთეულზე დამოკიდებულია, მასზე გამოითქმის და, მეორე მხრით, თუ კი ერთეული ზოგადზეა დამოკიდებული, რადგან იქიდან გამოდის, მაშინ საშუალო ცნება, რომელიც ზოგადია და ამავე დროს, ნამდვილი ერთეულია, ის ხომ საგნის არსების დეფინიციას გამოთქვამს, წარმოადგენს პირველს დასკვნისათვის (ამიტომ არა დასკვნადს), უკავშირდება (საგნის არსების საშუალებით) იმ ერთს—ნამდვილად ნამდვილს, რომელიც ყოველივეს არსებობის საფუძველია, როგორც ჯერარსი კერძოდ არსებულისათვის. აქ არის ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს ლოგიკის საგნობრივობის (ლ ე ნ ი ნ ი ამ მომენტს უსვამს ხაზს) და საგანთა ლოგიკურობის მთლიანობის დამტკიცების ცდა. სწორედ ამიტომ ვამბობდით ზევით, რომ დასაბუთება კერძო და ერთეულიდან გამოდის და კერძო და ერთეული დასაბუთებიდან, დასკვნიდან, მაგრამ ისე, რომ პრინციპში უპირველეს საფუძვლად ნამდვილი სინამდვილე იგულისხმება. ყოველივე ეს დიალექტიკისათვის მხოლოდ „თავის მტვრევას“ (ლ ე ნ ი ნ ი) წარმოადგენს.

დასკვნა-დასაბუთების პროცესი, ზოგადიდან კერძოს გამოყვანის პროცესი ლოგიკურად გაღარიბების პროცესია, ამდენად რეგრესული პროცესია. მეტაფიზიკაში კი განამდვილების პროცესი არის უკან—ნამდვილი სინამდვილისაკენ წასვლის პროცესი. აქ ლოგიკის და მეტაფიზიკის გათიშვა გვაქვს და ეს არის სათავე დასაბუთებაში სკეპტიციზმისათვის (კ ა რ ნ ე ა დ ი). მაშასადამე, უფრო ნათლად უნდა გაირკვეს ორი რამ: 1) მეტაფიზიკაში რეგრესულობა და 2) რეგრესულობის ცდა და მოთხოვნა სილოგისტიკურ გამოყვანაში. ზოგადიდან კერძოს გამოყვანას თუ წინსვლით პროცესად მივიჩნევთ, მაშინ ეს გაღარიბების პროცესი ასეთობას ამართლებს იმით, რომ გვაძლევს უკან მოტოვებული მაღალი ლოგიკურისაკენ დაბრუნების მისწრაფებას, მოთხოვნას.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს მოთხოვნით საშუალო ცნება უნდა შეიცავდეს მიზეზებს (4) და ძირითადი მიზეზი აქ მიზანია; ამიტომ გამოყვანაში მიზანი უკანაა, როგორც ნამდვილი სინამდვილე, რომელიც მხოლოდ სიტყვიერად გადმოდის გამოყვანაში საშუალო ტერმინის სახით. მიზნისათვის ყოფნა და აუცილებლობის ძალით ყოფნა ერთი და იგივეა[1]. აქ აუცილებლობას მივყავართ უკან მიზნისაკენ; გზა რეგრესულია. სილოგისტიკური გამოყვანის აუცილებლობა სულ სხვაა: ეს არის ლოგიკურობის დაკარგვის აუცილებლობა; ამიტომ აქაც რეგრესულობაა, თუმცა სხვა ხასიათისა. პირველი ხასიათის რეგრესულობა სავალდებულოა ლოგიკისათვის, თუ მას სურს მისდიოს ლოგიკურის სიძლიერის აუცილებლობის ხაზს, მაგრამ დასკვნადობა ამ ხაზზე არაა მოცემული. მეორე ხასიათის რეგრესულობა დასკვნადობის მოცემას ახერხებს, მაგრამ რადგან საგნის მეტაფიზიკური არსება რაღაც მისტიკურს შეიცავს, არ არის დასკვნადი ხასიათის, ამიტომ საპრედიკატო ზოგადი და საშუალო ცნებაში „მოცემული“ პირველი ზოგადი გაურკვეველ ურთიერთობაშია. ამიტომ დასკვნის აუცილებლობა სრულიად გაურკვეველია სილოგისტიკაში (დასაბუთებისათვის ერთეული

[1] Anal. post. II. 94 b. (S. 87).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დასკვნის ბოლოში მიღებული ერთეული სხვადასხვაა; უკანასკნელი ეს ეროვნ. ბიბ. აღნიშვნაა ნამდვილი საგნისა). ნამდვილი არ გამოდის, არამედ წინასწარვე იგულისხმება. მთავარი აქ ისაა, რომ რეგრესული სვლა წინასწარ გულისხმობს პროგრესულ სვლას, როგორც საფუძველს. რეგრესულობა პირველი გზის უკუღმა განმეორებას წარმოადგენს და ამიტომ ზედმეტია. სინამდვილე თუ უკან გვაქვს და ჩვენ უკან მივდივართ, მაშინ დასკვნა ნამდვილად იმ ფარულ დასკვნას ემყარება და იქიდან იღებს აზრს, რომელიც როგორღაცნაირად შეგვისრულებია ან უნდა შეგვესრულებინა.

ყოველ შემთხვევაში, საშუალო ცნებაშია როგორც პროგრესულის, ისე რეგრესულის და საერთოდ დასკვნა-დასაბუთების შესაძლებლობის საიდუმლოება. დასკვნაში ორი ცნება ერთი მეორეს მიჰყვება მესამის საშუალებით; დასკვნის შესრულება იმ მესამემდე მისვლაა, რომლის განაღდებაც დასკვნამ მის საფუძველზე მოახერხა [1]. უსათუოდ უნდა იქნას დაშვებული მესამე, რომ შესრულდეს დასკვნა. რადგან დასკვნა მხოლოდ ამ მესამის წინდაშვების საფუძველზეა შესაძლებელი, ამიტომ დასკვნის შესრულება წინ დაშვების შესრულებაა. შესრულება არის დასკვნა, მაგრამ საფუძვლად ამ შესრულებისა ნაგულისხმევია უმაღლესი ხასიათის დასკვნა, რის მოთხოვნა *არისტოტელეში* მხოლოდ დაშვების სფეროს ვერ გასცილდება. ამიტომ არა თუ პროგრესულობა, არამედ რეგრესული სვლაც შეუძლებელი გახდა. აქ რეგრესულობას ის აზრი აქვს, რომ ის პროგრესულობის მოთხოვნის თავისებურ ფორმას წარმოადგენს. ძველი ლოგიკის გასაქანი სწორედ ამგვარადაა შეზღუდული.

ზევით თქმულიდან ცხადია, რომ *არისტოტელესათვის* გამოყვანა წინასწარ მეტ სისრულეს გულისხმობს, ვიდრე გამოსაყვანი. ამიტომ საერთოდ უკანწასვლა სისრულისაკენ და კერძოდ არასრული დასკვნის სრულ დასკვნაზე დაყვანა—რედუქცია ერთ პრინციპს ექვემდებარება. სრული—პირველფიგურითი დასკვნა აზრს აძლევს დასკვნებს საერთოდ. ყოველი არასრული დასკვნა პირველი ფიგურის საშუალებით ხდება სრული [2]. დასრულება და ბოლომდე მისვლა ხდება უკუქცევით, თუ საქმე პირდაპირი დასაბუთებით მიგვყავს, ანდა შეუძლებლობის საშუალებით, თუ საქმე არა პირდაპირი დასაბუთებით მიიმართება.

საერთოდ დამტკიცება რისამე იმას ნიშნავს, რომ აქ წინდაშვებულიდან რაღაც აუცილებელია მოცემული. ეს აუცილებელი „რაღაც" აღარ იქნება მაშინ, თუ ჩვენ სილოგისტიკური დასკვნა გვაქვს, ე. ი. ისეთის გამოყვანა, რომელიც წინამძღვრებში იგულისხმება. მაგრამ *არისტოტელესთან* სილოგისტიკა სწორედ იმას ემყარება, რაც საგნობრივად აუცილებელს შეიცავს და უნდა შეიცავდეს. ამ უკანასკნელში კი აუცილებლობა რაღაც სხვანაირად არის. აქ არის მოთხოვნა მეტი სისრულის, საგნობრივი სისრულის, სხვაგვარი ლოგიკურის და ამით აშკარაა სილოგისტიკის ნაკლოვანება. მაგ., თუ ადამიანი არის, აუცილებელია გრძნობადი არსება იყოს, თუ ეს უკანასკნელი არის, მაშინ სუბ-

[1] Anal. pr. I. 41a.—S. 53.
[2] Anal. pr. S. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტანცია არის. მაშასადამე, ადამიანის არსებობისას აუცილებელია სუბსტანციის არსებობა. მაგრამ აქ არაა გამოყვანა-დასკვნა, ვინაიდან გამოყვანილი პრემისებში არ იყო ნაგულისხმევი[1]. ამგვარი გამოყვანისას წინდაშვებულიდან გვეძლევა რაღაც აუცილებლობა. ცხადია ამიტომაც, არისტოტელესათვის რომ ყოველი დასკვნა არის რაღაც აუცილებელი, მაგრამ არა ყოველი აუცილებელი არის დასკვნა[2]. დასაბუთების ნამდვილი აზრი კი მოითხოვს იმას, რომ ყველაფერი დასკვნის, ე. ი. ლოგიკურ ენაზე იქნას გადათარგმნილი, არ არსებობდეს ისეთი აუცილებლობა, რომელიც ლოგიკურ აუცილებლობაში ვერ შესძლებს გამოხატვას. აქ მხოლოდ ლოგიკურის ნაკლოვანება ჩანს და მეტი არაფერი. ამასთანავე პირველი ფიგურის არასაკმარისობა და სხვა დასკვნების მასზე რედუქციის საჭიროება ამჟღავნებს სილოგისტიკური დასკვნის ნაკლოვანებას. ყველა ამის შემდეგ ნათელია ზოგადი ლოგიკის საზღვარზე მისვლა. ამ მხრით მეტი ნაბიჯის გადადგმა აღარ შეიძლებოდა, ახალი ნაბიჯი სრულიად ახალ ნიადაგს მოითხოვდა. ამიტომ მართალი იყო კანტი, როცა აღნიშნავდა არისტოტელეს ლოგიკის მის ხელშივე დასრულებას.

ის გარემოება, რომ სისრულის შეძენა დასკვნადობაში უკან მიყვანას მოითხოვს, არისტოტელესთან იმას ნიშნავს, რომ გამოყვანა სისრულისაგან დაცილებაა. დასაბუთება წინასწარ გულისხმობს სისრულეს. სილოგიზმს სიცხადეში მოყავს ის, რაც უკვე მოცემულია ცნებაში, რომლის არსებას (საგნის არსებას) გვიხსნის დეფინიცია და არა დასკვნა-დასაბუთება. მთელი ცოდნა წინასწარაა მოცემული, როგორც პირველყოფილი ცოდნა[3]. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც პრემისები, ისე კონკლუზიო როგორლაცნაირად წინასწარვეა მოცემული. დასკვნისა და დასაბუთების მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს წინასწარი ცოდნა მეცნიერების სახით ჩამოაყალიბოს. მეცნიერებისათვის აუცილებელია დასაბუთება. მაგრამ ყოველ მეცნიერებას რაღაც წინასწარი შემეცნება უსწრებს წინ[4]. ეს წინასწარი ცოდნა ერთეულთა არსებას უნდა გამოხატავდეს[5], რომელიც დასაბუთებაში ვერ მოიცემა. თუ დასაბუთების პრინციპი დასაბუთებაში ვერ მოექცევა, ეს კი ასეა, და თუ მთელი ცოდნა სწორედ წინასწარ იგულისხმება, მაშინ დასაბუთების საქმიანობა ზედმეტია, რადგან თავის ენაზე ვერ გადმოთარგმნის წინასწარ ცოდნას, აქ კი ყველაფერია ნაგულისხმევი. ყველა ამის შემდეგ არისტოტელე არ დგება Meno-ს აპორიის წინაშე: სწავლება არის სწავლება ან არაფრის, ანდა იმისა, რაც ვიცით. Meno-ს სიძნელეს არისტოტელე ასე სწყვეტს: ჩვენ წინასწარ გვაქვს არა ის, რაც უნდა ვიცოდეთ კერძოებიდან, აი, ამ სამკუთხედიდან, აი ამ რიცხვიდან, არამედ ის, რაც შეეხება ყოველ და ყველა რიცხვს და სამკუთხედს. წინასწარ მოცემულია ის, რაც უნდა იყოს მნიშვნელოვანი ყოველი კერძოსათვის, და არა ის, რაც აი ამ კერძოს წარმოადგენს[6]. ჩვენ ვიცით წინასწარ ის, რაც

[1] Anal. pr. S. 74.
[2] ibid.
[3] Anal. post. II. S. 82.—93a...
[4] Anal. post. 71a 1.
[5] ibid.
[6] Anal. post. I. 71b.—S. 2.

ამიერიდან უნდა შევისწავლოთ, მაგრამ ვირტუალურად, რამდენადაც [illegible] ზოგადში, როგორც საფუძველში, იგულისხმება, და არა ისე, რომ [illegible] პირ აქტუალურად ვიცოდეთ წინასწარ. მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, ყველაფერი ეს შესაძლებელია იმით, რომ სათავეში არსებობს აბსოლუტურად აქტუალური აზრი, რომლის აუცილებლობა არის ის, რითაც დასკვნითი მსჯელობა გამოდის, თუმცა თვითონ არ არის აუცილობლობა დაბოლოებულად მოცემული ცნებებიდან, არამედ ამის გარდა რაღაც სხვას გულისხმობს თავისი სიძლიერის საფუძვლად.

წმინდა დაბოლოებული აზრის საფუძველი გაურკვეველია და მისი საზრისის მიღება აღკვეთილია. ეს ცხადია, რადგან შემცდარიდან ჭეშმარიტების გამოყვანა შეიძლება. აქ საფუძვლის მიღება შეუძლებელია. არსებულის გამომთქმელი, ჭეშმარიტი საფუძველი ვერასოდეს ვერ მოგვცემს შემცდარს დანასკვნად. შემცდარ წინამძღვრებს ჭეშმარიტი დასკვნის მოცემა მაშინ შეუძლია, თუ ისინი მხოლოდ იმას აჩვენებენ, რომ რაღაც ჭეშმარიტია და არა იმას, რომ ეს ჭეშმარიტი რატომ არის ჭეშმარიტი და არა რატომ არაჭეშმარიტი[1]. დასკვნა როცა „რატომ"-ის შემცველია, ე. ი. ნამდვილ საფუძველს შეიცავს, მაშინ ის პირდაპირ დასაბუთების ხაზზე ძევს[2] და ამ ხაზით პირდაპირ შესაძლებელია სვლა შედეგიდან საფუძველზე, მაგრამ ამ სვლის დასკვნითი ხასიათი სრულიადაც არაა ნათელი. მაგრამ ამდენადვე ნათელია ყოველი აზრისათვის საკუთარი თავის გამართლების დროს უკანსვლის აუცილებელი მოთხოვნა. მაშასადამე, ძველი ლოგიკის მოთხოვნა ასეთია: ერთადერთი გზა აზრისათვის, რომ თავისი თავი გაამართლოს, გამდიდრდეს შინაარსით და ასევე ლოგიკური აუცილებლობით, არის გზა პირველი თეზისისკენ.

დასაბუთების პრინციპი არაა თვითონ დასაბუთება და მეცნიერების პრინციპი არაა თვითონ მეცნიერება. პრინციპთა პრინციპი იქ არის მოცემული, სადაც უპირველესი სინამდვილე, წმინდა ფორმა და ასეთივე აზრი მოქმედებს დასაბუთების საფუძვლად. ეს ხდება ნუსში, რომელიც შემცველია შესაძლებლობის სახით პირველი საფუძვლებისა, იმიტომ რომ უფრო ნამდვილს წინასწარ გულისხმობს და მასში მონაწილეობით, მისკენ წასვლით ამართლებს თავის მოვალეობას მეცნიერებისა და დასაბუთების მიმართ. მოთხოვნა ლოგიკური გამდიდრების გზისა შესრულებულია უკან წასვლისკენ (ფარული) მოწოდებით. ეს—უმაღლესი პრინციპებისაკენ წასვლის გზა, ლოგიკურად გამდიდრებისაკენ წასვლის გზა, არ არის დასკვნა-დასაბუთების გზა, არამედ ინდუქციის[3], აღმოჩენის გზაა. ლოგიკურად ინდუქცია მხოლოდ როგორღაცნაირად ახერხებს ამ აღმოჩენას. ამ არადასაბუთებითი საქმიანობის გარეშე დასაბუთება უთავბოლო და შეუძლებელია. ასეთია არისტოტელესთან დასაბუთების არსებითი ნაკლი. ინდუქცია, რომელიც ლოგიკურად არაა გამართული და ამავე

---

[1] Anal. pr. II. 53b—S. 96. აგრეთვე Topica 8,11. 162a.—S. 195—6.

[2] აქ დასკვნა უდრის დასაბუთებას.

[3] Anal. post. I. cap.—81b.—S. 38. Anal. pr. II, 68b.—S. 144. Anal. post. II. 90b.—S. 72., 91b.—S. 76—7.

დროს სილოგისტიკური დასაბუთების ნაკლის გამომხატველია, დედუქციასთან ერთად ითხოვს დასაბუთების ისეთ მეთოდს, რომელიც ორივეს შემცველი იქნება. ამას კი მხოლოდ დიალექტიკური მეთოდი შესძლებს.

ლოგიკურის—დასაბუთების ნაკლი არისტოტელესთან მეტაფიზიკაში მოცემული თავისებურებითაა ნათელი, სახელდობრ, თუ როგორი უნდა იყოს არსებულის ლოგიკური ნაირობა. დასკვნითი პროცესი განამდვილებითი პროცესი უნდა ყოფილიყო, ნამდვილად კი სილოგისტიკური დასკვნა გაღარიბებაა და სინამდვილისაგან დაცილება. მეტაფიზიკაში კი ნაცადია მოცემულ იქნას საწინაალმდეგო გზა—გზა განამდვილებისა, გართულების გზა. მაგრამ ვიკითხოთ: ეს გზა ნამდვილი განვითარების—ნამდვილი პროგრესული სვლის გზა არის თუ აქაც ჩვენ რეგრესულობა გვაქვს?

როგორც ვნახეთ, საშუალო ცნებაში მოიცემა პირველად ის, რაც დეფინიციაში იგულისხმება და ამიტომ საშუალო ცნება თავისში მიზეზებს იტევს, რომელთა შორის Weswegen, „რისთვისაც", მთავარია. წინდაშვებული მიზანი არის საგნის განმსაზღვრელი და დეფინიციის საშუალებით დასაბუთების სათავე. Weswegen, მიზანი[1], არის შინაგანი მოქმედი საფუძველი, ის, რაც სხვისთვის არ არსებობს და რისთვისაც ყველა სხვა არსებობს. ის არის ის, რითაც ყველა სხვა არსებობს, რითაც ყველა სხვა დასაფუძვლებულია, საიდანაც ყველა გამოდის ისე, რომ იქამდე მივიდეს. „მიზანი არის ბოლო"[2]. საშუალო ცნებით მოცემული Weswegen, მიზანი, არის ბოლო დასაბუთებისა. რადგან jeder Beweis muss aus etwas über etwas und für etwas geführt werden[3]; ამიტომ და იმის წყალობით, რომ არსებობს აზრისა და არსის ერთი ძირი, შესაძლებელია für alles einen Beweis geben. ერთია ის, საიდანაც გამოდის დასაბუთება; ეს ერთია იმათი საფუძველი, რომლებზედაც ვრცელდება დასაბუთება, და იგივეა, რისთვისაც მიმდინარეებს დასაბუთება.

ყოველივეს მიმართ მიზანი და ბოლო არის გარკვეულობა და მისი ფორმა. აქაა მისი სისრულე. ამიტომ ყოველი პროცესი არის სისრულისაკენ მისწრაფების პროცესი (ასეთ პროცესად, როგორც ვნახეთ, სილოგისტიკური პროცესი ვერ გამოდგა). ბოლო არის სისრულე და ეს არის მიზანი, არსება და საზღვარი შემეცნებისა, „და თუ შემეცნების, მაშინ საგნისთვისაც"[4]. ბოლო არის საგნის სისრულე და გარკვეულობა, ე. ი. მისი ფორმა, რომელიც საგნის არსებითს არსს და პირველ სუბსტანციას—სუბიექტს წარმოადგენს[5], ე. ი. იმას, რაც დეფინიციაშია მოცემული[6]. მაშასადამე., ის საითკენაც დასაბუთება უნდა წავიდეს, არის ის, საიდანაც დასაბუთება გამოდის. სისრულე, რაც არის სინამდვილე, უპირველესი, მიზანი, ბოლო, ფორმა-გარკვეულობა, სისრულე-საზღვარი, არსება, დეფინიციაში მოცემული პირველი სუბიექტი, არის აქ ერთი

---

[1] Metaph. 994b. S. 54. Anal. post. 94b.—S. 87.

[2] ibidem.

[3] Metaph. S. 60.—997a.

[4] Met. V. თავი 17—op.; საზღვრის განმარტება.

[5] Met. 1032b.

[6] Met. 1035b. იხ. Natorp. fl. Pl. ს. l. S. 389.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იგივე, ვინაიდან (ამასთანავე) ფორმალური მიზეზი არის ცნება (...Die Formalursache ist d. Begriff), ნამდვილი ცნება დასკვნა-დასაბუთებისათვის კანონის საშუალო ცნება. ერთი მეორიდან გამოყვანის პროცესი გაპირობებულია, საფუძველდებულია მიზნით. ამ ხაზით მარადიული გამოყვანადობა შესაძლებელია მარადიულად არა გამოყვანადის საშუალებით,—ეს ისე, როგორც მარადიულ მოძრაობას საფუძვლად უძევს და მისი შესაძლებლობის პირობას წარმოადგენს მარადიულად უძრავი—პირველი მამოძრავებელი. დასკვნითი პროცესი, რომელიც, ამავე დროს, შემეცნების პროცესი იქნება, უნდა წავიდეს, ამ აზრით, უკან, საფუძვლისაკენ. მარადიული მოძრაობის ფაქტს მის ამხსნელისაკენ—მარადიული უძრავისაკენ მივყავართ. მაგრამ სილოგისტიკური გამოყვანა, როგორც ვიცით, სულ სხვანაირია. მოუგვარებელია ადამიანური აზრის პროცესის და საგანთა პროცესის აზრის ერთიანობა, ე. ი. ისტორიულისა და ლოგიკურის დამოკიდებულება.

უფრო გარკვეულად: სისრულე ნაკლოვანებაზე წინ იგულისხმება. უკანასკნელი პირველის ნიადაგზეა შესაძლებელი. სხვანაირად: სინამდვილე უფრო ადრეა, წინ უსწრებს შესაძლებლობას (Die Wirklichkeit früher ist als die Möglichkeit)[1]. ეს ცხადია იმიტომ, რომ სინამდვილეს შეუძლია წინასწარ არსებობდეს და შესაძლებლობა მხოლოდ სინამდვილის შემდეგაა შესაძლებელი, რადგან ის ხომ სინამდვილის შესაძლებლობაა. ადრე გაძლების უნარში იგულისხმება არა უნარი საერთოდ, არამედ ყოველგვარი დასაწყისი, რომელიც შემძლეა ყოველგვარი გამოყვანის და მოძრაობის, სინამდვილის ბუნება მას ეკუთვნის და იწვევს მოძრაობა-გამოყვანას არა სხვაში, არამედ თავის თავში და თავისი საკუთარი თავიდან; ამის შესაძლებლობის სინამდვილე წინასწარვე მასშია. სინამდვილე შესაძლებლობას წინ უსწრებს ლოგიკურად: ის, რაც შემძლეა იყოს პირველი, არის ასეთი იმიტომ, რომ მას შეუძლია იარსებოს სინამდვილეში[2]. სინამდვილის შემეცნება წინ უსწრებს შესაძლებლობის შემეცნებას. დროში სინამდვილე უპირველესია: მოძრაობა აქ შესაძლებლობიდან სინამდვილისაკენ შესაძლებელია კიდევ უფრო ადრე არსებული სინამდვილით. (... denn immer wird aus dem Potenziellen das Aktuelle durch ein Aktuelles). არსების თვალსაზრისით სინამდვილე წინ უსწრებს შესაძლებლობას. ის, რაც წარმოშობის პროცესში გვიანაა, ადრეა ფორმისა და არსების მიხედვით. ყოველივე ის, რაც წარმოიშობა და გამოდის, მიმართულია თავისი დასაწყისისაკენ და მიზნისაკენ. დასაწყისი არის ის, რისთვისაც რაიმე ხდება; წარმოშობა მიზნის გულისათვის წარმოშობაა. მიზანი არის სინამდვილე[3]. აქ არის უპირველესობა, მარადიულობა, რომელშიც არ შეიძლება შესაძლებლობა (ერთი და იგივეა ყოფნისა და არყოფნის შესაძლებლობა)[4], მაშასადამე, პირველი და უკანასკნელი ერთი და იგივეა[5].

---

[1] Metaph. 9 წ. 8. a.—1049b.

[2] ibid.

[3] ib. 1049 b.—1050a.

[4] ib. 1050a.

[5] იხ. Prantl I. S. 205.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე გარკვევით ამბობს: ...die Energie... früher ist als das Vermögen[1]. ნამდვილი სინამდვილე წინ უსწრებს შესაძლებლობას. მაგრამ ამავე დროს das letzte also nenne ich Energie, die erste Bewegung...[2] ანდა უფრო გარკვევით ფორმისა და მატერიის ენაზე: საგნები შესაძლებლობიდან სინამდვილისაკენ მოძრაობენ[3], მოძრაობენ იქით, რასაც არა აქვს არავითარი შესაძლებლობა, არავითარი მატერია და ნამდვილ სინამდვილეს წარმოადგენს[4]. რადგანაც მოძრაობის სათავე სინამდვილეა, ამიტომ უკანასკნელი მატერია და პირველი ფორმა ერთი და იგივეა, მხოლოდ ერთი—შესაძლებლობის მხრით და მეორე—სინამდვილის[5]. ყოველგვარი პროცესის თავი და ბოლო, საბოლოოდ, ერთი და იგივეა: საიდანაც გამოდის, იქით უნდა მივიდეს; ასეთია საერთოდ გამომდინარეობის პრინციპი.

თუ კერძო საგნები ნამდვილი სინამდვილეა ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს ა თ ვ ი ს, —პ ლ ა ტ ო ნ ი ს წინააღმდეგ, მაშინ დასკვნა, ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, არის უკან სვლა, იქიდან სვლა, რაც კერძოზეა დამოკიდებული და მისგან უნდა გამოვიდეს. თუ კი ზოგადია პირველი, და ეს ცხადია ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს თ ა ნ, მაშინ კერძო საგანთა ქვეყანა მეორადია და აქ გამოყვანა წინსვლაა[6], მაგრამ გაღარიბებას წარმოადგენს, ე. ი. საბოლოოდ მაინც უკანსვლაა. ისიც ცხადია, რომ სილოგისტიკური გამოყვანის საფუძველზე საფუძვლისაკენ და სისრულისაკენ სვლა აუცილებელია, მაგრამ მოუხერხებელია. ყველა ამ ნაკლის აღნიშვნას მეტაფიზიკის ძირითადი დებულებანი გვაძლევენ. უნდა არსებობდეს პირველი ერთი—ერთეული ნამდვილი ზოგადობა, და იქიდან გამოდიან როგორც ერთეული საგნები პრედიკატული ზოგადობანი, ორგვარი სუბსტანციები უპირველესი—პირველყოფილი სუბსტანციისაგან არიან სუბსტანციები. ეს გამოყვანა მიდის მიზნისაკენ, იმავე პირობებისაკენ და ამიტომ მიყვანას წარმოადგენს. მაგრამ ლოგიკური გამოყვანის—დასკვნის ბუნების ხასიათი აქ არაა მოცემული და ამიტომ ძველი ლოგიკური ნაკლი და ახლის მოთხოვნა ერთმანეთს ემთხვევა.

ნამდვილი ახალი ლოგიკა შეიქმნა მაშინ, როცა მ ა რ ქ ს - ე ნ გ ე ლ ს - ლ ე ნ ი ნ - ს ტ ა ლ ი ნ ი ს თეორიამ შექმნა ლ ე ნ ი ნ ი ს შემდეგი დებულების დამსაბუთებელი ლოგიკა: დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. პირველი ფორმით ეს აზრი იდეალისტურმა დიალექტიკამ გამოთქვა. ორივე სახის დიალექტიკისათვის დასკვნა-დასაბუთების თეორიაში წინააღმდეგობის ერთიანობის პრინციპია გადამწყვეტი. ამ გარემოების გარკვევას ჩვენთვის სპეციალური გამოკვლევები ესაჭიროება.

---

[1] Met. 1050a.
[2] Met. 1048b, 1050a.
[3] ib. 1045b.
[4] ibid.
[5] ibid.
[6] აქ წმინდა სილოგისტიკურ-ლოგიკური პროცესი სწორხაზობრივია. წრიულობას საერთოდ ლოგიკურობა მოითხოვს, რომლის გარშემოც ტრიალებს არისტოტელეს მთელი პრობლემატიკა. დასაბუთების სწორხაზობრივობაზე იხ. „სულის შესახებ"—407a.

ეროვნული ბიბლიოთეკა

С. Церетели

К характеру доказательства в силлогистике Аристотеля

(Резюме)

Прогрессивность в умозаключении—доказательстве является отражением исторического развития. Поэтому тождество диалектики („метафизики"), теории познания и логики—основа теории прогрессивного умозаключения—доказательства. С точки зрения этого положения Ленина должно оценить все логические теории в истории философии, в частности, логику Аристотеля.

Регрессивность мышления к идее у Платона не заключала в себе характера умозаключений. Это было условие устанавливать отделение „логики конечного мышления" от метафизики в философии Аристотеля. Логика Аристотеля, в целом, не формальная логика, но в конечном счете отделена от метафизики. В этом и заключается основа Карнеадова скептицизма и формализации логики в дальнейшем.

Недостатки метафизики Аристотеля составляют ценности логики и наоборот; напр., в логике осуществляется аподиктическое выведение, а в метафизике процесс к сложному, но без характера умозаключения; ни то, ни другое не является отображением исторического процесса.

'Απόδειξις, выведение частного из общего, на основе обратной пропорциональности объема и содержания понятия, представляет собой регресс мощности логического: выводное суждение гораздо слабее по логической мощности, чем предпосылки. Поэтому логический регрессивный процесс оправдывается требованием основания; это требование регресса к основанию осуществляется в метафизике.

Общее, по Аристотелю, не существует самостоятельно (против Платона), оно предикат частного, единичного, субстанциально первого (здесь—материализм Аристотеля). Поэтому первое единичное, а не общее. Сущность единичного высказывается в дефиниции, как в принципе доказательства.

С другой стороны, умозаключение это—выведение частного из общего; всякое выведение предполагает общее, как по природе первое. Единичное в умозаключении—самое последнее, не имеющее объема, почти нуль по логической мощности.

Далее, общее это—возможность, а частное, единичное существует действительно. В то же время terminus medius должен содержать в себе

4 причины, из которых цель главная—само по себе сущая действительность. Возможность предполагает фиксированную действительность. Смысл умозаключения заключается в предположении третьего. Но этим выявляется только требование логики Аристотеля, так как здесь не указывается характер соответствующего умозаключения.

Этим подтверждается смысл процесса в метафизике, где действительность, как первая, обосновывает регрессивный процесс возможности к своему началу, как цели. Но этот процесс не заключает в себе характера умозаключения,—просто не логический процесс. Этими характеризуется индукция, как метод открытия (находки) общего, основания которое само предполагается в индуктивном процессе. Поэтому, по, Аристотелю, метод доказательства есть только дедукция, а не индукция. Здесь доказывается и то, что получение более совершенной логической мощности никогда не осуществляется путем умозаключения; так как, во всяком случае, истинное следствие может быть выведено и из ошибочных предпосылок. Этим характеризуется умозаключение конечного мышления.

Аристотель указывает на то, что, если предпосылки отвечают на вопрос—„почему", то невозможно выведение истинного суждения из ошибочных предпосылок. Этим обозначается возможность получить основание, но эта возможность не осуществляется путем умозаключения.

Вышеприведенные противоположности, по Аристотелю, разрешаются тем, что предполагается единое общее πρώτη ἀρρχή, νόησις νοήσεως. Здесь узловой пункт всех „колебаний Аристотеля между идеализмом и материализмом" (Ленин). Этим обосновываются у него и колебания между логическим и метафизическим и между содержательной логикой и логикой чисто конечного мышления.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფილოსოფიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1941. IV.15)

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXIV, 1942
ТРУДЫ ТБИЛИСС. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXIV, 1942
TRAVAUX DE L'UNIVERSITÉ STALINE à TBILISSI, XXIV, 1942
ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ფერეთელი

რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისათვის

წინამდებარე შრომა მიზნად არ ისახავს მცდელობის ყველა პრობლემის ამომწურავად გაშუქებას. იგი არის მხოლოდ ცდა რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენებისა მცდელობის ცნების დადგენისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ შრომაში ჩვენ არ ვეხებით დაწვრილებით არც მცდელობის ისტორიას, არც იმ მრავალრიცხოვან თეორიებს, რომელნიც შეჰქმნა ბურჟუაზიულმა იურისპრუდენციამ გასული საუკუნის განმავლობაში, არც მცდელობის დასასჯელობის ოდენობას და არც მცდელობის სხვა კერძო საკითხებს. მაგრამ ჩვენს ამოცანასთან დაკავშირებით არ შეგვეძლო გვერდი აგვევლო მცდელობისა და მოსამზადებელი მოქმედების გამიჯვნის საკითხისათვის და უვარგისი მცდელობისათვის, ვინაიდან ამ საკითხების გაშუქება მჭიდროდ არის დაკავშირებული მცდელობის ბუნების დადგენასთან.

I

მცდელობა შედარებით ახალი ცნებაა. პრიმიტიულმა სამართალმა, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მავნე შედეგს, როგორც ასეთს, მცდელობის ცნება არ იცის. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ საზოგადოებაში მისი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ხელყოფა იწვევს რეაქციას მხოლოდ მაშინ, როდესაც მას რაიმე მატერიალური ზიანი მოჰყვა. დამნაშავის ფსიქიკა, მისი სულიერი განწყობილება, განზრახვა და სხვ. მისთ. უძველეს სამართალს არ აინტერესებს [1]. და მხოლოდ კულტურის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დანაშაულის შინაგანი მხარე, მოქმედი პირის ფსიქიკის დამოკიდებულება მის მიერ გამოწვეულ მავნე შედეგთან თანდათან სულ უფრო მეტ ყურადღებას

[1] იხ. I. Makarewicz: „ცხადია, რომ იქ, სადაც გადამწყვეტია ფაქტიური გარემოება, შედეგი, იქ, სადაც მხედველობაში იღებენ ცვლილებას გარეშე სამყაროში, ხოლო მოქმედი პირის ფსიქიკას განიხილავენ, როგორც quantité negligeable, მ ც დ ე ლ ო ბ ი ს დასჯილობას, რამდენადაც მას არ მოჰყოლია რაიმე თავისთავად დასასჯელი ცვლილება გარეშე სამყაროში, არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი". (Einführung in die Philosophie des Strafrechts. 1906. Stuttgart გვ. 417). იხ. აგრეთვე Хейфиц, Приготовление и покущение: Журн. минист. юстиции 1904 г. № 5, გვ. 53—58. Спасович, Учебник уголовного права, 1863, გვ. 132.

იპყრობს. შინაგანი მომენტის განვითარება შემდგომ ორი მიმართულებით ხდება: ერთი მხრით, პასუხისმგებლობა მხოლოდ მავნე შედეგისათვის უკვე უსამართლობად ეჩვენებათ. უბრალო მიზეზობრიობის კავშირს მოქმედებასა და მავნე შედეგს შორის აღარ თვლიან საკმარისად პასუხისმგებლობისათვის. თანდათან გზას იკაფავს ის აზრი, რომ პიროვნებას შეიძლება მოეთხოვოს პასუხი მისი მოქმედებით გამოწვეული ბოროტებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს მოქმედება შეპირობებული იყო მისი ბრალით, ე. ი. დასაგმობი სულიერი განწყობილებით. ასე ისახება და ვითარდება ბრალის ცნება. მეორე მხრით, ბრალის ცნების განვითარება ჰბადებს შეგნებას, რომ დამნაშავის დასჯისათვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ წმინდა შემთხვევითს გარემოებას, განხორციელდა თუ არა მავნე შედეგი. თუ დამნაშავის მოქმედება მიმართული იყო დანაშაულის ჩადენაზე, მაგრამ მავნე შედეგის განხორციელებას ხელი შეუშალა რაიმე გარემ, მის ნებაზე დამოუკიდებელმა გარემოებამ, უსამართლობა იქნებოდა, რომ ასეთი პიროვნება არ დაგვესაჯა [1]. ასე წარმოიშვა მცდელობის ცნება. დროის განმავლობაში ამ შინაგან მომენტს ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ „სისხლის სამართლის მეცნიერების შემდგომ განვითარებაში კრიმინალისტურ გამოკვლევათა სიმძიმის ცენტრი მოქმედებიდან მოქმედზე გაადაქვთ“ [2].

II

ამგვარად, მცდელობის ცნების წარმოშობა ისტორიულად დაკავშირებულია ბრალის პრინციპის განვითარებასა და განმტკიცებასთან. უფრო მეტიც: ბრალის პრინციპი თავის განსაკუთრებით თანამიმდევარ და მკვეთრ გამოხატულებას სწორედ მცდელობაში პოულობს. მაშინ, როდესაც დამთავრებული დანაშაულის დროს მოქმედების სუბიექტური და ობიექტური მხარე ერთიერთმანეთს ემთხვევა, მცდელობის დროს ობიექტური მხარე ნაკლებად არის განვითარებული სუბიექტურთან შედარებით. აქ ისჯება თავისდათავად მოქმედება, მიმართული დანაშაულის ჩადენაზე, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი, რომლისკენაც მიისწრაფოდა დამნაშავე, განხორციელებული არ არის. ამავე დროს მცდელობა ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი განზრახაა ჩადენილი. ეს საბაბს აძლევს ზოგიერთ კრიმინალისტს ეძიოს მცდელობის დასასჯელობის საფუძველი მარტოოდენ დამნაშავის შინაგან სულიერ განწყობილებაში, მის ბოროტ ანუ დანაშაულებრივ ნებაში, და სავსებით უარყოს დანაშაულებრივი

---

[1] იხ. W. Loeb, Der Versuch im Reichsstrafgesetzbuch und im Vorentwurf. Breslau. 1913, გვ. 3.

მცდელობის ცნების განვითარების კავშირი ბრალის პრინციპის განმტკიცებასთან ნათლად ნაჩვენებია აღნიშნული აქვს აგრეთვე Ph. Allfeld-ს: „მაგრამ დროის განმავლობაში, როდესაც დამნაშავის ნება წინააღმდეგ შედეგისა (exitus) სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, დაიწყებენ საერთოდ დაუმთავრებელი ნების განხორციელების დასჯას“ (Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Leipzig, 1934, გვ. 189).

[2] იხ. W. Loeb, დასახ. თხზ., გვ. 4.

ქმედობის ობიექტური მომენტის მნიშვნელობა მცდელობისათვის. „დასჯითი მომენტი მცდელობაში,—ამბობს სუბიექტური თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ვარი წარმომადგენელი ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში Germann-ი,—არის დანაშაულებრივი ნება... ისჯება ნება და არა შესრულება“ [1]. ეს იდეა საფუძვლად უდევს მრავალრიცხოვან სუბიექტურ თეორიებს, რომელნიც მცდელობის დასასჯელობის საფუძველს ეძებენ დანაშაულებრივი ნების ინტენსივობაში [2], დანაშაულებრივი სულიერი განწყობილების სიმტკიცეში [3], დამნაშავის ურჩ ნებაში [4], პიროვნების საშიშროებაში [5] და სხვ. მისთ.. თანაც ზოგიერთი კრიმინალისტი იძულებულია პასუხისმგებლობის დუალისტური საფუძველი აღიაროს. ეს კრიმინალისტები, სახელდობრ, დამთავრებული დანაშაულის დასასჯელობის საფუძველად თვლიან როგორც ბრალს, ისე მოქმედების ობიექტურ მხარეს, ხოლო დაუმთავრებელი დანაშაულის პასუხისმგებლობის საფუძველს მარტოოდენ მოქმედების სუბიექტურ მხარეში ეძებენ [6].

მაგრამ დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის დასასჯელობის ასეთი დუალისტური დასაბუთება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. უკეთუ მცდელობა დანაშაულის ჩადენის ფორმაა, მისთვის პასუხისმგებლობის საფუძველი არ შეიძლება იყოს სხვაგვარი, ვიდრე საზოგადოდ საფუძველი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისა. ამ აზრის დასაბუთება რუსეთის კრიმინალისტების დამსახურებას წარმოადგენს [7]. „რატომ და როდის უნდა ჩათვალოს კანონმდებელმა მცდელობა სასჯელის ღირსად?“—კითხულობს რუსეთის გამოჩენილი კრიმინალისტი პროფ. ტ ა გ ა ნ ცე ვ ი, და განაგრძობს: „მე ვფიქრობ, რომ ამაზე მხოლოდ ერთი-რამ შეიძლება ეუპასუხოთ: იმავე მიზეზით, რის გამოც კანონმდებელი საზოგადოდ აღიარებს დასასჯელად მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს სამართლის მიერ დაცულ ინტერესს ან ჰქმნის მისი დაზიანების საშიშროებას. მცდელობის დასასჯელობის რაიმე დამოუკიდებელი საფუძვლის

---

[1] G e r m a n n, Über den Grund der Strafbarkeit des Versuchs. 1914, გვ. 183, 184.

[2] G e r m a n n, op. cit.

[3] B i e r l i e n g, Juristische Prinzipienlehre, Tübingen, 1905. III. 131—132.

[4] A. P r i n s, Science pénale et droit positif. Bruxelles—Paris. 1899, გვ. 147.

[5] სუბიექტურ თვალსაზრისს მცდელობის დასასჯელობის საკითხში თანამიმდევრობით იცავდა რუსეთის რევოლუციამდელი იურისპრუდენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი პროფ. კოლოკოლოვი. თავისი თვალსაზრისის დასაბუთებისათვის იგი სპეციალური პრევენციის ამოცანებით ხელმძღვანელობდა. ამ შეხედულებამ პროფ. კოლოკოლოვი ბოლოსდაბოლოს „პიროვნების საშიში მდგომარეობის“ იდეამდე და დანაშაულის სიმპტომატურ გაგებამდე მიიყვანა. „დაუმთავრებელი დანაშაული,—მისი აზრით,—უნდა დაისაჯოს მხოლოდ იმისათვის, რათა თავიდან აცილებულ იქნას ის **საშიშროება, რომელსაც წარმოადგენს მისი ჩამდენი მომავლისათვის**“ (Т. К о л о к о л о в, К учению о покушении. Москва. 1884, გვ. 189; იხ. აგრეთვე გვ. 190—191, ხაზი ჩვენია.—თ. წ.).

[6] **იხ.** ამის თაობაზე G e r m a n n, op. cit., გვ. 183—184.

[7] **იხ.** გ. ე ვ ა ნ გ უ ლ ო ვ ი: „ის აზრი, რომ მცდელობასა და დამთავრებულ მოქმედებას შორის პრინციპული განსხვავება არ არის და რომ ამიტომ საჭირო არ არის მცდელობის დასასჯელობის დამოუკიდებელი საფუძვლის ძიება, დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში მხოლოდ ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებში გვხვდება“ (Е в а н г у л о в, Юридическая природа покушения: Вестник права, 1902, № 4—5, გვ. 56).

შექმნა მაჩვენებელი იქნებოდა მხოლოდ ძირითადი პრინციპის ნაკლულობისა და, მაშასადამე, უსწორობისა“ [1].

მაგრამ შეიძლება მართებულია იმ სუბიექტივისტების თვალსაზრისი, რომელნიც დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის დასასჯელობის ამ საერთო საფუძველს სწორედ დამნაშავის სულიერ თვისებებში, მის ბოროტ ან მართლსაწინააღმდეგო ნებაში ხედავენ, ხოლო მოქმედების ობიექტურ მხარეს მარტოოდენ ბრალის დამამტკიცებელ საბუთად თვლიან! ეს ეგრეთ წოდებული სიმპტომატური შეხედულება დანაშაულზე დიდი ხანია სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაავლეს სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის წარმომადგენლებმა. ახლა უკვე შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ დანაშაულის ობიექტური მხარე არ არის არც ერთადერთი და არც საკმარისი დამამტკიცებელი საბუთი სუბიექტის ბრალისა. როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ბურჟუაზიული იურისტი Overbeck-ი, „სიმპტომატური შეხედულება დანაშაულზე ემყარება იმას, რომ გადაჭარბებით აფასებენ მოქმედებას, როგორც ადამიანის სულიერი განწყობილების გამოცნობის საშუალებას, და, პირიქით, არასათანადოდ აფასებენ უამრავ სხვა მითითებებს, რომელთა საფუძველზედაც ცხოვრების გამოვლინებათა და მოქმედებათა მთელი მრავალგვარობის დროს შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა ანტისოციალური ფსიქიკური განწყობილების არსებობის თაობაზე“ [2].

მეორე მხრით, ობიექტური მომენტის მნიშვნელობა არ ამოიწურება მარტოოდენ ამ წმინდა პროცესუალური როლით, არამედ მას სხვა, უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ცნებისათვის; სახელდობრ, იგი ამ ცნების ერთ-ერთი დამაფუძნებელი მომენტია. თანამედროვე სისხლის სამართალი ემყარება ორ ძირითად პრინციპს, რომელნიც სისხლის სამართლის

---

[1] Таганцев, Русское уголовное право, Лекции. С-Петербург. 1902. ტ. I, გვ. 707—708. იხ. მისივე, Курс русского уголовного права, 1878. წიგნი 1, განყ. III, გვ. 184—185. ამავე შეხედულებას იზიარებს Сергеевский. „დადებითს სამართალს,—ამბობს ი ,ი,—შეუძლია დასაჯოს და იგი მართლაც სჯის წინასწარ მოქმედებას იმავე საფუძვლის გამო, რისთვისაც ისჯება დამთავრებული ქმედობა, რომელიც ახორციელებს მთელ კანონიერ შემადგენლობას“ (Русское уголовное право. Пособие к лекциям, ч. общая, Петроград, 1915, გვ. 298). იხ. აგრეთვე Евангулов, ზემოთ დასახელებული წერილი, გვ. 56—57. უცხოეთის ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ამავე შეხედულებას იზიარებენ, მაგალითად; M. E. Mayer, Versuch und Teilnahme, „Die Reform des Reichsstrafgesetzbuchs“. Berlin. 1910, გვ. 332, 342; W. Loeb, Der Versuch im Reichsstrafgesetzbuch und im Vorentwurf, Breslau, 1913, გვ. 8, 52; Phillip Allfeld, Lehrbuch des Deutschen Strafrechts. Leipzig, 1934, გვ. 188, შენიშვ. 3.

[2] Overbeck, Die Erscheinungsformen des Verbrechens im Lichte der modernen Strafrechtsschule. 1909, გვ. 8. დანაშაულის სიმპტომატური გაგების კრიტიკა იხ. აგრეთვე Birkmeyer, Studien zu dem Hauptgrundsatz der modernen Richtung im Strafrecht („Nicht die Tat, sondern der Täter ist zu bestrafen“), 1909; Beling, Die Vergeltungsidee und ihre Bedeutung für das Strafrecht, Leipzig, 1908, გვ. 59 და შემდეგ.; Ph. Allfeld, Der Einfluss der Gesinnung des Verbrechers auf die Bestrafung, Leipzig, 1909 გვ. 21 და შემდ.; Richard Schmidt, Die Strafrechtsreform in ihrer staatsrechtlichen und politischen Bedeutung, Leipzig, 1912, გვ. 167—168 Набоков, К вопросу об опасном состоянии: Журн. уголовного права и процесса, 1912, № 3.

პასუხისმგებლობის აუცილებელი წინამძღვარნი არიან. ეს არის: მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და მორალურად დასაგმობი ხასიათი მოქმედის სულიერი განწყობილობისა, რამაც შეაპირობა საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენა. ამ ორი მომენტის დიალექტიკური ერთიანობა, ამ ორი წინააღმდეგობის იგივეობა გვაძლევს დანაშაულის ცნების არსს. ამიტომ არ არსებობს დანაშაული იქ, სადაც რომელიმე ამ ნიშანთაგანი აკლია. და ორივე მათგანს თანასწორი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ცნებისათვის. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ კლასიკური სკოლის ერთ-ერთ მეთაურს, Richard Schmidt-ს, როდესაც იგი ლაპარაკობს: „სულიერი განწყობილება და შედეგი, ბრალი და მოქმედება, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, იმდენად განუყოფელი არიან ერთიმეორისაგან, რომ სისხლის სამართლის არც ერთ კანონს არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ერთს ან მეორეს ანდა რომელიმე მათგანს მიანიჭოს მეტი მნიშვნელობა [1]. ობიექტური მომენტის როლის ყოველგვარი უგულებელყოფა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთ ან უფრო მნიშვნელოვან საფუძვლად ბრალის გამოცხადება შეიცავს დანაშაულის სიმპტომატური გაგების ტენდენციას, რასაც შეუძლია სავსებით შეარყიოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კანონიერებისა და სამართლიანობის მტკიცე საფუძველი. ამას კარგად გრძნობდნენ ბურჟუაზიული იურისპრუდენციის ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელი წარმომადგენლები, რომლებიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე. და თვით XX საუკუნეშიც გამძვინვარებით ებრძოდნენ სუბიექტური მომენტის გადაჭარბებით შეფასებას და, პირიქით, ობიექტური მომენტის დაუფასებლობას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის [2].

სოციალისტური სამართალი მტკიცედ დგას დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური მომენტების თანასწორფასოვანობის თვალსაზრისზე და წინააღუდგება რომელიმე მათგანის მნიშვნელობის ჩამოქვეითების ყოველგვარ ცდას. ბრალის პრინციპი ნათლადაა გამოხატული „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების“ მე-6 მუხლში და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში. აღნიშნული მუხლები ითვალისწინებენ, რომ პიროვნების დასჯა შეიძლება მხოლოდ ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი. დანაშაულის ობიექტური მხარის განმარტება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში. ეს მუხლი საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად (დანაშაულად) თვლის „ყოველ მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა წესწყობილებისათვის ან არღვევს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წესწყობილებაზე გარდამავალი ხანისათვის დამყარებულ მართლწესრიგს“. დანაშაულის ცნების შემ-

---

[1] Richard Schmidt, op. cit., გვ. 167.

[2] საკმაოა გავიხსენოთ ცნობილი დავა ზოგადი პრევენციისა და სპეციალური პრევენციის თეორიებს შორის, კლასიკურ სკოლასა და სოციოლოგიურ სკოლას შორის ან ნეოკლასიკოსებსა და ნეოსოციოლოგებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომი დაზუსტება და დაკონკრეტება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალურ ნაწილში. კანონმდებელი იძლევა აქ იმ მოქმედებათა ჩამოთვლას, რომელთაც იგი საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებად თვლის. კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემული დანაშაულის განმარტების ანალიზი და კერძო ნაწილით გათვალისწინებულ ფაქტიურ შემადგენლობათა განხილვა გვიჩვენებს, რომ დანაშაულის ეს ობიექტური მხარე შეიძლება მდგომარეობდეს ან განსაზღვრული უფლებრივი სიკეთის ნამდვილად დაზიანებაში ან ამ სიკეთის დაზიანების საშიშროების შექმნაში.

ამგვარად, უკეთუ ბრალი, როგორც გასაკიცხი სულიერი განწყობილება, არ ითვლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად, მცდელობაც, რამდენადაც იგი დანაშაულის ჩადენის ფორმაა, არ შეიძლება ამ მხრით წარმოადგენდეს გამონაკლისს პასუხისმგებლობის საერთო წესიდან [1]. ამიტომ მცდელობის დასასჯელობის საფუძველიც უნდა იყოს არა მარტო დანაშაულებრივი ნება, არამედ აგრეთვე მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება.

მცდელობისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლის გამორკვევამ ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა აღმოგვეჩინა მცდელობის ცნების ძირითადი, გვარობითი ნიშნები. მაგრამ რაიმე ცნების აგება გულისხმობს არა მარტო მისი გვარობითი ნიშნების მოპოვებას, არამედ აგრეთვე მისი იმ სპეციფიკური, სახეობითი ნიშნების გამორკვევას, რომელნიც განასხვავებენ ამ ცნებას სხვა მოსაზღვრე ცნებებისაგან (იხ. ლოგიკის მოძღვრება „definitio per genus და differentiam specificam"-ზე). ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ განვასხვავოთ მცდელობა, როგორც დანაშაულის განხორციელების განსაზღვრული საფეხური, მისი სხვა საფეხურებისაგან, ე. ი. პირველად ყოვლისა, მოსამზადებელი მოქმედებისაგან. შეიძლება თუ არა ეს განმასხვავებელი ნიშნები ვეძიოთ მცდელობის სუბიექტურ მხარეში? თავისთავად ცხადია, რომ ის კრიმინალისტები, რომელნიც მცდელობის დასასჯელობის საფუძველს მოქმედების შინაგან მხარეში ხედავენ, იძულებული არიან მცდელობის სპეციფიკური, დამახასიათებელი ნიშნებიც მისი შემადგენლობის სუბიექტურ მხარეში მოძებნონ. ამის შესაბამისად, ისინი თვლიან მცდელობად ისეთ მოქმედებას, რომელშიაც გამომჟღავნებულია დანაშაულის ჩადენის მტკიცე განზრახვა, სერიოზული ნება, მიმართული მავნე შედეგზე და სხვ. მისთ.. ჩვენის აზრით, მცდელობის სუბიექტური თეორიები აქ

---

[1] სამართლიანად აღნიშნავს ამის თაობაზე Loeb: „დანაშაულებრივი სულიერი განწყობილება თავისდათავად არ წარმოადგენს დელიქტს, ამიტომ ისეთი საკანონმდებლო წინადადება, რომელიც სასჯელს და სასჯელის ოდენობას უკავშირებს ყოველთვის ბრალს და მოქმედებას, უდალატებდა თავისთავს, თუ კი იგი დასჯილობის ერთ შემთხვევაში ხელს აიღებდა ერთ-ერთ აღნიშნულ ნიშანზე (Loeb., op. cit., გვ. 52.). ამგვარადვე Ph. Allfeld: „ამგვარად, მცდელობის დასასჯელობის უფლებრივი საფუძველი იგივეა, რაც დანაშაულის დასასჯელობისა საზოგადოდ... მოსამზადებელი მოქმედების პრინციპული გამორიცხვა დასასჯელის სფეროდან ამტკიცებს, რომ პოზიტიური სამართალი სჯის, როგორც მცდელობას, მხოლოდ საშიშ ნებისგანხორციელებას, ე. ი. ისეთს, რომლის დროსაც არსებობს უფლებრივი სიკეთის დაზიანების უახლოესი შესაძლებლობა" (Phillip Allfeld, Lehrbuch, 1934, გვ. 188, შენ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგვარ ლოგიკურ შეცდომას უშვებენ. სახეობითი ცნების განმასხვავებელი ნიშანი არ შეიძლება იყოს ისეთი ნიშანი, რომელიც საერთოა ამავე გვარის ყველა სახისათვის. ამიტომ მცდელობისათვის ასეთ ნიშნად არ გამოდგება დანაშაულებრივი ნება, რომელიც ერთნაირად არის აუცილებელი დანაშაულის ჩადენის ყველა სტადიისათვის და რომელსაც გარკვეულ სტადიაზე არ ახასიათებს რაიმე ინდივიდუალური, მხოლოდ ამ საფეხურისათვის თანაარსი თვისებები. ეს დებულება ბრწყინვალედ დაამტკიცეს რუსეთის კრიმინალისტებმა. მაგალითად, ტაგანცევის აზრით, „შინაგანი მომენტის მოთხოვნა, განსაზღვრული ბოროტი ნების არსებობა თანასწორად ეკუთვნის არა მარტო მცდელობას და მომზადებას, არამედ თვით განზრახვის გამომჟღავნებასაც: არ შეიძლება დავსაჯოთ ვინმე მკვლელობის მზადებისათვის, თუ არ დავრწმუნდებით, რომ დამნაშავის მიერ ჩადენილი მოქმედება ამოწმებს მკვლელობის განზრახვის არსებობას; ხოლო ის, რაც დანაშაულებრივი ნების გამომჟღავნების ყველა საფეხურის ნიშანია, არ გამოდგება ერთი საფეხურის განსასხვავებლად მეორე საფეხურისაგან“ [1].

ამგვარად, დანაშაულის ჩადენის ცალკე საფეხურების განსაზღვრის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქმედების ობიექტურ ნიშნებს, რის შესაბამისადაც წარმოებს სხვადასხვა სტადიის დიფერენციაცია. ამიტომ ჩვენი შემდგომი გამოკვლევა მიმართული იქნება დაუმთავრებელი დანაშაულის სწორედ ამ ობიექტური ნიშნების გამორკვევისაკენ. მაგრამ ამით ჩვენ სრულიადაც არ გვსურს შევამციროთ მნიშვნელობა სუბიექტური მომენტისა, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ძირითადი წინნამძღვრისა.

III

მცდელობა გულისხმობს ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც საფრთხეს ჰქმნის ამა თუ იმ უფლებრივი სიკეთისათვის. ეს, პირველი შეხედვით უდავო და ნათელი დებულება, მისი უფრო ღრმად განხილვის დროს დიდ სძ-

---

[1] Таганцев, Лекции, 1902, ტ. I, გვ. 692—693; იხ. აგრეთვე „Уголовное уложение“. Проект редакционной комиссии и об'яснения к нему, 1897. ტ. I. თავ. 1, გვ. 413. დიდი დამაჯერებლობით ავითარებს ამ აზრს პოლეტაევი: „განზრახვა, როგორც მცდელობის გვარობითი ნიშანი, არის მუდმივი, უცვლელი ელემენტი, თავიდან ბოლომდე, იმ მომენტიდან, როდესაც სუბიექტის სულში მომწიფდა დანაშაულებრივი განზრახვა, მის სრულ განხორციელებამდე. ახლა საკითხავია: როგორ შეიძლება, რომ განზრახვამ, რომელსაც ასეთი მნიშვნელობა აქვს მცდელობისათვის, დაამყაროს თვისობრივი განსხვავება სუბიექტის დასასჯელ და დაუსჯელ მოქმედებას შორის? რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იგი აქ [მცდელობაში] სჭარბობს გარეგან მხარეს? იქნებ სწორედ ეს სიჭარბე, ეს შედარებითი სისრულე ართმევს მას იმის შესაძლებლობას, რათა გამოყენებულ იქნეს ამ შემთხვევაში დასაყრდენ პრინციპად?“ (Полетаев, Границы наказуемости покушения: Юридический вестник, 1863, № 11, გვ. 38—39).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელეს იწვევს. ამ სიძნელეს ჰქმნის საფრთხის ცნება, რომელიც საფუძვლად უდევს დაუმთავრებელ დანაშაულს [1].

საფრთხე, სისხლის სამართლის თვალსაზრისით, არის მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა. ადამიანის მოქმედება სახიფათოა მაშინ, როდესაც მას შეიძლება მოჰყვეს რაიმე უფლებრივი სიკეთის დაზიანება. მაშასადამე, საფრთხის ცნება ეკუთვნის შესაძლებლობის კატეგორიას.

ბურჟუაზიული იურისტების უმრავლესობა საფრთხის ცნების განმარტების დროს ემყარება სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებას შესაძლებლობაზე. ამ შეხედულების თანახმად, შესაძლებლობა ობიექტურად, რეალურად არ არსებობს, იგი არსებობს მარტოოდენ სუბიექტის წარმოდგენაში. შესაძლებლობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ჩვენ ამა თუ იმ დარწმუნებულობით მოველით რაიმე გარემოების განხორციელებას. იგი გამოხატავს ჩვენი მოლოდინის ხარისხს. შესაძლებლობა,—ლაპარაკობს ბურჟუაზიული ფილოსოფოსი ვინდელბანდი,—„ჩვენი ცნობიერების სავსებით სუბიექტურ მდგომარეობას წარმოადგენს“, და „ზუსტად რომ ვთქვათ, მოსალოდნელი-რამ საერთოდ არ არსებობს, არამედ არსებობს მხოლოდ მოლოდინი, ე. ი. საშუალო ფსიქოლოგიური მდგომარეობა დარწმუნებულობასა და დაურწმუნებლობას შორის“ [2]. ამასვე იმეორებს ზიგვარტი, როდესაც იგი შეეხება მოსალოდნელობის გამოანგარიშების მეთოდს: „ის, რაც ამგვარად შეიძლება იქნას გამოანგარიშებული, არის მხოლოდ ჩვენი **სუბიექტური მოლოდინის ხარისხი**“ [3]. რეალური ცხოვრების სინამდვილეს საქმე აქვს აუცილებელ კაუზალიტეტთან, შესაძლებლობის ცნება მასთან შეუთავსებელია. მოქმედება in concreto ან კაუზალურია შედეგისათვის ან არა კაუზალური, tertium non datum. თუ ამ მსჯელობას საფრთხის ცნებას შევუფარდებთ, მივიღებთ შემდეგ ალტერნატივას: არსებობს მხოლოდ ან მავნე მოქმედება ან უვნებელი მოქმედება. საფრთხის შემქმნელი მოქმედება კი რეალურ სინამდვილეში არ არსებობს. თუ მავნე შედეგი განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე მოქმედების შესრულების

---

[1] საფრთხის ცნებას საფუძვლად უდებენ მცდელობისათვის პასუხისმგებლობას მთელი რიგი გამოჩენილი ბურჟუაზიული კრიმინალისტები. რუსეთის ლიტერატურაში ამ თვალსაზრისს იზიარებდენ: Жиряев, იხ. Уголовное право, Лекции, „Юридический вестник,“ 1863, № 4, გვ. 16; Неклюдов, Общая часть уголовного права, С.-Петербург, 1875, გვ. 65; Мокринский, Наказание, его цели и предположения. ч. III. Каузальный и потенциальный моменты действия. Томск, 1905, გვ. 398 და შემდ., აგრეთვე უფრო გვიანდელ წერილში—Покушение и приготовление в советском праве, ჟურ. „Советское право“, 1927, № 1 (25), გვ. 71—76. უცხოეთის ლიტერატურაში: F. Liszt, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin, 1911, გვ. 129, 206—207, 214; A. Finger, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin, გვ. 304; Liepmann, Einleitung in das Strafrecht, Berlin, 1900, გვ. 76; M. E. Mayer, Versuch und Teilnahme, გვ. 332—343; Ph. Allfeld, Lehrbuch, გვ. 188, შენ. 3; Berolzheimer, Die Entgeltung im Strafrechte, München, 1903, გვ. 378, და სხვები.

[2] ციტირებულია კისტიაკოვსკის მიხედვით: Кистяковский, Русская социологическая школа и категория возможности при решении социально-этических проблем; „Проблемы идеализма“, стр. 378.

[3] Зигварт, Логика. Пер. с 3 нем. изд. Давыдова. т. II. Вып. I, Учение о методе, 1908 г., გვ. 265; იხ. აგრ. გვ. 273.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომენტში მოცემული იყო ის პირობები, რომელნიც აუცილებლად ჰქმნიდენ მის განხორციელებას; აუცილებლობა კი გამორიცხავს შესაძლებლობას. პირიქით, თუ მავნე შედეგი არ განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედების შესრულების მომენტშივე გადაწყდა მისი განხორციელების შეუძლებლობა; მაშასადამე, საფრთხეზე ლაპარაკი აქ არ შეიძლება. და თუ ამა თუ იმ შემთხვევაში მაინც ვლაპარაკობთ მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობაზე, ე. ი. საფრთხეზე, ამით მხოლოდ იმას გამოვხატავთ, რომ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით უწყებული შემთხვევის ყველა კონკრეტული გარემოება, ანდა შიშის ან აღელვების გამო მხედველობიდან გავუშვით ზოგიერთი ფაქტი, რომელიც სინამდვილეში არსებობდა. ამგვარად, სუბიექტური მსჯელობა საფრთხეზე პროდუქტია ადამიანის ცოდნის შეზღუდულობისა, იგი ყოველთვის ემყარება არასრულ მონაცემთ. ასეთი მსჯელობა, რა თქმა უნდა, არასდროს არ არის სინამდვილის ადეკვატური. „ვინც ამას უგულებელყოფს,—ლაპარაკობს ბურჟუაზიული იურისტი Hertz,—და მიუხედავად იმისა, რომ მავნე შედეგი არ განხორციელდა, მაინც მიაწერს საფრთხეს ობიექტურ ხასიათს, იგი იმას, რამაც მხოლოდ გონებაში გაიელვა, გონების გარეშე არსებულად თვლის“ [1].

თავისთავად ცხადია, რომ თუ საფრთხის ცნება ასეთი წმინდა სუბიექტური მნიშვნელობით გავიგეთ, მისი გამოყენება მცდელობის ცნების დასაბუთებისათვის ვერავითარ დადებითს შედეგს ვერ მოგვცემს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება ემყარებოდეს საფრთხის ისეთ ცნებას, რომელსაც გამოცლილი აქვს რეალური შინაარსი და რომელიც გადაქცეულია ყოველგვარ შინაგან საფუძველს მოკლებულ ცნებად. საფრთხე, ზემოთ მოყვანილი განმარტების მიხედვით, ეფუძნება ფორმალური და აბსტრაქტული შესაძლებლობის ცნებას, რომლის ნამდვილი არსი ჯერ კიდევ ჰ ე გ ე ლ მ ა დაადგინა. შესაძლებლობა ასეთი გაგებით ნიშნავს ფორმალურ იგივეობას თავის თავთან, ე. ი. ფორმალურ თავისუფლებას წინააღმდეგობისაგან. „შესაძლებელია ყოველივე, რაც იგივეა თავის თავთან და არ ეწინააღმდეგება თავის თავს, ე. ი. შესაძლებელია ყოველივე, რაც დასაშვებია, ხოლო დასაშვებია ყოველივე, რაც არ შეიცავს ისეთ წინააღმდეგობას, როგორიცაა ხის რკინა, ყოველივე, თუნდაც სულ აბსურდული“ [2]. აი, სწორედ ამ ფორმალურ-სუბიექტური შესაძლებლობის ცნებას ყბად იღებს ჰ ე გ ე ლ ი, როდესაც ლაპარაკობს: „არა არის-რა იმაზე ფუჭი ლაპარაკი, როგორც ლაპარაკი შესაძლებლობაზე და შეუძლებლობაზე. ფილოსოფიაში განსაკუთრებით არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმის აღნიშვნას, რომ **რაიმე შესაძლებელია** ან რომ **შესაძლებელია კიდევ სხვა რამ** და რომ **რაიმე**, როგორც ზოგჯერ სხვანაირად ამბობენ ხოლმე, **დასაშვებია** [3]. და

---

[1] ციტირებულია **მ ო კ რ ი ნ ს კ ი ს** მიხედვით: М о к р и н с к и й, Наказание, его цели и предположения, ч. III. Каузальный и потенциальный момент действия: Известия Императорского Томского университета. 1895, გვ. 235.

[2] К у н о Ф и ш е р, Гегель, его жизнь, сочинения и учение, Москва. 1933, стр. 396.

[3] Г е г е л ь, Сочинения, т. I. Логика. 1930, გვ. 240.

შემდეგ: „უაღრესად აბსურდული და უაზრო რამეც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შესაძლებლობა. შეიძლება ამ საღამოს მთვარე დაეცეს დედამიწას, ვინაიდან მთვარე არის დედამიწისაგან გამოყოფილი სხეული და ამიტომ ისევე შეიძლება ჩამოვარდეს ძირს, როგორც ჰაერში ნასროლი ქვა; შეიძლება ოსმალეთის სულთანი პაპად გახდეს, ვინაიდან იგი ადამიანია, მან შეიძლება მიიღოს ქრისტეს სარწმუნოება, გახდეს კათოლიკე მღვდელი და სხვ. მისთ“ [1]. ასეთივე ირონიით ლაპარაკობს ფორმალურ შესაძლებლობაზე ლ ე ნ ი ნ ი: „შესაძლებელია ყოველგვარი გარდაქმნა, თვით სულელის გარდაქმნაც ჭკვიანად..., მაგრამ სინამდვილეში ასეთი გარდაქმნა მეტად იშვიათია“ [2].

ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი მაინც ცდილობს მოძებნოს საფრთხის ასეთ სუბიექტურ და აბსტრაქტულ ცნებაში რაიმე რეალური ელემენტი და, ამგვარად, გამოიყენოს საფრთხე მცდელობის ცნების განმარტებისათვის. ამ რეალურ ელემენტად ისინი თვლიან იმ ფსიქიკურ რეაქციას, შიშისა და მღელვარების იმ გრძნობას, რასაც იწვევს საზოგადოებაში ან დაზარალებულში განსაზღვრული მოქმედება. მაგრამ სუბიექტური საფრთხის ცნების გამოყენება მცდელობის ცნების განმარტებისათვის და პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის დიდ ეჭვს იწვევს. ამიტომ გასაგებია, რომ ბურჟუაზიული იურისტების მეორე, მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა სასტიკად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ. მართლაცდა, საფრთხის სუბიექტური განმარტება იმ შედეგამდე მიგვიყვანს, რომ ამა თუ იმ მოქმედების აღიარება სახიფათოდ თუ არასახიფათოდ დამოკიდებული იქნება იმაზე, შეამჩნია თუ არა ეს მოქმედება იმ პირმა, ვის წინააღმდეგაც იყო იგი მიმართული, ან სხვა ვინმემ. თუ მოქმედება ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც აღნიშნულმა პირებმა უკვე გაიგეს, რომ მას მავნე შედეგი არ მოჰყოლია, იგი საშიშ მოქმედებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მას შიშის ან აღელვების გრძნობა არ გამოუწვევია. მეორე მხრით, თავისთავად, ე. ი. ობიექტურად სრულიად უშიშარი მოქმედება უნდა ჩაითვალოს საშიშად და გამოიწვიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, უკეთუ მან ვინმეს შიშის გრძნობა აღუძრა. ერთი და იგივე მოქმედება, ერთსა და იმავე გარემოებებში ჩადენილი, შეფასებულ უნდა იქნას როგორც უშიშარი, როდესაც იგი მიმართულია მამაცი და აუშფოთებელი პიროვნების წინააღმდეგ, და როგორც საშიში მოქმედება,—როდესაც იგი მიმართულია მხდალი კაცის წინააღმდეგ. ამგვარად, ქმედობის სისხლისსამართლური კვალიფიკაცია დამოკიდებული იქნება არა თვით მოქმედების ობიექტურ თვისებებზე, არამედ იმ პირის ფსიქიკურ განცდებზე, ვისაც თავისი თავი განსაცდელში ჰგონია. დაბოლოს, თუ საფრთხე სინამდვილეში არ არსებობს, თუ იგი მხოლოდ ჩვენი უვიცობისა და შეცდომის ნაყოფია, მას შემდეგ, რაც ეს შეცდომა გამოირკვა და, მაშასადამე, გასაგები გახდა, რომ არავითარი განსაცდელი არ ყოფილა, ისპობა ყოველივე ობიექტური საფუძველი მოქმედი პირის დასჯისათვის. ამგვარ

[1] Гегель, Сочинения, т. I. Логика. 1930, зд. 241.

[2] Ленин, Сочинения, т. XIX, зд. 237.

აბსურდულ დასკვნებამდე უნდა მიგვიყვანოს სუბიექტური საფრთხის ცნების გამოყენებამ მცდელობის განმარტებისათვის, და გასაგებია, რომ ამ თვალსაზრისმა თვით ბურჟუაზიული იურისპრუდენციის წიაღშივე ჰპოვა ულმობელი და გამანადგურებელი კრიტიკა [1].

ამიტომ ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უმჯობესია საფრთხის ცნება საერთოდ გაძევებულ იქნას სისხლის სამართლის სფეროდან. მცდელობის ცნების განმარტებისათვის, მათი აზრით, საფრთხის ცნება სრულიადაც არ არის საჭირო. მცდელობა შეიძლება დახასიათებულ იქნას მარტოოდენ სუბიექტური ნიშნების მიხედვით. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, სისხლის სამართალი სჯის მხოლოდ ისეთ ბოროტ ნებას, რომელმაც საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებაში ჰპოვა გამოხატულება. გარდა ამისა, სისხლის სამართალს ესაჭიროება საფრთხის ცნება არა მარტო მცდელობის ცნების განმარტებისათვის, არამედ აგრეთვე ე. წ. საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასაბუთებისათვის. ასეთ დელიქტებს (Gefärdnungsdelict) სისხლის სამართლის ყველა თანამედროვე კოდექსში ეხვდებით. განა შეიძლება ითქვას, რომ მათი შეტანა სისხლის სამართლის კოდექსებში კანონმდებლის თვითნებობა ან შეცდომაა? ასე ფიქრობს, მაგალითად, Germann-ი, რომლის აზრით Gefärdnungsdelict-ების შემოღების დროს კანონმდებელი წმინდა საკანონმდებლო-ტექნიკური მოსაზრებების გამო იძულებულია დაემყაროს საფრთხის ცნებას, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ შინაგან საფუძველს. ამიტომ ამ ცნების გამოყენებას ანალოგიის გზით მცდელობის ცნების განმარტებისათვის Germann-ი დიდ შეცდომად თვლის, მით უმეტეს, რომ თვით კანონმდებელი თავის დადგენილებებში მცდელობაზე სრულიად არ ახსენებს საფრთხის ცნებას [2].

Germann-ის შეხედულება ამ საკითხზე საესებით შეესაბამება მცდელობის იმ სუბიექტურ გაგებას, რომელსაც იგი თავის ზემოთ დასახელებულ შრომაში ავითარებს. მცდელობის ცნებისათვის ობიექტური მომენტის აუცილებლობის დამტკიცებასთან ერთად Germann-ის მოსაზრებანი ყოველგვარ მნიშვნელობას ჰკარგავენ.

ბურჟუაზიული მეცნიერების მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ნაწილი იმ შეხედულებას იზიარებს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და, კერძოდ, პასუხისმგებლობა მცდელობისათვის არ შეიძლება დასაბუთებულ იქნას მხოლოდ სუბიექტური ნიშნების მეშვეობით. მცდელობის დასჯა, მათი აზრით, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, „როდესაც მოქმედება, რომელშიაც მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ მიმართულმა ნებამ ჰპოვა თავისი გამოხატულება, შეეხება იურიდიულ სფეროს თავისი ობიექტური მნიშვნელობით“ [3]. მოქმედების ამ ობიექტური მნიშვნელობის გამოსარკვევად ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი მიმართავს ისევ საფრთხის ცნებას, მაგრამ ცდილობს შეიტანოს ამ ცნებაში ერთგვარი ობიექტური ელემენტები. განსაკუთრებით გავრცე-

---

[1] იხ. Germann, დასახ. თხზ. გვ. 26—27.

[2] იქვე, გვ. 28.

[3] Finger, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin, 1904, გვ. 297.

ლებულია მოძღვრება ე. წ. საერთო ანუ აბსტრაქტულ საფრთხეზე, რომლის არსი დაადგინა მარბურგელმა ფიზიოლოგმა Kries-მა თავის ცნობილ შრომაში „Über den Begriff der objektiven Möglichkeit und einige Anwendungen desselben". ამ შრომის ზეგავლენა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაზე იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერი მას „ეპოქალური მნიშვნელობის" შრომას უწოდებს [1]. კრისის თეორიის ძირითადი დებულებანი გამოყენებულ იქნა არა მარტო საფრთხის ცნების გამორკვევისათვის, არამედ აგრეთვე მიზეზობრიობის კავშირის ე. წ. ადეკვატური თეორიის შექმნისათვის [2].

აბსტრაქტული საფრთხის თეორია არსებითად იმავე ფილოსოფიურ წინამძღვრებს ემყარება, როგორც სუბიექტური საფრთხის თეორია. კრისი და მისი მომხრეები სავსებით იზიარებენ ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში გავრცელებულ შეხედულებას, რომ შესაძლებლობა არ წარმოადგენს რაიმე მოსალოდნელი მოვლენის თვისებას და რომ ამიტომ მას ობიექტური რეალობა არა აქვს. და თუ, მიუხედავად ამისა, კრისი მაინც ლაპარაკობს შესაძლებლობის ობიექტურ ხასიათზე, ეს მას ესმის არა როგორც კონკრეტული, არამედ როგორც აბსტრაქტული ობიექტივობა. ობიექტურ შესაძლებლობაზე, კრისის აზრით, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ მაშინ, თუ მხედველობაში მივიღებთ განსაზღვრული მოვლენის არა ყველა სპეციფიკურ, კონკრეტულ თავისებურებას, არამედ მის მხოლოდ ზოგად, აბსტრაქტულ ნიშნებს, ან როგორც კრისის მიმდევარი ტრეგერი ლაპარაკობს, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ „რაიმე გარემოებას... მის ურთიერთობაში ზოგად პირობებთან" [3]. თანაც ტრეგერი უწოდებს ამ პირობებს „ზოგადს" იმიტომ, რომ „ისინი გარემოიცავენ მრავალ

---

[1] იხ. მაგალითად, Rümelin, Die Verwendung der Kausalbegriffe in Straf-und Zivilrecht Tübingen, 1900, გვ. 19.

[2] კრისის მიერ შექმნილი მიზეზობრიობის კავშირის ადეკვატური თეორიის წარმომადგენლები არიან—ბურჟუაზიულ სამართლის მეცნიერებაში: Rümelin, ზემ. დას. თხზ.; raeger, Der Kausalbegriff im Straf—und Zivilrecht, Marburg, 1929; Liepmann, Einleitung in das Strafrecht, Berlin, 1900, გვ. 47—78; Tarnowski, Die Systematische Bedeutung der adäquaten Kausalitätstheorie für den Aufbau des Verbrechensbegriffs, 1927; Ph. Allfeld, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Leipzig, 1934, გვ. 102—114 და სხვ.; რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში: Мокринский, Наказание, его цели и предположения, ч. III, 1905 г.: Известия Императорского Томского университета. საბჭოთა ლიტერატურაში: Канторович, Основные идеи гражданского права. Харьков, 1928. გვ. 120—159; Франк, Деяния с квалифицированными последствиями: Вестн. сов. юстиции, Харьков, 1928, № 2 (108), გვ. 37-39. დაბოლოს, ამავე თეორიას იზიარებს საბჭოთა სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელო, მოსკოვი, 1938 წ. ტ. II, გვ. 396—397.

კრისმა მოახდინა ზეგავლენა აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებზედაც. იხ., მაგალითად, ჩუპროვი, რომელიც მისი ერთ-ერთი მომხრე იყო: „В основании приложения теории вероятности к статистике, лежит представление об об'ективной возможности, внесенное Зигвартом и развитое Крисом" (А. А. Чупров, Нравственная статистика: Энциклоп. словарь Брокгауза и Ефрона, т. XXI, გვ. 407).

[3] Traeger, დას. თხზ., გვ. 120.

სხვადასხვა სახის ურთიერთობას“ [1]. ამ აზრის საილუსტრაციოდ მივმართოთ მაგალითს, რომელიც ჩვეულებრივად მოაქვთ ხოლმე კ რ ი ს ს ა და მის მიმდევრებს. ავიღოთ სათამაშო კამათელი, რომლის სიმძიმის ცენტრი მოთავსებულია გეომეტრიულად შუა წერტილში და რომლის ექვს მხარეზე რიგრიგობით აღნიშნულია ციფრები 1—2—3—4—5—6. ვინმე ისვრის კამათელს. თუ ამ გასროლის განხილვის დროს ჩვენ მხედველობაში მივიღებთ სროლის ყველა სპეციფიკურ თავისებურებას, მაგალითად, ხელის განსაზღვრულ მდგომარეობას კამათლის გასროლის დროს, კამათლის დაჭერის განსაზღვრულ მანერას, გასროლის სიძლიერეს, მიმართულებას და სხვ., მაშინ ის ფაქტი, რომ გამოვიდა სწორედ განსაზღვრული ციფრი, მაგალითად, 6, აღნიშნულ კონკრეტულ პირობებში უნდა ჩაითვალოს აუცილებლად. „ყოვლისშემცველი, ლაპლასის სული კამათლის თამაშის მაგალითშიაც ხედავს არა ციფრ 6-ის გამოსვლის შესაძლებლობას განსაზღვრული სროლის დროს, არამედ ამის აუცილებლობას“ [2]. მაგრამ სულ სხვა სურათი გვაქვს მაშინ, როდესაც ვმსჯელობთ კამათლის გასროლაზე, ისე, რომ მხედველობაში არ ვიღებთ გასროლის ყველა სპეციფიკურ თავისებურებას, ე. ი. როდესაც სათვალავში გვაქვს მხოლოდ ის გარემოება, რომ ვინმე ისვრის ამათელს. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ მსჯელობა იმის თაობაზე, რომ კამათელზე გამოხატული ციფრიდან თითოეული ციფრის გამოსვლის შესაძლებლობა ერთნაირია და 6-ის გამოსვლის შესაძლებლობა უდრის $^1/_6$-ს.

შევცვალოთ ცოტაოდნად ჩვენი მაგალითი და ავიღოთ ისეთი კამათელი, რომლის სიმძიმის ცენტრი გეომეტრიულად საშუალო წერტილში კი არ არის მოთავსებული, არამედ გადანაცვლებულია, მაგალითად, იმ მხარისაკენ, სადაც აღნიშნულია ციფრი 6. ამ შემთხვევაში, კამათლის მრავალჯერ გასროლა გვიჩვენებს, რომ უფრო ხშირად გამოდის 6-ის პირდაპირ მოთავსებული ციფრი, ე. ი. 1. თუ 120 გასროლის შემთხვევაში ციფრი 1 გამოვა 30-ჯერ, ე. ი. $1^1/_2$-ჯერ უფრო მეტჯერ, ვიდრე სწორი კამათლის გასროლის დროს, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ციფრი 1-ის გამოსვლის შესაძლებლობა გადიდდა 50%-ით იმის გამო, რომ სიმძიმის ცენტრი ციფრ 6-საკენ არის გადანაცვლებული. ამგვარად, სიმძიმის ცენტრის ეჭსცენტრიული მდგომარეობა წარმოადგენს გარემოებას, რომელიც **საზოგადოდ** ხელს უწყობს ციფრ 1-ის გამოსვლას.

ეს მსჯელობა ისეთი მაგალითების თაობაზე, რომელნიც შეიძლება რიცხობრივად გამოვხატოთ, კ რ ი ს ს ა და მის მიმდევრებს გადააქვთ სოციალური ცხოვრების ფაქტების სფეროში. ობიექტურ შესაძლებლობაზე ამ სფეროში შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, თუ შეგნებული განყენება, აბსტრაქცია მოვახდინეთ განსაზღვრული კატეგორიის ფაქტებისაგან, ხოლო ჩვენი მსჯელობა გამოვთქვით მარტო დანარჩენი ფაქტების საფუძველზე. „ამ მნიშვნელობით

---

[1] Traeger, დას. თხზ. გვ. 120.

[2] იქვე, გვ. 120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ვილაპარაკოთ საერთოდ ობიექტურ შესაძლებლობაზე, შეგნებულ-ობაზე, როგორც ობიექტურ, საყოველთაოდ სავალდებულო ცნებაზე. მაგრამ ასეთი მსჯელობა შესაძლებლობაზე არის მხოლოდ ზოგადი ანუ ობიექტური მსჯელობა მოსალოდნელობაზე, რამდენაც იგი მოსალოდნელობის გამოანგარიშების მეთოდს წარმოადგენს"[1].

მსჯელობას „ობიექტურ" შესაძლებლობაზე საფუძვლად უდევს არსებული გამოცდილება და განსაზღვრული საშუალო ცოდნა, რომელიც ამ გამოცდილებაზეა დამყარებული, სახელდობრ, ერთის მხრით, მოვლენების კანონზომიერ კავშირთა ცოდნა (ნომოლოგიური ცოდნა), ხოლო მეორე მხრით, სინამდვილის ფაქტების ცოდნა (ონტოლოგიური ცოდნა).

მსჯელობა ობიექტურ შესაძლებლობაზე იმით განსხვავდება მოსალოდნელობაზე მსჯელობისაგან, რომ უკანასკნელი გამოითქმება იმ ნომოლოგიური ცოდნის საფუძველზე, რომელიც აქვს გარკვეულ სუბიექტს, ხოლო პირველი—საშუალო ნომოლოგიური ცოდნის საფუძველზე. ამ, და მხოლოდ ამ მნიშვნელობით შეიძლება ითქვას, რომ მოსალოდნელობა სუბიექტურია, ხოლო შესაძლებლობა—ობიექტური. მაშასადამე, როდესაც კ რ ი ს ი ლაპარაკობს ობიექტურ შესაძლებლობაზე, ეს ისე კი არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ობიექტივობა ახასიათებს თვით მოვლენებს, ნივთებს თავისთავად, არამედ მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომ მსჯელობას ობიექტური შესაძლებლობის შესახებ აქვს საყოველთაო, ე. ი. ყველასათვის სავალდებულო ხასიათი. მაგრამ არსებითად ამ, საშუალო ცოდნაზე დამყარებული მსჯელობაც თავისი ბუნებით სუბიექტურია, რამდენადაც იგი ახასიათებს არა თვით ნივთებს, არამედ გამოჰხატავს მხოლოდ ჩვენს მოლოდინს. ამას პირდაპირ აღიარებენ ბურჟუაზიული იურისპრუდენციის წარმომადგენლები. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ Miricka, რომელიც საფრთხის ცნების განმარტების დროს კ რ ი ს ი ს თეორიას ემყარება. „რადგანაც ამ საშუალო მსჯელობას,—ლაპარაკობს იგი—უეჭველად სუბიექტური ხასიათი აქვს, ამიტომ იგი სწორია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მიგვითითებს საფრთხის ცნების ამ სუბიექტურ მხარეზე. მეორე მხრით, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რომ ასეთი საშუალო მსჯელობა დროის განმავლობაში სტაბილური ხდება, რომ ის წარმოდგენა საშუ ელემენტზე, რომელიც არსებითად მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში არსებობდა, შემდგომ თვით გარკვეულ სიტუაციაზე გადაგვაქვს და რომ საშუალო მსჯელობა ამ მნიშვნელობით ერთგვარ ობიექტურ ხასიათს ღებულობს"[2].

ამგვარად, კ რ ი ს ი ს თეორიის ძირითადი პრინციპები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგ დებულებებად:

1. თუ ავიღებთ გარკვეულ მოვლენას მის სპეციფიკურ, ინდივიდუალურ გარემოცვაში, მსჯელობა ამ მოვლენის ობიექტური შესაძლებლობის შესახებ in concreto არ შეიძლება იქნას გამოთქმული.

---

[1] T r a e g e r, იქვე, გვ. 120—121.

[2] A. M i r i c k a, Die Formen der Strafschuld und ihre gesetzliche Regelung. Leipzig, 1903, გვ. 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ასეთი მსჯელობისათვის აუცილებელია განყენება, აბსტრაქცია გარკვეული მოვლენის კონკრეტული თავისებურობებისაგან და ამ მოვლენის მხოლოდ ზოგადი ხასიათის თვისებების მიღება მხედველობაში.

3. თუ ამის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კაცობრიობის საშუალო ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე უწყებული საერთო პირობა დაახლოებით ერთნაირი რეგულარობით იწვევდა განსაზღვრულ შედეგს, ჩვენ უფლება გვაქვს მომავალშიაც მეტი თუ ნაკლები დარწმუნებულობით მოველოდეთ ამ მოვლენის განხორციელებას.

4. ამის შესაბამისად, ობიექტიური შესაძლებლობა არის ჩვენი მოლოდინის შეთანხმება ბუნების კანონებთან; მისი ობიექტივობა იმაში მდგომარეობს, რომ „იგი შეიძლება ჩართულ იქნას მეცნიერულად დადასტურებულ მიზეზობრიობის კავშირში“ [1].

„ობიექტური“ შესაძლებლობის აღნიშნული ცნება გამოყენებულ იქნა როგორც თვით კრისის, ისე მისი მიმდევრების მიერ საფრთხის ცნების განმარტებისათვის. საფრთხე ამ თეორიის მიხედვით არის არა თვისება, რომელიც ახასიათებს თვით მოქმედებას, კონკრეტულად აღებულს, არამედ მხოლოდ ჩვენი მსჯელობა, რომელიც შეეხება ერთგვაროვან მოქმედებათა განსაზღვრულ კატეგორიას და გამოხატავს მხოლოდ იმას, რომ ამგვარი ხასიათის მოქმედებანი ჩვენი გამოცდილების თანახმად შედარებით ხშირად იწვევენ მავნე შედეგს. „მოქმედების საშიშრება,—ლაპარაკობს მოკრინსკი,—უნდა გავიგოთ ისე, რომ განსაზღვრული კატეგორიის ფაქტები შემთხვევათა განსაზღვრულ %-ში იწვევენ არასასურველ შედეგს, ე. ი. არა კონკრეტული საშიშროების, არამედ აბსტრაქტული საშიშროების მნიშვნელობით“ [2].

აბსტრაქტული საფრთხის ცნება მრავალმა ავტორმა გამოიყენა იმისათვის, რათა მისი მეშვეობით გაემიჯნა ერთმანეთისაგან დასასჯელი და დაუსჯელი წინასწარი მოქმედება. შეიძლება ითქვას, რომ ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნული თეორია დღემდე გაბატონებულად ითვლება. ამ თეორიის მიხედვით დასასჯელ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს „ისეთი მოქმედება, რომელიც საზოგადოდ ვარგა იმისათვის, რომ გამოიწვიოს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი“. პირიქით, „ისეთი მოქმედება, რომელსაც არა აქვს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევის აბსტრაქტული უნარი, გამორიცხულ უნდა იქნეს დასასჯელი მცდელობის სფეროდან“ [3].

---

[1] Liepmann, Einleitung, გვ. 70.

[2] Мокринский, Наказание, его цели и предположения, ტ. III, გვ. 368.

[3] იხ. F. Berolzheimer, Die Entgeltung im Strafrechte, München, 1903, გვ. 383, შენიშვნა 1. დაახლოებით ასეთსავე განმარტებას იძლევა ფინგერი: „მცდელობას უნდა ახასიათებდეს ზოგადი ნიშნები იმ მოქმედებათა ჯგუფისა, რომელნიც ჩვენი გამოცდილების შესაბამისად იწვევენ ისეთ შედეგს, რაც მცდელობის მოქმედებას უნდა მოჰყოლოდა“ (A. Finger, Lehrb., გვ. 313). ცოტა სხვაგვარად, თავისი მიზეზობრიობის კავშირის თეორიის შესაბამისად, განმარტავს მცდელობას ლიპმანი: „მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივი შედე-

აბსტრაქტული საფრთხის თეორიის გადმოცემამ ნათლად გვიჩვენა, რომ ეს თეორია ბოლოს და ბოლოს იმავე ფილოსოფიურ წინნამძღვრებს ემყარება, რომელთაც სუბიექტური საფრთხის თეორია ემყარებოდა. როგორც პირველი, ისე მეორე თეორია აშკარად აღიარებს, რომ საფრთხეზე მსჯელობა თავისი ბუნებით უეჭველად სუბიექტური ხასიათისაა. როგორც პირველი, ისე მეორე თეორიაც საფრთხის თაობაზე მსჯელობის დროს აბსტრაქციას ახდენს რეალური სინამდვილისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საფრთხეზე სუბიექტური მსჯელობის დროს აბსტრაქცია წარმოებს ისეთი ფაქტებისაგან, რომელთაც სუბიექტი არ იცნობდა ან რომელნიც მას შემთხვევით, თავისდაუნებლიედ გამორჩა მხედველობიდან. ხოლო საფრთხის „ობიექტური“ გაგების დროს განზრახ და შეგნებულად ხდება განყენება ზოგიერთი კონკრეტული პირობებისაგან, რომელთაც ზოგადი ხასიათი არა აქვთ.

რით აიხსნება ეს უცნაური შეთანხმება აღნიშნული ორი თეორიისა, რომელნიც პირველი შეხედვით ერთმანეთს თითქო მკვეთრად უპირისპირდებიან. რით აიხსნება ის გარემოება, რომ მაშინაც კი, როდესაც ბურჟუაზიული იურისტები ცდილობენ მიაწერონ საფრთხეს ობიექტური ხასიათი, ისინი მაინც ვერ აღწევენ თავს სუბიექტივიზმს და ახერხებენ საფრთხის „გაობიექტივებას“ მხოლოდ აბსტრაქციის საშუალებით? ეს, რა თქმა, შემთხვევითი მოვლენა არ არის. პირიქით, სუბიექტური შეხედულება საფრთხეზე ლოგიკურად გამომდინარეობს იმ წარმოდგენიდან მიზეზობრიობის კავშირის ბუნებაზე, რომელსაც ბურჟუაზიული იურისტები იზიარებენ. ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში გაბატონებული მოძღვრება მიზეზობრიობის კავშირზე მიზეზობრიობის სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებას ემყარება. იმისდა მიუხედავად, თუ სახელდობრ რა ფილოსოფიურ კონცეფციას მისდევენ ბურჟუაზიული იურისტები მიზეზობრიობის კავშირის საკითხში,—სთვლიან თუ არა ისინი, რომ მიზეზობრიობის კავშირი ემყარება გამოცდილებას და შედეგია ჩვეულებისა და მით გამოწვეული რწმენისა (ი უ მ ი), თუ, პირიქით, სთვლიან მას წმინდა რაციონალურ ცნებად, შემეცნების კატეგორიად, რომელიც თვით შესაძლებელ-ჰქმნის ცდას (კ ა ნ ტ ი),—ყველა მათგანი ეთანხმება ერთმანეთს იმ მხრით, რომ უარყოფს გარეშე სამყაროს ობიექტურ კანონზომიერებას, დამოუკიდებელს ადამიანის შეგნებისაგან. „განსხვავება მიზეზობრიობის კავშირის იუმისა და კანტის თეორიებს შორის,—ლაპარაკობს ლ ე ნ ი ნ ი,—არის მეორეხარისხოვანი განსხვავება აგნოსტიკოსებს შორის, რომელნიც ეთანხმებიან ერთმანეთს ძირითადში: ბუნების ობიექტური კანონზომიერების უარყოფაში, რაც უცილობლად ამათუიმ იდეალისტურ დასკვნებს იწვევს“ [1].

ერთ-ერთი ასეთი დასკვნა მიზეზობრიობის კავშირის სუბიექტურ-იდეალისტური შეხედულებიდან არის შესაძლებლობის ობიექტური ბუნების უარყოფა. ის, ვინც უარყოფს მიზეზობრიობის ურთიერთობათა ობიექტივობას და რეალობას, იძულებულია, რა თქმა უნდა, უარყოს რეალური შესაძლებლო-

---

გის მხოლოდ ისეთი განზორციელება, რომელიც ჰქმნის დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობას, ისე რომ, ეს სათვალავში შეიძლება იქნას მიღებული (L i e p m a n n, Einleitung., გვ. 76).

[1] Л е н и н, Сочинения, т. XIII, стр. 134.

ბის ცნებაც. პირიქით, რეალური შესაძლებლობის არსებობის დამტკიცება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც აღიარებს მიზეზობრიობის ურთიერთობათა ობიექტივობას, ვინც პირობათა მთელი ერთობლიობიდან გამოჰყოფს შედეგის განსაზღვრულ პირობებს და მხოლოდ ამ უფრო მნიშვნელოვან ანუ არსებით პირობებს მიაწერს აქტიურ, ქმედობით ძალას.

ამრიგად, თუ საფრთხის ობიექტური თეორია ფაქტიურად იმავე სუბიექტური თეორიის ძირითად პრინციპზეა აგებული, ე. ი. სუბიექტურ წარმოდგენაზე მავნე შედეგის განხორციელების შესახებ,—მაშინ მის წინააღმდეგ შეიძლება წამოყენებულ იქნას იგივე მოსაზრებანი, რომელნიც საფრთხის სუბიექტური თეორიის წინააღმდეგ მოგვყავდა. დასკვა შეიძლება მხოლოდ იმისათვის, რაც სინამდვილეს წარმოადგენს და არა იმისთვის, რაც მარტოოდენ ჩვენს ცნობიერებაში არსებობს. ამიტომ საკვლევით სამართლიანად მსჯელობს Germann'ი, როდესაც აღნიშნავს: „ეს თეორია, პირველად ყოვლისა, გვაცვიფრებს იმით, რომ იგი სჭრის საკითხს ქმედობის დასჯილობის თუ დაუსჯელობის შესახებ აბსტრაქტული მომენტის მეშვეობით, რომელსაც, როგორც ასეთს, არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა კონკრეტული სინამდვილისათვის... რა კონკრეტული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ in abstracto საშიშ მოქმედებას, რომ მასზე სასჯელი დავამყაროთ?... ბევრი—ბევრი ის, რომ მან შეიძლება ერთგვარი შეშფოთება გამოიწვიოს საზოგადოებაში“ [1]. მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ დავინახეთ, ასეთ მერყევ საფუძველზე მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დამყარება ყოვლად შეუძლებელია.

დაბოლოს, თავიც რომ დავანებოთ აბსტრაქტული საფრთხის ყალბსა და შინაგანი წინააღმდეგობით სავსე ცნებას, ეს ცნება წმინდა პრაქტიკული მხრითაც გამოუსადეგარია საშიშარ და უშიშარ მოქმედებათა გამიჯვნისათვის. როგორც აღვნიშნეთ, მსჯელობა მოქმედების საშიშროების შესახებ ამ თეორიის თვალსაზრისით შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ აბსტრაჰირებული ვართ განსაზღვრული ჯგუფის პირობებისაგან, რომელნიც მარტოოდენ გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციას ახასიათებენ, და ვამყარებთ ჩვენს მსჯელობას მხოლოდ დანარჩენ პირობებს, რომელთაც ზოგადი ხასიათი აქვთ. მაგრამ როგორი უნდა იყოს ამ აბსტრაქციის ხასიათი? რა პირობები უნდა ჩაითვალოს ზოგად პირობებად, ხოლო რა პირობები—ინდივიდუალურ პირობებად და ამიტომ სათვალავში არ უნდა იქნას მიღებული მოქმედების სახიფათო ხასიათზე მსჯელობის დროს?—ცხადია, რომ საბოლოო დასკვნა საკვლევით იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორია ამ აბსტრაქციის ხარისხი და აგრეთვე როგორია მხედველობაში მიღებული და, პირიქით, მხედველობიდან გაშვებული პირობების ხასიათი. ამისდა მიხედვით სახიფათო და არასახიფათო მოქმედების გამიჯვნა საკვლევით დამოკიდებული იქნება იმ პირის თავისუფალ შეხედულებაზე, ვინც მსჯელობს საფრთხის არსებობის თუ არარსებობის შესახებ. და, ბოლოს და ბოლოს, ყოველი მოქმედება შეიძლება აღმოჩნდეს სახი-

[1] Germann, დასახ. თხზ. გვ. 25—26.

ფათო, თუ აბსტრაქციის ის ხარისხი, რომელსაც მიმართავს სუბიექტი, მინიმალური იქნება[1].

აბსტრაქტული საფრთხის ცნების უვარგისობას სისხლის სამართლის მეცნიერების მიზნებისათვის კარგად გრძნობდნენ ბურჟუაზიული იურისპრუდენციის ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელი წარმომადგენლები, მაგალითად, ბ ი ნ დ ი ნ გ ი და ტ ა გ ა ნ ცე ვ ი, რომელთაც აბსტრაქტული საფრთხის ცნებას კონკრეტული საფრთხის ცნება დაუპირისპირეს. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრით ბინდინგის მსჯელობა, რომელმაც თავისი თეორია კონკრეტული საფრთხის შესახებ საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან დაკავშირებით დაასაბუთა.

ბინდინგი დიდის ენერგიით ილაშქრებს საფრთხის სუბიექტურად გაგების წინააღმდეგ. რასაკვირველია,—ამბობს იგი,—საფრთხე წარმოშობს შიშს, მაგრამ იგი არ შეიძლება გავაიგივეოთ შიშთან. მართალია, ზოგჯერ ტყუილი შიშის გამო სრულიად უშიშარ მდგომარეობას საშიშ მდგომარეობად ვთვლით ხოლმე, მაგრამ შიშს არ ძალუძს უშიშარი მდგომარეობა ნამდვილად გარდაქმნას საშიშ მდგომარეობად. „საშიშროების ცნება არ არის ჩვენი შეცდომის მედეგი, „ჩვენი უვიცობის ნაყოფი"; პირიქით, მისი მრავალგვაროვანი გამოსაჟულების დადასტურება და შემეცნება ადამიანის პროგრესული ცოდნის სრულფასიანი პროდუქტია"[2]. ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე გვაძლევს ამ დებულების დამამტკიცებელ საბუთს, „იგი ყოველდღე მოგვიწოდებს მთელი ჩვენი ენერგიით ვებრძოლოთ სხვადასხვაგვარ განსაცდელთ, რომელნიც მუდამ წინ გველობენ... ნუ თუ ეს გრანდიოზული ბრძოლა მხოლოდ ფანტომია და სხვა არაფერი?"[3]. შემდეგ ბ ი ნ დ ი ნ გ ი მსჯელობს ამგვარად: თუ განსაზღვრული სიკეთე ნამდვილად დაზიანდა—ეს უეჭველად ადასტურებს ჩვენს წინასწარ მსჯელობას ამ სიკეთის დაზიანების შესაძლებლობის შესახებ. ხოლო თუ სიკეთე არ დაზიანდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი დაზიანების საშიშროება არც არსებობდა. თვით ის ფაქტი, რომ განსაცდლის თავიდან ასაცდენად განსაზღვრული ფიზიკური და ფსიქიკური ენერგიის დახარჯვა დაგვჭირდა, ნათლად გვიჩვენებს, რომ განსაცდელი ნამდვილად არსებობდა.

თავისი აზრის დასამტკიცებლად ბ ი ნ დ ი ნ გ ს მეტად დამაჯერებელი მაგალითები მოჰყავს: როდესაც გემის დაღუპვის დროს შემთხვევით გადარჩენილ მატროსი, რომელიც ფიცარს ჩაეჭიდა, რამდენიმე დღის განმავლობაში მშიერ-

---

[1] ავიღოთ, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც ვინმე მოკვლის განზრახვით აძლევს დიაბეტით დაავადებულ ადამიანს დიდი რაოდენობის შაქარს. თუ მოსამართლე, ამ მოქმედების საშიშროების საკითხის გადაჭრის დროს, უგულებელჰყოფს კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურ თავისებურებებს და განიხილავს კაზუსს მხოლოდ იმ მხრით, შეუძლია თუ არა შაქარს საზოგადოდ გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი, ცხადია, პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითი იქნება. პირიქით, თუ მოსამართლე მხედველობაში მიიღებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებული დაავადებულია დიაბეტით, მაშინ პასუხი, რა თქმა უნდა, დადებითი იქნება. იხ. ამის თაობაზე К р у г л е в с к и й, Учение о вокушении на преступление, т. II. Петроград, 1918, გვ. 24—25; G e r m a n n, დასახ. ადგ., გვ. 33 და შემდ.. იხ. განსაკუთრებით R a d b r u c h, Die Lehre von der adäquaten Verursachung. 1902. გვ. 12 (336)—15 (339).

[2] K. B i n d i n g, Die Normen und ihre Übertretung. B. I. Leipzig. 1922, გვ. 377.

[3] K. B i n d i n g, იქვე, გვ. 378.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყურვალი, ღონე მიხდილი და თითქმის უგრძნობელი დასცურავს შუა ზღვაში, სადაც მას შემთხვევით გამვლელი გემი წააწყდება და გადაარჩენს, — ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ სიკვდილის საშიშროება მას სრულიადაც არ მოელოდა? ან და როდესაც გაბედული ინგლისელი მთასვლელები თოვლის ზვავის მოწყდომის გამო უფსკრულზე დაეკიდებიან და გადარჩებიან მხოლოდ იმიტომ, რომ თვით ტურისტებიც და მათი გამყოლებიც განსაცვიფრებელ მხნეობას, ვაჟკაცობას, სიმშვიდეს და სიმარჯვეს გამოიჩენენ, — აბა გამოვიდეს ვინმე და დაამტკიცოს, რომ მათ არავითარი განსაცდელი არ მოელოდათ, რომ მათი გადარჩენის საკითხი წინასწარ განსაზღვრული იყო და რომ მხოლოდ ყველა კონკრეტული გარემოების უცოდინარობის გამო შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ისინი საფრთხეში არიან! „ამ წმინდა კაბინეტურ სიბრძნეს მხოლოდ იმ ადამიანისათვის აქვს მნიშვნელობა, ვინც არასდროს არ ყოფილა განსაცდელში, ვისაც არასდროს არ დასჭირვებია თავის დაცვა მთელი თავისი ძალღონის დაძაბვით და არც სხვა ვინმე უნახავს ასეთ მდგომარეობაში!“ [1].

კონკრეტული საფრთხის არსის განსაზღვრის დროს Binding-ი ემყარება თავის თეორიას მიზეზობრიობის კავშირის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით გარეშე სამყაროში მომხდარი ცვლილების მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომლის მეშვეობითაც შედეგისათვის ხელშემწყობი (პოზიტიური) პირობები გადასძლევენ შედეგისათვის ხელშემშლელ (ნეგატიურ) პირობებს [2]. ამის შესაბამისად საფრთხე, Binding-ის აზრით, არსებობს მაშინ, როდესაც პირობების ამ მომენტამდე ხელსაყრელი მდგომარეობა შეიცვლება არახელსაყრელი მდგომარეობით. უშიშროების დარღვევა არის არსებული მდგომარეობის ისეთი შეცვლა, როდესაც უფლებრივი სიკეთის უვნებელი არსებობა ერთგვარ მერყეობას განიცდის. პირობების პოზიტიური და ნეგატიური მასის წონასწორობაში Binding-ი ხედავს საფრთხის maximum-ს. ამ ზღვრული წერტილის გადალახვის შემდეგ საფრთხე გადადის უფლებრივი სიკეთის ნამდვილად დაზიანებაში [3].

---

[1] Binding, იქვე, გვ.379. ბინდინგის მსგავსად, ტაგანცევიც სთვლის, რომ განსაცდელის აცდენა სრულიადაც არ ადასტურებს მის არარსებობას და რომ განსაცდელი არსებობს ობიექტურად, რის დასამტკიცებლადაც მას მოჰყავს ანალოგიური მაგალითები. იხ. Таганцев, Русское уголовное право. Лекции, ч. общая, т. 1, 1902, стр. 658. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტაგანცევს სავსებით კარგად არ ესმის განსხვავება კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხეს შორის. ეოთის მხრით, იგი სცნობს კონკრეტული საფრთხის ცნების არსებობას, რასაც მაგალითებითაც ამტკიცებს; ხოლო, მეორე მხრით, საფრთხის ობიექტური ხასიათის დასაბუთებას ეძებს კრისის თეორიაში, რომელიც, როგორც დავინახეთ, საფრთხის ობიექტურობას ხედავს არა მისი რეალურად არსებობაში, არამედ იმაში, რომ მსგავს ვითარებას საზოგადოდ შეიძლება მოჰყვეს უფლებრივი სიკეთის დაზიანება. ანალოგიურ შეცდომას უშვებს ლისტი, რომელიც მცდელობის ცნების განმარტების დროს ამტკიცებს, რომ საფრთხეს კონკრეტული ხასიათი უნდა ჰქონდეს, მაგრამ როდესაც ამ ცნებას უვარგის მცდელობას შეუფარდებს, — აბსტრაქციის მეთოდს მიმართავს. იხ. Liszt, Lehrbuch des Deutschen Strafrechts. A. T. Berlin, 1911, გვ. 214. კონკრეტული საფრთხის თეორიის თანამიმდევარ წარმომადგენლად რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში შეიძლება ჩაითვალოს Пусторослев, Русское уголовное право. Общ. ч. Юрьев, 1912 წ., გვ. 270—271.

[2] Binding, Normen, B. I. გვ. 115—116.

[3] ibid, გვ. 120—121, 379.

Binding'ი, თავისი დროის უდიდესი დოგმატიკოსი, კარგად გრძნობდა, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება ემყარებოდეს ისეთ მერყევ საფუძველს, როგორიცაა „სუბიექტური შიში" ან „აბსტრაქტული საფრთხე". მისი კრიტიკა, მიმართული საფრთხის სუბიექტური გაგების წინააღმდეგ, მეტად ღრმა და საინტერესოა, მისი მაგალითები მკვეთრი და დამაჯერებელია. მაგრამ Binding'ი გაცილებით უფრო სუსტი აღმოჩნდა საფრთხის საკუთარი თეორიის დასაბუთების დროს.

როგორც ამ გადმოცემიდან ჩანს, Binding'ის თეორიას მიზეზობრიობის კავშირის შესახებ საფუძვლად უდევს წარმოდგენა დადებით და უარყოფით ძალებზე, რომელთა ბრძოლაც აუცილებელია ყოველი მოვლენის განვითარებისათვის. მაგრამ ეს ძალები Binding'ის აზრით ჩვეულებრივად უძრაობის, წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფებიან. მოძრაობა და განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ წონასწორობას დაარღვევს რაიმე გარეგანი მოვლენა, რომელიც ხელს უწყობს იმას, რითა პოზიტიურმა ძალებმა გადასძლიონ ნეგატიურ ძალებს. ერთი შეხედვით; შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს ბ ი ნ დ ი ნ გ ს ბუნების განვითარება დიალექტიკურად ესმის. მაგრამ მისი თეორიის თუნდაც ზერელე განხილვა გვარწმუნებს, რომ ამ ცარიელ დიალექტიკურ ფრაზას არაფერი აქვს საერთო დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრებასთან მოძრაობის პროცესზე და ბუნების განვითარებაზე. Binding'ს მოძრაობა მექანიკურად ესმის. Binding-ის თეორიას ახასიათებს სწორედ ის, რაც მოძრაობის მექანიკური გაგების დედაარსს წარმოადგენს. სახელდობრ: იგი სცნობს, რომ მოძრაობასთან ერთად არსებობს უძრაობა, როგორც მოძრაობის თანასწორუფლებიანი მოვლენა ბუნებაში; მატერიის შინაგანი მოძრაობა ანუ „თვითმოძრავი მატერია" ბ ი ნ დ ი ნ გ ს არ ესმის; მოძრაობის აუცილებელ წყაროდ იგი სთვლის რაიმე გარეშე ბიძგს, გარეგან მოვლენას. ეს არსებითად ეწინააღმდეგება დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრებას განვითარებაზე. ეს მოძღვრება, როგორც ცნობილია, ამტკიცებს მატერიის „თვითმოძრაობას", მატერიისა, რომელიც გარემოიცავს „წინააღმდეგობათა ჯამსაც და ერთიანობასაც"[1]. მოძრაობა და განვითარება დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ ბუნების მოვლენების სირთულეს. ეს სირთულე მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ყოველი მოვლენა დაკავშირებულია სხვა მოვლენებთან, არამედ იმაშიაც, რომ ყოველი მოვლენა თავისთავად რთულია, რომ მას სხვადასხვა ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეები აქვს. ამ მხარეების ურთიერთზედმოქმედება და ურთიერთკავშირი ჰბადებს მატერიის „თვითმოძრაობის" პროცესს. აი, სწორედ მოვლენის საწინააღმდეგო მხარეების ურთიერთზედმოქმედებისა და ურთიერთკავშირის ეს კანონები არ ესმის Binding-ს, ამიტომ მის მოძღვრებას მიზეზობრიობის კავშირის შესახებ და მასზე დაფუძნებულ კონკრეტული საფრთხის თეორიას არ ძალუძს ასახოს ბუნების მოვლენათა განვითარების ნამდვილი პროცესები.

---

[1] Ленин, Философские тетради, Москва, 1936, გვ. 212.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

საფრთხის ნამდვილი არსი შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ **რეალური** შესაძლებლობის კატეგორიის დადგენის შედეგად. დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად შესაძლებლობა არის არა წმინდა ლოგიკური, აბსტრაქტული ცნება, არამედ ცნება, რომელიც რეალურ სინამდვილეში არსებობს. ჯერ კიდევ ჰ ე გ ე ლ მ ა დაამტკიცა, რომ შესაძლებლობა სინამდვილის შინაგანი მომენტია, რომ იგი შინაგანი ანუ პოტენციალური სინამდვილეა. „შესაძლებელია თუ შეუძლებელია რაიმე, ეს დამოკიდებულია სინამდვილის შინაარსზე, ე. ი. მისი მომენტების მთლიანობაზე, სინამდვილისა, რომელიც თავისი გამომჟღავნების დროს თავის თავს აუცილებლობით გამოავლინებს“ [1].

დიალექტიკური მატერიალიზმი განასხვავებს ერთმანეთისაგან შესაძლებლობისა და სინამდვილის ცნებებს. ამის საფუძველს წარმოადგენს მწარმოებელი მოქმედების ცნება, რომელშიაც ჩვენ განვასხვავებთ ორ მომენტს: ქმედობით პირობას, ე. ი. იმას, რაც წარმოშობს განსაზღვრულ შედეგს ანუ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს, და მწარმოებელი პროცესის შედეგად განხორციელებულ ფაქტს ანუ გ ა რ ე შ ე ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს. შესაძლებლობა არ არის ჯერ კიდევ სინამდვილე, ე. ი. გარეშე, ფაქტიური სინამდვილე. ვინაიდან, უკეთუ ეს უკანასკნელი მწარმოებელი მოქმედების შედეგია, მაშინ იგი აუცილებლად გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც განსაზღვრული მოვლენა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, ე. ი. არასინამდვილის მდგომარეობას. ეს დებულება გენიალური სიმარტივით განავითარა ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა თავის სიტყვაში საკ. კპ (ბ) XVI ყრილობაზე: „საბჭოთა წყობილება კოლოსალურ მესაძლებლობებს იძლევა სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის. მაგრამ შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე. იმისათვის, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს, აუცილებელია მთელი რიგი პირობები, რომელთა შორის პარტიის ხაზი და ამ ხაზის სწორად გატარება სრულიადაც არ თამაშობს უკანასკნელ როლს“ [2].

მაგრამ, მეორე მხრით, შესაძლებლობა შეიცავს ყველა პირობას სინამდვილისათვის. შესაძლებლობა გულისხმობს მთელ რიგ პირობებს, რომელნიც ამ სინამდვილეში არსებობენ. ამის გამო შესაძლებლობა ისეთ მიმართებაშია სინამდვილესთან, როგორც ქმედობითი საფუძველი თავის შედეგთან. შესაძლებელია მხოლოდ ის, რასაც ახასიათებს ეს ქმედობითი უნარი, ე. ი. სინამდვილედ გადაქცევის უნარი. ამიტომ შესაძლებლობას შეიძლება ვუწოდოთ შინაგანი ანუ პოტენციალური სინამდვილე.

მაგრამ, თუ შესაძლებლობას თავისი საფუძველი სინამდვილეში აქვს, მეორე მხრით, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი საფუძველი წინააღმდეგობრივია და ამიტომ შეიძლება განვითარდეს საწინააღმდეგო მიმართულებითაც. როდესაც ვლაპარაკობთ, რომ რაიმე მოვლენის განხორციელება შესაძლებელია, ამით ვადასტურებთ, რომ რეალურ სინამდვილეში მოცემულია განსაზღვრული პირობები, რომელთა განვითარებასაც შეიძლება მოჰყვეს ამ მოვლენის გადაქ-

---

[1] Г е г е л ь, Сочинения, т. I. Логика, 1930, გვ. 242.

[2] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეათე რუსული გამოცემიდან, გვ. 484.

ცევა სინამდვილედ. მაგრამ, ამავე დროს, ამ სინამდვილეში შეიძლება ასეთ ბობდნენ სხვა ქმედობითი პირობებიც, რომელთაც შეუძლიათ განვითარების პროცესი სხვა მიმართულებით წარმართონ. მაგალითად, თესლში მოცემულია მცენარის გაზრდის შესაძლებლობა. მაგრამ განა მცენარე ყოველი თესლისაგან იზრდება? „არსებობს საწინააღმდეგო შესაძლებლობანი,—განმარტავს ჰეგელს კუნო ფიშერი,—რომელთა შორის ერთი სპობს მეორეს. სანამ რაიმე მოვლენა შესაძლებელია, მისი წინააღმდეგობაც შესაძლებელია. შესაძლებლობა არის ყოფნა-არყოფნის შესაძლებლობა ან სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობა“[1]. ამიტომ სინამდვილე, რომელიც ძევს შესაძლებლობის სფეროში, ყოველთვის პრობლემატურია. „შესაძლებლობა—პრობლემაა, მოვლენის განხორციელება—ამ პრობლემის გადაწყვეტაა“[2]. მოვლენის განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, რომ ქმედობითი პირობები თანდათანობით ძლიერდებიან და სძლევენ მოვლენისათვის ხელშემშლელი პირობების წინააღმდეგობას. სხვადასხვა შესაძლებლობათა წრე თანდათანობით იზღუდება, საწინააღმდეგო შესაძლებლობანი თანდათან ქრება და, როდესაც პირობათა მთელი წრე უკვე განხორციელებულია, განსაზღვრული შესაძლებლობა სინამდვილედ გახდება. შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის პროცესთან დაკავშირებულია შესაძლებლობის ხარისხების საკითხი. რაც უფრო ინტენსიურია ქმედობითი პირობების ძალა და, პირიქით, სუსტია ხელშემშლელი პირობების ძალა, რაც უფრო შეზღუდულია შედეგისათვის ხელშემწყობი პირობების წრე, მით უფრო დიდია რაიმე მოვლენის განხორციელების შესაძლებლობის ხარისხი, და პირიქით.

რეალური შესაძლებლობის ეს ცნება მკვეთრად უპირისპირდება ფორმალური, ან,—როგორც ზოგიერთი ფილოსოფოსები ამბობენ,—„ლოგიკური“[3] შესაძლებლობის ცნებას. მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი თავისი ბუნებით წმინდა სუბიექტური ცნებაა, რეალური შესაძლებლობა სინამდვილეში არსებობს. მაშინ, როდესაც უკანასკნელი ადამიანის ცოდნის შეზღუდულობის ნაყოფია, პირველი, პირიქით, გულისხმობს ამ სინამდვილეში არსებული პირობების ცოდნას. მაშინ, როდესაც უკანასკნელს ახასიათებს გაურკვევლობა და არათვალსაჩინობა, პირველი გარკვეულ და თვალსაჩინო ცნებას წარმოადგენს.

თუ ჩვენ რეალური შესაძლებლობის ცნებას საფრთხის ცნების განმარტებისათვის გამოვიყენებთ,—მივიღებთ, რომ საფრთხე, ე. ი. მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როდესაც კონკრეტულ სინამდვილეში მოცემულია მისი განვითარების ქმედობითი პირობები. როდესაც ვხედავთ ჩამოზვავებულ კლდეს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახლს, რომელიც ამ კლდის ძირში დგას, ნგრევის რეალური საშიშროება მოელის. დაე, ბურჟუაზიულმა იურისტებმა ამტკიცონ, რომ უკეთუ ადამიანის შეგნებული მოქმედების საშუალებით კლდის ჩამოზვავება თავიდან იქნა აცილებული ან მისი დაცემა სხვა მხარეს იქნა წარმართული,—არავითარი საფრთხე თავიდანვე არ ყოფილა. ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ სახლის დანგრევის საშიშ-

[1] Куно Фишер, Гегель, его жизнь, сочинения и учение, I полутом, 1933, გვ. 397.
[2] Kuno Fischer, System der Logik und Metaphysik, Heidelberg, 1909, გვ. 341.
[3] Kuno Fischer, op. cit., გვ. 341.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა არსებობდა რეალურად და კონკრეტულად, რომ ამ საშიშროებაზე ადამიანი ფუძველი იყო კლდის უკვე დაწყებული ჩამოწოლა და რომ ადამიანის მოქმედებამ ხელი შეუშალა ამ შესაძლებლობას სინამდვილედ გადაქცეულიყო. ეს ჩვენი მსჯელობა ემყარება სინამდვილის პირობების, ბუნების კანონების ცოდნას და გამოცდილებას, და არა განყენებას რეალური სინამდვილისაგან.

V

რეალური საფრთხის ცნების დადგენა ჩვენ დაგვჭირდა იმის გამოსარკვევად, თუ რა ობიექტური თვისებები უნდა ახასიათებდეს დაუმთავრებელ დანაშაულს იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მის მიმართ სასჯელის შეფარდება. ჩვენი შემდგომი ამოცანაა გამოვარკვიოთ: რა იურიდიული ნიშნები შეესაბამება ჩვენ მიერ დადგენილი საფრთხის ცნებას. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ უკეთუ საფრთხე რეალურად არსებობს, უკეთუ მას გარკვეულობა და თვალსაჩინოობა ახასიათებს, ცხადია, რომ საფრთხის ცნების შესაბამის იურიდიულ ნიშნებსაც ეს გარკვეულობა და თვალსაჩინოობა უნდა ახასიათებდეს.

ჩვენის აზრით, რეალური საფრთხის ცნების იურიდიულად ადეკვატურ გამოხატულებას წარმოადგენს მცდელობის ჩვეულებრივი საკანონმდებლო ფორმულა: „დანაშაულის განხორციელების დასაწყისი". მოქმედება, რომელმაც დანაშაულის განხორციელების მომენტს მიაღწია, უეჭველად წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების აშკარა საფრთხეს. ამ აზრის სასარგებლოდ შეიძლება მოვიტანოთ მთელი რიგი მოსაზრებანი.

ზემოთ ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ამათუიმ მოვლენის განხორციელების შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როდესაც რეალურ სინამდვილეში მოცემულია ქმედობითი პირობები ანუ პირობები, რომელთაც პოტენციალური მიზეზის თვისებები აქვთ. „...ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს მიზეზობრიობის შემადგენლობას,—გვასწავლის დიალექტიკური მატერიალიზმი,—არის მიზეზის აქტიობა შედეგის მიმართ"[1]. მიზეზობრიობის ურთიერთობაში ძევს „აქტიური ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების შინაარსს და ძაბვას მიზეზის შინაარსისა და ძაბვის შესაბამისად"[2].

მიზეზის ამ აქტიურ ხასიათს, სხვათა შორის, მშვენივრად გვიჩვენებს კუნო ფიშერი „ფაუსტის" შექმნის მაგალითზე: „რომ თვით პოეტის გენიაში,—ლაპარაკობს იგი,—არ ყოფილიყო მიდრეკილება ამ პოემის შექმნისაკენ, იგი არასდროს არ დაიწერებოდა. მაგრამ ამ მიდრეკილებას მაინც არ შეუქმნია პოემა. რომ არ ყოფილიყო გარეგანი შთაბეჭდილებანი და რომ ეს შთაბეჭდილებანი მძლავრ ფენად არ აღბეჭდილიყვნენ პოეტის სულში, პოემა არასდროს არ დაიწერებოდა. მაგრამ ცხადია, არც ამ პირობებს შეუქმნიათ პოემა. პოემის მიზეზია მხოლოდ და მხოლოდ პოეტური შემოქმედება, რომელმაც წარმოშვა ეს პოემა. პოემა—პოეტის ქმნილებაა. პოემის მიზეზი—თვით პოეტია, რომელიც პოეტურად ჰქმნის ფაუსტს[3].

[1] М. Финдер, Причинность и закономерность: Под зн. марксизма, 1941, № 5, გვ. 62.
[2] იქვე, გვ. 62.
[3] Kuno Fischer, op. cit, გვ. 356.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, სწორედ ეს ქმედობითი უნარი, პოტენციალური მიზეზის ხასიათი აქვს მოქმედებას, რომელიც გამოიხატება დანაშაულის განხორციელების დასაწყისში. უფრო მეტიც. პოტენციალური მიზეზის ყველა ჩამოთვლილი თვისება აღმასრულებელ მოქმედებაში განსაკუთრებული თვალსაჩინოობით და დამაჯერებლობით გამოვლინდება. ავიღოთ, ამის დასამტკიცებლად, სათანადო მაგალითი. ვინმე განიზრახავს მკვლელობას და დაიწყებს მზადებას დანაშაულისათვის. იგი იშოვის დანას, ლესავს მას, შეჰკრებს ცნობებს მსხვერპლის ყოველდღიური ცხოვრების პირობებისა და ჩვეულებების შესახებ, შეადგენს თავდასხმის გეგმას და სხვ. მისთ.. ყველა ეს მოქმედება, რა თქმა უნდა, ისეთი პირობებია, ურომლისოდაც დანაშაული არ მოხდებოდა. მაგრამ მათ ისეთი ქმედობითი ხასიათი არა აქვთ, რომ უფლება გვქონდეს ვილაპარაკოთ ადამიანის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხის არსებობის შესახებ. ხოლო როდესაც დამნაშავე გამოიყენებს ყველა ამ პირობას, ჩაჰბერავს მათ ინერტულ მასაში ცხოველმყოფელ ძალას, აიღებს დანას ხელში და მოუღერებს მას მსხვერპლს, აქ, რა თქმა უნდა, ისეთი მოქმედებაა, რომელიც ჰქმნის ადამიანის მოკვლის თვალსაჩინო საშიშროებას.

მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ მანძილს, რომელიც არსებობს მოქმედებასა და შედეგს შორის. რაც უფრო დაშორებულია მოქმედება შედეგისაგან, მით უფრო მეტია იმის შესაძლებლობა, რომ ჩაერიონ შედეგისათვის ხელშემშლელი ძალები, რომელთაც შეუძლიათ წარმართონ მიზეზობრიობის კავშირის განვითარება სრულიად სხვა მიმართულებით. პირიქით, რაც უფრო მოკლეა ეს მანძილი, რაც უფრო შეზღუდულია შედეგისათვის ხელშემწყობი პირობების წრე, მით უფრო ნაკლებია უცხო კაუზალური ელემენტების ჩარევის შესაძლებლობა. დანაშაულის განხორციელების დასაწყისი ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე უკვე შეუდგა დანაშაულებრივი ქმედობის ნამდვილად შესრულებას[1]; ეს სტადია უშუალოდ წინ უსწრებს მავნე შედეგის დადგომას. ამიტომ მიზეზობრიობის კავშირის სხვა მიმართულებით განვითარების შესაძლებლობა აქ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე

---

[1] აქედან ჩანს, რომ გამოთქმა „განხორციელების დასაწყისი“ ჩვენ გვესმის როგორც **დანაშაულებრივი ქმედობის** განხორციელების დაწყება და არა როგორც **დანაშაულებრივი განზრახვის** განხორციელების დაწყება. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ესმოდა, სხვათა შორის, გერმანიის სისხლის სამართლის დებულების 43 პარაგრაფის ანალოგიური გამოთქმა Bierling-ს (იხ. მისი Juristische Prinzipienlehre“, III, გვ. 131—132). ასევე სუბიექტურად განმარტავს „განხორციელების დასაწყისს“ პროფ. Круглевский, რომელსაც მრავალი არგუმენტი მოჰყავს თავისი აზრის დასამტკიცებლად (იხ. Круглевский, Учение о покушении, 1918, ტ. II, გვ. 70—78). ამ აზრის წინააღმდეგ იხ. M. E. Mayer: „სულ სხვაა განზრახვის განხორციელების დაწყება და სულ სხვაა თვით იმ **მოქმედების** განხორციელების დაწყება, რომლის ყოველი ნიშანი ზუსტად განსაზღვრულია. როდესაც ვინმე დააწვება რამდენიმე ცენტნერის სიმძიმის ქვას იმ განზრახვით, რომ დასძრას იგი ადგილიდან, ის ცდილობს განახორციელოს განუხორციელებელი; ეს შეიძლება ჩავთვალოთ მისი განზრახვის განხორციელების დასაწყისად, მაგრამ სასაცილო იქნებოდა, რომ პიროვნების ფიზიკური ძაბვა ჩაგვეთვალა ქვის ადგილიდან დაძვრის დასაწყისად“ (M. E. Mayer, Versuch und Teilnahme: Die Reform Reichsstrafgesetzbuchs, 1910, გვ. 336).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების სხვა, შედეგისაგან უფრო დაშორებულ სტადიებზე.

დაბოლოს, ჩვენი თვალსაზრისის სასარგებლოდ შეიძლება მოყვანილ იქნას კიდევ ერთი მოსაზრება: ის გარემოება, რომ დამნაშავემ თავისი დანაშაულებრივი განზრახვის განვითარებაში მიაღწია დანაშაულის დაწყების სტადიას, რომ იგი უკვე შეუდგა დანაშაულის შესრულებას, ადიდებს მავნე შედეგის განხორციელების შანსებს იმ მხრითაც, რომ ამ მომენტიდან სუსტდება დანაშაულის საწინააღმდეგო მოტივების ძალა და, პირიქით, იზრდება დანაშაულის ხელშემწყობი მოტივების სიძლიერე. ეს მოსაზრება განსაკუთრებული დამაჯერებლობით განავითარა პროფ. მ ო კ რ ი ნ ს კ ი მ თავის შრომაში „Наказание, его цели и предположения". „სუბიექტს არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ განსაზღვრული მომენტიდან იგი შესაძლებლობას ჰკარგავს, თუ დასჭირდა, ისე ახსნას თავის მოქმედება, თითქოს მას არავითარი დანაშაულებრივი განზრახვა არ ჰქონდა. შეგნება, რომ იგი დამნაშავეა, არა მარტო სულიერად, არამედ გარეგნულადაც,—დამღუპველად მოქმედებს სოციალურად შემაფერხებელ წარმოდგენებზე და აიძულებს მას იჩქაროს, იმ შიშით, რომ მოუსწრებენ, ხელს შეუშლიან, გამოამჟღავნებენ. თ უ კ ე ი ს ა რ ი აყოვნებდა და ყოყმანობდა იმ მომენტამდე, სანამ რუბიკონზე გადავიდოდა (მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლებოდა იგი რომის კანონების მიხედვით სენატის ნების აშკარა მოწინააღმდეგედ, სახელმწიფო დამნაშავედ), მან ერთბაშად გამოიჩინა ენერგია, სიმტკიცე და სისწრაფე, როგორც კი მდინარეს გასცილდა; iacta est alea" [1].

ამგვარად, აღსრულების დაწყება ზეგავლენას ახდენს დანაშაულებრივი ენერგიის განვითარებაზე, ხოლო ეს, თავისი მხრით, გამოიწვევს დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად მიმართული ახალი მოქმედების ჩადენას. ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ კერძო გამოხატულება იმ დიალექტიკური ურთიერთზედმოქმედებისა, რომელიც საზოგადოდ არსებობს დანაშაულებრივი ქმედობის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეს შორის.

ყველა ამ მოსაზრების გამო აღნიშნული ნიშანი „დანაშაულის აღსრულების დასაწყისი", რომელიც კანონმდებლობაში პირველად საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსმა შემოიღო (Code pénale, art. 2), შემდეგ კი მცდელობის მეტად გავრცელებულ საკანონმდებლო ფორმულად გადაიქცა [2],

---

[1] М о к р и н с к и й, დასახ. თხზ. ტ. III, გვ. 438. ამავე მოსაზრებებს იმეორებს М о к р и н с к и თავის საინტერესო წერილში „Приготовление и покушение в советском праве": журн. „Советское право", 1927 г. № 1, стр. 73—74.

[2] იხ. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის დებულება 1871 წ. § 43: „ვინც გამოჰხატა დანაშაულის ან გარდახდომილობის (Vergehen) ჩადენის განზრახვა ისეთი მოქმედებით, რომელიც ამ დანაშაულის ან გარდახდომილობის **აღსრულების დასაწყისს** წარმოადგენს..."; ბელგიის სისხ. სამ. დებულება 1867 წ. § 51: „მცდელობა დასასჯელია მაშინ, როდესაც დანაშაულის... ჩადენის განზრახვა გამოიხატა ისეთ გარეგნულ მოქმედებაში, რომელიც წარმოადგენს ამ დანაშაულის... **ჩადენის დასაწყისს**"; უნგრეთის დებულება 1878 წ. § 65 მცდელობად სთვლის „ისეთი მოქმედების ჩადენას, რომლითაც **იწყება** განზრახული დანაშაულის... **აღსრულება**..." რუსეთის სისხ. სამართლის დებულება 1903 წლისა, მუხ. 49: „მოქმედება, რომლითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენის აზრით, ყველაზე უკეთ გამოჰხატავს მცდელობის ნამდვილ არსს[1].

პირიქით, იმ საფეხურზე, როდესაც დამნაშავე ჯერ კიდევ არ შესდგომია დანაშაულებრივი ქმედობის შესრულებას, ე. ი. მოსამზადებელი მოქმედების სტადიაში, ადამიანის საქმიანობას ჯერ კიდევ არ ახასიათებს ისეთი ნიშნები, რომელნიც თვალნათლად და გარკვევით მიგვითითებენ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ შესაძლებლობაზე. პიროვნების მოქმედება გამოიხატება აქ დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნაში, იარაღის შეძენაში, მომარჯვებაში და სხვ. მისთ.. ყველა ამ მოქმედებას არა აქვს საკმაოდ ქმედობითი, აქტუალური ხასიათი შედეგის წარმოშობისათვის. ამავე დროს მოსამზადებელი მოქმედება შედეგისაგან ჯერ კიდევ საკმაო მანძილით არის დაშორებული. ამიტომ მოსამზადებელი მოქმედების ფორმალური იურიდიული ნიშნების არსებობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გადაწყდეს ამ მოქმედების დასჯილობის საკითხი.

მაგრამ ზოგიერთ, გამონაკლის შემთხვევაში ცხოვრებამ შეიძლება მოგვცეს გარემოებათა ისეთი კომბინაცია, როდესაც დამნაშავის მოქმედება თუმცა ჯერ არ გასცილებია მომზადების სტადიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უეჭველად წარმოადგენს რეალურ საფრთხეს უფლებრივი სიკეთისათვის. წარმო-

---

იწყება იმ დანაშაულებრივი ქმედობის **შესრულება**, რომლის ჩადენაც სურდა დამნაშავეს...“; შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი 1937 წ., მუხ. 21, აბზ. I: „სასჯელი შეიძლება შეუმცირდეს იმას, ვინც **დაიწყება** დანაშაულის **შესრულებას**, მაგრამ ბოლომდე არ მიიყვანს თავის ბრალეულ მოქმედებას“. ამავე ფორმულას იყენებს სისხლის სამართლის დებულების მრავალი პროექტი, იხ. მაგალითად, მთავრობის პროექტი გერმანიის სისხლის სამ. დებულებისა, 1909 წ. § 75: „ვინც **დაიწყო** დანაშაულის ან განზრახი გარდახდომილობის **აღსრულება**...“; კალის, ლისტის, ლილიენტალისა და გოლდშმიდტის მიერ შედგენილი კონტრპროექტი 1911 წ. § 27; „ვინც დანაშაულის ან გარდახდომილობის ჩადენის განზრახვით **დაიწყებს** ამ დანაშაულის ან გარდახდომილობის **შესრულებას**...“ შვეიცარიის სისხლის სამართლის დებულების პროექტი 1908 წლისა, მუხ. 22: „ვინც შეეცდება დანაშაულის ჩადენას და **დაიწყებს მის შესრულებას**...“ და სხვ.

[1] იმის დადგენით, რომ მცდელობა წარმოადგენს დანაშაულის განხორციელების დასაწყისს მცდელობის იურიდიული ფორმულირების ამოცანა არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით ამოწურულად. იურიდიულ ლიტერატურაში დაუბოლოებელი დავაა ამ ნიშნის შემდგომი დაზუსტების თაობაზე. ზოგიერთის აზრით დანაშაულის განხორციელების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი კანონიერი ნიშნის განხორციელება; მეორენი სთვლიან, რომ ეს ნიშანი დაზუსტებულ უნდა იქნას, როგორც დანაშაულის ერთი ნაწილის შესრულება, მესამენი ჰხედავენ ამ ნიშანს ისეთ მოქმედებაში, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე და სხვ. მისთ. ამ შრომაში, რომელსაც მიზნად არა აქვს დანაშაულის მცდელობის ყველა საკითხის ამომწურავად გაშუქება, შეუძლებელია ამ ცნების განმარტების ყველა ცდის გადმოცემა და კრიტიკა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ზემოთ გამორკვეული საფრთხის ცნების შესაბამისად მე ყველაზე უფრო სწორად მიმაჩნია დანაშაულის მცდელობის შემდეგი განმარტება: მცდელობა არის მოქმედება, რომელიც **წარმოადგენს თავდასხმას** სამართლის მიერ დაცულ სიკეთეზე. ამ მომენტში, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო აშკარა გამოხატულებას ჰპოულობს პირობათა ის აქტიურობა, რომლის გამოც მოქმედება უნდა ჩაითვალოს რეალურად საშიშ და ამიტომ დასასჯელ მოქმედებად. ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ამ განმარტებას იზიარებენ Merkel, M. E. Mayer, A. Wach და სხვ.. რუსულ რევოლუციამდელ ლიტერატურაში—Познышев.

ვიდგინოთ, მაგალითად, ქურდ-რეციდივისტების ბანდა, რომელმაც წინასწარ დაამუშავა მაღაზიიდან საქონლის გატაცების გეგმა, გაანაწილა როლები თანამონაწილეთა შორის და გაემართა დანაშაულის ჩადენის ადგილისაკენ. ქურდების მოქმედება აქ ჯერ კიდევ არ გადასულა მცდელობის სტადიაში[1], მაგრამ უწყებული კონკრეტული პირობების მთელი კრებადობა გვაიძულებს ჩვენ მათი მოქმედება საშიშად ჩავთვალოთ. მაღაზიის გაძარცვის საფრთხე არსებობს, ჯერ-ერთი, უკვე იმის გამო, რომ ამ მოსამზადებელი მოქმედების ჩამდენი არის მტკიცედ ორგანიზებული რეციდივისტების ბანდა. როგორც ეს ორგანიზებულობა, ისე ის გარემოება, რომ ბანდაში მონაწილეობას იღებენ პროფესიონალი ქურდები, მნიშვნელოვნად ადიდებს მავნე შედეგის განხორციელების შანსებს. „სუბიექტის ხასიათის სოციალური თვისებების მნიშვნელობა,—ლაპარაკობს მ ო კ რ ი ნ ს კ ი,—ყოველივე ეჭვს გარეშეა. უკეთუ ა, ბ-სთვის ზიანის მიყენების მიზნით,—რაიმე ცალკეულ მოსამზადებელ მოქმედებას ჩაიდენს, ბ ამ მოქმედებას სხვადასხვანაირად შეაფასებს იმისდა მიხედვით, არის თუ არა ა თამამი და გამბრძმედილი პროფესიონალი, თუ ჯერ კიდევ გამოუცდელი, საქმის ახალი დამწყები... მოქმედების საშიშროება, საქმის წარმატებით დამთავრების შანსები, იზრდება მაშინ, როდესაც სუბიექტს პროფესიონალური გამოცდილება აქვს“[2]. გარდა ამისა, ჩვენს მაგალითში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბოროტმოქმედთა საქმიანობის სიახლოეს მცდელობის სტადიასთან, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, რაც უფრო შორს მიდის დანაშაულებრივი ქმედობის განვითარების ხარისხი, მით უფრო იზრდება დანაშაულის დამთავრების შანსები. ამიტომ, მოყვანილ შემთხვევაში ქურდების მოქმედება თუმცა მცდელობის სტადიაში არ გადასულა, მაგრამ იგი შეიძლება ცნობილ იქნას საშიშად.

ამგვარად, ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე: მცდელობა, როგორც დანაშაულის განხორციელების დასაწყისი, ყოველთვის წარმოადგენს უფლებრივი სიკეთის დაზიანების ნამდვილ საშიშროებას და ამიტომ, უკეთუ მცდელობის იურიდიული ნიშნების არსებობა უკვე დადასტურებულია, საჭირო აღარ არის, რომ მოსამართლემ დამატებით დააყენოს საკითხი მოქმედების საშიშროების შესახებ. პირიქით, მოსამზადებელი მოქმედება ჩვეულებრივად არ აყენებს განსაცდელში უფლებრივ სიკეთეს. ასეთი განსაცდელი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში[3]. ამიტომ მოსამართლე არ უნდა დასჯერდეს მომზადების მხოლოდ იურიდიული ნიშნების დადასტურებას, არამედ

[1] ასეთ თვალსაზრისს იზიარებს ჩვენი სასამართლო პრაქტიკა, იხ. მაგალ. რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამ. საკას. კოლეგიის 1925 წ. 27 თებერვლის დ-დგენილება: „ოდესაც ქურდობის თაობაზე ერთმანეთთან შეთანხმებული პირები გაემართებიან დანაშაულის ჩადების ადგილისაკენ, მაგრამ გზაზე მათ შეიპყრობს მილიცია,—ასეთი მოქმედება არ არის მცდელობა, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ არ ჩაუდენიათ მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩადენაზე, არამედ მხოლოდ შექმნეს პირობები დანაშაულის ჩასადენად...“—Сборник определений УКК Верховного суда РСФСР за 1925 г. Вып. I, стр. 6.

[2] М о к р и н с к и й, დასახ. წერილი, გვ. 71—72.

[3] შეადარე, მაგალითად, Ph. Allfeld: „მოსამზადებელი მოქმედება მხოლოდ ოშვიათ შემთხვევაში წარმოადგენს საფრთხეს მართლწესრიგისათვის... მოსამზადებელი მოქმედების

უნდა გამოარკვიოს, შეიცავს თუ არა ეს მოსამზადებელი მოქმედება უფლებრივი სიკეთის დაზიანების რეალურ საშიშროებას. და მხოლოდ ამ სკეთის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია შეუფარდოს მოსამზადებელ მოქმედებას სასჯელი.

VI

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ დასკვნებს, ნათელი იქნება, რომ მცდელობისა და მოსამზადებელი მოქმედების გამიჯვნის ამოცანას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ აგრეთვე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. პირიქით, იმისათვის, ვინც დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯილობის საფუძველს ხედავს მხოლოდ დამნაშავის სუბიექტურ თვისებებში, ე. ი. მისი დანაშაულებრივი ნების ინტენსიობაში, პიროვნების საშიშ მდგომარეობაში და სხვ., ხოლო დანაშაულის ობიექტურ მხარეს მარტოოდენ ამ მდგომარეობის სიმპტომად სთვლის,—მცდელობისა და მოსამზადებელი მოქმედების გამიჯვნა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. თანამიმდევარი სუბიექტივისტი უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ დასასჯელად ჩათვალოს თვით შორეული მოსამზადებელი მოქმედებაც, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის რეალიზაციის სრულიად უმნიშვნელო შანსებს შეიცავს, უკეთუ ამ მოქმედებაში პიროვნებამ ანტისოციალური სულიერი განწყობილება გამოამჟღავნა. „იმას, ვინც უგულებელყოფს ობიექტურ მასშტაბს...,—ლაპარაკობს რუსეთის ცნობილი კრიმინალისტი ნ ა ბ ო კ ო ვ ი,—არავითარი საფუძველი არა აქვს სხვაგვარად მოეპყრას მომზადებას, ვიდრე მცდელობას: მომზადება ყოველთვის უნდა დაისაჯოს და სასჯელი ოდენობის მხრითაც გაიგივებულ უნდა იქნას დამთავრებულ ქმედობასთან“ [1]. ამგვარადვე, ბურჟუაზიული იურისტის Overbeck-ის აზრით, თუ ჩვენ მარტო პიროვნების ანტისოციალურ სულიერ განწყობილებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ის, ვინც ამზადებს დანაშაულებრივ ქმედობას და ვინც მას ნამდვილად ასრულებს, ამ მხრით შეიძლება სრულიადაც არ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან. პირიქით, ამ თვალსაზრისის მიხედვით მოსამზადებელი მოქმედებისათვის დასჯა შეიძლება უფრო მიზანშეწონილიც იყოს. „ვინაიდან ის, ვინც დანაშაულს ამზადებს, ჰქმნის იმის საშიშროებას, რომ იგი მას ჩაიდენს. სასჯელი—დაცვა უნდა ჩაერიოს საქმეში წინასწარ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის. ხოლო თუ დანაშაული უკვე დამთავრებულია, მისმა ჩამდენმა მიაღწია თავის სურვილს, ასე რომ მომავალში იგი უკვე საშიშროებას აღარ წარმოადგენს“ [2].

დასჯა შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც იგი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ამათუიმ უფლებრივ სიკეთეს“ (Der Einfluss der Gesinnung des Verbrechers auf die Bestrafung“, Leipzig, 1909, გვ. 88).

[1] Н а б о к о в, „Сб. статей по уголовному праву“. Петербург, 1904 გვ. 83—84.

[2] O v e r b e c k, Die Erscheinungsformen des Verbrechens im Lichte der modernen Strafrechtsschule, Leipzig, 1909, გვ. 26. იხ. აგრეთვე. B i r k m e y e r, Studien zu dem Hauptgrundsatz der modernen Richtung im Strafrecht „nicht die Tat, sondern der Täter ist zu bestrafen“, Leipzig, 1909, გვ. 31—32; P h. A l l f e l d, Der Einflusss der Gesinnung des Verbrechers auf die Bestrafung, Leipzig, 1909, გვ. 23—24 და სხვ. ეს აზრი გაცილებით უფრო

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მოსამზადებელი მოქმედების დასჯილობის საკითხში ჩვენი კოდექსი სუბიექტურ თვალსაზრისს იზიარებს და რომ ამიტომ მცდელობისა და მოსამზადებელი მოქმედების განმარტება და მათი გამიჯვნა ჩვენთვის ყოველივე პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული საკითხია. მაგრამ ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცოტად თუ ბევრად ღრმა ანალიზი გვარწმუნებს ამ აზრის უსაფუძვლობაში.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პოზიციის გასაგებად აუცილებელია მოკლედ შევეხოთ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიას აღნიშნულ საკითხში.

საბჭოთა სოციალისტური სისხლის სამართლის პირველი საკანონმდებლო დადგენილება, რომელიც ეხება დანაშაულის განხორციელების სტადიების საკითხს, არის „რსფსრ-ის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებანი". „სახელმძღვანელო დებულებებში" არა მარტო დატოვებულია ტერმინები „მცდელობა" და „მომზადება", არამედ აგრეთვე მოცემულია ამ ცნებათა განმარტებაც. მაგრამ აღნიშნულ ცნებათა შეტანას „სახელმძღვანელო დებულებებში" არსებითად არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არა ჰქონდა, ვინაიდან „დებულებების" 20 მუხლში პირდაპირ აღნიშნული იყო, რომ „დანაშაულის ჩადენის განზრახვის განხორციელების სტადია თავისთავად ზეგავლენას არ ახდენს რეპრესიის ოდენობაზე, რომელიც განისაზღვრება მხოლოდ დამნაშავის საშიშროების ხარისხით". არ შეიძლება ამიტომ არ დავეთანხმოთ პროფ. გ ე რ ც ე ნ ზ ო ნ ს, რომელიც უსაყვედურებს „სახელმძღვანელო დებულებებს" არათანამიმდევრობას აღნიშნულ საკითხში. „დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის გამიჯვნას,—ლაპარაკობს გ ე რ ც ე ნ ზ ო ნ ი,—თეორიულადაც და პრაკტიკულადაც მარტო მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც სასჯელი განისაზღვრება მოქმედების შესაბამისად ან მოქმედებისა და დანაშაულის საშიშროების შესაბამისად. მაგრამ „სახელმძღვანელო დებულებათა" ავტორებს, რომელნიც აგებდნენ რეპრესიის განსაზღვრის სისტემას მხოლოდ დამნაშავის პიროვნების საშიშროების პრინციპის მიხედვით, დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის მუხლები სრულიადაც არ სჭირდებოდათ"[1].

სულ სხვა პოზიცია დაიჭირა ამ საკითხში რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა. მან გამოაცხადა მოსამზადებელი მოქმედება დაუსჯელად, უკეთუ ასეთი მოქმედება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში, როგორც დანაშაული sui generis. ამ კოდექსისათვის მცდელობისა და მომზადების გამიჯვნას, რა თქმა უნდა, დიდი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ თვით კოდექსი იძლეოდა ორივე ამ ცნების განმარტებას.

სხვა გზას დაადგნენ „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები" 1924 წლისა. „ძი-

---

ადრე გამოსთქვეს რუსეთის კრიმინალისტებმა. იხ. П о л е т а е в, Граница наказуемости покушения: Юрид. вестник; 1863 г. № 11, გვ. 31 და Ф о й н и ц к и й, Мошенничество, 1871, ч. II, გვ. 245.

[1] Г е р ц е н з о н, Руководящие начала по уголовному праву РСФСР 1919 года: журн. „Проблемы социалистического права", 1938, Сб. 3, стр. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითადი საწყისები“ სრულიად არ ხმარობენ ტერმინებს „მცდელობას“ და „მომზადებას“ და, ამის მაგივრად, დამთავრებული დანაშაულის ცნებას ორ პირობებ დაუმთავრებელ დანაშაულს. 11 მუხლი, რომელიც ამ საკითხს შეეხება, ფორმულირებულია ამგვარად: „უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ე. ი. უკეთუ დანაშაულებრივი შედეგი რაიმე მიზეზის გამო არ განხორციელდა, სასამართლომ სოციალური დაცვის ღონისძიების არჩევის დროს... მხედველობაში უნდა მიიღოს...“.

„ძირითადი საწყისების“ 11 მუხლის ასეთმა ფორმულამ („დაწყებული და ბოლომდე მიუყვანელი დანაშაული“) დიდი დავა გამოიწვია ჩვენს სისხლის სამართლის ლიტერატურაში. კრიმინალისტების დიდი ნაწილი იმ თვალსაზრისს დაადგა, რომ „დაწყებული და ბოლომდე მიუყვანელი“ დანაშაულის ცნება გარემოიცავს როგორც მცდელობას, ისე მოსამზადებელ მოქმედებას. მეცნიერთა მეორე ჯგუფი, რომელიც მხედველობაში იღებდა ტერმინის „დაწყებული დანაშაულის“ მსგავსებას მცდელობის ტრადიციულ განმარტებასთან („დანაშაულის განხორციელების დასაწყისი“), იმ აზრს მიემხრო, რომ „ძირითად საწყისებს“ აქ მხედველობაში აქვთ მხოლოდ მცდელობა და რომ ისინი მომზადებას დასასჯელ მოქმედებად არ სთვლიან[1]. ამ აზრთა სხვადასხვაობამ ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე შემდგომ საკანონმდებლო დადგენილებათა განვითარებაზედაც. მაგალითად, უკრაინის სსრ სისხ. სამართლის კოდექსი პირველი განმარტების მიმართულებით წავიდა და დასტოვა მცდელობისა და მოსამზადებელი მოქმედების გამიჯვნა, თანაც ეს უკანასკნელი პრინციპულად დაუსჯელ მოქმედებად გამოაცხადა. პირიქით, რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსი თუმცა ხმარობს ტერმინებს „მომზადება“ და „მცდელობა“, მაგრამ ამავე დროს აღიარებს მოსამზადებელი მოქმედების დასასჯელობას. ამჟამად მოქმედი რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 19 მუხლი ფორმულირებულია ამგვარად: „რაიმე დანაშაულის მცდელობა, აგრეთვე დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება, როგორიც არის: დანაშაულის ჩასადენად იარაღის ან სხვა საშუალების გამონახვა და მომარჯვება ან პირობების შექმნა, იდევნება ისევე, როგორც დამთავრებული დანაშაული“...

„ძირითადი საწყისების“ 11 მუხლის სხვადასხვანაირად გაგებას ბოლო მოუღო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს 20 პლენუმის დადგენილებამ, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა 1928 წლის 31 ოქტომბერს. ეს დადგენილება, ალბათ იმ მიზნით, რათა შეუთანხმოს „საწყისების“ 11 მუხლი რსფსრ-ის სის. სამ. კოდექსის 19 მუხლს, განმარტავს, რომ „ძირითადი საწყისების“ 11 მუხლი, როდესაც იგი „დაწყებულ დანაშაულზე“ ლაპარაკობს, არ განასხვავებს დაწყებული დანაშაულის ისეთ სტადიებს, როგორიცაა მცდელობა და მომზადება, და, მაშასადამე, 11 მუხლის საფუძ-

[1] იხ., მაგალითად, ნ ე მ ი რ ო ვ ს კ ი: „...ძირითად საწყისებს“ აქ მხედველობაში აქვთ მცდელობა, რომელსაც კოდექსებში და, ჩვეულებრივად, თეორიაშიც, განსაზღვრავენ ხოლმე როგორც დანაშაულებრივი ქმედობის განხორციელების დასაწყისს... მაშასადამე, მომზადებას 11 მუხლი არ ითვალისწინებს...“ (Немировский, Новейшие изменения советского уголовного законодательства, 1927, стр. 11).

ველზე დასასჯელად უნდა ჩაითვალოს დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედებაც. ამის შესაბამისად 1929 წელს სათანადო ცვლილება შეაქვთ უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსშიაც, რომელიც თუმცა დატოვებს ტერმინებს „მცდელობას“ და „მომზადებას“, მაგრამ ამავე დროს გამოაცხადებს დასასჯელად თვით ამ უკანასკნელსაც. ცოტა თავისებურად არის რედაქტირებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19 მუხლი: „უკეთუ დაწყებული დანაშაული, თუნდაც იგი მოსამზადებელი მოქმედებით გამოიხატოს, როგორიც არის: დანაშაულის ჩასადენად იარაღის ან სხვა საშუალების გამონახვა და მომარჯვება ან პირობების შექმნა და სხვ., ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ე. ი. ქმედობას, რაიმე მიზეზის გამო, დანაშაულებრივი შედეგი არ მოჰყვა, სასამართლომ სოციალური დაცვის იმ ღონისძიების არჩევის დროს, რაც ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული, მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ რამდენად საშიშია დანაშაულის ჩამდენი და რამდენად განხორციელებულ იქნა დანაშაულებრივი განზრახვა“. თუმცა ტერმინი „მცდელობა“ აქ ნახმარი არ არის, მაგრამ მუხლის გამოთქმა „თუნდაც იგი მოსამზადებელი მოქმედებით გამოიხატოს“—უპირისპირებს მოსამზადებელ მოქმედებას ისეთ „დაწყებულ დანაშაულს“, რომელიც უბრალო მომზადებას აღემატება [1].

ამგვარად, ერთი მხრით, თითქმის ყველა მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი ინარჩუნებს მცდელობისა და მოსამზადებელი მოქმედების ცნებებს; ხოლო, მეორე მხრით, დანაშაულის ჩადენის ამ ორივე სტადიას დასასჯელად აცხადებს. ხომ არ არის აქ ერთგვარი შეუსაბამობა? და ხომ არ იყო მართალი პროფესორი ტრაინინი, როდესაც იგი 1929 წელს ამტკიცებდა, რომ „საბჭოთა კანონმდებლობის სისტემაში... მცდელობისა და მომზადების განსხვავებას მეტად მცირე მნიშვნელობა აქვს: რამდენადაც მე-19 მუხლი დასასჯელი წინასწარი მოქმედების მთელ სფეროს გარემოიცავს, რამდენადაც, შემდეგ, „დანაშაულის მომზადების ხარისხი და მისი შედეგების განხორციელების სიახლოვე“ სასამართლოს თავისუფალი შეფასების საგანს შეადგენს, იმდენად „მცდელობისა“ და „მომზადების“ ცნებების ხმარებას არსებითად ყოველივე საფუძველი ეცლება; აქ უფრო მეტია ტრადიციის პატივისცემა, ვიდრე რეალური მდგომარეობის გათვალისწინება“ [2]. ამის შესაბამისად, პროფ. ტრაინინის აზრით 19 მუხლი ამგვარად უნდა იქნას რედაქტირებული: „პიროვნების

[1] ამ საკითხის ისტორია, გარდა პროფ. ტრაინინისა და პროფ. პიონტკოვსკის საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოებისა, გადმოცემულია შემდეგ შრომებში: Мокринский, Приготовление и покушение в советском праве: Советская юстиция, 1927. № 1, გვ. 60—63; Ветвинский, Расхождения между уголовным кодексом УССР и общесоюзным уголовным законодательством: Советская юстиция, 1937, № 12, გვ. 34; Герцензон, Руководящие начала по уголовному праву РСФСР 1919 года: Проблемы социалистического права, 1938, კრებ. 3, გვ. 18; Уголовное право, ч. общая, изд. ВИЮН, Москва, 1939, გვ. 223—225.

[2] Трайнин, Уголовное право, ч. общая 1929 г., стр. 328—329. ასეთსავე აზრს გამოსთქვამს Мокринский: „მომზადებისა და მცდელობის სფეროთა შეერთება აადვილებს მოსამართლის ამოცანას, ვინაიდან ათავისუფლებს მას მათ შორის საზღვრის მოძებნის აუცილებლობისაგან და ერთი კალმის მოსმით აუქმებს იმ მრავალრიცხოვან თეორიებს, რომელნიც ამ ზიზნით იყო შექმნილი“... (დასახ. წერილი, გვ. 65).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება, მიმართული შედეგზე, რომელსაც ეს შედეგი არ მოჰყვა, იდევნება ისევე, როგორც დამთავრებული საზოგადოებრივად საშიში მოქმედება“ [1]. ამ ციტატებიდან თვით ტერმინებიც კი „მცდელობა“ და „მომზადება“ გაძევებულია.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, პროფ. ტრაინინის ასეთი აზრი ვერ ჰპოულობს გამართლებას მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსებში [2], ხოლო საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურის განვითარებამ ამ საკითხში საესებით დაამტკიცა მისი უსაფუძვლობა. მაშ რით აიხსნება ის, რომ საბჭოთა რესპუბლიკების სის. სამ. კოდექსები, ერთი მხრით, დასაშვებად სთვლიან მოსამზადებელი მოქმედების დასჯას, მაგრამ, მეორე მხრით, სტოვებენ მცდელობისა და მომზადების ცნებებს და, ამგვარად, წინადადებას აძლევენ მოსამართლეს თითოეულ ცალკე შემთხვევაში გადასწყვიტოს ის საკითხი, თუ დანაშაულის განხორციელების რა სტადიაზე შეჩერდა ქმედობა? რით აიხსნება ის დაჟინებითი მოთხოვნები უკანასკნელი დროის საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, რომ საერთო საკავშირო სისხლის სამართლის კოდექსის ახალ პროექტში მოცემულ იქნას „არა მარტო მომზადების განმარტება, როგორც ამას ადგილი აქვს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსებში, არამედ დანაშაულის მცდელობის განმარტებაც [3]. რით აიხსნება, რომ ამ კოდექსის პროექტების უკანასკნელი ვარიანტები მართლაც ცდილობენ ასეთი განმარტების მოცემას.

[1] Трайнин, იქვე, გვ. 329.

[2] ახლა უკვე ამას გრძნობს თვით პროფ. ტრაინინიც. იხ. მისი წერილი— Опыт комментария ст. ст. 10 и 16—19 Уголовного колекса РСФСР: Советская юстиция, 1940 г. № 7

[3] Голяков, Основные проблемы науки советского социалистического права: Проблемы социалистического права, 1939, № 3, გვ. 123.

სხვათა მორის, ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით თვით კანონში ზუსტად გამიჯვნა მცდელობისა და მომზადებისა შეუძლებელია, ვინაიდან მომზადება ხშირად გადადის მცდელობაში და მთელ რიგ მოქმედებას შუალედი ადგილი უჭირავს მათ შორის. ჩვენს ლიტერატურაში ამ თვალსაზრისს იზიარებენ როგინსკი და კარნიცკი (იხ. „Уголовный кодекс РСФСР“, 1936, გვ. 61), რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში—პროფ. სერგეევსკი, რომლის აზრით, „ის საკითხი, თუ სად თავდება მომზადება და სად იწყება მცდელობა, არ შეიძლება თეორიულად იქნას გადაჭრილი (იხ Сергеевский, Русское уголовное право, 1915, გვ. 302). უცხოეთის ლიტერატურაში ამავე შეხედულებას იზიარებდა ლისტი, რომელიც აღნიშნავდა, რომ კანონს არ შეუძლია აქარავითარი სახელმძღვანელო კრიტერიუმის მოცემა და იმ საკითხის გადაჭრა, თუ სად არის მომზადება და სად—მცდელობა, უფრო მიზანშეწონილი იქნება მიენდოს სასამართლოს შეხედულებას (Лист, Учебник уголовного права, пер. с 12 н. изд., 1903, გვ. 221; მე-XVIII გერმ. გამოცემაში ლისტი ამ საკითხს სრულიად არ ეხება). დაახლოებით ასევე მსჯელობას Prins, op. cit., გვ. 132 და Finger, op. cit., გვ. 310.

ჩვენს აზრით მცდელობისა და მომზადების განმარტება თვით კანონში სავსებით მიზანშეწონილი იქნებოდა. ვინაიდან სისხლის სამართლის ღირსებას შეადგენს მისი კონსტრუქციების მკაფიო ხასიათი, მის განმარტებათა სიზუსტე და გარკვეულობა. ხოლო ასეთი ძირითადი და რთული ცნებების განმსაზღვრელი კრიტერიუმის მოძებნის დაკისრება მოსამართლისათვის, ერთის მხრით, მისთვის მეტად მძიმე ამოცანა იქნება, ხოლო, მეორე მხრით, ეს ძირს გამოუთხრის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მასშტაბების ერთიანობას. როგორც პროფ. ტაგანცევი აღნიშნავს, საკითხის ასეთი გადაწყვეტა სინამდვილეში სიძნელეთა გვირდის ავლაა (იხ. Таганцев, Курс, ч. общ., отд. III, 1878, გვ. 155, აგრეთვე Лекции, т. I, 1902 г. გვ. 690—691). ანალოგიურ აზრს გამოსთქვამს აგრეთვე პოზნიშევი (იხ. Познышев, Основные начала науки уголовного права, Москва, 1912, გვ. 347—348).

მაგრამ, მეორე მხრით, არც საკანონმდებლო ფორმულების გადაჭარბებით შეფასება

ახლოს მივიდა ამ ამოცანის გასაღებთან პროფ. მ ო კ რ ი ნ ს კ ი. იგი იღებს ნულ მოვლენას ასე ხსნის: „როდესაც საქმე გვაქვს ისეთ მოქმედებასთან, რომელსაც ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ა დ მცდელობად სთვლიან ხოლმე, მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათის საკითხის გადაწყვეტისათვის არ არის საჭირო ჩაფიქრება, მაგრამ როდესაც ისეთი მოქმედების ნიშნები გვაქვს, რომელსაც ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ა დ მომზადებას აკუთვნებენ, სასამართლომ ფრთხილად უნდა გადაჭრას საკითხი, არის თუ არა მოქმედება სოციალურად საშიში და პოლიტიკურად მიზანშეწონილია თუ არა სისხლის სამართლის ღონისძიებათა ხმარება [1].

ამგვარად, პროფ. მ ო კ რ ი ნ ს კ ი თავის მსჯელობას ტრადიციას ამყარებს, მაგრამ მან ვერ ახსნა ამ ტრადიციის ძირითადი მიზეზი. მცდელობის დანაშაულებრივი ხასიათის საკითხის გადაჭრას „არ სჭირდება ჩაფიქრება“ სწორედ იმიტომ, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმასრულებელი მოქმედების არსებობის დადასტურება ნიშნავს ამავე დროს მისი საშიშროების დადასტურებას, რაც არ შეიძლება ითქვას, საერთო წესით, მოსამზადებელ მოქმედებაზე.

ამ აზრის სისწორეს სავსებით ადასტურებს ჩვენი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც სჯის მოსამზადებელ მოქმედებას მეტად იშვიათ შემთხვევაში [2]. და თვით პროფ. ტ რ ა ი ნ ი ნ ი ც, რომელსაც სურდა ყოველივე ზღვარი წაეშალა მომზადებასა და მცდელობას შორის, იმავე სახელმძღვანელოში, იძულებულია აღიაროს, რომ „დასაწყისმა მოქმედებამ, მიმართულმა ხელყოფის ჩადენაზე, ცხოვრებაში რა თქმა უნდა, **მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში** შეიძლება გამოიწვიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“ [3].

VII

მცდელობის დასასჯელობის საფუძვლის დადგენისა და მისი არსის გამორკვევის შემდეგ საჭიროა შევჩერდეთ უვარგის მცდელობაზე, რომლის ბუნებაც იურიდიულ ლიტერატურაში მეტად სადავოა. ამ საკითხს მცდელობის პრობლემაში იმდენად დიდი ადგილი უჭირავს, რომ ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით სუბიექტურსა და ობიექტურ თეორიებს შორის გამართული დავის საფუძველი სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. მაგალითად, M. E. Mayer-ის აზრით „სუბიექტურ თეორიას ალბათ არავინ არ მიემხრობოდა, რომ ამას საჭიროდ არ სთვლიდეს უვარგისი მცდელობის საკითხისათვის“ [4].

ვარგა. კონკრეტული სინამდვილის მთელი მრავალგვაროვნების პირობებში საკანონმდებლო ფორმულა არ შეიძლება ყოველთვის იყოს აბსოლუტურად ზუსტი კრიტერიუმი მოსაზღვრე ცნებათა გამიჯვნისათვის. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ს პ ა ს ო ვ ი ჩ ი, „კანონმდებელი არ შეიძლება შეეხოს წვრილმანებს, არამედ იგი უნდა დასჯერდეს იმას, რომ გამოიმუშაოს პრინციპი; ხოლო მეცნიერების საქმეა—ცალ-ცალკე განიხილოს თითოეული დანაშაული, აღნიშნოს თუ სად იწყება ამ დანაშაულის მცდელობა და როდის გადადის იგი შესრულებაში (С п а с о в и ч, Учебник уголовного права, 1863, გვ. 134).

[1] М о к р и н с к и й, ციტ. სტატია, გვ. 65.

[2] იხ. Уголовное право, общая ч., 1939, გვ. 226 და 229, აგრეთვე Коментарий к уголовному кодексу, 1941, გვ. 27.

[3] Т р а й н и н, დას. სახელმძღვ., გვ. 331 (ხაზი ჩემია—თ. ₹.).

[4] M. E. M a y e r, Versuch und Teilnahme, გვ. 334.

Digitized by Google

მცდელობის ცნების გამორკვევას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მცდელობისა და მოსამზადებელი მოქმედების გამიჯვნისათვის, არამედ ეკრუთვე უვარგისი მცდელობის არსის გამორკვევისთვისაც. ის, ვინც მცდელობას ობიექტური ნიშნების მეშვეობით განმარტავს, ლოგიკური აუცილებლობით იძულებული იქნება უვარგისი მცდელობის საკითხშიაც ობიექტური თეორიის თვალსაზრისი გაიზიაროს. პირიქით, იმისათვის, ვინც მცდელობის დასასჯელობის საფუძველს დამნაშავის საშიშ ნებაში ეძებს, საზღვარი დასასჯელ მცდელობასა და უვარგის მცდელობას შორის სწორედ ამ ნიშნის მიხედვით უნდა იქნას გავლებული[1].

მაგრამ ყველა კრიმინალისტი როდი სთვლის ამ დასკვნას უდავოდ. შეიძლება მოვიყვანოთ მთელი რიგი მაგალითები, როდესაც მცდელობისა და მოსამზადებელი მოქმედების გამიჯვნის დროს ობიექტურ თეორიას ემყარებიან, ხოლო უვარგისი მცდელობის საკითხში სუბიექტური თეორიის თვალსაზრისზე დგანან[2]. ასეთი არათანამიმდევრობის მაგალითს წარმოადგენს პროფ. პ ი ო ნ ტ კ ო ვ ს კ ი ს მსჯელობა „საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს“ ზოგად ნაწილში (1929 წ.) და, შემდეგ, ВИЮН-ის მიერ გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში (1939 წ.). პროფ. პ ი ო ნ ტ კ ო ვ ს კ ი, ერთი მხრით, განმარტავს მცდელობას, როგორც მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე, თანაც მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს წ ა რ მ ა რ თ ვ ა მ ა ს ობ ი ე ქ ტ ურ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ობ ი თ ე ს მ ი ს[3]; მეორე მხრით, უვარგისი მცდელობის დასასჯელობის საკითხის განხილვის დროს იგიამტკიცებს, რომ „უვარგისი წინასწარი დანაშაულებრივი მოქმედების უმრავლესი შემთხვევა სავსებით იმგვარადვე ადასტურებს დამნაშავის სოციალურ საშიშროებას, როგორც ყოველი სხვა, ვარგისი დანაშაულებრივი მოქმედება“, რის გამოც, „უვარგისი

---

[1] ამიტომ სავსებით მართებულია C é r m a n n-ის შემდეგი სიტყვები: „ესსაზღვარი სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, თუ რა ითვლება მცდელობის დასასჯელობის საფუძვლად“ (იხ. G e r m a n n, op. cit., გვ. 3).

[2] სხვათა შორის, არიან ისეთი კრიმინალისტებიც, რომელნიც ორივე ამ საკითხში ობიექტურ თვალსაზრისს იზიარებენ, მაგრამ ამავე დროს შესაძლებლად სთვლიან ამ ორი საკითხის პრინციპულად სხვადასხვაგვარ გადაჭრას. მაგალითად, W. Loeb-ის აზრით „აღსრულების დაწყების საკითხში შეიძლება მივემხროთ ობიექტურ თეორიას, ხოლო უვარგისი მცდელობის საკითხში—სუბიექტურს“, და „ეს შეუთანხმებლობა, რომელიც პირველი შეხედვით განმაცვიფრებელ შთაბეჭდილებას სტოვებს, არც ისეთი უაზრობაა“ (L o e b, Der Versuch... გვ. 12, 13; ამ აზრის წინააღმდეგ იხ. M. E. M a y e r, Versuch und Teilnahme, გვ. 335, 337—338).

[3] იმ გარემოებას, რომ პროფ. პ ი ო ნ ტ კ ო ვ ს კ ი ს ეს ფორმულა ესმის არა როგორც მოქმედება, მიმართული დანაშაულებრივი გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ი ს შესრულებაზე, არამედ როგორც მოქმედება, მიმართული დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ს შესრულებაზე, ადასტურებს მის მიერ მოტანილი მაგალითები (თოფის დამიზნება, ხელის გაშვერა ნივთისაკენ და სხვ. მისთ.). მცდელობის ასეთი განმარტება არის ერთ-ერთი სახესხვაობა მცდელობის ჩვეულებრივი „გაგებისა, როგორც „დანაშაულის განხორციელების დასაწყისისა“; ჩვენის აზრით, ეს ფორმულა უფრო სუსტია, ვიდრე, მაგალითად, „თავდასხმა უფლებრივ სიკეთეზე“, ვინაიდან, როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს M. E. M a y e r‘ი, „უშუალოსა და მეშვეობითის დაპირისპირებას ყოველთვის ახასიათებს ერთგვარი გაურკვევლობა“ (Versuch und Teilnahme, გვ. 335).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცდელობის დასჯილობის საკითხი საერთო წესით დადებითად უნდა გადაწყდეს[1].

ჩვენის აზრით, უკეთუ მცდელობის დამახასიათებელი ნიშნები გარკვევით დადგენილია, არ შეიძლება ვცნოთ მცდელობა იქ, სადაც ეს ნიშნები არ არის. ამიტომ, როდესაც პროფ. პიონტკოვსკი უვარგისი მცდელობის დასასჯელობის საკითხში სუბიექტურ თეორიას ემხრობა, ამით იგი ღალატობს მცდელობის ობიექტურ გაგებას, რომელიც მან რამდენიმე გვერდით უფრო ადრე განავითარა.

ამგვარად, უვარგისი მცდელობის საკითხის გამოკვლევის დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვუპასუხოთ შემდეგ კითხვაზე: ახასიათებს თუ არა მას ის ნიშნები, რომელნიც წარმოადგენენ საერთოდ მცდელობის აუცილებელ მომენტებს? ეს კითხვა იდენტურია შემდეგი კითხვისა: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს უვარგისი მცდელობა მცდელობად იურიდიული მნიშვნელობით? ან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს W. Loeb, „ის კი არ უნდა გამოვიკვლიოთ, არის თუ არა უვარგისი მცდელობა დასასჯელი, არამედ ის, არის თუ არა იგი საერთოდ მცდელობა. პასუხი ამ უკანასკნელ კითხვაზე გადაჭრის მისი დასასჯელობის საკითხსაც“[2]. მიუხედავად ამისა, მცდელობის სუბიექტური გაგების მიმდევრები საკითხს სწორედ ამის საწინააღმდეგოდ აყენებენ და უსაყვედურებენ კიდევაც ობიექტივისტებს, რომ მათ ვერ გაუგიათ ის ამოცანები, რომელნიც დგანან სისხლის სამართლის მეცნიერების წინაშე უვარგის მცდელობასთან დაკავშირებით. მაგალითად, Bierling'ი აღნიშნავს, რომ „სუბიექტივიზმის მოწინააღმდეგეთ არ ესმით, თუ ცნებათა როგორ აღრევაში მიუძღვით მათ ბრალი; ისინი, სახელდობრ მცდელობის **ცნების** საკითხს ურევენ მცდელობის **დასასჯელობის** საკითხში“[3].

საკითხის ამგვარად დაყენება სუბიექტივისტების მხრით შემთხვევითი მოვლენა როდია. იგი გამოწვეულია იმით, რომ მათ სურთ შეუთანხმონ მცდელობის სუბიექტური გაგებიდან გამომდინარე დასკვნები მართლშეგნების მოთხოვნებს და ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებებს. ერთის მხრით, სუბიექტური თეორიების მიხედვით ყოველი მოქმედება, რომელშიაც გამომჟღავნდა პიროვნების დანაშაულებრივი განზრახვა, თუნდაც რომ აბსოლუტურად უვარგისი საშუალებით იყოს ჩადენილი ან აბსოლუტურად უვარგის ობიექტზე მიმართული, უნდა ჩაითვალოს მცდელობად სისხლის სამართლის მნიშვნელობით, ე. ი. დანაშაულებრივ მცდელობად. მაგრამ, მეორე მხრით,—რათა თავიდან აიცილონ პრაქტიკული თვალსაზრისით მიუღებელი და მართლშეგნებისათვის შეუსაბამო დასკვნები, ისინი იძულებული არიან აღიარონ, რომ სულ სხვაა—რაიმე მოქმედებაში მცდელობის სისხლის-სამართლური ნიშნების აღიარება და სულ სხვაა—მისი გამოცხადება დასასჯელ მოქმედებად.

---

[1] Пионтковский, Советское уголовное право. Общая часть. 1929, გვ. 299; იხ. აგრეთვე Уголовное право, общая часть, изд. ВИЮН, 1939, გვ. 232.

[2] W. Loeb, op. cit., გვ. 16.

[3] Bierling, op. cit., III, გვ. 132.

იმას, რომ საერთო წესით დასჯილ უნდა იქნას უვარგისი მცდელობაც, სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები აშკარად აღიარებენ. მაგალითად, Germann'ი აცხადებს, რომ „თუ მცდელობა ისჯება იმის გამო და იმდენად, რამდენადაც იგი დანაშაულებრივ ნებას შეიცავს, მაშინ ჩვეულებრივ მცდელობასთან ერთად უნდა დაისაჯოს, კერძოდ, უვარგისი მცდელობაც"[1]. მეორე სუბიექტივისტი, Bierling'ი[2], დიდის აღტაცებით იხსენიებდა გერმანიის საიმპერიო სასამართლოს სისხლის-სამართლის საკასაციო განყოფილების პრაქტიკას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უვარგისი მცდელობის დასასჯელობის საკითხში სუბიექტურ თვალსაზრისს ატარებდა. რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში უვარგისი მცდელობის დასასჯელობას მოითხოვდა პროფ. კ ო ლ ო კ ო ლ ო ვ ი. უვარგისი საშუალებებით ჩადენილ მცდელობასა და მცდელობის ჩვეულებრივ შემთხვევებს შორის, მისი აზრით, არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება, რომელიც გაამართლებდა მცდელობის ამ ორი სახის სხვადასხვაგვარად განსჯას. ვინაიდან „უვარგისი საშუალებებით მცდელობის დროს ჩვენ ისეთივე უფლება გვაქვს დავადასტუროთ სუბიექტის მიდრეკილება აღნიშნული დანაშაულის ჩადენისაკენ და, მაშასადამე, მისი სერიოზული საშიშროება საზოგადოებისათვის, როგორც conatus-ის ჩვეულებრივი შემთხვევების დროს"[3]. ასეთივე შეხედულების არის პროფ. კ ო ლ ო კ ო ლ ო ვ ი უვარგის ობიექტზე მცდელობის შესახებაც. „თავის თავად ცხადია,—ამბობს იგი,—რომ იმ ობიექტის უვარგისობა, რომლის მიმართაც შესრულდა დანაშაულებრივი მოქმედება, სრულიადაც არ გვართმევს უფლებას აღვიაროთ, რომ დამნაშავეს უ ე ჭ ვ ე ლ ა დ აქვს უ ნ ა რ ი მ ა რ თ ლ წესრიგის დარღვევისა და რომ, ამგვარად, იგი სერიოზულ ს ა ფ რ თ ხ ე ს წარმოადგენს საზოგადოებისათვის. ამიტომ ცხადია, რომ თუ ჩვენ სწორი შეხედულება გვაქვს დაუმთავრებელი დელიქტის დასჯილობაზე, მაშინ სისხლის სამართლის რეაქცია უნდა შევუფარდოთ უვარგის ობიექტზე მცდელობასაც"[4].

ამგვარად, მცდელობის სუბიექტური თეორიის თვალსაზრისით უნდა ვცნოთ, რომ ქალი, რომელიც ცდილობდა მოეწამლა თავისი ქმარი შაბის მეშვეობით, დამნაშავეა მკვლელობის ცდაში[5], ან და ფეხმძიმე ქალი, რომელიც ცდილობდა მოეშალა მუცელი წითელი ღვინის მეშვეობით, დამნაშავეა აბორტის მცდელობაში[6]. ვინაიდან თავისი სულიერი განწყობილების მხრით ისინი ისევე საშიშნი არიან, როგორც ის პირები, რომელნიც თავიანთი მიზნების მისაღწევად სავსებით გამოსადეგ საშუალებას მიმართავენ. „ჭკუის ნაკლებო-

---

[1] Germann, op. cit., გვ. 148—149; იხ. აგრეთვე Prins, op. cit., გვ. 143.

[2] Bierling, Juristische Prinzipienlehre, III, გვ. 132.

[3] Колоколов, К учению о покушении, 1884, გვ. 231.

[4] იქვე, გვ. 232.

[5] შემთხვევა რუსეთის რევოლუციამდელი სასამართლო პრაქტიკიდან, სენატის გადაწყვეტილება ლოდიგინას ქალის საქმეზე. იხ. Уголовное уложение. Проект редакционной комиссии и об'яснения к нему, т. I, 1897, გვ. 434.

[6] გერმანიის საიმპერიო სასამართლოს 1880 წ. 30-III-ის დადგ. იხ. Проект ред. комиссии Угол. уложения, ტ. I, გვ. 391.

ბას, რის გამოც ისინი მათ მიერ ხმარებულ საშუალებებს სავსებით ვარგის საშუალებად თვლიდნენ, ძალიან ნაკლები მნიშვნელობა აქვს მათი ნების მიმართულებასთან შედარებით. ინტელექტუალური დეფექტი აქ სავსებით იფარება მორალური დეფექტით“ [1]. სუბიექტურმა თეორიამ დასასჯელად უნდა ჩათვალოს აგრეთვე ის ქალი, რომელიც თავისთავს შეცდომით ფეხმძიმედ თვლიდა და ცდილობდა მოეცილებია სინამდვილეში არარსებული ნაყოფი, ან და ქალი, რომელიც ცდილობდა მოეკლა თავისი ახლად დაბადებული ბავშვი, ბავშვი კი მკვდრადშობილი აღმოჩნდა [2]. ყველა ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი ნება თავისი ინტენსიობით არაფრით არ ჩამოუვარდება იმ სუბიექტის ნებას, რომელიც ცდილობს ჩაიდინოს დანაშაული სავსებით ვარგისი ან ნამდვილად არსებული ობიექტის მიმართ. სუბიექტური შეხედულების თანახმად სრულიად თანამიმდევარი იქნებოდა ისეთი შემთხვევების დასჯაც, რომელნიც თვით სუბიექტივისტების აზრითაც „ფიზიკური და ფსიქიკური მიზეზობრიობის გარეშე დგანან“, მაგრამ უეჭველად მოწმობენ, რომ დანაშაულის ჩამდენს ისეთივე მტკიცე დანაშაულებრივი ნება აქვს, როგორც იმას, ვინც დანაშაულის განსახორციელებლად, ჩვეულებრივ, ნორმალურ საშუალებებს მიმართავს. მე მხედველობაში მაქვს ისეთი საშუალებანი, რომელთა ხმარებაც შესაძლებელი იყო მხოლოდ პიროვნების ცრუმორწმუნეობისა და სრული უვიცობის გამო, მაგალითად, შელოცვა, და სხვა მისთანა.

მაგრამ სინამდვილეში სუბიექტივისტები ასე შორს არ მიდიან და ვერ ბედავენ ასეთი უკიდურესი დასკვნის გამოტანას. უმრავლესობა იძულებულია აღიაროს ამგვარი შემთხვევების დაუსჯელობა, რათა თავიდან აიცილოს მართლშეგნების საწინააღმდეგო და, ხშირად, აბსურდული გადაწყვეტილებანი. თანაც თავიანთი ულოგიკობისა და არათანამიმდევრობის დასაფარავად ისინი იძულებული არიან მიმართონ სხვადასხვაგვარ, მეტად ხელოვნურ მსჯელობას [3]. მაგალითად, ზოგიერთი სუბიექტივისტი ამტკიცებს, რომ ცრუმორწმუნე საშუალებების ხმარების დროს ჩვენ უნდა დავუშვათ სუბიექტის შერაცხვაუუნარობის პრეზუმპცია [4]. მაგრამ ცრუმორწმუნეობა სრულიადაც არ არის ადამიანის შერაცხვაუუნარობის დამამტკიცებელი საბუთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს Germann'ი, „წარსული საუკუნეების მოსახლეობის ნახევარი შერაცხვაუუნაროდ უნდა ჩაგვეთვალა“ [5]. სუბიექტივისტთა მეორე ჯგუფი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამგვარი საშუალებების ხმარების დროს არ არსებობს ნამდვილი ნება დანაშაულის ჩადენისა, რომ აქ ჩვენ გვაქვს მხოლოდ უბრალო სურვილი, მაგრამ ეს სურვილი თავისთავად

---

[1] Overbeck, op. cit., გვ. 21.

[2] გერმანიის საიმპერიო სასამართლოს სის. სამ. განყ-ბის 1880 წ. 10/VI-ის დადგენილება. იხ. Уголовное уложение. Проект редакционной комиссии, ტ. I, გვ. 391.

[3] ამ გარემოებას არ ჰმალავენ ზოგიერთი სუბიექტივისტებიც. იხ. მაგალითად, Germann, op. cit., გვ. 60.

[4] იხ. მაგალითად, Колоколов, К учению о покушении, გვ. 232; ნაწილობრივ Спасович, Учебник уголовного права, ტ. I, 1863, გვ. 138.

[5] Germann, op. cit., გვ. 61.

საკმარისი არ არის განზრახვის არსებობის დასამტკიცებლად. განზრახვისათვის აუცილებელია სერიოზული ნება, რომელიც არ შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც დამნაშავეს არა აქვს სწორი წარმოდგენა მიზეზობრიობის კავშირზე მოქმედებასა და მის შედეგს შორის[1]. ამის საწინააღმდეგოდ სავსებით სამართლიანად ამბობენ, რომ აღნიშნულ შემთხვევებში სუბიექტს აკლია არა ნება, არამედ ცოდნა. „ის, ვინც ცრუმორწმუნე საშუალებებს მიმართავს, იმგვარადვეა დარწმუნებული მათ სინამდვილეში, როგორც ყოველი სხვა პირი, რომელიც დანაშაულის განსახორციელებლად სავსებით ცნობილ საშუალებებს ხმარობს. მას შეიძლება ისეთივე ინტენსიობით სურდეს დანაშაულის ჩადენა, როგორც ყოველ სხვა დამნაშავეს“[2]. დაბოლოს, განზრახვისათვის სრულიადაც არ არის საჭირო, რომ დამნაშავეს ჰქონდეს წარმოდგენა შესრულების ყოველი წვრილმანის თაობაზე; საკმაოა, თუ სუბიექტი ზოგადად მაინც ითვალისწინებს მიზეზობრიობის კავშირს თავის მოქმედებასა და მის შედეგს შორის[3].

სუბიექტივისტების მესამე ჯგუფი აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დაუსჯელობის საფუძველს იმ პიროვნების ნების უშიშროებაში ეძებს, რომელიც ასეთ საშუალებებს მიმართავს. მაგალითად, Germann'ი თვლის, რომ „სიმპათეტიკური მცდელობის დროს არსებობს პრეზუმპცია უვნებელი ნებისა, ხოლო მცდელობის სხვა შემთხვევებში—პრეზუმპცია საშიში და, მაშასადამე, დასასჯელი ნებისა“[4]. მაგრამ ეს მოსაზრებაც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. იმ გარემოებიდან, რომ პიროვნების განზრახვა განუხორციელებელია, სრულიადაც არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს მის ნებას ამის გამო საკმაო სიმტკიცე არ ჰქონდეს. ამ მხრით სავსებით შეიძლება დავეთანხმოთ M. E. Mayer-ს, რომელიც ამბობდა: „ფეხმძიმე ქალს, რომელიც ცდილობს მოიშალოს მუცელი უვარგისი საშუალებით, ცრუმორწმუნე კაცს, რომელიც სასაფლაოს ეზოში ღამე ჩამარხავს თავისი მტრის პერანგს..., ყველა ამ, ჩვენთვის ცნობილ ფიგურას ამოძრავებს დანაშაულებრივი ნება, რომელიც არ შეიძლება უმნიშვნელოდ ჩაითვალოს“[5]. და თუ სუბიექტის სოციალური საშიშროება იმით განიზომება, შეიძლება თუ არა მოველოდეთ მისგან მომავალში ამგვარი მოქმედების განმეორებას, მაშინ ამ მხრით ის პირი, რომელიც ცრუმორწმუნე საშუალებებს მიმართავს, არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, ვინც სავსებით გამოსადეგ საშუალებას ხმარობს. ვის შეუძლია მოგვცეს იმის გარანტია, რომ პიროვნება, რომელიც ცდილობს მოსპოს თავისი მტერი ზებუნებრივი ძალების მეშვეობით, არ გაიმეორებს თავის ცდას ეფექტური საშუალებით, როდესაც დარწმუნდება წინათ ხმარებული საშუალების უვარგისობაში? ასეთი პიროვნება, როგორც სამართლიანად აღნიშნავს Overbeck'ი, საუკეთე-

---

[1] ასეთ შეხედულებას იზიარებდნენ Buri და აგრეთვე Bar'ი. მითითება ამ ავტორებზე იხ. Germann, op. cit., გვ. 62; Круглевский, Учение о покушении, т. II, გვ. 395—396, Таганцев, Курс, წ. 1, განყ. III, გვ. 223—224.

[2] Круглевский, Учение о покушении, ტ. II, 396—397.

[3] Таганцев, Курс, წ. 1, განყ. III, გვ. 224; Germann, op. cit., გვ. 63.

[4] Germann, op. cit., გვ. 153.

[5] M. E. Mayer, დასახ. სტატია, გვ. 341.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სო ობიექტია სპეციალური პრევენციისათვის. „როგორც მორალური, ისე ინტელექტუალური მხრით გამოსწორება და შთაგონება აქ სავსებით გამოსადეგი და საიმედო იქნებოდა“ [1].

დაბოლოს, სუბიექტური თეორიის თანამიმდევრობით განხორციელება მოითხოვს აგრეთვე ე. წ. პუტატიური დელიქტების დასჯას. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც პიროვნება დარწმუნებულია თავისი მოქმედების დასასჯელ ხასიათში, თუმცა სინამდვილეში ეს მოქმედება დანაშაულს არ წარმოადგენს: მაგალითად, უკეთუ ჩვენში ქალი, რომელიც ქმარს ღალატობს, შეცდომით ფიქრობს, რომ იგი სჩადის სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობას. „ვინაიდან,—ამბობს Набоков'ი,—თვით სახელწოდება: delictum putativum—გვიჩვენებს, რომ დანაშაული აქ მოქმედი პირის ფსიქიკაშია მოცემული, ის, ვინც მის მიერ ჩადენილ მოქმედებას შეცდომით დანაშაულად თვლის, სუბიექტივისტური თვალსაზრისით იმგვარადვეა სასჯელის ღირსი, როგორც იქნებოდა მაშინ, რომ არ ცდებოდეს“ [2].

მაგრამ სუბიექტივისტები ვერ ჰბედავენ ასეთი დასკვნის გაკეთებას. თანაც ისინი ცდილობენ დაასაბუთონ პუტატიური დელიქტების დაუსჯელობა იმით, რომ განზრახვა უნდა გარემოიცავდეს კონკრეტულ, სასჯელით დამუქრებულ დანაშაულებრივ ქმედობას, ამ შემთხვევაში კი არა გვაქვს სწორედ დანაშაულის შემადგენლობა. ამიტომ ნება აქ, მათი აზრით, არ შეიძლება საშიშად ჩაითვალოს. ასე მსჯელობს, მაგალითად, Germann'ი, როდესაც ცდილობს გამოყოს პუტატიური დელიქტი მცდელობისგან. „მცდელობის დროს,—ლაპარაკობს იგი—განზრახვას დანაშაულებრივი ხასიათი აქვს, ნება მიმართულია დანაშაულის შემადგენლობის ასრულებაზე, ამიტომ იგი საშიში და დასასჯელია. პუტატიური დელიქტის დროს განზრახვა არ არის დანაშაულებრივი, ნება მიმართულია ისეთი მოქმედების ჩადენაზე, რომელთანაც სასჯელი დაკავშირებულია მხოლოდ მოქმედი პირის წარმოდგენაში და არა ნამდვილად; ამიტომ ნება საშიში არ არის და, ბუნებრივია, არ უნდა დაისაჯოს“ [3].

ამის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკეთუ პიროვნების ნება მიმართულია ისეთ მოქმედებაზე, რომელსაც იგი დანაშაულად თვლიდა, თუნდაც რომ ეს მოქმედება სინამდვილეში დანაშაულს არ წარმოადგენდეს, ამგვარი ნება არ შეიძლება სავსებით უშიშარ და უვნებელ ნებად ჩაითვალოს. ვინაიდან წარმოდგენამ მოქმედების დასჯილობაზე არ შეაჩერა ეს პირი, აღნიშნული წარმოდგენა არ გადაიქცა კონტრმოტივად, რომელსაც ხელი უნდა შეეშალა პიროვნებისათვის მისი აზრით დასასჯელი ქმედობის ჩადენის დროს. რა გარანტია

---

[1] Overbeck, op. cit., გვ. 36.

[2] Набоков, Психическая оценка виновности и об'ективная мера наказуемости покушения, Сб. статей, С.-Петербург, 1904, გვ. 80. იხ. აგრეთვე Birkmeyer; იგი სავსებით ემხრობა ნაბოკოვის მოსაზრებებს, რომელნიც ამ უკანასკნელმა გამოსთქვა კრიმინალისტების ინტერნაციონალურ კონგრესზე პეტერბურგში 1902 წ. (Birkmeyer, Studien zu dem Hauptgrundsatz der modernen Richtung im Strafrecht „nicht die Tat, sondern der Täter ist zu bestrafen“, Leipzig, 1909, გვ. 31).

[3] Germann, op. cit., გვ. 172.

ვგვაქვს, რომ სხვაგვარ გარემოებებში, როდესაც ქმედობა ნამდვილად არის დასასჯელი და არა მხოლოდ სუბიექტის აზრით, წარმოდგენა მისი დასასჯელობის შესახებ შეაჩერებს მას ამ მოქმედების ჩადენისაგან?! რა გარანტიაა იმისა, რომ სუბიექტი ამ შემთხვევაშიაც არ უგულებელყოფს სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნას?! ნება, აშკარად მიმართული მართლწესრიგის წინააღმდეგ, უეჭველად ღირსია სასჯელისა, უკეთუ პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ დამნაშავის პირად თვისებებში ძევს.

ამგვარად, სავსებით თანამიმდევარი დასკვნა მცდელობის სუბიექტური თეორიიდან არის ყოველგვარი, თუნდაც სრულიად უვარგისი საშუალებებით ჩადენილი და სრულიად უვარგის ობიექტზე მიმართული მცდელობის და, აგრეთვე, პუტატიური დელიქტების დასჯა ისევე, როგორც მცდელობის ჩვეულებრივი შემთხვევებისა.

პირიქით, სულ სხვა დასკვნამდე უნდა მივიდეთ, თუ იმ ძირითად იდეას დავემყარებით, რომ ბოროტი ნება შეიძლება დასჯილ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გარეგნულად ისეთი მოქმედებით გამოვლინდა, რომელიც მართლწესრიგისათვის საფრთხეს წარმოადგენს. უკეთუ დამნაშავის მიერ არჩეულ საშუალებას თავისი კაუზალური თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს განზრახული შედეგი და ამიტომ იგი საფრთხეში არ აყენებს უფლებრივ სიკეთეს— ასეთი საშუალების გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს მცდელობად სისხლის სამართლის მნიშვნელობით. თუ კი, პირიქით, გამოყენებულ საშუალებას თავისი თვისებების გამო აქვს უნარი დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევისა, თუ მას, მაშასადამე, აქვს პოტენციალური მიზეზის თვისებები, მაგრამ შედეგის განხორციელებას ხელი შეუშალა რაიმე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ მ ა გარემოებამ, ასეთი საშუალების გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს მცდელობად სისხლის სამართლის თვალსაზრისით.

შედეგი უნდა ჩაითვალოს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ თავიდან აცილებულად მაშინ, როდესაც რაიმე გარეშე გარემოება შეცვლის დაწყებული განვითარების კაუზალურ მიმდინარეობას და წარმართავს მას ისეთი მიმართულებით, რომელიც პოტენციალურად მოცემული არ იყო თვით საფუძველში. შემთხვევით გარემოებად, დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით, ითვლება ისეთი გარემოება, რომელიც არ არის თანაარსი უწყებული კანონზომიერებისა, წარმოშობილია გარემოებათა გარეგნული თანადამთხვევის შედეგად და რომელსაც ამიტომ ც ა ლ კ ე უ ლ ი ფაქტის ხასიათი აქვს. განვმარტოთ ეს დებულება უვარგისი მცდელობის სფეროდან მოყვანილი მაგალითების მეშვეობით. ვინმე, მოკვლის მიზნით, აძლევს თავის მტერს მორფიუმის მომაკვდინებელ დოზას, მაგრამ საწამლავი არ ახდენს მოსალოდნელ ეფექტს, რადგან დაზარალებული მორფინისტი აღმოჩნდა. მორფიუმს თავისდათავად შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი, მაგრამ ჩვენს მაგალითში შედეგის განხორციელებას ხელი შეუშალა გარემოებამ, რომელიც გარეშე და არაარსებითია უწყებული საფუძვლის განვითარებისათვის, რომელსაც ც ა ლ კ ე უ ლ ი, შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი ფაქტის ხასიათი აქვს. ამიტომ აქ ჩვენ არა გვაქვს მცდელობა სისხლის სამართლის მნიშვნელობით.

სრულიად სხვაგვარად უნდა განვსაჯოთ შემთხვევები, როდესაც ვინმე ცდილობს ჩაიდინოს დანაშაული ისეთი საშუალებით, რომელსაც იგი მხოლოდ უვიცობის ან ცრუმორწმუნეობის გამო თვლის გამოსადეგ საშუალებად თავისი მიზნის განხორციელებისათვის: მაგალითად, როდესაც ვინმე ცდილობს მოკლას თავისი მტერი შაბის მეშვეობით ან იმით, რომ ამოუდებს მას ლოგინქვეშ მიცვალებულის ძვლებს. სრული დარწმუნებული, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი, ან და როდესაც ფეხმძიმე ქალი ცდილობს მუცლის მოშლას წითელი ღვინის მეშვეობით. შედეგის განუხორციელებლობა აქ სავსებით შეპირობებულია ნახმარი საშუალებების ბუნებით, რომელთაც თავისი თვისებების გამო არ შეუძლიათ საფრთხეში ჩააგდონ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამიტომ აღნიშნული შემთხვევები არ შეიძლება ჩავთვალოთ მცდელობად სისხლის სამართლის მნიშვნელობით.

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს აგრეთვე უვარგის ობიექტზე მიმართული მცდელობის საკითხიც. უკეთუ ობიექტი, რომლის მიმართ ვინმე ცდილობს განახორციელოს დანაშაულებრივი შედეგი, თავისი თვისებების მიხედვით გამოსადეგია ამ დანაშაულის განსახორციელებლად, მაგრამ მავნე შედეგის დადგომას ხელი შეუშალა რაიმე შემთხვევითმა გარემოებამ,—მცდელობა სისხლის სამართლის მნიშვნელობით არსებობს. მაგალითად, ვინმე ესვრის თოფს თავის მტერს, ამ უკანასკნელს კი შემთხვევით სცმია ჯავშანი, რომელიც ტყვიას არ უშვებს. აქ ჩვენ უეჭველად გვაქვს დასასჯელი მცდელობა. სხვაგვარად უნდა გადაწყდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ობიექტი თავისი თვისებების გამო გამოუსადეგარია იმისათვის, რათა მასზე განხორციელდეს დანაშაულებრივი შედეგი. არ შეიძლება ჩაითვალოს მცდელობად სისხლის სამართლის მნიშვნელობით ისეთი ადამიანის მოკვლის ცდა, რომელიც ამ მომენტში უკვე მკვდარი იყო, ან და მუცლის მოშლის ცდა იმ ქალის მიერ, რომელიც ფეხმძიმეა არა ნამდვილად, არამედ მხოლოდ თავის წარმოდგენაში.

რა თქმა უნდა, ცხოვრების ცალკეული კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს ზოგჯერ შეიძლება დიდი დაბრკოლებები შეგვხვდეს. ხანდახან პრაქტიკულად ძნელია იმის გადაწყვეტა, თუ როგორ გარემოებად უნდა ჩაითვალოს ესა თუ ის ფაქტი, რომელმაც ხელი შეუშალა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას: იყო თუ არა იგი შემთხვევითი ხასიათის მოვლენა, თუ პირიქით, თანამიმდევრობით გამომდინარეობდა უკვე არსებული საფუძვლის კანონზომიერი განვითარებიდან? მაგრამ ეს დაბრკოლებანი სრულიადაც არ არიან საკმარისი იმისათვის, რომ სავსებით უარყოფილ იქნას ჩვენი ძირითადი დებულება: სახელდობრ, ის, რომ **მცდელობა სისხლის სამართლის თვალსაზრისით არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც შექმნილია საშიშროება უფლებრივი სიკეთისათვის.** სისხლის სამართლის მეცნიერებას ევალება მისცეს მოსამართლეს მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელო კრიტერიუმი, რომელიც დაეხმარება მას ცხოვრებაში წამოჭრილი ცალკეული შემთხვევების გადაჭრის დროს. მაგრამ მათემატიკურად ზუსტი ზღვარის გავლება აქ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამ მხრით სავსებით სამართლიანად მსჯელობდა M. E. Mayer-ი, რომელმაც თავის შრომაში მცდელობისა და თანამონაწილეობის შესახებ გა-

ნაცხადა: „თეორია, რომლის დანიშნულებაც არის კანონის ახსნა-განმარტება, საქებურად უნდა ჩაითვალოს, უკეთუ იგი თავიდან იცილებს გაყინულ მაბლონს და ამის მაგივრად იძლევა სახელმძღვანელო კრიტერიუმებს. ასეთი თეორია ხელს უწყობს ინდივიდუალიზებული და სამართლიანი გადაწყვეტილებების გამოტანას“ [1].

ამიტომ ჩვენ შეუძლებლად და, ამავე დროს, არასასურველად მიგვაჩნია რაიმე აბსოლუტური მასშტაბების გამომუშავება, რომლებიც გარემოიცავენ კონკრეტული სინამდვილის მთელ მრავალგვარობას; ჩვენი მიზანია დავადგინოთ მხოლოდ ძირითადი პრინციპული დებულებანი, რომელნიც მოგვცემენ აღნიშნულ საკითხებში ზოგადი ორიენტაციის შესაძლებლობას.

რომ ჩვენი შესედულება არამც თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ სავსებით შეესაბამება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ეს ნათლად ჩანს შემდგომი გადმოცემიდან.

არც „ძირითადი საწყისები“ და არც მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები არ ეხებიან პირდაპირ უვარგისი მცდელობის დასასჯელობის საკითხს. მაგრამ აქედან არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, თითქო ჩვენი კანონმდებლობა სცნობდეს უვარგისი მცდელობის დასასჯელობას. პირიქით, მცდელობის შესახებ არსებული მუხლების ანალიზი და მათი დაპირისპირება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპებისათვის სრულიად საწინააღმდეგოს მოწმობს. ამ მხრით განსაკუთრებით საინტერესოა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი. ამ მუხლის თანახმად, სასამართლომ, სასჯელის ამორჩევის დროს, მხედველობაში უნდა მიიღოს, სხვა მომენტებს გარდა, მავნე შედეგის განხორციელების სიახლოვეც. ამგვარად, ერთ-ერთი მომენტი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სასჯელის განსაზღვრისათვის, არის ობიექტიური მომენტი, რომლის არსიც მდგომარეობს *მავნე შედეგის განხორციელების მეტსა თუ ნაკლებ შესაძლებლობაში*. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გამოყენებულია ისეთი საშუალება, რომელსაც თავისი თვისებების გამო არ შეუძლია გამოიწვიოს განზრახული შედეგი, ან და როდესაც ხელყოფა მიმართულია ისეთ ობიექტზე, რომლის მიმართაც, მისი თვისებების გამო, ასეთი შედეგი არ შეიძლება განხორციელდეს,—*არ არსებობს არავითარი შესაძლებლობა დანაშაულებრივი შედეგის დადგომისა*. მაშასადამე, უკეთუ მავნე შედეგის განხორციელების ნაკლებ შესაძლებლობას, ჩვენი კოდექსის თანახმად, მოჰყვება რეპრესიის ოდენობის შემცირება, ცხადია, რომ *შედეგის განხორციელების სრული შეუძლებლობა უნდა იწვევდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სრულ მოხსნას*. თუ კი, როგორც სწორად აღნიშნავს ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი, ჩვენი კოდექსი თავისი ამ დადგენილებით ერთგვარ „ხარკს უხდის“ მცდელობის ობიექტურ თეორიას“ [2],—არ უნდა შევუშინდეთ იმ დასკვნებს, რომელნიც ლოგიკურად გამომდინარეობენ ამ თეორიიდან.

[1] M. E. Mayer—ციტ. წერილი, გვ. 343.

[2] Немировский, Новейшие изменения советского уголовного законодатель-

ამ აზრის სიმართლეს უეჭველად გრძნობს საბჭოთა იურისტების უმრავლესობა, თუმცა ერიდება ამის აშკარად აღიარებას. პრინციპულად ისინი სურნ-ბენ უვარგისი მცდელობის დასასჯელობას, მაგრამ პრაქტიკულად მაინც საჭიროდ თვლიან მისი დასასჯელობის სფეროს შეზღუდვას. მაგალითად პროფ. ტ რ ა ი ნ ი ნ ი, რომელიც აღიარებს უვარგისი მცდელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესაძლებლობას, იმავე დროს აღნიშნავს, რომ „ეს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა, რა თქმა უნდა არ ნიშნავს მის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს ყველა შემთხვევაში. იმგვარადვე, როგორც მოსამზადებელი მოქმედების შეფასების დროს, აქ მით უფრო არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან სისხლის სამართლის კოდექსის 6—8 მუხლები: იქ, სადაც პიროვნება და მისი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით არ წარმოადგენენ სოციალურ საშიშროებას, იქ ბუნებრივად რაიმე სანქციის შეფარდება უვარგისი მცდელობისათვის მიზანშეუწონელია“ [1]. ამგვარად პროფ. ტ რ ა ი ნ ი ნ ი უვარგისი მცდელობის დასასჯელობის საკითხში, ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც იგი გრძნობს, რომ წმინდა სუბიექტური თეორია არ შეესაბამება ჩვენს მართლშეგნებას, იძულებულია პრაქტიკულად მიმართოს ისევ ობიექტურ თვალსაზრისს. ობიექტურ თეორიას მიმართავს აგრეთვე, თუმცა უვარგისი მცდელობის არა ყველა შემთხვევაში, პროფ. ნ ე მ ი რ ო ვ ს კ ი. სახელდობრ, უვარგისი საშუალებებით მცდელობის შეფასების დროს იგი რჩება სუბიექტური თეორიის თვალსაზრისზე, მაგრამ შეუძლებლად თვლის ამ თეორიის გამოყენებას თავდასხმის ობიექტის უვარგისობის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პროფ. ნ ე მ ი რ ო ვ ს კ ი ს აზრით არავითარი მცდელობა არ არის: „ერთი მხრით, უფრო მეტია გაკეთებული, საქმე შედეგამდეა მისული, მაგრამ ეს შედეგი არ არის ის, რასაც მოითხოვს კანონი მკვლელობის შესახებ და შედეგის არდადგომა არ შეიძლება მივაწეროთ იმ მიზეზებს, რომელნიც დამოკიდებული არ არიან სუბიექტის ნებაზე 13 მუხლის მნიშვნელობით;... მეორე მხრით, თუ ობიექტი არ არსებობდა, სამართალს არაფერი ჰქონდა დასაცავი“ [2].

ობიექტური მომენტის მნიშვნელობას უვარგისი მცდელობის საკითხის განსჯისათვის განსაკუთრებით მწვავედ გრძნობენ ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში უკანასკნელი წლების განმავლობაში. არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას, რომელიც ჩვენის აზრით მეტად სიმპტომატურია. პროფ. პ ი ო ნ ტ კ ო ვ ს კ ი სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს განსაკუთრებულ ნაწილში (1938 წ. გამოცემა) წერდა: „იმის გამო, რომ ადამიანის მკვლელობის ობიექტი ადამიანის სიცოცხლეა, შეცდომა იქნებოდა ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქო მომაკვდინებელი დარტყმა გვამზე, რომელსაც შეცდომით თვლიდენ ცოცხალ ადამიანად, არის „მოჩვენებითი დანაშაული“. ასეთ შემთხვევაში ჩადენილი მოქმედება უნდა განვიხილოთ, როგორც არასრულად რეალიზებული განზრახვა, ე. ი. როგორც მცდელობა. იგი არის მცდელობა უვარგის ობიექტზე, რომელსაც მოჰყვება სისხლის სამართლის პასუხისმგებ-

---

[1] Т р а й н и н, Уголовное право, ч. общая. 1929, გვ. 335—336 (ხაზი ჩვენია).

[2] Н е м и р о в с к и й, Советское уголовное право, 1924, გვ. 124.

ლობა იმგვარადვე, როგორც ყოველ სხვა მცდელობას“ [1]. სწორედ ისეთივ. ისაევი ამავე სახელმძღვანელოში ამტკიცებდა, რომ „თუ ვინმე შეცდომით სხვისი ნივთის მაგივრად საკუთარ ნივთს გაიტაცებს, იგი პასუხს აგებს ქურდობის მცდელობისათვის“ [2]. ამგვარად, ორივე ავტორი უვარგის ობიექტზე მიმართული მცდელობის შემთხვევებს წმინდა სუბიექტური თეორიის მიხედვით წყვეტს. საინტერესოა, რომ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს განსაკუთრებული ნაწილის ახალ, გადამუშავებულ გამოცემაში, 1939 წ., ორივე ზემოთმოტანილი ციტატა ამოშლილია [3]. ეს გარემოება არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს. როგორც ჩანს, სახელმძღვანელოს ავტორებმა შეცვალეს თავისი შეხედულება ამ საკითხზე, ან ყოველ შემთხვევაში, საკითხის წინანდელ გადაწყვეტას სადავოდ თვლიან. ყოველივე ეს უეჭველად მოწმობს, რომ უკანასკნელი წლების ჩვენი იურიდიული ლიტერატურა მნიშვნელოვნად იხრება ობიექტური მომენტის უფრო მეტად დაფასებისაკენ.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

(შემოვიდა რედაქციაში 1942. VII.20).

---

[1] Пионтковский, Преступления против личности, 1938, გვ. 9; იხ. აგრეთვე მისივე Особенная часть уголовного права, 1927, გვ. 341—342.

[2] Исаев, Имущественные преступления, 1935, გვ. 25; იხ. აგრეთვე პიონტკოვსკის ხელმოდ დასახელებული სახელმძღვ., გვ. 105—106.

[3] Уголовное право. Особенная часть, изд. ВИЮН, 1939, გვ. 154 და 253.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXIV, 1942
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXIV, 1942
TRAVAUX DE L'UNIVERSITÉ STALINE à TBILISSI, XXIV, 1942

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასე ციცეკაძე

კახეთის სამეფოს საკითხი მე-16 საუკუნის მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააშუქოს XVI საუკუნის მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი საკითხი, სახელდობრ, კახეთთან ურთიერთობის საკითხი. კახეთის სამეფოს საკითხი ერთი რგოლთაგანია იმ პოლიტიკაში, რომელსაც მოსკოვის სამეფო აწარმოებდა სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამდენად კახეთთან მოსკოვის დამოკიდებულების საკითხი განხილულ უნდა იქნას საგარეო პოლიტიკის იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საფუძვლად ედვა მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკას. ეს საკითხი ქრონოლოგიურად შეიძლება 1556—1605 წლებით შემოვფარგლოთ. ასეთი შემოფარგვლა ისტორიულ მოვლენათა გარკვეულ თანამიმდევრობასთან არის დაკავშირებული. 1556 წლით იმიტომ ვიწყებთ, რომ, ჩვენის აზრით, ამაზე უფრო ადრე კახეთის საკითხი მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში არ დასმულა. 1605 წლით იმიტომ ვამთავრებთ საკითხის განხილვას, რომ ამ წელს დასრულდა კახეთის საკითხის ერთი ეტაპი მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში. მოსკოვის მიერ ამ მიმართულებით წარმოებულმა პოლიტიკამ 1605 წელს მარცხი განიცადა.

ამ საკითხის გაშუქება სიძნელეს არ წარმოადგენს. მოსკოვის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი საკითხები, ძირითადად, დამუშავებულია. ამასთანავე წყაროების უდიდესი ნაწილი გამოცემულია. ეს საერთოდ; კერძოდ, კახეთთან მოსკოვის ურთიერთობის შესახებაც უნდა ითქვას: ხელნაწერების სახით ცნობილი მასალები ამ დროის შესახებ ყველა გამოცემულია, როგორც რუსული ისე ქართული. ქართული წყაროები ცოტაა, რუსული წყაროები კი საკმაოდ არის წარმოდგენილი.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შრომაში ჩვენ მიზნად დავისახეთ მოსკოვის საგარეო პოლიტიკას შევეხოთ და აქედან გამოვყოთ კახეთის საკითხი. თვით კახეთის საგარეო პოლიტიკას არ ვეხებით; კახეთზე იმდენად გვექნება ლაპარაკი, რამდენადაც მოსკოვი უფარდებდა კახეთის მოქმედებას თავის პოლიტიკას. თვით კახეთის საგარეო პოლიტიკის განხილვა ცალკე თემის საგანია, გაცილებით უფრო რთული ჩვენთვის, ვინემ მოსკოვისა. ჩვენ საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს ისტორიასა და მის წყაროებზე ხელი ისე არ მიგვიწვდება, რომ ეს დავძლიოთ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წინამდებარე შრომა მოსკოვის საგარეო პოლიტიკის ერთ მომენტს იხილავს—კახეთის საკითხს XVI საუკუნეში. მაგრამ ცნობილია, რომ მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიისათვის ცნობები XV საუკუნის მიწურულიდან მოგვეპოვება და ბუნებრივი იქნება საკითხის დასმა: რატომ XV საუკუნიდან არ ვიწყებთ საკითხის განხილვას. XV საუკუნის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შესახებ საკითხს ჩვენ შევეხეთ ცალკე წერილებში[1] და აქ მისი განმეორება ზედმეტად მივიჩნიეთ; ეს ერთი. მეორე—XV საუკუნის ცნობების განხილვიდან დავრწმუნდით, რომ XV საუკუნეში მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში კახეთის სამეფოს საკითხი არ მდგარა, იგი მხოლოდ XVI საუკუნეში, მის მეორე ნახევარში, დაისვა სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენს წერილში განხილულია აგრეთვე საკითხი, თუ რა პირობებში და როდის დაისვა პირველად მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში კახეთის სამეფოს საკითხი. არსებული რუსულ-ქართული ცნობების ანალიზმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ 1556 წლამდე კახეთის საკითხი მოსკოვის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში არ დასმულა, ხოლო 1564 წლიდან იწყება მჭიდრო ურთიერთობა მოსკოვსა და კახეთს შორის და ამ ურთიერთობის სიცხოველე დაკავშირებულია დასავლეთით—მოსკოვის ლიტვა-პოლონეთთან დამოკიდებულების, ხოლო სამხრეთით—იმავე მოსკოვის თურქეთთან ურთიერთობის საკითხებთან[2].

I

სანამ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა ითქვას წყაროებზე. XVI საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიისათვის მასალები საკმაო რაოდენობით არის დაცული რუსულ ენაზე მატიანეებისა და მოსკოვის სახელმწიფოს იმ დროის საგარეო საქმეთა საგანგიოს არქივების სახით. დღეს ეს საარქივო მასალები დაცულია მოსკოვში ფეოდალური ეპოქის მთავარ არქივთსაცავში. XVI საუკუნის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიის მასალების ის ნაწილი, რომელიც არის აღრიცხული და გამოვლინებული, გამოცემულია ს. ბელოკუროვის მიერ 1889 წელს შემდეგი სათაურით: „Сношения России с Кавказом. Матерялы, извлеченные из московского главного архива министерства иностранных дел. Выпуск I 1578—1613 г.“[3]. ბელოკუროვის ეს გამოცემა ტექნიკურად არ არის დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მოსკოვის არქივში გამოცემულ ტექსტების დედნებთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ტექსტი დაუმახინჯებლად არის

---

[1] „პირველი ცნობები მოსკოვ-კახეთის ურთიერთბის ისტორიიდან“; ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტომი I, 1940; იხ. აგრეთვე „ორი ცნობა მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შესახებ XVI საუკუნეში“: თბ. უნივ. შრომები VII, 1938 წ.

[2] ტფ. სახ. უნივ. შრომები VII, 1938 წ. დასახ. წერილი.

[3] როდესაც ვლაპარაკობთ მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის XVI საუკუნის მასალების, ბელოკუროვის მიერ, მთლიანად გამოცემაზე, მხედველობაში გვაქვს „ГАФКЭ“-ში დაცული ფონდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემული და არც ერთი მნიშვნელოვანი საბუთი გამოტოვებული არ არის. აღსანიშნავია მხოლოდ ერთი გარემოება: ბელოკუროვის გამოცემაში ეკურთ-ლებას იქცევდა ალექსანდრე კახთა მეფის წერილი რუსულ ენაზე, ბორის გოდუნოვისადმი მიწერილი. წერილი დათარიღებულია 1594 წლის ივნისის 15. ბელოკუროვს თავის გამოცემაში ამ წერილის ტექსტის ბოლოს აღნიშნული აქვს:

„Подлинная грамата (на русском языке) хранится в числе грузинских грамат 1594 года под № 1-м“ [1]. ბელოკუროვის აზრით, არქივში დაცული ალექსანდრე კახთა მეფის რუსული წერილი არის დედანი. ჩვენ ძალიან გვაეჭვებდა, რომ კახეთში XVI საუკუნეში რუსული წერილების წერა ყოფილიყო შესაძლებელი. ამის გარდა, ამ წერილის შინაარსის ერთი ადგილიც გვაეჭვებდა, სახელდობრ, წერილის დასასრულს ვკითხულობთ: „Послали есмя ко государю послов своих Антонья пр˙щного архиепископа Черемелского и всеа Черкасские земли; а с ними есмя послали в товарыщех дворянина нашего и верного слугу Хуршита“ [2].

როგორც ამ ამონაწერიდან ვხედავთ, ელჩების უფროსად ანტონ ჭერემელი იგზავნება, მაგრამ ქართველ ელჩთა მოსკოვში მისვლის რუსული აღწერილობიდან ირკვევა, რომ ანტონ ჭერემელი ელჩად მოსკოვში სრულებით არ ყოფილა: „Посол Иван Всеволоцкой из Иверские земли приехал; а с ним вместе прислал Иверской Александр царь послов своих Хуршита и Арама“ [3]. ანდა მეორე ადგილი იმავე ელჩობის შესახებ მუხლობრივ აღწერილობიდან: „А се такову грамоту прислал к Борису Ѳеодоровичу Годунову Иверской Александр царь с послы своими с Хуршитом да с Арамом“ [4].

აღნიშნული ადგილები და სხვა გარემოებებიც გადაჭრით გვაფიქრებინებს, რომ ანტონი ელჩად რუსეთში არ მისულა. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები, როგორც აღვნიშნეთ, ეჭვს ბადებდა ამ წერილის გარშემო. მოსკოვში ეს სიგელი ამიტომ გავსინჯეთ. იგი დაწერილია სქელ მოყვითალო ფერის ქაღალდზე. წერილს ხელრთვა არა აქვს, მაგრამ ბოლოში ემჩნევა, რომ ლუქის ბეჭედი შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ადგილას. რამდენადაც ვიცით, XVI საუკუნის ქართული სიგელებისათვის ლუქის ბეჭედი ჩვეულებრივი მოვლენა არ არის, მაგრამ კიდევაც რომ მაშინ ხმარებაში ყოფილიყო ლუქის ბეჭედი, ყოვლად შეუწყნარებელია მეფის ხელრთვის გარეშე. ასეთი დიპლომატიური ურთიერთობის დროს წერილი გაეგზავნათ კახეთიდან მოსკოვში. თუმცა ამ დროისათვის ჯერ კიდევ ცოცხალი უნდა ყოფილიყო კახეთში რუსული ენის ერთადერთი [5] მცოდნე ბერძენი კი-

---

[1] Белокуров, დასახელებული ნაშრომი, გვ. 265. ამ აზრს უფრო გარკვევით ბელოკუროვი წინასიტყვაობაში განმარტავს.

[2] იქვე, გვ. 265.

[3] იქვე, გვ. 262.

[4] იქვე, გვ. 262.

[5] ერთადერთი, იმიტომ რომ ამ კირილეს გარდაცვალებამ დიდად დააბრკოლა შემდეგში რუსი ელჩების მიერ მოტანილი რუსულ ენაზე დაწერილი წერილების თარგმნა კახეთში. იხ. ამის შესახებ ბელოკუროვის დასახ. ნაშრომი, გვ. 297, 298.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილე, რომელსაც შეეძლო რუსულად წერილი დაეწერა, მაგრამ ამ წერილში ნახმარ სიტყვებს თუ დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ წერილი ქართული ენის მცოდნის მიერ დაწერილი არ არის. ჩვეულებრივ, როგორც ცნობილია, რუსი ელჩები თავიანთ აღწერილობებში ქართულ საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებს დაუნდობლად ამახინჯებდნენ. თავისთავად ცხადია, თუ კირილე ბერძენი რუსულად შეადგენდა წერილს, იგი როგორც ქართული ენის მცოდნე და კახეთში მცხოვრები გეოგრაფიულსა და პირთა სახელებს აღარ დაამახინჯებდა. ზემოხსენებულ წერილში კი, მაგალითად, ალექსანდრე ლევანის-ძის ნაცვლად სწერია—„Александр Леонтиевич“ გიორგი ალექსანდრე კახთა მეფის-ძის ნაცვლად—„Царевич Юрий“, კახეთის სატახტო ქალაქი გრემი „Крым“-ად იხსენიება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ წერილი რუსულ ენაზე კახეთში კახელების მიერ დაწერილი არ უნდა იყოს, იგი თარგმანია ქართულიდან, მოსკოვში შესრულებული. იგი დედანი არ შეიძლება იყოს, დედანი მეფის მიერ ხელმოწერილი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ანტონ ჭერემელის ელჩობას, საფიქრებელია, რომ ანტონი კახეთიდან ელჩად გაემგზავრა, მაგრამ გზაში გარდაიცვალა, ხოლო ელჩობის უფროსობა „ხურშიტ“-მა ითავა. ასეთი შემთხვევაა ცნობილი ამ დროისათვის. მაგალითად, იგივე ხურშიტი შემდეგ ასტრახანთან გარდაიცვალა გზაში. „Иверского... посла Хуршита не стало“, აღნიშნული აქვს რუს მოხელეს, ამ მოგზაურობის აღმწერს. ასევე რუსი ელჩების გარდაცვალების შემთხვევები გზაში არა ერთია ცნობილი, და მათ ნაცვლად სახელმწიფო საქმეების შესრულებას ხელქვეითნი კისრულობენ. XVI საუკუნის მასალებიდან ჩვენ ვეძებდით კახ მეფე-ოდოფალთა წერილების ქართულ დედნებს, რომლებიც ბელოკუროვს არა აქვს გამოცემული და რომლებიც იმდროინდელ რუსული კანცელარული წესების მიხედვით „მუხლობრივ აღწერილობებში“ უნდა ყოფილიყო ჩაკერებული; მაგრამ, ასეთი რამ არ აღმოჩნდა, ამიტომ ჯერჯერობით სანამ ისინი არ აღმოჩენილა, ამ წერილების რუსულ თარგმანებს დედნის მნიშვნელობა ენიჭება და ყველა მათგანი ბელოკუროვის გამოცემაში უკლებლივაა დაბეჭდილი.

საფიქრებელია, რომ ყველა კახ მეფეთა XVI საუკუნის წერილების დედნები განზრახ ამოღებულია და ცალკე ინახებოდა, ისე როგორც, მაგალითად, XVII საუკუნის ქართველ მეფეთა და მთავართა მიწერ-მოწერის უმრავლესობა სათანადო საქმეებში არ მოიპოვება და ერთ შეკვრად ცალკე არის დაცული არქივში. XVI საუკუნის ქართული საბუთების შესახებ აკად. ბროსეს თავისი გამოცემის „Переписка грузинских царей с российскими государями“-ს წინასიტყვაობაში გაკვრით ნათქვამი აქვს, რომ 1854 წელს აკადემიამ მოიწონა ქართულ-რუსულ-ბერძნული საბუთების გამოცემის პროექტი, დაწყებული 1586 წლიდან 1737 წლამდეო. სულ 85 ქართული საბუთი უპოვიათ, მაგრამ 1639 წელზე უფრო ადრინდელი საბუთი მათ შორის არ ჩანს; ცხადია, ამ დროსაც XVI საუკუნის კახ მეფეთა წერილების დედნები თავის ადგილას არ ყოფილა. ბელოკუროვსაც უძებნია ქართული დედნები, მაგრამ ვერ უპოვია. ფეოდალური ხანის არქივთსაცავში საქართველოს შესახებ მასალები უმთავრესად „Дела грузинские“-ს სახელწოდების ფონდშია თავმოყრილი. ამ ფონდის ანა-

წერის მიხედვით ჩვენ შევამოწმეთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ყველა საქმე, რომელიც ბელოკუროვის გამოცემაში უნდა ყოფილიყო, დარგანალი ჭრით შეიძლება ითქვას, რომ ბელოკუროვის გამოცემა შეიცავს ხსენებულ ფონდში დაცულ ყველა მნიშვნელოვან მასალას 1578—1613 წლამდე. ძირითადად ჩვენ ამ გამოკვლევაში ბელოკუროვის მიერ გამოცემულ მასალებს ვეყრდნობით. ზოგიერთი ცნობა კარამზინის ცნობილი ნაშრომიდან გვაქვს ამოღებული, რა თქმა უნდა, შენიშვნებისა და დამატებების განყოფილებიდან, რომელსაც ჯერაც პირველ წყაროების მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ირან-მოსკოვის ურთიერთობის შესახებ ცნობებს ვესელოვსკის ცნობილ გამოცემიდან ვიღებთ, უმთავრესად პირველი ტომიდან „Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией, том I", 1890 წ. გამოცემა. ეს შრომა ირანში გაგზავნილ რუსი ელჩების ინსტრუქციებს, მათ საანგარიშო მოხსენებებსა და მოსკოვ-ირანის ხელისუფალთა მიწერ-მოწერას შეიცავს რუსულ ენაზე 1588 წლიდან 1599 წლამდე. მაგრამ, ირანული საქმეების ფონდი დაზიანებულია და ბევრი რამ ამ ფონდში ამ წლების შესახებ არ მოიპოვება, ხშირად ნაწყვეტებიღაა გადარჩენილი. ამიტომ ირან-მოსკოვის ურთიერთობის შესახებ, განსაკუთრებით რაც საქართველოს შეეხებოდა, ჩვენ ვსარგებლობდით XVII საუკუნეში პირველი რომანოვების დროს, საგარეო საქმეთა საგანგიოს მიერ შედგენილ მოკლე ექსტრაქტით ირანთან ურთიერთობის საარქივო მასალებიდან—კახეთის, ყუმუხების და ყაბარდოელების შესახებ. აქ მოცემულია ყველა მასალა დაწყებული 1588 წლიდან გათავებული 1614 წლით, მაგრამ, როგორც აღვნიშნავდით, შემოკლებულად. ამ მასალას ასეთი სათაური აქვს: „А се выписано ис кизылбашских книг и ис столпов, как велено говорити шаху о Иверской земле и о кумыках и о кабардинских черкасех, и что шах о Иверской земле и о кумыкех и о кабардинской земле говаривал". ეს მასალა „грузинские дела"-ს ფონდშია მოთავსებული და გამოცემული აქვს ბელოკუროვს ზემოთდასახელებულ ნაშრომში სათაურით: „Вопрос о Грузии, Кумыках и Кабарде в сношениях России с Персией"[1].

რაკი აქ მოცემული ცნობები მრავალ შემთხვევაში ავსებს ვესელოვსკის მიერ გამოცემულ მასალებს, ჩვენ იგი წინამდებარე შრომაში გამოვიყენეთ როგორც პირველი წყარო, რადგანაც შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ იგი კეთილსინდისიერად არის შესრულებული. ქართული წყაროები მოსკოვთან კახეთის ურთიერთობის შესახებ ძალიან ღარიბია.

XVI საუკუნის შესახებ სულ ორი ცნობაა დაცული ჯერჯერობით ცნობილ ძეგლებიდან, ერთი—„ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელება"-ში და მეორე ვახუშტი ბატონიშვილის უკვდავ თხზულებაში—„საქართველოს ცხოვრება"-ში. რამდენადაც საშუალება და უნარი შეგვწევდა, ქართული წყაროების განხილვას სათანადო ადგილი დავუთმეთ ერთ წერილში[2] და მასზე აქ

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 562. იგივე ტექსტი მეორედ გამოსცა პროფ. მ. პოლიევქტოვმა 1937 წ. იხ. „Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640", გვ. 1—23.

[2] თბ. უნივ. შრომები VII, 1938.

ალარ შევჩერდებით. ირანული და სომხური წყაროები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მასალებს არ გვაწვდიან, ისინი უფრო ამ ხანის კახეთის—შესახებ იძლევიან უხვ ცნობებს. ირანის ამდროინდელი არქივები, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილთან პირადად საუბრის დროს გამოირკვა, გადარჩენილი არ უნდა იყოს, ხოლო თუ რაიმე გადარჩა, ამ მოკლე ხანში მისი გამოცემის იმედი არ არის. ამიტომ ირანული ცნობების უქონლობა სათანადო დაღს ასვამს ჩვენს შრომას, მაგრამ ძირითადი სახე ირანის პოლიტიკისა, მოსკოვის მიმართ საერთოდ, და კახეთის გარშემო კერძოდ, ცალმხვრივი წყაროებისდა მიუხედავად, ამ შრომაში მოცემული უნდა იყოს. ისკანდერ მუნშის ისტორია კი ჩვენ არაფერს გვმატებს ამ მხრივ. ასევე შეიძლება ითქვას სომეხ ისტორიკოსის არაქელის შესახებ.

II

მოსკოვის სამეფოს მდგომარეობა სამოცდაათიანი წლებიდან დაწყებული განსაკუთრებით რთულდება. „ოპრიჩნინა", როგორც ლონისძიება იმდროინდელ არისტოკრატიის წინააღმდეგ, არ იყო ისეთი მოვლენა, რომელიც მარტო არისტოკრატის ფიზიკური განადგურებით დასრულებულიყო. მას მოჰყვა ცენტრალური ადგილების დაცალიერება გლეხობის მხრივაც, ისე რომ ივანე IV-ს ამ ადგილებიდან არც ჯარის გამოყვანა შეეძლო და არც გადასახადები შემოდიოდა აქედან სახელმწიფო სალაროში. და ეს იმ დროს, როცა ლივონიისათვის ბრძოლა ლიტვასთან და შვედეთთან კვლავ მიმდინარეობდა. პირველ ხანებში 1578 წლამდე ხსენებულ ომებში საქმე ივანე IV-ის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, მაგრამ როდესაც 1576 წ. სტეფანე ბატორი პოლონეთში მეფედ აირჩიეს, 1569 წელს ლიტვა-პოლონეთის ლუბლინში გაფორმებული უნია რეალურ ძალად იქცა და ლივონიის ქალაქებისათვის ბრძოლა მოსკოვისათვის საზარალოდ წარიმართა. ბატორის შემოტევები სწორედ იმ დროს დაიწყო, როცა ივანე IV-ს აღარც სახსრები გააჩნდა და აღარც ჯარის გამოყვანა შეეძლო. ბატორის მიერ ზედიზედ დამარცხებულ და შესუსტებულ მოსკოვს შვედეთიც შეესია და ახლად დაპყრობილი ადგილები ბალტიის ზღვისაკენ მოსკოვმა მცირე ხნის განმავლობაში დაჰკარგა. ბალტიის ზღვაზე გასვლას მოსკოვმა თითქმის მთელი თავისი ძლიერება შესწირა, მაგრამ 1582—83 წლებში იძულებული ხდება სამარცხვინო ზავი ითხოვოს ლიტვა-პოლონეთისაგან და შვედეთისაგან. საზავო პირობები მოწინააღმდეგეებმა უკარნახეს. იოანე IV-მ სიცოცხლე (1584 წ.) ისე დაასრულა, რომ დროებითი ზავის გახანგრძლივების ცდაში იყო ლიტვა-პოლონეთთან და შუამავლებს ეძებდა ბატორის შემოტევების რისხვის თავიდან ასაცდენად. ლივონიისათვის 25 წლის განმავლობაში ბრძოლამ უშედეგოდ ჩაიარა.

ივანე IV-ის მემკვიდრეს თეოდორეს ნომინალურად, ხოლო ფაქტიურად ბორის გოდუნოვის მმართველობას უხდება ამ მარცხით დაცემული პრესტიჟის აღდგენისათვის ზრუნვა; მათვე დააწვათ შინაგანი კრიზისით შექმნილი მძიმე ტვირთის აწევა. მათ უნდა განეახლებინათ სახელმწიფოს ცენტრალური მხარეების სამეურნეო კულტურა იმ ადგილებში, საიდანაც გარბოდა გლეხობა. თეოდორე ივანეს-ძის გონებრივი სისუსტე და მოსკოვის სახელმწიფოს შესუსტება პოლონეთის მაშინდელ მფლობელ ბატორის ფრთებს ასხამდა, მას ფართო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმები ესახებოდა. იგი თურქეთის დამორჩილებაზე ოცნებობდა, ოთხმოციანი წლები ყველაზე უფრო ხელსაყრელ მომენტად მიაჩნდა ამისთვის. ბატორის ერთის დაკვრით უნდოდა დაეპყრო მოსკოვის სახელმწიფო, აქედან დასაყრდენი მოეპოვა ამიერ-კავკასიაში, ხელი გაეწოდებინა ირანისათვის და ამ გზით გარს შემორტყმოდა თურქეთს რკინის რკალით; ამ გეგმებმა შეცდომაში შეიყვანა რომის პაპიც და აღმოსავლეთის ეკლესიის და მისი სამწყოს ხელში ჩაგდების სურვილმა ყოველთვის მომჭირნე პაპს საკმაო რაოდენობის თანხის გაღებაც გააბედვინა ბატორის დასახმარებლად[1]. თეოდორე ივანეს-ძის მთავრობა მეტისმეტად შეშინებული იყო ბატორის შემოტევებით და ყოველგვარ ღონისძიებას იყენებდა, რათა როგორმე პოლონეთთან 1583 წელს დადებული დროებითი ზავი გაეგრძელებინა. ამ მიზნით ლიტველი ტყვეები მოსკოვმა ყოველგვარი სასყიდლის გარეშე გაათავისუფლა, ხოლო რუსი ტყვეებისათვის პოლონეთში მზად იყვნენ გამოსასყიდი გაეგზავნათ[2]. მაგრამ სტეფანე ბატორის გეგმებს პოლონეთსა და ლიტვაში ბევრი მომხრე არ აღმოაჩნდა; პოლონელი პანები ეწინააღმდეგებოდნენ ბატორის ომების გაგრძელებაში. ეს წინააღმდეგობა ბატორისათვის ძნელი გადასალახავი გახდა და 1585 წელს პოლონეთი დათანხმდა ზავის ორი წლით გაგრძელებაზე ისე, რომ მოსკოვს ახალ დათმობაზე წასვლა აღარ დასჭირდა, რაკი პოლონეთის პანების განწყობილება მისთვის დაფარული არ იყო. 1586 წელს ბატორი გარდაიცვალა, ხოლო პოლონეთის ტახტის გარშემო ატეხილმა წინააღმდეგობებმა მოსკოვის მდგომარეობა კრიტიკულ მდგომარეობიდან სავსებით იხსნა. პოლონეთი დათანხმდა 15 წლით გაეგრძელებია ზავი მოსკოვთან (1587—1602). პოლონეთთან დაზავებამ შვედეთის საკითხიც მარტივად გადასწყვიტა. მოსკოვის სახელმწიფოს მარტო შვედეთისა აღარ ეშინოდა და წინათ წანართმევი ადგილები ფინეთის უბესთან მოსკოვმა უკან დაიბრუნა, რის შემდეგ ზავი შვედეთთანაც დაიდო, ე. წ. „საუკუნო ზავი", 1593 წელს. მართალია, ბალტიის ზღვის ვაჭრობა შვედეთის ხელთ დარჩა, მაგრამ ზოგიერთი უფლება რუსეთმა მაინც მოიპოვა: შვედეთს ნება უნდა დაერთო თავისუფლად გაეტარებინათ ვაჭრები, რომელთაც მეფის სახელზე მოჰქონდათ საქონელი, ასევე ნებას რთავდნენ გაეტარებინათ ექიმები და ხელოსნები, რომელნიც მოდიოდნენ რუსეთში.

ჩრდილო-დასავლეთით 1585 წლიდან მაინც მდგომარეობა შედარებით სტაბილურ ხასიათს იღებდა, პოლონეთის და შვედეთის მუქარა საგრძნობი არ იყო. მოსკოვის სახელმწიფოს საშუალება ეძლეოდა მეორე კარდინალური საკითხისათვის მიექცია ყურადღება და აქტიური ხასიათის პოლიტიკა ეწარმოებინა სამხრეთ-აღმოსავლეთით. ივანე IV-ის დაპყრობითი პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთით ყაზან-ასტრახანის დაპყრობით ამოიწურა; მიუხედავად ბოიარების მოთხოვნისა, მან ყირიმს, თურქეთის შიშით, თავი მიანება და, როგორც აღნიშნული გვქონდა, ლივონიის საკითხის გადაჭრამ შეიწირა მისი რესურსები.

---

[1] Платонов, Борис Годунов. 1921 წ. გამოცემა. თავი II, გვ. 39—43. ამის შეს ხებ იხ. აგრეთვე Гр. Де-Волан, История общ. и революц. движений в связи с культурным развитием Русского государства. ტომი I, გვ. 199.

[2] Соловьевъ, История России с древнейших времен წიგნი II, ტომი VII, თავი III. 1894 წ. გამოც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია აგრეთვე, რომ მოსკოვმა სამოციან და სამოცდაათიან წლებში ორჯერ დაიხია უკან ყირიმ-თურქეთის შიშით, მაგრამ ყაზან-ასტრახანის ხელიდან გაშვებას არ ფიქრობდა, მოხერხებულად ისარგებლა თვით ყირიმ-თურქეთის წინააღმდეგობით და ასტრახანი და ყაზანი ადვილად შეინარჩუნა[1]. თუ ყირიმ-თურქეთმა ვერ ისარგებლეს სამოცდაათიანი წლების რუსეთის საგარეო გართულებით, ეს იმითაც აიხსნება, რომ თურქეთს ავსტრიის და ირანის სახით ანგარიშგასაწევი მოწინააღმდეგენი ჰყავდა და რუსეთისათვის ხელგახსნილი არ იყო. პირიქით, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენასა და განმტკიცებაზე წარმოებდა მოლაპარაკება. თედორე ივანეს-ძის და ბორის გოდუნოვის დროს ოთხმოციანი წლებიდანვე განახლდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ის პოლიტიკა, რომლის გატარებას ივანე IV ფიქრობდა[2]. სამხრეთით აქტიური პოლიტიკა დასავლეთით წაგებული ბრძოლების კომპენსაციაც უნდა ყოფილიყო. მოსკოვის პოლიტიკის მესვეურნი ფიქრობდნენ ესარგებლათ თურქეთის მნიშვნელოვანი მოწინააღმდეგეებით და ირანისა და ავსტრიის დახმარებით სამხრეთით დაუსრულებელი საქმეები მოეგვარებინათ.

1584 წლის შემდეგ არსებული საარქივო ცნობები გვიჩვენებს, რომ თედორესა და ბორის გოდუნოვის პოლიტიკა გაგრძელებაა ივანე IV პოლიტიკისა სამხრეთით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამხრეთით მოსკოვის პოლიტიკის აქტივიზაცია ქრონოლოგიურად სწორედ იმ წლებს ემთხვევა, როცა ლიტვა-პოლონეთისა და შვედეთის საფრთხე დროებით მაინც თავიდან აცილებული იყო. არსებული საარქივო მასალები ამას ნათლად ადასტურებენ. ჩვენ აღნიშნული გვქონდა და აქაც ვიმეორებთ, რომ რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის პოლიტიკა, უშუალოდ ყირიმ-თურქეთის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული ამ დროისათვის, სახელდობრ 1585 წლიდან ვიდრე 1605 წლამდე. თედორესა და ბორის გოდუნოვის დროს უფრო რელიეფურად მოჩანს აგრეთვე მოსკოვის სახელმწიფოს სავაჭრო ინტერესები სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მოსკოვის ფეოდალური ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იმთავითვე მარტო თათართა სახანოების თარეშების ალაგმვასა და მოსკოვის სახელმწიფოს ტერიტორიალურ ზრდას კი არ გულისხმობდა, არამედ გათვალისწინებული იყო ვოლგისა და კასპიის ზღვის სავაჭრო გზებით სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებაც. განსაკუთრებით ნათელი ხდება ეს მიზნები იმის შემდეგ, რაც დაიწყო ინგლისთან არხანგელსკ-თეთრი ზღვით სავაჭრო მიმოსვლა. ამ მხრივ მოსკოვისათვის ირანი მეტისმეტად საინტერესო ხდება, მაგრამ შემცდარი ვიქნებით თუ ამ დროისათვის ირანის ხელში ჩაგდების სურვილებს მივაწერთ მოსკოვს. არსებული საარქივო მასალებიდან ეს აშკარა უნდა იყოს მკვლევარისათვის. მოსკოვი ირანთან სავაჭრო ურთიერთობისათვის გზების ძიების ცდაშია ამ საუკუნეში. ირანთან ურთიერთობა XVI საუკუნის მიწურულში ნაწილობრივ ამით უნდა აიხსნას. არის მეორე მომენტიც ირანთან მოსკოვის ურთიერთობაში: ეს გახლავთ თურქეთის საწინააღმდეგოდ ირანის გამოყენების ცდები.

---

[1] იხ. თბ. უნ. შრომები VII, 1938 წ. გვ. 109—122.

[2] იხ. ამის შესახებ იქვე.

ეს ორი მომენტი, ჩვენ ვფიქრობთ, სავსებით განსაზღვრავს მოსკოვ-ირანის ურთიერთობას XVI საუკუნის მეორე ნახევარში. რომ სავაჭრო ურთიერთობის დამყარება ირანთან ერთ-ერთი მიზანთაგანი იყო მოსკოვის სახელმწიფოსათვის XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, სავსებით ნათელი ხდება ასტრახანელი ვოევოდების 1586 წლის მიწერ-მოწერიდან. მიწერ-მოწერა შეეხება რუს თარჯიმანის დანილოვის მოგზაურობას კახეთში, რომელიც, თანახმად მეფის განკარგულებისა, ასტრახანელ ვოევოდებს გაუგზავნიათ კახეთში. ვოევოდებისათვის მოსკოვის მთავრობას უბრძანებია: „Писати от себя в Шевкалы и в Грузии в Кизылбаши, чтоб торговые люди с товары ездили в Астрахань, приезди от'езд и торг в Астрахани поволен“ [1].

როგორც ცნობილია, მაშინ ირანი ყიზილბაშეთად იწოდებოდა და მოყვანილი ამონაწერიდან აშკარაა, რომ ირანთან სავაჭრო ურთიერთობა მხოლოდ ერთი მომენტთაგანია მოსკოვის საგარეო პოლიტიკისა. ამ ხანად აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ირანიც დაინტერესებული იყო გაება მოსკოვთან სავაჭრო ურთიერთობა, რადგანაც თურქეთის გაძლიერებამ ამ დროისათვის ირანი მეტისმეტად შეავიწროვა ამ მხრივ. თედორე ივანეს-ძის წერილიდან, რომელიც მან გილანის მფლობელს ახმედ-ხანს გაუგზავნა 1590 წელს, ჩანს, რომ გილანის მფლობელს საგანგებოდ გაგზავნილი ელჩის პირით უთხოვნია მოსკოვისათვის თავისუფალი ვაჭრობის გაჩაღება: „А речью нашему царскому в-ву посол твой бил челом, чтоб твоим торговым людем в наши государства дорога отворена была и мы великий государь... Ѳедор Иванович... по твоему прошению, хотя тебя в своем жалованье, торговым людем, твоего государства дорогу в свои государства отворити велели есмя... и лишних пошлин имати не велели есмя“ [2].

1592 წელს შაჰაბას I-ისადმი გაგზავნილ წერილში მოსკოვის ხელისუფალი ირანთან დაახლოებისა და მეგობრული ურთიერთობის განსამტკიცებლად ელჩების ხშირი მიმოსვლის გარდა თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობას სთავაზობს: „Да и свыше того хотим быти, чтоб межь нас великих государей дружба и любов множилась, и о всяком бы добре посланики межь нас на обе стороны ходили, и дорогу твоим людем в наши государства отворяем и поволной торг во всем им давати велели [3].

შემდგომ წლებში, როგორც ეს წყაროებიდან ჩანს, სავაჭრო ურთიერთობა შედარებით ფართო ხასიათს ღებულობს. თვით ორივე სახელმწიფოს სამეფო კარი აწარმოებს ძვირფასი საქონლის გაცვლა-გამოცვლას. თვით შაჰაბასი ერთ-ერთ წერილში სწერდა მოსკოვის სამეფო კარს: „А с Ази Хосровом есмя послали своих людей и велели им купить на собя нашему величеству в вашем государстве потребных вещей... велели есмя на себя купить пансырей [4].

---

[1] Белокуров, დასახელებ. ნაშრომი, გვ. XCIV.

[2] Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией. Том I. გვ. 146—147. издание Н. И. Веселовского.

[3] იქვე, გვ. 170.

[4] იქვე, გვ. 189—190.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაოფიციალურ რუსულ წყაროში, სახელდობრ მატიანეში, რომელიც თედორე ივანეს-ძის ხანას აგვიწერს, მემატიანეს საგანგებოდ შეუტანია სპარსეთთან ურთიერთობის დასახასიათებლად შემდეგი ცნობა: „К шаху же посла своих послов с великими дары учинились меж себя в вековечном братстве и в любви и в дружбе и поволя меж обеими государствы торговым людем торговати на обе стороны“ [1].

ზემოთმოყვანილი რუსული მატიანის ადგილი ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი მაჩვენებელია, თუ როგორი ხასიათის უნდა ყოფილიყო ირანთან სავაჭრო ურთიერთობა და რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი საშუალო საუკუნეების რუსეთისათვის, რომ მასზე საგანგებოდ ჩერდება რუსული მატიანე.

ირანთან ის გახშირებული დიპლომატიური ურთიერთობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თედორე ივანეს-ძისა და ბორის გოდუნოვის დროს, ერთი მხრით, ითვალისწინებდა ვოლგისა და კასპიის ზღვის სისტემის მაქსიმალურად გამოყენებას. მაგრამ, როგორც ზემოთმოყვანილ ასტრახანელ ვოევოდებისადმი გაცემული ბრძანების ამონაწერიდან ჩანს, მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში ცალკეულად ირანთან ვაჭრობის მოწესრიგება არ არის გამოყოფილი, იგი დაკავშირებულია საქართველოს და დაღისტანთანაც. ეს ბუნებრივიც არის: მოსკოვსა და ირანს შორის საქართველო და დაღისტანი იყო, საჭირო იყო აქ საიმედო დერეფანი, რომელსაც მაშინდელ კახეთზე და დაღისტანზე, ანუ შამხალ ბატონის სამფლობელოზე უნდა გაევლო. და აი სწორედ მთელი სირთულე სწორედ იმაში იყო, რომ დაღისტანი ამ ხანადაც თურქეთის სავასალო იყო. მოსკოვის სახელმწიფოს არა ერთგზის მომართვაზე შამხალი ბატონი ფაქტიურად უარს აცხადებდა—რუსეთს გზას უღობავდა სამხრეთისაკენ.

რუსეთი, როგორც წინათ აღნიშნული გვქონდა, ცდილობდა ყირიმ-თურქეთისათვის გზა გადაეჭრა დაღისტანისაკენ. ამ მიზნით მან ჩერქეზებთან დაიჭირა კავშირი, ჯერ კიდევ ივანე IV დროს ციხე-სიმაგრეც ააგო და ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით მართლაც საფრთხე შეუქმნა კიდეც ყირიმ თურქეთს. მაგრამ, როგორც ცნობილია, დასავლეთით ლივონიის ომებმა, განსაკუთრებით ბატორის მეფობის ხანაში, შიგნით აგრარულმა კრიზისმა და ბოიარებთან ბრძოლამ, ხელი ააღებინა მოსკოვს აღნიშნულ განზრახვაზე, სამჯერ აგებული ეს სიმაგრეები დაატოვებინა. თედორესა და ბორის გოდუნოვის დროს, ივანე IV გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, განახლდა მოსკოვის ეს ცდები. ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ირანთან მოსკოვს ვაჭრობის გარდა სხვა მიზანიც აკავშირებდა, სახელდობრ თურქეთის საწინააღმდეგოდ მისი გამოყენება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ მოქმედებდა, მაგრამ პირისპირ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა მეტისმეტად აშინებდა, ამ საკითხში მოსკოვი თედორეს მეფობის ხანაშიაც მეტისმეტად ფრთხილად იქცეოდა, მას სურდა თურქეთის წინააღმდეგ სხვები აემოძრავებინა, ისე რომ ბრძოლის სიმძიმე უშუალოდ რუსეთს არ დასწოლოდა. მოსკოვისა-

[1] Полное собрание русских летописей. Изд. имп. археогр. комис. ტომი XIV, 1910 წ. გამოც. გვ. 47.

თვის კარგა ხანია ცნობილი იყო თურქეთ-ირანის წინააღმდეგობა და ბუნებრივია ამ წინააღმდეგობის თავისი ინტერესებისათვის გამოყენება ეცადა მოსკოვს, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ირანის შაჰის ხუდაბანდას მიერ გამოგზავნილი კაცი „ანდიბეგი“ მივიდა მოსკოვს (1588 წელს). როგორც მოსკოვის არქივში დაცულ ირანის საქმეებიდან ჩანს, შაჰს წერილი გამოუგზავნია, რომელშიაც შაჰი მეგობრობასა და კავშირის დამყარებას სთავაზობდა მოსკოვის მეფეს, თვით ელჩი კი ზეპირი დავალების მოხსენების დროს მოსკოვის ხელისუფალთ აუწყებდა, რომ თურქეთი ირანის მტერია, რომ თურქეთმა ირანს წაართვა დარუბანდი, შემახა, ბაქო და მისი მიმდგომი ადგილები. ამის გამო შაჰის ელჩი სთხოვდა მოსკოვის ხელისუფალს: „И государь похотел с ним быти в дружбе... и в соединение и стоял против всех недрузей за один и на вопчего б недруга на Турсково салтана дал в помоч своих ратных людей с вогненым боем, а ему б царского величества с поможеньем те городы назад дастат; а достав городы Дербень да Баку государю поступится“ [1].

ასეთი წინადადება მოსკოვს, რა თქმა უნდა, მეტისმეტად ხელსაყრელად დაუნახავს და ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად თავის მხრივ ელჩი გ რ ი გ ო ლ ვ ა ს ი ლ ჩ ი კ ო ვ ი გაუგზავნია. თუმცა ვასილჩიკოვის ირანში მისვლამდე შაჰი ხუდაბანდა გარდაცვლილა და ტახტი შაჰაბასს დაეკავებინა, მაგრამ მოსკოვის ელჩი მაინც ირანში მისულა და მოლაპარაკება გაუმართავთ. საინტერესოა, რომ მოსკოვი დარუბანდისა და ბაქოს ხელში ჩაგდებით მეტად დაინტერესებულა.

ბაქო და დარუბანდი მოსკოვისათვის მეტისმეტად მნიშვნელოვანი ადგილები ხდებოდა ამ დროს. ცნობილია, რომ XVI საუკუნეში და შემდეგაც ზღვაოსნობა ისე განვითარებული არ იყო, რომ კასპიის ზღვის ჩრდილო ნაპირებიდან წამოსულ მაშინდელ გემს პირდაპირი რეისის საშუალება ჰქონოდა ირანამდე, ანუ კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირამდე. იმდროინდელი ძეგლებიდან, რუს ელჩთა აღწერილობებიდან, რომელთაც ირანში გამგზავრება მოუხდათ, ჩანს, თუ როგორი სიძნელით ხდებოდა გემით მიმოსვლა ასტრახანიდან ირანის სანაპიროებამდე და პირიქით. რუსი ელჩი ვ ა ს ი ლ ჩ ი კ ო ვ ი აღწერს ასტრახანიდან გამგზავრებას და სხვათა შორის აღნიშნავს იმ შიშს, რომელსაც მისი თანამგზავრი ირანელი ელჩი გამოთქვამდა გამგზავრების წინ: „А ныне бы есте нас отпустили не мешкая... а се в осеннее время здешнее море не устройлово, и нас бы не принесло ветром к турского городам,... а в те бы турские городы про нас вести не было... И пошли с волского устья на море... и насило бусу морем и к турского городом к Баке и к Дербени приносило блиско“ [2].

ხსენებულ ქალაქებთან მიახლოება მეტისმეტად სახიფათო მოვლენად მიაჩნდათ მაშინდელ რუს და ირანელ მოგზაურებს. ირანში გაგზავნილ ვასილ

---

[1] Памятники дипломат. и торгов. сношений Московск. Руси с Персией. Изд. Веселовского. Том I. გვ. 96. იხ. აგრეთვე Белокуров, დასახელ. ნაშრომი, გვ. 563.

[2] Памятники дипломат. и торг. снош. Моск. Руси с Персией. Изд. Веселовского, ტომი I, გვ. 18.

ტუფიაკინისა და სვიმონ ემელიანოვის ელჩობის საანგარიშო მოხსენებაში აღწერილია: „И принесло де, государь, погодьем под турского город Баку июня в 15 день. И из Баки де выехали турские люди многие на каторге и во многих сандалех с вогненным боем и учали по бусе стрелять и с пушек и из пищалей. И твои де государевы люди 3 бусы с турскими людьми бились два дни две ночи“ [1].

ასეთი ცნობები მრავლად შეხვდება მკვლევარს იმ წყაროებში, რომლებიც იმდროინდელ მოგზაურობას შეეხება კასპიის ზღვით. აღწერილია ვაჭრების გაძარცვის მრავალი შემთხვევები, როგორც რუსების ისე ირანელების. არც კასპიის ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი ყოფილა საიმედო. ვასილჩიკოვი, ზემოთხსენებული რუსი ელჩი, ირანიდან დაბრუნების ამბების აღწერის დროს, სხვათა შორის, აღნიშნავს: „И шли морем от гилянские стороны до туркменские стороны десят день и принесло к китанской горе в Нижние Туркмени, и занесло бусу в Култук, и приходили на бусу в ночи туркменские люди в сандалех и к бусе приступали... билися и на бусу не впустили. И на бусе на том бою ранили подъячего Оѳанася Монастырева да стрельца да дву человек гребцов. И после того июля в 31 день собралися туркменские многие люди и пришли к бусе... и совсеми людьми билися... и многих людей побили“ [2]. მოყვანილი ცნობები ცხადად გვიჩვენებენ, თუ რა დიდი დაბრკოლებები ელობებოდა მოსკოვს ირანისაკენ თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის მოგვარების საქმეში. კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროების უშიშრად გავლის მოგვარება მოსკოვს აუცილებელ პირობად მიაჩნდა და, ცხადია, მისი ხელში ჩაგდების შესაძლებლობის გაგონებაზე ძალიან უნდა დაინტერესებულიყო, მაგრამ ამ საქმის მოგვარება ირანის ხარჯზე მოუსურვებია. ვასილჩიკოვი პირადად ესაუბრა შაჰს და, თანახმად თავისი მთავრობის დავალებისა, შაჰისათვის ასეთი შეკითხვა მიუცია: იმ შემთხვევაში, თუ შაჰი მოსკოვის ჯარების გარეშე აიღებს ბაქოსა და დარუბანდს, დაუთმობს თუ არა ამ ქალაქებს მოსკოვის მეფეს: „Тех городов царскому величеству поступитца ль, толко возмет без государевы рати?“ [3].

შაჰ-აბასი, როგორც ცნობილია, არც ისე ბეცი პოლიტიკოსი იყო, რომ ვასილჩიკოვისა და მაშინდელ მოსკოვის დიპლომატებს მოეტყუებინა, და ორაზროვან პასუხს აძლევს მოსკოველ ელჩს: „Царскому величеству для братцкие любви не постоит. И государь бы под те городы послал ратных своих людей и велел над теми городы промышляти с своей стороны; а толко он те городы возмет, хоти и безгосударевы рати, и он тех городов государю поступитца“ [4]. როგორც ვხედავთ, შაჰ-აბასს რუსეთის

---

[1] Памятники дипломат. и торг. снош. Моск. Руси с Персией. Изд. Веселовского, ტომი I, გვ. 429.

[2] იქვე, ტომი I, გვ. 105—106.

[3] იქვე, ტომი I, გვ. 96. აგრეთვე Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 564.

[4] იქვე, გვ. 564, გვ. 96.

ლაშქრის თურქეთის სამფლობელოზე შესევა სურდა და უკანასკნელი წინადადება დიპლომატიური ხერხი უფრო არის, ვინემ გულწრფელი განცხადება. რომ ეს ნამდვილად ასე არის, შემდეგი ცნობებიდანაც ნათელი ხდება. ირანიდან დაბრუნებულ ვასილჩიკოვს შაჰ-აბასმა თავისი ელჩებიც გამოაყოლა, „მუთანბეგი“ და ზემოთხსენებული ანდიბეგი. მოსკოვის მეფისადმი გამოგზავნილ წერილში, რომელიც ხსენებულ ელჩებს მოუტანიათ, სხვათა შორის, შაჰი სწერდა: „Писал государь в своей грамоте чтоб он (шах) государю поступился городов Баку да Дербени; и он тех городов царскому величеству поступаетца. А государю б счастьем своим тех городов доступат“ [1].

ამ ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ შაჰი მოსკოვს უთმობს თურქეთის მიერ დაპყრობილი ქალაქების წართმევის უფლებას. ამ აზრს სავსებით ადასტურებს ირანელი ელჩების სიტყვიერი განცხადება, რომელიც მათ წარმოთქვეს ბორის გოდუნოვის წინაშე გამართული მოლაპარაკების დროს. ელჩებს განუცხადებიათ, რომ რუსეთმა შემოუტიოს დაღისტანს და ბაქოს, შაჰი კი შირვანზე გაილაშქრებსო და გამარჯვების შემდეგ მოსკოვსა და ირანს შორის უშუალო კავშირის დამყარების შესაძლებლობას უხატავდნენ: „Государь бы к тем городом с своей стороны послал рать свою, а государь их пойдет на Ширванскую землю. И толко государевы люди возмут Дербен да Баку и учнут теми городы государевы люди владети, а шаховы люди, взяв Ширван, учнут в Ширванской земле жити,—и они будут меж себя в соединенье“ [2].

მოსკოველი დიპლომატები, რა თქმა უნდა, მიხვდნენ, რომ შაჰი მოსკოვის თურქეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩათრევას ცდილობდა, ისე რომ ირანს შირვანი იზოლაციაში მოექცია და ადვილად დაეპყრო. ელჩებს უმტკიცებდნენ, რომ მოსკოვს დარუბანდი და ბაქოს აღების ნებართვა შაჰისათვის არ უთხოვნიათ, რომ ამ ქალაქებზე ლაპარაკი თუ დაიწყო, თვით შაჰის ინიციატივით, რომელმაც ამ ქალაქების და თურქეთის სხვა ადგილების დასაპყრობად დახმარება სთხოვა მოსკოვს, და აღუთქვა მოსკოვს აღების შემდეგ დახმარების სასყიდლად ბაქოსა და დარუბანდის დათმობა. იქვე შეეცადნენ ირანელი ელჩებისათვის დაემტკიცებინათ, რომ მოსკოვმა მეგობრობის ნიშნად და მოლაპარაკების შედეგად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კიდეც შაჰის დასახმარებლად თურქეთის საწინააღმდეგოდ, სახელდობრ, ელჩებს უთხრეს, რომ იმავე წელს, როცა ირანთან მოლაპარაკება დასრულდა, ვასილჩიკოვის დაბრუნებისას მოსკოვმა გაგზავნა ჯარი თერგზე, ააგო ციხე და მეციხოვნეებს დავალება მიეცა თურქეთის ლაშქარი დაღისტანისაკენ არ გამოეშვა, აგრეთვე ამაღე მიზნით მოსკოვის ბრძანებით დაირაზმა ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი მთავრები: „Чтоб турские и крымские люди на шахову землю трою дорогою не ходили; то государь учинил для брата своего Шахова величества любви по

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 565. Веселовский, დასახელ. ნაშრომი, გვ. 129.

[2] Веселовский, დასახ. ნაშრომი, გვ. 133. აგრეთვე Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 565.

ეროვნული ბიბლიოთეკა

его присылке"[1]. მოსკოვის დიპლომატთა მოყვანილი განცხადება სინანდვილეს, იმ მხრით შეიცავდა, რომ მართლაც 1593 წ. მოსკოვმა ჯარი გამოგზავნა, ციხე-სიმაგრე ააგეს და შამხალს შეუტიეს, მაგრამ არა ირანის სიყვარულისათვის, არამედ მათ თავისი საკუთარი მიზნები და გეგმები ჰქონდათ აქ. მოსკოვს იმხანად არ აინტერესებდა—დაიპყრობდა ირანი შირვანს თუ არა; მას პირველ რიგში სურდა ირანის გამოლაშქრება დაღისტანისაკენ, რათა ეს ზღუდე სამხრეთისაკენ დარღვეულიყო.

თერგზე ციხე-სიმაგრის აგებას და აქ ფეხის მომაგრებას მოსკოვი ირანის შაჰთან სიყვარულის, მეგობრობისა და დახმარების აქტად ასაღებდა და ბაქოდარუბანდის შაჰის ხელიდან მიღებას ცდილობდა.

მართალი არის, რომ ყირიმს ხელი შეუშალა მოსკოვმა შამხალთან კავშირის გაბმაში, გზა გადაუჭრა ყირიმს და ირანს მართლაც შეეძლო ესარგებლა ამ შემთხვევით, მაგრამ, როგორც ჩანს, ირანს ამის ძალა არ შესწევდა, თურქეთი სხვა მხრიდანაც წვდებოდა ირანს და ყურადღების ცენტრი იქით იყო გადატანილი. არსებითად რუსეთმა ვერ შესძლო ირანის გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოსკოვი მეორე მხრიდანაც ცდილობს სხვისი ძალით თურქეთის შესუსტებას, სახელდობრ, ავსტრიის მხრიდან. ირანის შაჰიც ურჩევდა მოსკოვს თურქეთზე ავსტრიის ძალების გამოყენებას და მოსკოვი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს დასავლეთ ევროპის ძალების თურქეთის წინააღმდეგ გაერთიანების იდეას. თედორე ივანეს-ძის გამეფებისთანავე ავსტრიის მეფეს, რუდოლფ II-ს, ელჩი ნოვოსილცოვი გაუგზავნეს მოსკოვიდან, რომელსაც თედორეს გამეფება და მოსკოვის ავსტრიასთან მეგობრობის სურვილი უნდა ეუწყებინა. 1588 წელს მოსკოვი წერილებს გზავნის ავსტრიის მეფესთან, რომელშიაც ლიტვა-პოლონეთის სამეფო ტახტის საკითხების გარდა აღნიშნული იყო, რომ შაჰის წინადადებითა და თანხმობით კავშირი შეეკრათ—რუსეთს, ავსტრიას, საფრანგეთსა და ირანს, და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად ემოქმედათ. ავსტრიის ელჩი „ვარკოჩი" გამოიგზავნა მოსკოვში მოსალაპარაკებლად—თუ რაში უნდა გამოიხატოს მოსკოვის დახმარება ავსტრიის მიმართ თურქეთისა და პოლონეთის წინააღმდეგ ლაშქრობაშიო. ვარკოჩს მოსკოვში განუცხადეს: „Государь хочет чтоб брат его дражайший, Рудольф цесарь, сославшись и укрепившись с папою Римским, с королем Испанским и со всеми поморскими государями христианскими, был с ним в соединеньи и докончаньи на Турского. А Персидский шах с государем ссылается о любви братской и хочет с ним стоять на Турского за одно"[2].

„ვარკოჩის" ელჩობა რამდენიმეჯერ განმეორდა და სხვა საკითხებს შორის თურქეთის წინააღმდეგ მოქმედების საკითხიც განმეორებით ისმებოდა.

„ვარკოჩი" მოითხოვს წინასწარ ფულით დახმარება აღმოუჩინოს ავსტრიას. აგრეთვე დაახმაროს ავსტრიას ზაპოროჟელი ყაზახები, რომელნიც ყირიმზე თავდასხმებით ხელს შეუშლიდნენ ყირიმელებს დახმარება აღმოეჩინათ თურქე-

[1] Веселовский, დასახ. ნაშრომი, გვ. 140. აგრეთვე Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 566.

[2] Соловьев, История России, წიგნი II, ტომი VII, გვ. 590.

თისათვის. 1595 წელს მოსკოვიდან ავსტრიაში გაიგზავნენ ელჩები ვ ე ლ ი ა მ ი ნ ო ვ ი და ვ ლ ა ს ო ვ ი, რომელთაც ფულის ნაცვლად მიჰქონდათ 44 ათას ოქროთ ღირებული ძვირფასი ბეწვეული. ავსტრიის მეფემ საჩუქრები მიიღო, მაგრამ ესპანეთთან და საფრანგეთთან კავშირის დასამყარებლად არაფერი არ გაუკეთებია; თურქეთის წინააღმდეგ შეთანხმებული მოქმედებისათვის მოსკოვთან ხელშეკრულების დადებაზედაც საქმე გააჭიანურა. 1597 წელს ავსტრიიდან მოსული ელჩი ა ბ რ ა ა მ ი მოსკოვის საელჩოთა საგანგიოში აცხადებდა რომ ესპანეთის მეფე საფრანგეთთან და ნიდერლანდებთან ერთად ინგლისის წინააღმდეგ იბრძვის, კავშირი დამყარებული არ არის რომის პაპთანაც და რომ, ამიტომ, ავსტრიის მეფეს რუსეთთან ხელშეკრულების დადება თურქეთის საწინააღმდეგოდ ჯერჯერობით არ შეუძლიაო. მოსკოვის დიპლომატები აღაშფოთა ავსტრიელი ელჩის ასეთმა პასუხმა, მით უმეტეს, რომ წინანდელი ელჩი „ვარკოჩი“ არწმუნებდა მოსკოვს, რომ პაპი, ესპანეთის მეფე და ავსტრია უკვე შეკავშირებული არიან თურქეთის საწინააღმდეგოდო [1]. როდესაც აბრაამს მოაგონეს, რომ „ვარკოჩი“ ამ საქმეს უკვე მომხდარ ფაქტად აცნობდა მოსკოვს, მას უპასუხია: „Это Варкоч соврал, здесь говорил не по приказу, а приехавши к цесарю сказал не так как здесь делалось“ [2].

მოსკოველ დიპლომატებს, რომელთაც ავსტრიის საქმეებში შ ჩ ო ლ კ ა ლ ო ვ ი ხელმძღვანელობდა, საჭიროდ მიუჩნევიათ როგორმე თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ავსტრია ჩაეთრიათ და ავსტრიელ ელჩ აბრაამისათვის წინადადება მიუციათ, რაკი ავსტრიის მეფის სურვილი არის თურქეთის წინააღმდეგ შეთანხმებულად და შეერთებული ძალებით ბრძოლა, დაედვა კავშირის ხელშეკრულება მოსკოვთან, ხოლო, რადგანაც იმხანად რომის პაპის ელჩიც მოსკოვში იყო, შეთანხმებულიყვნენ ამ საერთო საქმეზე პაპის ელჩთანაც და საქმის გაჭიანურებას ბოლო მოღებოდა. მაგრამ, ავსტრიის ელჩმა კატეგორიული უარი განაცხადა ასეთი მოლაპარაკების წარმოებაზე და მოიმიზეზა, რომ მას საამისო ბრძანება მეფისაგან არ წამოუღია, ხოლო ახლა ავსტრიაში წასვლა და ინსტრუქციების მიღება მეფისაგან შეუძლებლად დასახა, ვინაიდან დიდი დრო დასჭირდებოდა საამისოდ. მოსკოვში ურჩიეს, რომ თვითონ ელჩს მოსკოვში მოეცადა, ხოლო ავსტრიის მეფესთან თავისი ერთ-ერთი მხლებელთაგანი გაეგზავნა ინსტრუქციების მოსატანად. ელჩმა ამაზე უარით უპასუხა და განაცხადა, —არც ასეთი მოქცევის და ნაბიჯების გადადგმის ინსტრუქცია მაქვს ჩემი მთავრობისგანაო [3].

რომის პაპი თავის მხრივ მოსკოვში გზავნიდა ელჩებს და მოსკოვს თურქეთის საწინააღმდეგოდ აგულიანებდა 1595—1597 წლებში. ელჩი „კომულეი“, თანახმად რომში მიღებული ინსტრუქციისა, მოაგონებდა მოსკოვს, რომ ბიზანტიის მემკვიდრე მოსკოვის მფლობელია, რომ თურქეთის მიერ დამონებული ბალკანეთის მოსახლეობა რუსეთის მონათესავეა, რომ სამხრეთის მდიდარი ადგილების ხელში ჩაგდება მოსკოვს დიდად გაამდიდრებდა. როგორც ჩანს,

[1] Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 593.
[2] იქვე, გვ. 598.
[3] იქვე, გვ. 598.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის გაღიზიანება არც ისე ადვილი საქმე იყო, თურქეთის ძლიერებით მეტისმეტად შეშინებული იყვნენ მოსკოვში და ასეთი საქმის ინიციატივა ანუ თურქეთთან პირისპირ შებმა მოსკოვს არ სურდა და არც შეეძლო, ხოლო მოსკოვის დიპლომატიამ ვერ შესძლო თურქეთის გარშემო რკალი შეეკრა. ირანი და ავსტრია რუსეთის თავის ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდნენ თავის მხრივ, მოსკოვიც მათ ანკესზე არ წამოეგო. ინტერესთა სხვადასხვაობა და თითოეულ ამ სახელმწიფოთა შინაგანი წინააღმდეგობა ხელს უწყობდა თურქეთის ძლიერებას და ამდენად თურქეთის საკითხი საუკუნეების მანძილზე მის მეზობელ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მაგრამ ის გარემოება, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთს მოწინააღმდეგე მეზობლები, თუმცა მასზე ნაკლები ძალის, მაინც საკმაო ჰყავდა, არ აძლევდა მას საშუალებას მოსკოვის წინააღმდეგ სისტემატური დაპყრობითი ომი ეწარმოებინა და რუსეთის ძლიერების ასალაგმავად ყირიმის სახანოს შეგულიანება ჯერჯერობით საკმარისად მიაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, თავის სამფლობელოების status quo-ს დაცვა ყირიმის სახანომ მაინც შესძლო. მოსკოვი ამ დროისათვის სამხრეთით უკვე დამკვიდრებულ ყაზახობას უკან იყო ამოფარებული და ეს საფარი მეტისმეტად მოხდენილი საფარი აღმოჩნდა. ყაზახები ხშირად თავს ესხმოდნენ ყირიმელებს, მოსკოვის სამფლობელოს საზღვრებს იცავდნენ და დიპლომატიურ ურთიერთობის დროს, როცა თურქეთი მოსკოვს ყაზახობის თავდასხმების ალაგმვას თხოვდა, მოსკოვი თავს იმართლებდა: ყაზახები თავისუფალი ხალხია მოსკოვის სამსახურში არ არიან და მათზე არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შემიძლიაო. აი ასეთი მდგომარეობა ჰქონდა მოსკოვის სამეფოს იმ დროს, როცა იგი კახეთთან ურთიერთობას აახლებდა. როგორც წყაროებიდან ჩანს, სამოცდაათიანი წლის შემდეგ კახეთ-მოსკოვს შორის არსებული კავშირი შეწყდა. კავშირისა და ურთიერთობის შეწყვეტა მოსკოვის მაშინდელ საგარეო და შინა პოლიტიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული. ივანე IV, როგორც ზემოთ არა ერთხელ აღვნიშნავდით, დასავლეთით მდგომარეობის გართულების გამო, სამხრეთ-აღმოსავლეთით უკან იხევს. მას თურქეთ-ყირიმთან მდგომარეობის გამწვავების თავი აღარ ჰქონდა. 1585 წლიდან კი, როგორც ვიცით, დასავლეთით მდგომარეობა შეიცვალა: მოსკოვი ფრთხილი ნაბიჯით იწყებს ყირიმ-თურქეთის წინააღმდეგობას. ჩრდილოეთ კავკასიაში მოსკოვს გამოცოცხლება დაეტყო. სავაჭრო მიზნები ერთ-ერთ მამოძრავებელ სტიმულად ხდება სამხრეთისაკენ. ვოლგის გზა და ასტრახანი ამ მხრივ ყველაზე უკეთესი პირობა იყო. ცნობილია, რომ თურქეთი და ყირიმი არ ურიგდებოდნენ მოსკოვის მიერ ამ ადგილების ხელში ჩაგდებას, ამიტომ საჭირო იყო თავდაცვის საქმე მტკიცე საფუძველზე აეგოთ. საჭირო იყო ყირიმ-შამხალს შორის დროულად გზის გადაჭრა, ვინაიდან მოსკოვში მიღებული ჰქონდათ ცნობა, რომ თურქეთი თერგზე ციხე-სიმაგრის აგებას ფიქრობდა [1]. თედორეს და ბორის გოდუნოვის ცდა—თურქეთთან კავშირი გაეგბათ—უშედეგოდ დასრულდა. 1585 წელს თურქეთის ელჩმა იბრაჰიმმა, თა-

[1] С. Белокуров, დასახელებული ნაშრომი, გვ. XCVII.

ვისი მთავრობის დავალების თანახმად, უარი განაცხადა მოლაპარაკებანი გამართათ თურქეთ-მოსკოვის დამეგობრებაზე. თურქეთის-ელჩი დონისა და თერგის ყაზახობის აყრას და ალაგმვას მოითხოვდა წინასწარ. ცხადია, მოსკოვს ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო. ყაზახობა მაშინდელი მოსკოვის სახელმწიფოს ფორპოსტი იყო სამხრეთით. მოსკოვში თურქეთის ელჩის და სულთანის წინაშე თავს ასე იმართლებდნენ: „Сами знаете, что на Терке и на Дону живут воры беглые люди, без ведома государева, не слушают они никого и нам до казаков какое дело?“ [1].

ყაზახობის ალაგმვა ყირიმ-თურქეთისათვის მოსკოვის სამფლობელოზე გზის გახსნას გულისხმობდა. მოსკოვი, რა თქმა უნდა, იარაღის აყრას არ აპირებდა. პირიქით, მას ყაზახების ძალა საკმარისად არ მიაჩნდა და ჩრდილოეთ კავკასიაში დასაყრდენის შექმნა სურდა, რომ ვოლგის სავაჭრო გზა ერთხელ და სამუდამოდ უშიშარი გამხდარიყო. ამისათვის მოსკოვმა განაახლა ხშირი ურთიერთობა ჩერქეზეთსა, ყაბარდოსა და ყუმუხებთან, რომელნიც ყირიმ-შამხალის შემოტევებისაგან შევიწროებული იყვნენ. დაიწყო ჩვეულებრივი საჩუქრების გზავნა, მათგან ერთგულების ფიცის წიგნების მოცემისათვის ელჩების მიმოსვლა. ხსენებულ სამთავროებს, მოსკოვის ჩრდილოეთ კავკასიაში განმტკიცებისათვის, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ მიერ ხელის შეწყობა ციხე-სიმაგრეების აქ აგებაში აუცილებელი პირობა იყო. ისინი დასაყრდენი ხდებოდნენ ამ საქმეში. აქ ციხე-სიმაგრეების აგებას მოსკოვი ჩერქეზ-ყაბარდოელებთან ურთიერთობის დროს ისე ასაღებდა, თითქოს მათ დასაცავად იწუხებდა თავს. ყირიმელებისა და შამხალ ბატონისაგან შევიწროებული ჩერქეზ-ყაბარდოელნი მოსკოვს უჭერდნენ მხარს, მით უმეტეს რომ ჯერჯერობით მოსკოვი სრულებით არ იჩენდა განზრახვას ეს სამთავროები როგორც პოლიტიკური ერთეული მოესპო. არც დიდ ვალდებულებებს აკისრებდა მათ მოსკოვი. ასეთმა პოლიტიკამ აქ შექმნილ პირობებში თავისი ნაყოფი გამოიღო, მოსკოვს საშუალება მიეცა ჩრდილოეთ კავკასიაში ვოლგის სავაჭრო გზისათვის დასაყრდენის შექმნაზე ეზრუნა. თურქეთის წინაშე საჭირო შემთხვევაში მოსკოვი ფორმალურ გასამართლებელ საბუთს ადგენდა, რომ ჩერქეზები იმთავითვე მოსკოვის ვასალები იყვნენ და ციხეს მხოლოდ მათ დასაცავად აგებდა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ დოკუმენტში ჩრდილოეთ კავკასიის მთიულნი მოსკოვის მთავრობას უძველესი დროიდან რიაზანის სამთავროდან გამოქცეულ რუს ქვეშევრდომებად გამოუყვანია. სახელდობრ, შაჰ-აბასის წინაშე გაგზავნილ ელჩს ზ ვ ე ნ ი გ ო რ ო დ ს კ ი ს სხვათა შორის დავალებული ჰქონია ეთქვა ირანში: „А кабардинские черкасы издавно холопи государевы резанских пределов; и отступя от государей, бежали с Резани и вселилис в горы. А как поручил бог отцу государеву ц. и. в. к. Ивану Васильевичу... царство Казанское и Астраханское, и черкасы горские со всею кабардинскою землею, узнав своих прироженных государей били челом царю Ивану в службу и во всей воле его учинилися“ [2].

[1] С о л о в ь е в, დასახელებული შრომა, ტომი VII, გვ. 621.

[2] Б е л о к у р о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 569.

ყირიმში ივანე IV გარდაცვალების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. შეიცვალა იმ მხრივ, რომ თვით ყირიმის სახანო შიგნით ბრძოლის ველად გადაიქცა. იგი აღარ წარმოადგენდა შინაგანი სიმტკიცის მქონე ძალას. ყირიმში ხანების ორი პარტია იბრძოდა. ერთი ემყარებოდა თურქეთს, მეორეს სურდა თურქეთის ვასალიტეტისაგან განთავისუფლება. ასეთი დაჯგუფება ყირიმის მმართველ წრეებს შორის კარგა ხანია მიმდინარეობდა, მაგრამ მწვავე ხასიათი მიიღო ამ წინააღმდეგობამ 1584—85—86 წლებში. სწორედ იმ წლებში, როცა მოსკოვის ტახტს თეოდორე და ბორის გოდუნოვი განაგებდნენ. ეს წლები ჩვენ ვიცით ის დრო არის, როცა მოსკოვს ჯერ კიდევ პოლონეთის საფრთხე სავსებით აცილებული არ ჰქონდა. მეტისმეტად ხელსაყრელი შეიქმნა ყირიმში შექმნილი მდგომარეობა მოსკოვისათვის.

სამხრეთის საზღვრები შედარებით უზრუნველყოფილი ჰქონდა. ყირიმის ხანი მუჰამედ-გირეი მოჰკლა თურქეთის ჩაგონებით თურქეთის ორიენტაციის ჯგუფის წარმომადგენელმა კონსტანტინეპოლიდან დაბრუნებულმა მუჰამედ-გირეის ძმამ ისლამ-გირეიმ და ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. მაგრამ მუჰამედ-გირეის შვილები საიდეთი და მურადი 1585 წელს ახდენენ ისლამის წინააღმდეგ აჯანყებას. დიდი ბრძოლების შემდეგ ისლამი განდევნეს, მაგრამ უკანასკნელმა თურქების დახმარებით შესძლო ტახტის დაბრუნება და თურქეთის ჯარებით გარსშემორტყმული ყირიმის სახანო თურქეთის უშუალო დამოკიდებულებაში მოაქცია. ცხადია, ყირიმის მოწინავე ფეოდალური წრეების საკმაო ნაწილი ისლამის ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგი იყო. ისლამი უცხო ძალას ეყრდნობოდა, ამდენად მისი მდგომარეობა ყირიმში მერყევი იყო. მოსკოვი ყირიმში მომხდარ ამბებს პასიურად არ უცქეროდა. იგი შეეცადა გამოეყენებინა ყირიმში შექმნილი წინააღმდეგობა. ეს, როგორც ცნობილია, ნაცადი პოლიტიკა იყო რიურიკების პოლიტიკაში თათრების მიმართ, და ისლამის მიერ გამოდევნილი მურადი და საიდეთი თავის სამფლობელოში დიდის პატივით მიიღეს. მოსკოვი კარგად იყო იმფორმირებული ყირიმის შინაგანი მდგომარეობის შესახებ, იცოდა, რომ ყირიმის მოწინავე ფენა თურქეთის აგენტს ისლამ-გირეის მტრულად უცქეროდა და საიდეთს უფლება მისცა ნოღაელ თათართა ურდოში დასახლებულიყო, ხოლო მურადი ასტრახანში დაასახლა. ნომინალურად ვითომ მურადი ასტრახანის ბატონ-პატრონად გამოაცხადა; იგი იღებდა მახლობელ თათართა თავადების ელჩებსაც, როგორც მფლობელი ასტრახანისა. მაგრამ მოსკოვის სასტიკი კონტროლის ქვეშ იყო. მოსკოვის ვოევოდების და წარმომადგენლების გარეშე არავისთან ურთიერთობის და მოლაპარაკების ნება არ ჰქონდა. მურადი მოსკოვს ნოღაელ თათართა დამორჩილებაში დიდ სამსახურს უწევდა, მაგრამ იმავე დროს მოსკოვს დახმარებას სთხოვდა ყირიმზე გასალაშქრებლად. მოსკოვი არ იყო მომხრე ყირიმზე ლაშქრობისა; ერთი მხრით თურქეთის ეშინოდა, ხოლო, მეორე მხრით, პოლონეთისაც ეშინოდა. ყირიმის მახლობლად ყირიმელ ემიგრანტ უფლისწულების დასახლებით მოსკოვს უნდოდა ყირიმისმფლობელი შეეშინებინა. საჭირო შემთხვევაში ყირიმში არსებულ წინააღმდეგობისათვის ხელი შეეწყო, რადგანაც ყირიმში მურადსა და საიდეთს ბევრი მომხრეები ჰყავდა. ისლამ-გირეი ყირიმის მფლო-

ბელი მართლაც შეშინებული იყო ამ გარემოებით და მოსკოვში თედორე მეფეს სწერდა: „Если захочешь с нами быть в дружбе, то ты бы наших недругов Сайдета и Мурата у себя не держал, хотя они тебе и в руки попались; ты бы сослал их туда, где бы их не слыхать, ни видать; а денег и казны не годится им давать. Если ты с нами подружишься, то мы непременно станем над неверною Литвою промышлять“ [1].

მოსკოვი ახლა ყირიმის დახმარებას ლიტვის წინააღმდეგ არ საჭიროებდა; მას თვით ყირიმის დასუსტება და მორჩილებაში ყოფნა უფრო სჭირდებოდა და თავის ელჩს ყირიმში დაავალა ხანისათვის მოეხსენებია, რომ მურადი და საიდეთი ყირიმს თავს არ დაესხმიან იმ შემთხვევაში, თუ თვით ყირიმის ხანი მოსკოვის სამფლობელოების დარბევაზე ხელს აიღებს, თურქეთს ასტრახანისაკენ გამოლაშქრებას დაუშლის და მოსკოვს ინფორმაციას მიაწოდებს თურქეთის განზრახვისა და გეგმების შესახებ. მურადისა და საიდეთის შესახებ დამატებით უნდა ეთქვა რუს ელჩს, რომ მათ ასტრახანიდან და ნოღაელთა ურდოდან არსად არ წაიყვანს. ამ დროს დიდ სამსახურს უწევდა მოსკოვს სამხრეთ საზღვრების მშვიდობიანობის დაცვაში „ზაპოროჟელი“ ყაზახობა. ისინი სისტემატურად თავს ესხმოდნენ დიდი რაზმებით ყირიმის სამფლობელოებს და აწიოკებდნენ მოსახლეობას; აღსანიშნავია ატამან იარიშევსკის თარეშები 1585 წ. როგორც ცნობილია, დნეპრის მიდამოები მაშინ ლიტვის ხელქვეითი იყო და ყირიმ-თურქეთის გულისწყრომა და ყურადღება ლიტვის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1588 წელს დნეპრის ყაზახობამ კვლავ დაარბია ყირიმის სამფლობელოები. ყირიმის ხანი ისლამ-გირეი თავს ვერ ართმევდა ყაზახთა თარეშს. თურქეთის სულთანი კიდეც დაემუქრა ისლამს: თუ ყაზახობას არ ალაგმავ ყირიმიდან გაიდევნებიო. მაგრამ იმავე 1588 წელს ისლამი გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე ყაზი-გირეი, სულთანის ბრძანების შესრულების მიზნით, იძულებული გამხდარა მოსკოვთან მეგობრული ურთიერთობა გაემართა. მოსკოვს სიამოვნებით მიუღია ეს წინადადება და თავის მხრივ უმტკიცებდა, რომ მოსკოვი მტრულად განწყობილი იყო ისლამ-გირეის მიმართ, რომ ყირიმელ უფლისწულების და საიდეთის ხელმძღვანელობით და სხვა რუს სარდლებით და ჯარებით აღსდგა ყირიმის წინააღმდეგ, მაგრამ თითქოს გაიგო რა, რომ ისლამი გარდაიცვალა, ხოლო ტახტი კაზი-გირეის ერგო, ამ განზრახვაზე მაშინვე ხელი აიღო [2]. კაზი-გირეის თხოვნა, მოეკლათ მისი მოწინააღმდეგე ატალიკ-მუსლი, რომელიც რუსებს ხელში ჩაუვარდათ, მოსკოვმა ნიშნად მეგობრობისა შეუსრულა. ამ ხანებში საერთოდ ჩანს, რომ მოსკოვს აღარ შინებია ყირიმისა. მოსკოვიდან ყირიმში გაგზავნილი საჩუქრების სიმცირე და ხანისადმი წერილებში მარტო სალამით მიმართვა, თაყვანისცემის გარეშე, ამის დამადასტურებელია [3]. კაზი-გირეის მოთხოვნა მურადის ყირიმში გაგზავნის შესახებ მოსკოვმა არ

[1] Соловьев, დასახ. შრომა, ტომი VII, გვ. 608. მასალები ყირიმისა და მოსკოვის ურთიერთობის შესახებ. იხ. აგრეთვე Карамзин, ტომი X, თავი I, გვ. 33, 34, 35, 36.

[2] Соловьев, დასახელებული ნაშრომი, გვ. 609.

[3] იქვე, გვ. 609.

შეასრულა. ყირიმს არც რუსეთის სამფლობელოებში მყოფი ყაზახები ეხმარებდა და, როგორც აღვნიშნავდით, ამის გამო ყირიმისა და სულთანის დროებითი ტესტები მოსკოვს აღარ აშინებდა, თავს ფორმალურად მოხერხებულად იმართლებდა. ეს მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. რუსეთის ლაშქრისაგან შევიწროებული შვედეთი 1590 წელს აუწყებდა ყირიმის ხანს, რომ მოსკოველი მეფის ლაშქარი ჩრდილოეთით შვედეთის საზღვრებთან არის თავმოყრილი და, სამხრეთიდან თუ მოსკოვის სამფლობელოებს შეესევი, დაუსჯელად ნადავლით გამარჯვებული დაბრუნდებიო. თანაც დიდ საჩუქრებს პირდებოდა. ეს რჩევა მიუღია კიდეც ყირიმის ხანს და იმავე წელს ზაფხულში ყირიმის ლაშქარი მოსკოვს მიუახლოვდა, მაგრამ მოსკოვის ლაშქარი სწრაფი ტემპით კონცენტრირებულ იქნა და თითქმის უბრძოლველად შეშინებული ყირიმის ხანი ყირიმში დაუსვენებლივ გაიქცა. ყირიმის ხანი ისევ შეეცადა მეგობრობაზე ჩამოეგდო ლაპარაკი; მოსკოვში დარწმუნებული იყვნენ, რომ ახლო მომავალში ყირიმი ვერ შესძლებდა მოსკოვზე ლაშქრობას და თავს დამშვიდებულად გრძნობდნენ, მაგრამ 1592 წელს ყირიმელები ანაზდეულად შეიჭრნენ მოსკოვის სამფლობელოში და დიდი ნადავლით უკან გაბრუნდნენ დაუსჯელად. ამ გამარჯვებამ ყირიმი ერთხანს გაათამამა და იგი თურქეთის დავალებით მოითხოვდა ყაბარდოში რუსების მიერ აგებულ ციხე-სიმაგრის დანგრევას და თერგისა და დონის ყაზახების აყრას; მაგრამ რუსეთში მოსკოვის ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ყირიმის ლაშქარი თურქეთის დავალებით ავსტრიის სამფლობელოზე უნდა წასულიყო, თვით თურქეთის ყურადღება ამხანად ავსტრიისაკენ იყო მიპყრობილი და ამიტომ ყირიმელი ელჩების მოთხოვნაზე უარით უპასუხებდნენ. მოსკოვში იცოდნენ, რომ ყირიმს იმ დროს ზავი სწყუროდა რუსეთთან და სათანადო ელჩების მიმოსვლის შედეგად ხელშეკრულებაც დაიდო ე. წ. საუკუნო ზავის შესახებ [1].

თურქეთთან 1584 წელს ურთიერთობისა და დამეგობრების განახლების ცდის უშედეგოდ დასრულების შემდეგ, რაზედაც გაკვრით ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი, მხოლოდ 1592 წელს გაიგზავნა კონსტანტინეპოლში მოსკოვიდან ელჩი ნაშჩოკინი. როგორც ჩანს, თურქეთთან მოლაპარაკება საჭიროდ მიაჩნდათ ყირიმის თარეშების თავიდან ასაცდენად. თურქეთის სულთანის გულისმოსაგებად ელჩს ნაშჩოკინს დავალებული ჰქონია ეთქვა სულთანისათვის, რომ ირანის შაჰი თურქეთის წინააღმდეგ კავშირს სთავაზობდა მოსკოვს და ლაშქრის დახმარებასაც თხოვდა, მაგრამ თითქოს მოსკოვმა ხელცარიელი გაისტუმრა ირანელი ელჩი, ასევე თითქოს უარით გაისტუმრა თურქეთის საწინააღმდეგოდ კოალიციის შესადგენად მოსკოვში მოსული ავსტრიის, ესპანეთის, პოლონეთისა და რომის პაპის ელჩები, რომელთაც თითქოს მოსკოვის მეფე ყურს არ ათხოვებდა. როგორც ვიცით, ასეთი კოალიციის შედგენის ცდა მართლაც იყო და ამ ცდაში მოსკოვი სხვაზე უფრო აქტიური ჩანს, მაგრამ თურქეთის მომადლიერება და მასთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენისათვის ვითომდა დიდ საიდუმლოებას აუწყებდა სულთანს. თურქეთი თანახმა იყო რუსეთთან ურთი-

[1] Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 612, 613, 614--619.

ერთობა ჰქონოდა, მაგრამ დაეინებით მოითხოვდა წინასწარ ყაზახთა [illegible] დონიდან, აგრეთვე ციხე-სიმაგრეების დანგრევას თერგზე, რაზედაც მოსკოვი ჩვეულებრივ თავის-მართლებით და თითქოს ნაწილობრივ დათმობით უპასუხებდა: ყაზახები მისი მორჩილი არ არიან, ხოლო თერგზე მყოფ მეციხოვნეებს ბრძანება მიეცა თურქეთის ქვეშევრდომნი გაატარონ დარუბანდისაკენ [1]. თურქეთი აქტიური ხასიათის ბრძოლის დაწყებას ერიდებოდა მოსკოვის წინააღმდეგ, მას ყირიმი საიმედო საფარად ეგულვებოდა და რახან მოსკოვის საგარეო პოლიტიკის ყურადღების ცენტრად დასავლეთი სახელმწიფოები—ლიტვა, პოლონეთი და შვედეთი—უფრო იყო, თურქეთი არ მოელოდა რუსეთის მხრივ მნიშვნელოვან საფრთხეს. ამდენად თურქეთი თავის უკმაყოფილებას მოსკოვის სახელმწიფოს მიმართ არ მალავდა, მაგრამ რეალური ნაბიჯების გადადგმას აგვიანებდა დასავლეთით და აღმოსავლეთით მოუცლელობის გამო.

III

ასეთია მოკლედ მოსკოვის სამეფოს საგარეო მდგომარეობა თეოდორე I და ბორის გოდუნოვის დროს, ე. ი. XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ასეთი გარემოცვის პირობებში 1586 წლიდან მოსკოვის პოლიტიკის დღის წესრიგში კახეთის საკითხიც კვლავ დაისვა და ოცი წლის მანძილზე ინტერესი კახეთისადმი უფრო და უფრო ცხოველდებოდა. კახეთისადმი ინტერესის გაცხოველება მოსკოვში, ერთი მხრით, თვით კახეთის პოლიტიკურ მესვეურთა საგარეო პოლიტიკის შედეგიც არის იმდენად, რამდენადაც კახეთში რუსეთთან დაახლოებას პოლიტიკური წრეები, კერძოდ კახთა მეფე ალექსანდრე II, მიზანშეწონილად თვლიდა. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, კახეთთან ურთიერთობა უფრო მეტად თვით მოსკოვის საგარეო პოლიტიკის საერთო ხაზიდან გამომდინარეობდა. ამდენად ჩვენ გვინდა შეეცადოთ დავარღვიოთ არსებულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრი: „Кахетя просила, Москва защищала“.

საინტერესოა, რომ მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიას ყველა მკვლევარი სწორედ 1586 წლიდან იწყებს. საერთო სურათი ამ ურთიერთობისა ასე აქვთ წარმოდგენილი: თითქოს თურქებისაგან და დაღისტნელებისაგან შევიწროებული კახეთი თავისი ინიციატივით მიჰმართავს მოსკოვს დახმარებისათვის. მოსკოვი თანახმა ხდება, ღებულობს კახეთს ე. წ. მფარველობაში და თითქოს ამ ნიადაგზე კახეთსა და მოსკოვს შორის გაიმართა დიპლომატიური ურთიერთობა. ასეთი შეხედულება მოსკოვ-კახეთის ურთიერთობაზე გამოწვეულია არსებულ წყაროებზე უკრიტიკოდ დანდობის გამო. მათ კახეთ-მოსკოვის დაახლოების საფუძვლები უფრო კახეთიდან გამომდინარედ მიაჩნდათ.

არსებული მასალების საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ, პირიქით, რუსეთი უფრო მეტად იყო ამ წლებში დაინტერესებული კახეთით, და თუ მოსკოვ-კახეთის დაახლოებას და დიპლომატიურ ურთიერთობას ჰქონდა ადგილი XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ეს უშუალოდ მოსკოვის საგარეო პოლიტიკის ინტერესებიდან იყო გამომდინარე. თუ კახეთი თავის მხრივ ხელს

[1] Соловьев, დასახ. ნაშრომი, ტომი VII, თავი III, გვ. 622–626.

უწყობს მოსკოვთან დაახლოებას და თვით იწვდის ხელს მოსკოვისაკენ, ეს ხელსაყრელი შემთხვევითი მოვლენაა მოსკოვისათვის, იმიტომ, რომ მოსკოვი თავისი საგარეო და სავაჭრო პოლიტიკით კავკასიონის გადმოღმა ლოგიკურად მოიწევს, და თუ აქ ჩრდილოეთისაკენ ხელებ გაწვდილი კახეთი ხვდება მოსკოვს, თავისთავად ცხადია შექმნილი ორმხრივი სასურველი ურთიერთობა არ შეიძლება მარტო კახეთიდან გამომდინარედ ჩაითვალოს. არამც თუ კახეთთან, მოსკოვი მზად იყო მეგობრული ურთიერთობა დ ე. წ. „მფარველობა“ შეეთავაზებინა იმ დაღისტანისათვის, რომელიც აგრე ენერგიულად უღობავდა გზას რუსეთს სამხრეთისაკენ, და კახეთთან დადებულ პირობას, დაღისტანის შემოსევებისაგან დაცვის შესახებ, სწრაფად ივიწყებდა. დაღისტანთან მეგობრული ურთიერთობის გაბმა მოსკოვისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, ვინემ კახეთთან ურთიერთობა. მაგრამ საქმეც ამაში არის, რომ დაღისტანი საიმედო არ იყო, იგი თურქეთის ორიენტაციას არჩევდა და ამდენად მოსკოვს კახეთთან აახლოებდა. დაღისტნელების თურქული ორიენტაცია ორი გარემოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. პირველი—სარწმუნოებრივი ერთიანობა. მეორე—რუსეთის პოლიტიკა ყაზანისა და ასტრახანის სახანოების მიმართ და ამ პოლიტიკის შედეგი, ხსენებული სახანოების მოსპობა, არც ისე ძველი ამბავი იყო. ხოლო თურქეთი საკმაოდ შორს იყო დაღისტანიდან და, რაც მთავარია, დაღისტნელ მფლობელებს ძალაუფლების შენარჩუნების მეტი გარანტია ჰქონდათ თურქეთისაგან. XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რომ მოსკოვი თვით იყო, სხვა ზემოთგანხილულ ამბებთან დაკავშირებით, კახეთით დაინტერესებული, შეიძლება მოსკოვის არსებული იმდროინდელი საარქივო მასალებით დადასტურებულ იქნას. ივანე IV მეფობის ხანის შემდეგ მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შესახებ ცნობები 1586 წლიდან მოიპოვება. ამ წლის მასალებში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ, სანამ კახეთიდან ალექსანდრე II მიერ მოსკოვში ელჩები გაიგზავნებოდა, დაცული ცნობების მიხედვით, ჯერ მოსკოვის დავალებით ასტრახანელი თარჯიმანი დ ა ნ ი ლ ო ვ ი გაუგზავნიათ ასტრახანელ ვოევოდებს კახეთში. იქვე განმარტებულია, თუ რისთვის გაიგზავნა დანილოვი კახეთში: „Лета 7095 сентября в 23 день писали ко государю царю и великому князю Федору Ивановичу в. Р. из Астрахани воеводы Федор Михайлович Лобанов Ростовский с товарыщи... что приехал в Астрахан из Грузинские земли от Александра князя толмач Русин Даниялов; а посылан был из Астрахани проведывать дороги в Грузинскую землю и земли Грузинские—какова земля“ [1].

აი სწორედ ამ დანილოვის კახეთში მისვლის შემდეგ ალექსანდრე II კახთა მეფე, დანილოვთან ერთად, 1586 წელს გზავნის მოსკოვში თავის ელჩებს: მღვდელ ი ო ა კ ი მ ს, კ ი რ ი ლ ე ბ ერ ს და ხ ურ შ ი ტ ს: А с Русином вместе прислал ко государю Александр князь послов своих священника Иакима да старца Кирила да черкашенина Хуршита“ [2].

---

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 10.

ზემოთმოყვანილი ამონაწერებიდან შეიძლება მხოლოდ ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ დანილოვი გზების შესასწავლად გამოიგზავნა, ხოლო დანილოვის კახეთში გამოჩენამ კახეთის პოლიტიკურ მესვეურთ რუსეთთან დაახლოების სურვილი აღუძრა და რუსეთისაგან დახმარების მიღების შესაძლებლობას სცდიდნენ. სხვა ცნობები ჩვენ უფრო მეტის თქმის საშუალებას გვაძლევენ: როგორც ჩანს, დანილოვი მარტო გზის შესასწავლად არ გამოუგზავნიათ მოსკოვის დავალებით ასტრახანელ ვოევოდებს, მას წმინდა პოლიტიკური ხასიათის დავალებაც ჰქონია. ალექსანდრე კახთა მეფის წერილში, რომელიც მან მოსკოვის მეფეს თეოდორე ივანეს-ძეს გაუგზავნა, „რუსინ-დანილოვთან" ერთად მოსკოვში გაგზავნილი ელჩების ხელით 1586 წელს, სხვათა შორის, სწერია: „По сем прислал еси к нам человека своего русина Игнатья Даниловича а с ним прислал еси свою царскую грамоту и вести; мы о том вельми благодарим бога"[1].

რა უნდა წერებულიყო მოსკოვის მეფის წერილში ან რა ხასიათის იყო ეს „вести", წერილიდან პირდაპირ არ მოჩანს. მაგრამ მეორე დოკუმენტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ მოსკოვის მეფეს დანილოვის საშუალებით კახთა მეფისათვის ე. წ. „მფარველობა" და დახმარება შეუთავაზებია: „А с Русином вместе прислал ко государю Александр княз послов своих священника Иакима... А писал с ними... в своей грамоте Александр княз... что пожаловал его государь, поискал своим жалованьем, хочет приняти под свою царскую руку во оборону от неверных; и он то с радостию принял и о том до земли челом бьет"[2]. ალექსანდრეს წერილის ასეთი განმარტების შემდეგ თვით ალექსანდრეს წერილის ადგილებიდანაც გასაგები ხდება, რომ მოსკოვმა პირველად შესთავაზა მას მფარველობა და ალექსანდრე კახთა მეფე, ამ წინადადებით მეტისმეტად კმაყოფილი, მზად არის მიიღოს მოსკოვის ეს ე. წ. მფარველობა: „Сам своею головою и со всею своею землею под кров царствия ти и под вашу царскую руку рад поддаетца"[3]. ამ ამონაწერების შემდეგ ჩვენ საკმაოდ დამაჯერებლად მიგვაჩნია ის აზრი, რომ მოსკოვი თვით ეძებდა XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კახეთთან დაახლოებას და მის მიმხრობას. მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ ცდილა მოსკოვი, ეს თავისი განზრახვა განეხორციელებინა. მოსკოვში ძალიან კარგად იცოდნენ, რომ კახთა სამეფო თავის მოქმედებაში სუვერენი არ იყო, რომ მასზე თვალი ეჭირა ირანსაც და თურქეთსაც, თითოეული ამ სახელმწიფოთაგანი თავის უფლებებს კახეთზედაც ავრცელებდა. XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ირანის დასუსტების გამო თურქეთი თავის სავასალო და მოხარკე ქვეყნად აღიარებდა კახეთს. ამიტომ მოსკოვი სიფრთხილეს იჩენდა და კახეთთან დაახლოებას და კახეთის თავის ხელქვეითად გახდომას ისე აგვარებდა, თითქოს კახეთი იყო ინიციატორი მისი მოსკოვის ხელქვეით შესვლისა, მოსკოვი კი თითქოს სარწმუნოებრივ

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
[2] იქვე, გვ. 562.
[3] იქვე, გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველზე იძულებული ხდებოდა კახეთის თხოვნა შეესრულებინა და კახეთი თავის ვასალიტეტში შეეყვანა. საქმის ახეთნაირად მოგვარება გააადვილა თვით კახეთის მაშინდელმა. შევიწროებულმა მდგომარეობამ, ერთი მხრით ლეკეთი, მეორე მხრით ირანზე ახლად გამარჯვებული თურქეთი. ამ მდგომარეობაში მყოფ კახეთს დახმარება შემოსთავაზა რუსეთმა და, ცხადია, მოსკოვთან დაახლოების იურიდიული გაფორმების გაჭიანურებას კახეთი აღარ ცდილობდა. თუმცა, როგორც წყაროებიდან ჩანს, არც ისე ადვილად დათანხმდა კახეთი მოსკოვის ელჩების წინადადებებზე. საჭიროა ზემოთგამოთქმული მოსაზრება ფაქტებით დავადასტუროთ.

1586 წელს დანილოვის კახეთში მოსვლის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ალექსანდრე კახთა მეფემ ელჩები გაგზავნა მოსკოვში. თავის წერილში ალექსანდრე თანხმობას აცხადებდა რუსეთის „მფარველობაში“ შესვლაზე და თანაც დასძენდა: „И в том твоя царская воля, как государя нашего и его землю пожалуешь, от таких и неверных богомерских агарян оборониш“ [1]. კახელი ელჩები პატივით მიიღეს მოსკოვში და გამოუცხადეს: „И великий государь... Феодор Иванович... для крестьянские веры государя вашего Александра князя и всю Иверскую землю в своем царском жалованье и во оборони держати хочет“ [2]. დაიმედებული კახელი ელჩები სამშობლოში საჩუქრებით გამოისტუმრეს და მათთან ერთად კახეთში რუსეთის ელჩებიც გამოისტუმრეს—ბირკინი, პივოვი და პოლუხანოვი [3]. ამ ელჩების საშუალებით მოსკოვს სურდა კახეთზე თავისი „მფარველობა“ მოხერხებულად ისე გაეფორმებინა, რომ კახეთი გამოეყვანა ამ იურიდიული აქტის ინიციატორად. ელჩებს ე. წ. „ნაკაზის“ სახით მოსკოვიდან წინასწარ მიცემული ჰქონდათ ინსტრუქცია, რომელშიაც, სხვათა შორის, აღნიშნული იყო, რომ ელჩებს ალექსანდრე კახთა მეფისათვის უნდა გადაეშალათ ფართო პერსპექტივა დაღისტანის წინააღმდეგ დახმარების აღმოჩენისა, მაგრამ ალექსანდრე მეფისაგან დახმარების აღმოჩენამდე უნდა მოეთხოვათ ფიცის წიგნი, რომლის ტექსტი მოსკოვში წინასწარ შედგენილი ელჩებს თან ჰქონდათ. ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ ელჩებს დახმარების აღმოჩენამდე მოეთხოვათ ალექსანდრესათვის: „А ныне бы еси государю нашему его царскому величеству правду учинил, почен собою в головах и дети твои люди чиновные за всю твою землю Иверскую на целовальной записи крест целовали, что тебе и твоей земле быти под государя нашею царского величества рукою и от государя нашего неотступну“ [4].

მოსკოვში, როგორც ჩანს, გათვალისწინებული ჰქონიათ, რომ კახთა პოლიტიკური მესვეურნი შეიძლებოდა ასეთ წინადადებაზე არ დათანხმებულიყვნენ, მათი ვარაუდით შეიძლებოდა კახთა მეფეს ჯერ დახმარების აღმოჩენა მო-

---

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
[2] იქვე, გვ. 13.
[3] იქვე, გვ. 13.
[4] იქვე, გვ. 21.

ეთხოვა და შემდეგ ფიცის წიგნზე ხელის მოწერა, ანდა შეიძლებოდა წინასწარ რუსთა ელჩებისაგან მოეთხოვა ფიცის წიგნი და მხოლოდ შემდეგ — თავის მხრით დაფიცებაზე თანხმობა მოეცა. ამ შემთხვევისათვის ელჩთა ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ ელჩებს ალექსანდრე მეფე დაერწმუნებინათ, რომ მოსკოვის მეფე არამცთუ ქრისტიან ხალხს, მაჰმადიანებსაც კი, რომელთაც სურვილი განაცხადეს და დაიფიცეს მოსკოვის ერთგულებაზე, მფარველობასა და დახმარებას უწევს და კახეთს საეკვო და საეყოყმანო არაფერი აქვს, მაგრამ, წინასწარ თუ კი ფიცის წიგნი არ იქნა, დახმარება შეუძლებელი იქნება. ერთი სიტყვით, რუს ელჩებს ინსტრუქციაში ამის გამო ნაბრძანები ჰქონდათ: „Да говорити о том накрепко, чтоб Александр княз и его чиновные люди ныне государю правду дали, что ему и всей Иверской земле быти под его царскою рукою неотступным“ [1]. ინსტრუქციაში უკიდურესი შემთხვევაც გათვალისწინებულია, ე. ი. თუ ალექსანდრე II ელჩების რჩევისდა მიუხედავად, მაინც ფიცის წიგნზე ხელს არ მოაწერდა, მაშინ ელჩებს უნდა ეთქვათ მისთვის, რომ მოსკოვში თავისი ელჩები გაეგზავნა და თავისი აზრი საკუთარი ელჩების საშუალებით მოსკოვისათვის ეცნობებინა: „А будет Александр княз правды дати не похочет и учнет за то крепко стояти, а уговорити его будет отнюд невозможно,—и Радивону и Петру тодати на его воле, толко то ему выговаривать накрепко... что... он бы Александр княз, такое государское призрение и жалованье не забывал и был в государеве жалованье от государя не отступен; а ныне бы он, Александр княз, послал с ними ко государю... послов лутчих людей, о всем с ними наказав накрепко против их слов разговорных“ [2].

ამ ამონაწერების შემდეგ ბუნებრივია კითხვა, თუ კი კახეთი თავისი ნებით და საკუთარი ინიციატივით რუსეთისაგან შველას ითხოვდა და რუსეთის მოწყალებაზე იყო მხოლოდ დამოკიდებული, მიიღებდა თუ არა თავის „მფარველობის“ ქვეშ კახეთს, რატომ იწუხებდა თავს საგარეო საქმეთა საგანგიო და რად ცდილობდა, უნდოდა თუ არა კახეთს, როგორმე კახეთი თავის „მფარველობაში“ შეეყვანა. ცხადია მოსკოვის მხრივ ასეთი „ძალად მაცხონეობა“ ერთხელ კიდევ აშკარად გვიჩვენებს, თუ რამდენად იყო დაინტერესებული კახეთით თავის მხრივ, მაგრამ თავისი პოლიტიკის ეს მხარე უნდოდა დაეფარა და კახეთი ინიციატორად გამოეყვანა მოსკოვ-კახეთის დაკავშირების საქმეში. ხოლო, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თუ კი ალექსანდრე კახთა მეფე წინასწარ რუსეთის ელჩთაგან მოითხოვდა ფიცის წიგნს, ინსტრუქციაში ამ შემთხვევისათვის აღნიშნულია ცალკე, რომ ელჩებს ასე უნდა ეპასუხათ: „с нами о том государева наказу нет, что нам правда учинити; а велено нам тебя Александра князя привести к вере“ [3].

საინტერესოა ფიცის წიგნის ტექსტი, რომელიც ელჩებს თან ჰქონდათ. ტექსტი ისე არის შედგენილი, რომ ჯერ ლაპარაკი არის იმაზე, რომ კახეთმა

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 21—22.
[2] იქვე, გვ. 22.
[3] იქვე, გვ. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითხოვა „მფარველობა“, და შემდეგ აღნიშნულია, რომ მოსკოვმა შეიწყალა იგი და მიიღო თავისი მფარველობის ქვეშ: „Целую кресть великому государю царю... Федору Ивановичю всеа Руси на том, что присылал есми к великому государю... бити челом людей своих священника Иакима с товарыщи, чтоб великий государь... меня пожаловал и мою всю Иверскую землю держал под своею царскою рукою... и великий государь... своим великим жалованием пожаловал меня“ [1]

ელჩებმა კახეთში თავისი დავალება შეასრულეს. ალექსანდრე მეფემ ამ ფიცის წიგნზე ხელი მოაწერა 1587 წლის 28 სექტემბერს, ხოლო 1589 წელს მოსკოვი წყალობის სიგელს უგზავნის ალექსანდრე II კახთა მეფეს, რომელიც წარმოადგენს ალექსანდრე II-ის მიერ მიცემულ ფიცის წიგნზე პასუხს, ე. ი. თავის მხრივ რუსეთიც იურიდიულად აფორმებს მის მიერ ნაკისრ, კახეთზე მფარველობის, ვალდებულებას. ამ დოკუმენტშიც მოსკოვს კახეთი გამოჰყავს დამყარებული ურთიერთობის ინიციატორად. ამ სიგელში ტიტულაციისა და ვრცელი წინასიტყვაობის შემდეგ სწერია: „Преж сего присилал еси к нашему царскому величеству людей своих священника Иакима да старца Кирила да Хуршита с своею грамотою; а в грамоте своей писал еси и речью... бити челом приказывал еси, чтобы нам тебя Александра царя и всю твою Иверскую землю пожаловати“ [2]...

როგორც ვხედავთ, ყველა ოფიციალური საბუთი ისე არის გაფორმებული, რომ არსად ჩანს რუსეთის ინტერესები, თითქოს ყველაფერი კახეთის სურვილისდა მიხედვით კეთდება მოსკოვში. ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს 1588 წელს ირანელ ელჩის „ანდიბეგი“-სათვის მოსკოვში, როდესაც საქართველოზე ჩამოვარდნილა ლაპარაკი, განუცხადებიათ, რომ კახეთის მეფემ ელჩები გამოგზავნა მფარველობისათვის და ჩვენ შევიწყალეთ და მფარველობის ქვეშ ავიყვანეთო: „А говорили ему в ответе о Иверской земле, что присылал ко государю из грузинские земли Александр царь Иверской послов своих, чтоб его государь пожаловал, взял под свою царскую руку... и государь... пожаловал“ [3].

ამრიგად, XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მოსკოვი თვით ცდილობს კახეთთან ურთიერთობა დაამყაროს. ამ მიზნით იგი გზავნის პირველად კახეთში მოციქულს წერილით და თვალწინ უშლის კახეთს დახმარების მიღების პერსპექტივას, და რაკი კახეთის მაშინდელი მდგომარეობა დიდად საჭიროებდა დახმარებას, რუსეთის ძალების თავისი ინტერესებისათვის გამოყენების მიზნით, კახეთი უადვილებს რუსეთს თავისი მიზნების განხორციელებას: იგი თანახმა ხდება მიიღოს რუსეთის მიერ შემოთავაზებული „მფარველობა“. მაგრამ რუსეთი პოლიტიკური სიფრთხილით აფორმებს რუსეთის კახეთზე მფარველობის იურიდიულ აქტს და ოფიციალურ დოკუმენტებში განზრახ საქმის

---

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.
[2] იქვე, გვ. 87.
[3] იქვე, გვ. 563.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარება ისე გამოჰყავს, თითქოს კახეთმა ითხოვა და რუსეთმა იგი შეიწყალა ქრისტიანული კაცთმოყვარეობის საფუძველზე.

ახლა გამოსარკვევია საკითხი იმის შესახებ, თუ რა იგულისხმებოდა ამ ე. წ. „მფარველობის ქვეშ, ანდა რა ვალდებულებანი ეკისრებოდა ორივე მხარეს“ ფიცის წიგნისა და წყალობის სიგელის ძალით. ჯერჯერობით ჩვენ გვინდა განვიხილოთ ამ დოკუმენტების ოფიციალური მხარე. ამ მიზნით პირველად ყოველისა გასარკვევია „ფიცის წიგნი“, რომელზედაც კახთა მეფე ალექსანდრე II-ეს ხელი მოაწერინეს, და წყალობის სიგელი, რომელიც მოსკოვის მეფემ გამოუგზავნა იმავე ალექსანდრეს, წარმოადგენენ თუ არა საერთაშორისო ურთიერთობის ისეთ დოკუმენტებს, რომელნიც ორ სუვერენულ, იურიდიულად თანასწორუფლებიან, პოლიტიკურ ერთეულს შორის დაიდო. დოკუმენტების უბრალო გადასინჯვა ყველასათვის ცხადჰყოფს, რომ ასეთი საბუთებით ერთი მეორესთან დაკავშირება ორ თანასწორუფლების მქონე პოლიტიკურ ერთეულს შორის არ ხდება. აქ მოსკოვის პოლიტიკური უფლება სჭარბობს. კახეთი ფიცის წიგნს აძლევს „Крестоцеловальная запись“, მოსკოვი—წყალობის სიგელს „Жалованная грамота“. კახეთი ვალდებულებას კისრულობს, მოსკოვი—მოწყალებას. ფიცის წიგნის ძალით ალექსანდრე II ვალდებული ხდება ემსახუროს მოსკოვის მეფეს: „И служити мне и моим людем всею иверскою землею великому государю Федору Ивановичю всеа Руси и от него нэ отставати“ [1]...

თეოდორე ივანეს-ძის ალექსანდრე II-სადმი გამოგზავნილ წყალობის სიგელშიც ვკითხულობთ: „И быти тебе, Александру царю,... и всей твоей иверской земле в нашем жалованье под нашею царскою рукою и нам служити и прямити“ [2]...

მაშასადამე, ეს ორი ტიპის დოკუმენტი გვიჩვენებს, რომ მოსკოვი კახეთთან დაახლოებას აფორმებს არა როგორც ორ თანასწორუფლებიან პოლიტიკურ ერთეულს შორის, არამედ ერთის როგორც მეორისაგან დამოკიდებულს შორის. ახლა გასარკვევია მეორე საკითხი, თუ რა ვადით განისაზღვრება მოსკოვ-კახეთს შორის დადებული ურთიერთვალდებულება. როგორც ამ და სხვა საბუთებიდანაც ჩანს, მოსკოვსა და კახეთს შორის დამყარებული ურთიერთობა წლებს არ განსაზღვრავს. ფიცის წიგნში ვკითხულობთ: „быти неотступну со всею своею Иверскою землею и во всем мне государю прямити по сей записи и до своего живота, как в сей записи писано“ [3]. მაშასადამე, ალექსანდრეს სიკვდილამდე ძალაში უნდა ყოფილიყო ეს ფიცის წიგნი. მაგრამ შემდეგი ამბებიდან ვტყობილობთ, რომ ალექსანდრეს მიერ ხელმოწერილი ფიცის წიგნი ძალაში იყო მანამ, სანამ ალექსანდრე მეფე ტახტზე იყო. როგორც კი ალექსანდრე დროებით მისმა შვილმა დ ა ვ ი თ მ ა ტახტიდან გადააყენა, მოსკოვმა ახალ მეფეს დავითს და ალექსანდრესაც ახალი ფიცის წიგნი მო-

---

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[2] იქვე, გვ. 89.

[3] იქვე, გვ. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთხოვა. ხოლო როცა დავით მეფე გარდაიცვალა და კვლავ კახეთის ტახტი ალექსანდრეს ხვდა, მოსკოვმა ალექსანდრეს კვლავ ახალი ფიცის წიგნი მოსთხოვა[1]. მაშასადამე, ფიცის წიგნი მანამდე მიაჩნია მოსკოვის ხელისუფლებას უცვლელად სავალდებულო, სანამ ფიცის მომცემი ტახტზე არის. იმავე დროს მოსკოვის სამეფო ტახტზე მომხდარი ცვლილებებიც ფიცის წიგნის განახლებას მოითხოვს. მაგალითად, როდესაც თედორე ივანეს-ძე გარდაიცვალა და 1598 წელს ბორის გოდუნოვი გამეფდა, ალექსანდრე მეფეს ახალი ფიცის წიგნი მოსთხოვეს ბორის გოდუნოვის სახელზე[2].

რას ემყარება ან რა საფუძველზეა ოფიციალურად დაყრდნობილი ეს ორი დოკუმენტი, რატომ კისრულობს კახეთის მეფე სიკვდილამდე ერთგული და განუყრელი „მეგობარი“ იყოს და რატომ მოიღო მოწყალება რუსეთმა და თავის „მფარველობაში“ აიყვანა კახეთი? ნუთუ კახეთისათვის სავალდებულოა მარტო ერთგულებაზე დაფიცება, ხოლო რუსეთისათვის ლიტონი მფარველობის განცხადება? ოფიციალურად ამავე დოკუმენტებში კონკრეტი ვალდებულებებია ორივე მხარისათვის აღნუსხული: კახეთი ვალდებულია ცუდი რამ არც გაიფიქროს და არც იმოქმედოს მოსკოვის საწინააღმდეგოდ, კახეთი ვალდებულია თავის ქვეშევრდომნი, რომელნიც რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებაში გაერევიან ქურდობით ან მკვლელობით, გამოიძიოს და გადასცეს მოსკოვის ვოევოდებს დასასჯელად.

რუსეთის მეგობარ სხვა პოლიტიკურ ერთეულს კახეთმაც მეგობრობა უნდა გაუწიოს, მტერს კი, რომელიც თერგისა და ასტრახანის სავოევოდოს თავს დაესხმის, კახეთი ვალდებულია თავისი ლაშქრით უმტროს და მორჩილებაში მოუყვანოს რუსეთს. კახეთი ვალდებულია ყოველწლიურად ხარკი აძლიო რუსეთს მისი ქვეყნის სიმდიდრისა და დოვლათის შესაძლებლობის ფარგლებში. თვით მოსკოვი ვალდებულებას იღებს დაიცვას კახეთი ლეკეთისაგან, გაგზავნოს თავისი ჯარი და გაწმინდოს გზა კახეთისაკენ და უშიშარი გახადოს იგი ლეკებისაგან. კახეთის ყოველი მტრის წინააღმდეგ მოსკოვი ივალებს მეშველი ლაშქრის გამოგზავნას[3].

ასე წარმოგვიდგენენ ოფიციალური დოკუმენტები მოსკოვ-კახეთის ურთიერთობისა და კავშირის საფუძველს და ურთიერთვალდებულებებს. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ კახეთის მაშინდელ მდგომარეობასა და იმ საფრთხეს, რომელსაც მას ლეკეთი თავის განუწყვეტელი თარეშებით უმზადებდა, და იმავე დროს მოსკოვის აღთქმასაც გავითვალისწინებთ, სახელდობრ, რომ იგი კახეთს ლეკებისაგან ან, როგორც მაშინ უწოდებდნენ, შამხალ ბატონისაგან დაიცავდა, ერთის შეხედვით რუსეთის მხრივ ქველმოქმედებასაც კი ექნება ადგილი. და კახეთ-რუსეთის ამ დროინდელი დამოკიდებულება რუს მკვლევარს ბ ე ლ ო კ უ რ ო ვ ს ასე გაუგია კიდეც: „Подданство Кахетии Московск. государству, вызванное желанием ея получить защиту от своих врагов, было чисто

---

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 432—433.

[2] იქვე, გვ. 334—335.

[3] იქვე, გვ. 28, 87, 88, 89.

номинальное. Еще сперва она присылала дань, поминки, единственно чем это подданство выражалось; но вскоре же она прекратила доставление ея, хотя московское государство все время оказывало ей помощь против Шевкала и посылало на него войско“ [1]. ჩვენ არ შეგვიძლია ბ ე ლ ო კ უ რ ო ვ ი ს შეხედულებანი გავიზიაროთ. მოსკოვის სამეფოს საგარეო პოლიტიკა ქველმოქმედების პრინციპით არასოდეს არ ხელმძღვანელობდა. იგი მხოლოდ ოფიციალური მხარეა მაშინდელი რუსეთის დიპლომატიისა და უდავოდ მოხერხებულად ჩამოყალიბებული.

სინამდვილეში რუსეთი სულ სხვა მიზნებით იყო აღჭურვილი. მისი საგარეო პოლიტიკა სამხრეთისკენ კახეთით არ დაწყებულა და არც კახეთით სრულდებოდა. კახეთი ერთი რგოლთაგანია მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკისა. ზემოთ, როდესაც მოსკოვის სამეფოს საგარეო პოლიტიკას ვახასიათებდით, მოკლედ აღვნიშნავდით, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, მის შემდეგ რაც მოსკოვმა ხელთ იგდო ყაზანი და ასტრახანი და ვოლგის გზით კასპიის ზღვის ჩრდილო-ნაპირებს მიადგა, მოსკოვის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში პირველად არსებული მონაპოვარის განმტკიცების საკითხი დაისვა, რადგანაც მოსკოვის სახელმწიფოებრივი საზღვრების სამხრეთისაკენ ზრდას ძლიერების უმაღლეს მწვერვალამდე მიღწეული თურქეთი, ყირიმის სახანოს საშუალებით, წინააღმდეგობას უწევდა. ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვქონდა, თუ რა წინააღმდეგობას უწევდა და როგორ შეშინებული იყო მოსკოვი ივანე IV დროს სამოცდაათიან წლებში თურქეთ-ყირიმით, რომელნიც ასტრახანის დაპყრობას მოსკოვის მიერ ვერ ურიგდებოდნენ. რადგანაც დონელი ყაზახობის საშუალებით ერთი გზა ვოლგისაკენ ყირიმ-თურქეთს დახშული ჰქონდა, მოსკოვი შეეცადა მეორე გზაც დაეხშო, სახელდობრ ჩრდილოეთ კავკასიის გზა, და ამ მიზნით ჩრდილოეთ კავკასიის მთიულებთან კავშირი გაბა. ასე სცადა ივანე IV დროს მოსკოვის სახელმწიფომ ამ მეორე გზის გადაჭრა. როგორც აღნიშნული გვქონდა, აქ მოსკოვმა ციხე-სიმაგრის აგებაც შესძლო ჩერქეზებთან კავშირის დამყარებით. რა თქმა უნდა, ჩერქეზებთან კავშირის დამყარება და აქ ციხე-სიმაგრის აგება არ იყო საკმარისი დასახული მიზნის საესებით განხორციელებისათვის, იგი მხოლოდ დასახული გეგმის შესავალი იყო, ბრძოლა კი შემდეგ უნდა დაწყებულიყო. მაგრამ სტეფანე ბატორის პოლონეთმა ლივონიისათვის დაწყებულ ომში და აგრეთვე მოსკოვის შინაგანმა ამბებმა მოსკოვს ხელი ააღებინეს სამხრეთით აქტიურ პოლიტიკაზე და, როგორც აღვნიშნავდით, ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსკოვმა უკან დაიხია. მოსკოვი სასტიკად დამარცხდა ლივონიისათვის ბრძოლაშიც და სამარცხვინო დროებითი ზავის ძიებაში იყო. 1586 წლიდან პოლონეთში დაწყებულმა შინათაშლამ, მოსკოვის დასავლეთი საშიშროება საკმაოდ შეანელა, მაგრამ ამ მიმართულებით აქტიური პოლიტიკის წარმოების კვლავ წამოწყება მაინც შეუძლებელი გახდა. ყირიმში დაწყებულმა შინაგანმა წინააღმდეგობებმა კი მოსკოვის პოლიტიკურ მესვეურთ იმედი აღუძრა, ივანე IV-ის სამხრეთით წარმოებული პო-

[1] ბ ე ლ ო კ უ რ ო ვ, დასახ. ნაშრომი, გვ. CXVII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკის კვლავ გაგრძელების შესაძლებლობისა, და, რახან ეს პოლიტიკა თურქებთან აჯახებდა მოსკოვს, იგი შეუდგა თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შედგენას: დასავლეთით ამ მიზნით უკავშირდებოდა ავსტრიას და რომის პაპს, უკანასკნელს იმდენად, რამდენადაც რომის პაპის საშუალებით მას სურდა დასავლეთ ევროპის სხვა პოლიტიკურ ერთეულთა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა. სამხრეთით მოსკოვი მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქეთისაგან შევიწროებულ ირანთან და ირანის მეორე მხრით თურქეთზე შესევით თურქეთის რკალში მომწყვდევაზე ოცნებობდა. რაკი ამ გზით თურქეთის ძლიერება დასავლეთით და აღმოსავლეთით დაიქსაქსებოდა, მოსკოვი ხელგახსნილად იგრძნობდა თავს და მტკიცე ნაბიჯით წამოიწევდა სამხრეთისაკენ, სახელდობრ გადაუჭრიდა გზებს ყირიმს, ასტრახანი სავსებით უზრუნველყოფილი იქნებოდა და ირანთან დიდი მნიშვნელობის მქონე სავაჭრო ურთიერთობას უზრუნველჰყოფდა. მაშასადამე, ირანისა და ავსტრიის საშუალებით თურქეთის შემოტევის თავიდან აცდენა, ჩრდილოეთ კავკასიაში ფეხის მომაგრებით ირანთან სავაჭრო ურთიერთობის უზრუნველყოფა, ძირითადი აზრია მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკისა. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ 1586 წელს კახეთში გამოგზავნილი დანილოვი უკვე ბრუნდებოდა მოსკოვში. ამ დანილოვს სხვა საქმეებთან ერთად დავალებული ჰქონია: „проведывать ороги в грузинскую землю и земли грузинские какова земля“ [1].

ამის გარდა ასტრახანელ ვოევოდებს იმავე წელს ბრძანება მოსვლიათ: „писати от себя в Шевкалы и в Грузи и в Кизылбаши, чтоб торговые люди с товары ездили в Астрахань, приезд и от'езд и торг в Астрахани поволен“ [2].

სავაჭრო ურთიერთობის გაბმა სამხრეთისაკენ ამ დროს ერთი მნიშვნელოვანი მომენტთაგანია მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთის პოლიტიკისა. თვით ასტრახანისათვის ბრძოლას, სამხრეთისაკენ სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგება ჰქონდა ერთი მხრით მიზნად დასახული, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც თეთრი ზღვით ინგლისთან ურთიერთობა შედარებით მოწესრიგდა. ზემოთ ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავდით, რომ რუსეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობას დიდ დაბრკოლებად ეღობებოდა დაღისტანი და ბაქო-შემახის სახანოები. ისინი ამხანად თურქეთის ხელქვეით იყვნენ, თურქეთი ამ სახანოებთან ორი მხრით ამყარებდა კავშირს: ჩრდილოეთ კავკასიიდან და სამხრეთიდან, სამხრეთიდან იმის შემდეგ, რაც თურქეთმა ირანს შირვანი წაართვა. თურქეთი სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობის მქონე ზოლით გაწვა ირანსა და მოსკოვს შორის. ზემოთ ჩვენ არა ერთი მაგალითი მოგიყვანეთ, თუ როგორ ფერხდებოდა რუსეთ-ირანს შორის ზღვით მიმოსვლა, იმის გამო რომ კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროები თურქეთის გავლენის ქვეშ მყოფ სახანოების ხელთ იყო ამ დროს. შამხალი ბატონი ჩრდილოეთ კავკასიის გზით ყირიმს უკავშირდებოდა და ყირიმი თურქეთის კარნახით, ან და თვით თურქეთი ყირიმის გზით შამხალ

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.
[2] იქვე, გვ. XCIV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონს რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში აბამდა და ხმელეთით სამხრეთისაკენ მომავალ გზას რუსეთისათვის ახშობდა. როგორც აღვნიშნავდით თურქეთთან პირისპირ შებმის თავიდან აცდენის მიზნით, მოსკოვი სიფრთხილით მოქმედებდა და ამიტომ ადგილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის ტომების ყირიმ-თურქეთის საწინააღმდეგოდ ამხედრებას მოხერხებულად, ვითომდა ამ ტომების ინიციატივით, აწყობდა, ისე რომ მდგომარეობის გართულების დროს უკან დახევა და, რუსეთის იმედით ამხედრებულ ამ სამთავროთა მიტოვებით, საკუთარი მიწა-წყლის შენარჩუნება მაინც უზრუნველეყო. ეს უკიდურეს შემთხვევაში. თუ კი შექმნილი მდგომარეობა გაუმართლებდა და თურქეთი ამ მიმართულებით აქტიურ მოქმედებისათვის ვერ მოიცლიდა, რა თქმა უნდა ამ ახლად დამეგობრებულ სამთავროებს იგივე ბედი ეწვეოდა, რაც ყაზანისა და ასტრახანის სახანოებს. ამ პერიოდში, როგორც ისტორიული ცნობებიდან ჩანს, თურქეთი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ აქტიობას არ იჩენდა და რუსეთი შეუდგა ჩრდილოეთ კავკასიაში დიასახლისობას: განამტკიცა კავშირი ჩერქეზებთან და ყაბარდოელებთან, სცადა საერთო ენა მოენახა შამხალთან, მაგრამ, მოუხერხებელი აღმოჩნდა; იგი აქტიურ წინააღმდეგობას უწევს, და აი სწორედ ამ საქმის მოსაგვარებლად კახეთის გამოყენება ყველაზედ უფრო რაციონალურად იქნა მიჩნეული, მით უმეტეს რომ კახეთი დაღისტანს სამხრეთ დასავლეთიდან საზღვრავდა და ორმხრივი შეტევა დაღისტანის მორჩილებაში მოყვანის პერსპექტივას ფართოდ უშლიდა მოსკოვს. კახეთი ამ მხრივ პირველ რიგში აინტერესებდა რუსეთს, რა თქმა უნდა კახეთის მაშინდელი სიმდიდრეც და მისი ხარკის სახით ექსპლოატაციაც გამორიცხული არ იყო, მაგრამ პირველ რიგში მისი შამხალის საწინააღმდეგოდ გამოყენება იყო აუცილებელი, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც შაჰ ხუდაბანდას მეფობის უკანასკნელი წლებიდან ირანთან დიპლომატიური ურთიერთობა განახლდა და რუსეთს ბაქო-დარუბანდის ხელში ჩაგდების შესაძლებლობა დაუსახა ირანმა. კახეთის ბრძოლას შამხალის წინააღმდეგ და ამ მხრივ კახეთის აქტიურ მოქმედებას რუსეთი იმიტომ თვლიდა საჭიროდ, რომ ყირიმ-თურქეთს კასპიის ზღვაზე ერთი დასაყრდენი მოეშლებოდა და ყირიმთან ბრძოლაც ასეთ პირობებში მარტივი ხდებოდა. ყირიმსა და შამხალს შორის ისე იყო რუსეთი შუაზე შემოჭრილი, რომ ამიერ-კავკასიიდან კახეთის გამოყენება დაღისტანის საწინააღმდეგოდ დიდი შელავათი იქნებოდა რუსეთისათვის. მეორე მხრივაც ხელსაყრელი იყო მოსკოვისათვის კახეთი, კახეთის საშუალებით მოსკოვი იმედოვნებდა კავშირის გაბმას საქართველოს სხვა სამეფოებთან, და ქართულ სახელმწიფოების შეერთებული ძალით თურქეთის ერთი მხრით შევიწროებას ფიქრობდა, უარეს შემთხვევაში მოსკოვი არაფერს ჰკარგავდა. თედორე ივანეს-ძის მიერ ბოძებულ წყალობის სიგელში უფრო რელიეფურად და გარკვევით მოჩანს, თუ ფაქტიურად რად აინტერესებდა მოსკოვს კახეთი: „А которые будет князи и мурзы нашему царскому в-ву не послушны будут и к нашей отчине к Астрахани и к Терскому городу не пристанут и в нашем жалованье быти не хотят Шевкал и черкаские и горские князи хто из них, и тебе Александру царю... на тех на всех наших непослушников.... самому на них ходити и рат своя посылати и в нашу волю их к нашей отчине к Астра-

ეროვნული ბიბლიოთეკა

хани и к Терскому городу под нашу царскую руку приводити... А которой будет наш недруг пойдет к нашей отчине к Астрахани или к Терскому городу или людей своих пошлет,—и тебе, Александру царю... нашей отчине Астрахани и Терскому городу помогати и против наших недругов стояти“ [1].

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მოსკოვს კახეთი სავაჭრო ურთიერთობის მიზნითაც აინტერესებდა. მაგრამ მოსკოვს არა ნაკლებ უნდოდა კახეთში არსებული სიმდიდრის მიღებაც. კახეთში გამოგზავნილ რუსი ელჩების ბირკინისა და პივოვისათვის შედგენილ ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ კახთა მეფეს „ტერკის“ ციხის აგებისა და ამ გზით დახმარების მიღების საფასურად მოსთხოვონ: „поминков по десяти аргумаков добрых, по 10 коней добрых, по пяти иноходцов, по пятидесят камок золотых кизылбашских з золотом и серебром лутчих, по десяти ковров з золотом и с серебром и с шелки“ [2].

როდესაც კახეთში რუსი ელჩისაგან ქსოვილებისა და ხალების გაგზავნის ამბავი მოისმინეს, ხალისით მაშინვე ამ წინადადებაზე არ დათანხმებულან, მაგრამ რუსეთისათვის საინტერესო საქონლის რამდენადმე შემცირებულ რაოდენობის გაგზავნაზე უარი არ უთქვამთ; აღნიშნავდნენ, რომ კახეთში ადგილობრივ ყიზილბაშური ოქროქსოვილები და ხალები არ მზადდება, რამდენსაც ვიშოვით უცხოეთში იმდენს მოგართმევთო, ხოლო ცხენებისა და აბრეშუმის გაგზავნაზე დაულაპარაკებლივ დათანხმდნენ. ის გარემოება, რომ მოსკოვის ელჩებს, როცა კახეთში მოვიდოდნენ, აუცილებლად ცხენი მიჰყავდათ, გვაფიქრებინებს, რომ მოსკოვში დიდად ფასობდა კახური ცხენი, მით უმეტეს რომ ისინი პირადად მეფის საჯდომად იყო ნავარაუდევი. აბრეშუმის საკითხი მოსკოვში მეტად მწვავედ იდგა: როგორც ცნობილია, ადგილობრივ აქ არ მოდიოდა. ირანთან ურთიერთობა გართულებული იყო სახიფათო გზების გამო, და თუ კი კახეთიდან მისი მიღება შესაძლებელი იყო, მოსკოვს ამ მხრივ კახეთი არა ნაკლებ აინტერესებდა. მოსკოვი ხედავდა, რომ კახეთი ის ქვეყანა იყო, საიდანაც ირანულ და თურქულ ძვირფას ქსოვილებს და ადგილობრივ ძვირფას ნედლეულს ხარკის სახით თითქმის მუქთად მიიღებდა. ეს იმ დროს, როდესაც კახეთი ერთსადაიმავე დროს ძვირფასი ნედლეულით ხარკს აძლევდა ირანსაც და თურქეთსაც. ცხადია, თუ კი კახეთი ამ ორი ვალდებულებისაგანაც განთავისუფლდებოდა, კახეთის ხარკის სახით ექსპლოატაცია უფრო მეტ შემოსავალს მისცემდა მოსკოვს. ირანსა და თურქეთში კახეთიდან 50 საპალნემდე აბრეშუმი იგზავნებოდა ხარკის სახით ყოველწლიურად. ამის შესახებ მოსკოვში ცნობები უკვე ჰქონდათ [3]. კახეთით ამ მხრივ სარგებლობა მოსკოვ-კახეთის ურთიერთობაში ერთი მნიშვნელოვანი მომენტთაგანია, მაგრამ პირველ რიგში კახეთს სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვისათვის, რადგანაც სანამ ჩრდილოეთ კავკასიის საკითხი მოსკოვს გადაჭრილი არ ჰქონდა, მანამდე კახეთით სარგებლობა,

---

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

[2] იქვე, გვ. 24.

[3] Веселовский, დასახ. ნაშრომი, ტომი I, გვ. 276.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ექსპლოატაცია მხოლოდ გეგმაში რჩებოდა. 1588 წელს როცა კახეთის მოქცევა მოსკოვის ხელქვეით ახალი გაფორმებული იყო, და მოსკოვი თურქეთის საწინააღმდეგოდ ირანთან კავშირის გაბმას იწყებდა, ირანში გაგზავნილ ელჩის ვასილჩიკოვის „ნაკაზში“ აღნიშნული ყოფილა, რომ ვასილჩიკოვს შაჰისათვის უნდა ეთქვა: „Да и к иверскому б царю Александру шах приказал, чтоб с ним с шахом и з государевою ратью стояли все они за одно на Турскую рать и на Крымскую“ [1].

კახეთი, როგორც ჩრდილოეთ კავკასიასთან ახლომდებარე ქვეყანა, მოსკოვს თავისი მიზნებისათვის უნდოდა გამოეყენებინა. ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ პირველად მოსკოვი შამხალთან დაახლოებას და მის ხელქვეით მოქცევას შეეცადა, ხოლო იმავე დროს კახეთს აიმედებდა, რომ შამხალისაგან დაიცავდა და ჯარს გაგზავნიდა. ამ წინააღმდეგობას კახეთს სხვა რიგად უხსნიდა, არწმუნებდა, თითქოს, რაკი მოსკოვის ხელქვეითი გახდებოდა შამხალი, მოსკოვის ბრძანებით კახეთსაც აღარ შეავიწროებდა და ამით მოსკოვი კახეთის წინაშე თავის მისიას შესრულებულად თვლიდა. მაგრამ კახეთის ვალდებულება მოსკოვის წინაშე, როგორც დავინახეთ, მარტო შამხალის წინააღმდეგ ბრძოლაში არ გამოიხატებოდა, მას მოსკოვის სხვა მტრების წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. ერთი სიტყვით, მოსკოვს კახეთი ჯერ თავის ჩრდილოეთ კავკასიის საქმეებისათვის ესაჭიროებოდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ციხე-სიმაგრის აგება, რომელსაც „Терской город“-ი ეწოდა, აქ დასაყრდენის მოპოვებას გულისხმობდა. იგი სჭრიდა ყირიმისა და თურქეთის გზას დაღისტანისაკენ. მაგრამ, ამ ციხე-სიმაგრის შენარჩუნება აქ საკმაო რაოდენობის ჯარის თავმოყრას მოითხოვდა, და რადგანაც რუსეთის ლაშქარს ბაზისი ასტრახანს აქეთ არ მოეპოვებოდა, და აქ მოგროვილი ჯარის საკომუნიკაციო ხაზის გადაჭრა ადვილად შეეძლო ყირიმს და დაღისტანს, ამიტომ მეტისმეტად მოწადინებული იყო რუსეთი „ტერკის“ ციხე-სიმაგრეში მყოფ ჯარს კახეთიდან აღმოსჩენოდა დახმარება. ლაშქრის აქ თავისმოყრას მოსკოვი კახეთში ისე ასაღებდა, თითქოს კახეთისათვის ზრუნავდა და შამხალ ბატონის საწინააღმდეგოდ სამზადისში იყო. თავის ელჩებს ბირკინს და სხვებს, რომელნიც 1587 წელს კახეთში მოვიდნენ, დავალებული ჰქონდათ „ტერკის“ ციხე-სიმაგრეში მყოფ ჯარისათვის სურსათ-სანოვაგის საქმე კახეთში მოეგვარებინათ, და ალექსანდრე კახთა მეფეს პირველ შეხვედრისთანავე დავალების თანახმად ლაპარაკი სურსათზე ჩამოუგდეს: „И тебе Александру князю грузинскому, как возможно, на колко людей давать запас и хлеб на Терской город возможно?“ [2].

ამ საკითხის დაყენებას რუსეთის ელჩის მხრივ წინ უსწრებდა ჩვეულებრივი პროპაგანდა, რომ ყველაფერი კეთდება კახეთისათვის და საჭირო არის კახეთმაც ხელი გამოიღოს. „ტერკის“ ციხე-სიმაგრე, არსებითად, ერთი მხრით, ყირიმ-თურქეთს უჭრიდა გზას, ხოლო, მეორე მხრით, იგი დასაყრდენი ხდებოდა სამხრეთისაკენ მომავალი გზის დაცვის დროს. აგრეთვე იგი დასაყრდენი იყო რუ-

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი გვ. 564.

[2] იქვე, გვ. 36.

dspace.nplg.gov.ge

სეთის ლაშქრის შამხალის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. აქედან გზა კახეთზე უნდა გადასულიყო უშიშრად და თუ, კი ბაქო-დარუბანდის ხელში ჩაგდებით მოხერხდებოდა, კახეთიდანვე ირანთან დაკავშირებით თურქეთის რკალი გაირღვეოდა და ირანთან სავაჭრო ურთიერთობა ნორმალურ პირობებში ჩადგებოდა. ეს უფრო შორეული პერსპექტივა იყო, ჯერჯერობით კი ჩრდილოეთ კავკასიის შემომტკიცება იყო საჭირო, ყირიმ-თურქეთს გზა უნდა აღკვეთოდა აქედან. „ტერკის“ ციხის აგება ამიტომ დაიწყო. მოსკოვს სურდა ერთი და იგივე ნივთი ერთსა და იმავე დროს სამ ადგილას მოგებით გაეყიდა. ჩერქეზებს არწმუნებდა, რომ „ტერკის“ ციხე მათ დასაცავად ააგო. კახეთს „ტერკის“ ციხის მნიშვნელობა კახეთის დასაცავად ისე წარმოუდგინა, რომ ყოველწლიური ხარკის გადახდა მოსთხოვა, და ფიცის წიგნში საგანგებოდ შეატანინეს რუსეთის ელჩებმა პ ი ვ ო ვ მ ა და ბ ი რ კ ი ნ მ ა ხარკის რაოდენობა და ყოველწლიურად მისი გადახდის აუცილებლობა. ირანშიაც ამ ციხის აგება ისე წარმოადგინა, თითქოს სპეციალურად ირანის დასაცავად აშენებდა, რათა თურქეთისა და ყირიმისათვის ხელი შეეშალა ბაქო-დარუბანდის დაცვაში და ამით ირანისათვის საშუალება მიეცა თურქეთის წინააღმდეგ ხელგახსნილად ებრძოლა. ამისათვის ირანისაგან ბაქო-დარუბანდის საჩუქრად მიღება მოინდომა.

რუს მკვლევარს სერგი ბ ე ლ ო კ უ რ ო ვ ს სჯერა რუსეთის იმდროინდელი დიპლომატიისა და თავის წინასიტყვაობაში წერს: „Кроме защиты черкес и кахетинцев на построение нового города на Терке кажется имело еще влияние и желание Московского Правительства закрепить свое положение на Тереке“ [1].

ის, რაც ძირითადი იყო მოსკოვის ხელისუფლების თვალსაზრისით, ბ ე ლ ო კ უ რ ო ვ ს საეგგიოდ აქვს წარმოდგენილი, ხოლო ჩერქეზებისა და კახელების დაცვა მოსკოვის მხრით უეჭვოდ წარმოუდგენია. მოსკოელი აქ თავისთვის უფრო ზრუნავდა, ვინემ სხვისთვის. ეს ბუნებრივია, სხვა რიგად კერძო საკუთრების პრინციპზე აგებული სახელმწიფო, რომელსაც ნორმალური პირები უდგას სათავეში, ვერც მოიქცეოდა. რუსეთს ჩერქეზ-კახელ-ირანელთა ძალაც თავისი მიზნებისათვის ესაჭიროებოდა და ამიტომაც იყო, როგორც ჩერქეზებს ისე კახელებს, იმ დროს რუსეთში მიღებული წესების მიხედვით დიდის ვაი-ვაგლახით ფიცის წიგნებზე ხელს აწერინებდა და ყოველმხრივ მათ ხელში ჩაჭერას ცდილობდა. საყურადღებოა, რომ ჩერქეზთა ბატონების მიერ ხელმოწერილ ფიცის წიგნში იგივე მუხლებია ჩამოთვლილი, რაც კახთა მეფის ფიცის წიგნში, და, როგორც იქ კახელებს ევალება საჭირო შემთხვევაში ჩერქეზების რუსეთის მორჩილებაში მოყვანა, ისე ჩერქეზებს ფიცის წიგნში უწერიათ: „А хто будет... государским воеводам Астраханским и Терским воеводам не послушен будет... и в государеве жалованье с нами быти не похочет Шевкалской князь или Тюменской князь или горские князи или кумыки или Иверские князи... нам... с Канбулатом князем и з братьею своею и со всею Черкаскою землею на тех на всех... ходити ратью“ [2].

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. XCVII.

[2] იქვე, გვ 47—48.

ჩერქეზებისა და კახელების ამ ფიცის წიგნებსა და წყალობის, სიგელებსა მოსკოვის ხელისუფლება უმთავრესად მოითხოვს „ტერკისა“ და ასტრახანის ვოევოდებისათვის მხარის დაჭერას და მორჩილებას.

მოსკოვს სურს დასაყრდენი მოუნახოს ამ ორ ახალ პუნქტს სამხრეთისაკენ და, თურქებთან შესაძლებელი ბრძოლის დროს, საქმე ადგილობრივ მთავართა და მეფეთა ძალებით მოაგვაროს. ამიტომაც არის, რომ კახეთის ხელიდან გაშვება მოსკოვს არ უნდა და ფიცის წიგნის ჩამორთმევით არ კმაყოფილდება. მან მშვენივრად იცის, რომ ადრე თუ გვიან მისი უძლურება სამხრეთისაკენ შეიძლება გამოაშკარავდეს და კახეთს წინასწარ აფრთხილებს, შამხალის წინააღმდეგ აუცილებლად დახმარებას ჰპირდება, იმდენად, რამდენადაც მოსკოვმა შამხალთან საერთო ენა ვერ გამონახა და იცოდა, რომ მასთან ომი აუცილებელი იყო, ხოლო თურქების წინააღმდეგ დახმარებაზე უარს ეუბნებოდა და თვით კახელებსაც აფრთხილებდა თურქეთთან ომს მოერიდეთო. ასეთი ამბავი ჩამოუტანია მოსკოვიდან დაბრუნებულ კახელ ელჩს იოაკიმე ხუცესს თავისი მთავრობისათვის, და, როდესაც მოსკოვიდან ჩამოსულ რუს ელჩებთან მოლაპარაკება ჰქონდათ, კახეთის სამეფო კარისკაცი ომანი, სხვათა შორის, იოაკიმე ხუცესისათვის მოსკოვში მიცემულ რჩევას რუს ელჩებს ახლა მოაგონებდა: „А преж сего как были на Москве у великого государя, люди государя нашего священник Яким с товарыщи,—и великого государя вашего приказные люди священнику Якиму говорили, что великии государь государя нашего от Шевкала и ото всех его недругов оборонити хочет а с Турским бы государь наш жил, переманивая, доколе с Турским великии государь наш сошлетца или которой иной промысел над Турским учинитца“ [1].

მაგრამ რომ კახეთი უფრო მტკიცედ ყოფილიყო მოსკოვთან დაკავშირებული და ხელიდან არ წასვლოდა, მოსკოვი შეეცადა უპირველეს ყოვლისა ირანისაგან სავსებით დამოუკიდებელი გაეხადა და თვით ირანისაგან უნდოდა მიეღო ამის დასტური. ამ მხრივ საყურადღებოა ირანში გაგზავნილ რუსი ელჩის ანდრია ზვენიგოროდსკის შაჰაბასთან საუბრის ანგარიში.

კახეთის შესახებ ირანთან ურთიერთობის დროს მოსკოვი ჩვეულებრივ სიფრთხილით იქცეოდა. კახეთზე ლაპარაკი ირანთან იმის შემდეგ დაიწყო მოსკოვმა, რაც ირანთან დიპლომატიურ ურთიერთობას ნორმალური პირობები შეექმნა, და თურქეთის საწინააღმდეგო მოქმედება შეერთებული ძალით გადასწყვიტეს. ამაზე უწინ, როდესაც 1587 წელს პირველი ელჩი გაიგზავნა შაჰაბასთან გრიგოლ ვასილჩიკოვი, იგი თავის საანგარიშო მოხსენებაში ირანში მისი ელჩობის შესახებ, სხვათა შორის, აღნიშნავს რომ, როდესაც იგი ირანში მისულა, იქ მას ალექსანდრე კახთა მეფის ელჩი „უსეინბეგი“ უნახავს, ვასილჩიკოვს გაჰკვირვებია კახთა ელჩის მისვლა შაჰთან და უკითხავს მისთვის: „Послы государевы у грузинского царя при нем ли были и после ли государевых послов Александра царь послал его к шаху?“ [2].

---

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 175—176.

[2] Н. И. Веселовский, Памятники дипломат. и торгов. снош. Московскуси с Персией. ტომი II, გვ. 64.

როგორც ვხედავთ, რუსი ელჩისათვის უცნობი არ იყო მოსკოვ-კახეთის დამოკიდებულება და იგი დაინტერესდა, რუსი ელჩების კახეთში მისვლის შემდეგ, რომელთაც დავალებული ჰქონდათ კახეთისათვის ფიცის წიგნი ჩამოერთმიათ, ნუ თუ კახეთი კვლავ ირანთან ურთიერთობაში ყოფნას განაგრძობდა. კახეთის ელჩს განუცხადებია ვასილჩიკოვისათვის, რომ მის დროს რუსი ელჩები იყვნენ კახეთში, და ალექსანდრე მეფემ სწორედ მათ შემდეგ გამოისტუმრა იგი ირანში. ირანის შაჰისაგან ალექსანდრე II-ს ისეთივე მფარველობა უთხოვია, როგორსაც რუსეთი ჰპირდებოდა კახეთს, და ამასთანავე კახელ ელჩს დაუმატებია, რომ შაჰს თითქოს ძალიან ესიამოვნა, რომ მოსკოვი მფარველობს კახეთს [1]. მოსკოვის ხელისუფლება არ შეიძლება ამ გარემოებას არ დაეფიქრებინა განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც მეორე ცნობაც მიიღო, რომ კახთა მეფის ალექსანდრეს შვილი კონსტანტინე ირანის შაჰს ჰყავდა ირანში მძევლად. თუ კი თურქეთთან საერთო ენის გამონახვას ურჩევდა კახეთს, ირანთან ასეთ მოქმედებას იგი კახეთს არ მოუწონებდა. ირანთან მოსკოვი კარგ განწყობილებაში იყო, ირანს უჭირდა თურქეთის ძლიერების გამო და დახმარებას სთხოვდა მოსკოვს, კახეთი უკვე მოწყვეტილი იყო ირანს, ისე რომ ირანსა და კახეთს შორის არსებული ტერიტორიის მთელი ზოლი თურქეთს ჰქონდა ხელთ, და კახელი ელჩი ირანიდან ჩვეულებრივი გზით ვეღარ დაბრუნებულა, იგი რუს ელჩებს გაჰყოლია ზღვით და, ასტრახანში მისვლის შემდეგ, ჩრდილოეთიდან წამოსულა კახეთში. და თუ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა კახეთი მაინც ირანთან კავშირს არ სწყვეტდა, მოსკოვს არ შეიძლებოდა კახეთის იმედი ჰქონოდა იმ მიზნების განხორციელების დროს, რომლებიც მას სამხრეთისაკენ ჰქონდა დასახული. კახეთს, მიცემული ფიცის წიგნისდა მიუხედავად, მოსკოვისათვის შეიძლება ეღალატა კიდეც და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცდენად მოსკოვის ხელისუფლება ცდილობს კახეთი მოსწყვიტოს ირანს. 1594 წელს ბორის გოდუნოვი შაჰაბასისადმი გაგზავნილ წერილებში, სხვათა შორის, სთხოვს შაჰს: ირანში სამეფო ტახტთან მძევლად მყოფ, ალექსანდრე კახთა მეფის შვილის, კონსტანტინეს მოსკოვში გაგზავნას. თანაც გოდუნოვი წერილში არწმუნებს შაჰაბასს: „Олександр царь вашему Абас шахову в-ву и без закладу будет крепок, коли с великим государем нашим ваше в-во в крепкой дружбе и любви учинился“ [2].

ირანის მიერ კონსტანტინე ბატონიშვილის, როგორც მძევლის, ირანიდან მოსკოვში გაგზავნა უკვე ნიშნავდა იმას, რომ ირანი თანხმდებოდა ხელი აეღო კახეთზე და იგი მოსკოვისათვის დაეთმო. რუსი ელჩი ზვენიგოროდსკიც საგანგებო დავალებით შესდგომია კონსტანტინე ბატონიშვილის მოსკოვში წაყვანის საქმეს. თითქოს დრო შეურჩევია, როცა შაჰაბაზი გამხიარულებულა („И как шах почел быти на веселе, княз Ондрей говорил шаху о грузинском царевиче“) [3].

ანდრია ზვენიგოროდსკის განუცხადებია და უთხოვია, რომ მოსკოვის მეფემ იცის კახთა მეფის შვილის კონსტანტინეს მძევლად ყოფნა ირანში და, რად-

[1] Н. И. Веселовский, Памятники... გვ. 65.
[2] იქვე, გვ. 237.
[3] იქვე, გვ. 238.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინაც კახეთი მოსკოვის ხელქვეით არის მისივე სურვილის გამო, ხოლო იმავე დროს კახეთი ქრისტიანული ქვეყანაა, მოსკოვის მეფისადმი ძმური ბიბლიოთეკა ლის ნიშნად კონსტანტინე ბატონიშვილი მოსკოვში გაგზავნეო. შაჰაბაზმა მშვენიერად იცოდა, რასაც ნიშნავდა დიპლომატიის ენაზე მძევლის გადაცემა და მოხერხებულად უპასუხა რუს ელჩს, რომ მოსკოვის მეფის სიყვარულისათვის ნებას აძლევს კონსტანტინე ბატონიშვილს თვით აირჩიოს, თუ კი მას სურს მოსკოვში წასვლა წავიდესო, და იქვე მყოფი კონსტანტინესათვის უკითხავს შაჰს სურდა თუ არა მას მოსკოვში გამგზავრება და დარჩენა. ცხადია ეს სკენა შაჰაბაზმა განზრახ მოაწყო; კონსტანტინე ბატონიშვილი წინასწარ დამოძღვრილი ჰყავდა უარი ეთქვა მოსკოვში წასვლაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტანტინე, ცხადია, ირანის საზღვრებიდან ცოცხალი ვერ გააღწევდა. იმისათვის რომ შაჰაბაზს რუსი ელჩი თავისი განცხადების გულწრფელობაში დაერწმუნებინა, ელჩისათვის უთქვამს კონსტანტინე ბატონიშვილი შემდეგ ცალკე დაიბარე სახლში, ან შენ თვითონ ნახე და მოელაპარაკე, იქნებ დაიყოლიო, თორემ მე პირადად ძალდატანებით მისი მოსკოვში გაგზავნა არ შემიძლიაო. ელჩმა მოიწადინა ცალკე მარტოდ მარტო კონსტანტინეს ნახვა, მაგრამ კონსტანტინემ იგი არ ინახულა ცხადია შაჰის განკარგულებით[1]. ირანში მოსკოვს აგრძნობინეს, რომ მოსკოვ-ირანს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა ირანს არ ავალდებულებდა კახეთზე ხელი აეღო. იმავე ანდრია ზვენიგოროდსკისათვის შაჰაბაზს უკითხავს, მოსკოველი ელჩები დადიან კახეთში თუ არაო. ზვენიგოროდსკის პასუხის შემდეგ, შაჰს უთქვამს: „Яз потому спросил, что издавна грузинские князи бывали наши подданные“[2].

შაჰაბაზის ეს გამოთქმა მოსკოვისათვის რა თქმა უნდა გაუგებარი არ დარჩებოდა, მით უმეტეს რომ ირანის შაჰის კარზე რუს ელჩს ზვენიგოროდსკის ალექსანდრე კახთა მეფის გინება და მასზე მწყრალად ყოფნა ორგზის მოასმენინეს. რუს ელჩს უმტკიცებდნენ, რომ ალექსანდრეს არაფერი დაეჯერება, მისი ქრისტიანობაც კი საეჭვო არისო. როდესაც, მიუხედავად ამისა, ზვენიგოროდსკი არ უსვენებდა და შაჰაბაზის დიდ ვაზირს ფერღათ-ხანს სთხოვა შაჰის წინაშე შუამდგომლობა კონსტანტინე ბატონიშვილის შესახებ, ფერღათ-ხანს უპასუხია: „а коли Олександра царь грузинской учинился под государя вашего рукою, и он чего для не пошлет другово сына своего государю вашему“[3].

ზვენიგოროდსკი საპასუხო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სხვა შვილები იმდენად საინტერესო არ არიან მოსკოვის მეფისათვის, როგორც კონსტანტინე, რომ ამ აქტით ირანის შაჰის მოსკოვისადმი მეგობრული და ძმური სიყვარულის გამოაშკარავება სურსო[4]. მოსკოვის ხელისუფლება სწორედ ამავე

---

[1] Веселовский, დასახ. ნაშრომი, გვ, 264.
[2] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 569.
[3] Веселовский, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.
[4] იქვე, გვ. 275.

წლებში კახეთს აფრთხილებს არცერთ მეზობელ სახელმწიფოთაგანს მძევლი არ მისცეს მოსკოვის ნებართვის გარეშე: „И ты б Александр царь, впред бусурманским государем никоторым братьи своей и сестер и детей и иленников без... его царского в-ва совету и поведенья никому не давал и сам нихкому не приставал мимо царского в-ва“ [1].

ხოლო კონსტანტინე ბატონიშვილის შესახებ ქვემოთ ამავე წერილში აღნიშნულია: „И ты бы сына своего впред у кизылбашского шаха не держал взяв его к себе к великому государю нашему прислал“.

თითქოს ეს ალექსანდრეზე ყოფილიყოს დამოკიდებული. ასე სწერს ბორის გოდუნოვი თავის წერილში ალექსანდრე მეფეს 1593 წელს. აქვე გოდუნოვი სთხოვს ალექსანდრეს უფლისწულ გიორგის მოსკოვში გაგზავნას, ვითომ დროებით, ხოლო ალექსანდრეს შვილისშვილის კონსტანტინეს მოსკოვში გაგზავნას და დარჩენას. გოდუნოვი აქ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ირანსა და თურქეთში მყოფი მძევლები მაჰმადიანდებიან და შეურაცხყოფილნი არიან, რუსეთში კი, პირიქით, მათი მდგომარეობა საუკეთესოდ იქნება მოწყობილი და ამ მოსაზრებით ალექსანდრეს თავის ნებაზე დაყოლება სურს. კახეთში კარგად ესმოდათ, რასაც მოასწავებდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა, და სიფრთხილის გამო ოსკოვში არავინ გაუგზავნიათ. მძევალს ნებაყოფლობით არავინ გზავნიდა, მძევლის მისაღებად ძალა იყო საჭირო, მოსკოვს ეს ძალა სამხრეთით არ გააჩნდა, ხოლო მისი დიპლომატიური ხრიკები კახეთში შეუმჩნეველი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო.

მოსკოვი ხედავდა, რომ ირანი კახეთზე ხელის აღებას არ ფიქრობდა, და ცდილობდა თვით კახეთში მოეგვარებინა საქმე, ისე რომ ირანისაკენ კახეთს ხელი არ გაეწოდებინა. მას სურდა მაქსიმალურად ჩაეჭირა კახეთი, სანამ ძალას მოიკრებდა და სამხრეთით გამაგრდებოდა, ისე რომ ირან-თურქეთის წინააღმდეგობის საფუძველზე კახეთში თავისი ბატონობის დაცვა მოსახერხებელი გამხდარიყო. ამიტომ, ყოველ ღონეს ხმარობდა ფიცის წიგნები დაეტყუვნა კახეთის სამეფო ოჯახის წევრებისათვის. ბორის გოდუნოვის ელჩი ტატიშჩევი ალექსანდრე კახთა მეფის შვილს გიორგის, რომელიც ალექსანდრეს გაწვევის გამო ირანის ლაშქარში დროებით კახეთს განაგებდა, დაემუქრა, როცა იგი ჭირვეულობდა და ფიცის წიგნის ხელის მოწერაზე არ თანხმდებოდა.

ტატიშჩევი სწერს თავის საანგარიშო მოხსენებაში: „И говорили с пригрозою: толко царевич ныне не исправитца креста не поцелует, и то он стал великому государю нашему изменник и государь наш... за свое безчестье и за убытки станет и з божьею помощью Юрью царевичью отомстит: и государя нашего люди в грузинскую землю дорогу знают и поставят городы в Крыме и в Загеме и в иных местех. И ему от государевы руки где избыть?“ [2]. ასეთი საშუალებით უნდოდა მოსკოვს კახეთი შეებორკა და ისევე მოეხმარა კახეთის ძალა, როგორც ამას ირანი ახერხებდა.

---

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.
[2] იქვე, გვ. 477–478.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამისათვის უწინარეს ყოვლისა ძალა იყო საჭირო, რომელიც ... ბემთხვევისათვის გააჩნდა მოსკოვს სამხრეთით.

მოყვანილი მოსაზრებანი და ამონაწერები ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ უნდოდა მოსკოვს ირანი ჩამოეცალებინა და კახეთი მხოლოდ და მხოლოდ თავის ხელქვეითად გაეხადა.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, შამხალის წინააღმდეგ დახმარებას მოსკოვი კახეთს აღუთქვამდა; მაგრამ მართლა ფიქრობდა თუ არა კახეთისათვის დახმარება აღმოეჩინა? ბელოკუროვი დარწმუნებულია, რომ შამხალის წინააღმდეგ ბრძოლა მოსკოვმა კახეთის მეფის ლაჟინებითი მოთხოვნით დაიწყო: „Просьба царя Александра была исполнена: против Шевкала решено было послать рать“ [1],

რამოდენიმეჯერ მოაწყვეს რუსებმა ლაშქრობა შამხალის წინააღმდეგ და ბელოკუროვს ყველა ამ ლაშქრობის მიზეზად კახთა მეფის ალექსანდრეს მოთხოვნა აქვს დასახელებული [2].

ჩვენ გვგონია, რომ არ არის მართალი, თითქოს კახეთის დაჟინებითი მოთხოვნა იყო მოსკოვის ჯარების შამხალის წინააღმდეგ ლაშქრობის მიზეზი. შამხალთან მოსკოვმა ამოსწურა ყოველგვარი შესაძლებლობა მშვიდობიანად გადაწყვეტა მისი თურქეთისა და ყირიმისაგან ჩამოშორების საკითხი, და თავისუფალი გასავალი მიეცა შამხალს მოსკოვისათვის კახეთისაკენ და კასპიის ზღვისაკენ. შამხალის ბატონის თაღლითურმა პოლიტიკამ რუსეთის მომართ სავსებით დაარწმუნა მოსკოვი იმაში, რომ შამხალთან მხოლოდ იარაღი გადაწყვეტდა საქმეს. მოსკოვის მხრით იმის ცდამ, რომ შამხალთან მოლაპარაკებით გეთავებინათ საქმე, კახეთის მფლობელი გააბრაზა და თავისი გულისწყრომა რუს ელჩებს არა ერთხელ გაუზიარა: ამდენი წლის განმავლობაში რუსეთიდან არავითარი დახმარება არ მომდინარა, სოლო ზარალი საკმაოდ დიდი ვნახეო. ამ საყვედურის შემდეგ ხდება სწორედ მოსკოვის მხრით ომის წარმოება შამხალის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ის ხანა არის იმავე დროს, როცა მოსკოვი რწმუნდება, რომ შამხალთან მორიგება შეუძლებელია. მაშასადამე, აქ ალექსანდრე კახთა მეფის თხოვნა და საყვედური არაფერ შუაშია; ძირითადია აქ მოსკოვ-შამხალის შეურიგებლობა. ძირითადია ის, რომ იარაღის გარეშე შამხალი მოსკოვს სამხრეთისაკენ არ უშვებდა; არა მარტო სამხრეთისაკენ არ უშვებდა, ცდილობდა ჩერქეზ და ყუმუხ ტომების გაერთიანებას და მოსკოვის დასაყრდენს, „ტერკის“ ციხის განადგურებას. 1589 წელს ტერკიდან ეოვეოდები სწერდნენ მოსკოვში მეფეს: „И шевкалской к нам, холопем твоим послов своих и торговых людей присылает маненьем; и болшой торг что орехи да яблока. А пишет государь, к нам что тебе государю, хочет служити, а все манит вперед; от него ни которого добра нечего ждать... а присылает, государь, все з безделием высматривати города да проведывати людей“ [3].

---

[1] Белокуров დასახ. ნაშრომი, გვ. CIV.

[2] იქვე, გვ. CV.

[3] იქვე, გვ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ასეთ დროს, როცა შამხალის წინააღმდეგ ომი აუცილებელი იყო, მოსკოვი კახეთს აუწყებს, რომ მისი თხოვნა შესრულებულია, ჯარი ციხეებიდან გამოიგზავნა და შამხალი მალე დაისჯება. ხოლო კახეთს წინადადება ეძლევა თავის მხრიდან ჯარებით შეუტიოს დაღისტანს. რა თქმა უნდა, ერთი მხრით ობიექტურად ასეთი ბრძოლა კახეთისათვის ხელსაყრელი იყო, მაგრამ ჩვენ ამჟამად მოსკოვის სუბიექტური განწყობილება გვაინტერესებს. სახელდობრ: მართლა კახეთის დასახმარებლად წამოიწყო შამხალის წინააღმდეგ შეტევა, თუ აქ უშუალოდ თავისი ინტერესები ამოძრავებდა მოსკოვს. ორგვარი აზრი აქ შეუძლებელია: არამცთუ საკუთარმა ინტერესებმა აიძულა მოსკოვი შამხალის წინააღმდეგ ბრძოლა ეწარმოებინა, კახეთის მხრიდან შამხალის წინააღმდეგ შემოტევაც მოსკოვის ინტერესებისათვის იყო ნავარაუდევი, თუმცა კახეთი ასე ადვილად არ მიჰყვა რუსეთის წინადადებას და ლაშქარი არ გაუგზავნია. როდესაც ბორის გოდუნოვი გამეფდა და ელჩების მიმოსვლა კვლავ გრძელდებოდა მოსკოვსა და კახეთს შორის, და კახთა ელჩები თავისი მთავრობის დავალებით კვლავ შამხალის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდნენ „მფარველ“ მოსკოვისაგან, 1604 წელს ბორის გოდუნოვის მიერ კახეთში გამოგზავნილი ელჩების „ნაკაზში“ ანუ ინსტრუქციაში საინტერესო ცნობას ვპოულობთ იმის დასამტკიცებლად, თუ შამხალის წინააღმდეგ ბრძოლა რამდენად ითვალისწინებდა კახეთის ინტერესებს. როგორც ისტორიიდან ცნობილია, 1593 წელს შამხალის წინააღმდეგ ბრძოლაში მოსკოვის ლაშქარი დამარცხდა და აქ წლების განმავლობაში ჩატარებულმა მუშაობამ მოსკოვს, შეიძლება ითქვას, ფუჭად ჩაუარა. ბორის გოდუნოვმა მოინდომა მდგომარეობის გამოსწორება და შეუდგა სამზადისს ლაშქრობა მოეწყო შამხალის წინააღმდეგ. იგივე შამხალი კახეთს უფრო მეტად ავიწროებდა ამხანად და კახეთი მოსკოვს დანაპირების ასრულებას სთხოვდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ელჩების მიმოსვლას ბევრი დრო სჭირდებოდა. ქართველი ელჩების მოსკოვიდან უკან კახეთში გამგზავრებას მოსკოვი ახლა განზრახ აჭიანურებდა, რადგანაც დროს მოგებით ფიქრობდა მდგომარეობა იქნებ გამოსწორებულიყო და კახეთი მარტო დაპირებებით ხელიდან არ წასვლოდა, და შამხალის წინააღმდეგ თავის მიზნებისათვის საომრად მზად ყოფნის მომენტში გაეგზავნა უკან კახელი ელჩები, ვიდრომ მათ თხოვნას ასრულებდა და კახელ მეფეს სასიამოვნო ამბებს გაუგზავნიდა. და აი 1604 წელს, როცა შამხალის წინააღმდეგ ბრძოლა გადაწყდა მოსკოვში, კახელი ელჩები რუს ელჩებთან ერთად კახეთში გამოისტუმრეს. მოსკოვში, მართალია, შამხალის წინააღმდეგ ლაშქრობა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ამ საქმეში კახეთის გამოყენება სურდათ და, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, შიშობდნენ, კახელი ელჩების მოსკოვში ხანგრძლივად ყოფნის დროს კახეთი და შამხალის მფლობელი არ მორიგებულიყვნენ. რუსი ელჩებისათვის შედგენილ „ნაკაზში“ ამ ამბების შესახებ ვკითხულობთ: „А будет Александр царь или его ближние люди учнут говорити, что преж сего Шеквал был ему недруг и землю его воевал и многую тесноту ему чинил, а ныне Шевкал с ним мирен и земли его убытка никоторого не чинит и ныне б они государевы послы к боярину и воеводам к Бутурлину с товарыщи пос-

JAMBECA

лали, чтоб они с царского величества ратью на Шевкалову землю войною не ходили... и дворянину Михаилу Игнатьевичю и Ондреи Григорьевичю Аяександру царю или его ближним людем... ныне б царь Александр на том своем слове стоял, как с послом своим старцом Кирилом в грамоте писал и речью приказывал, и на Шевкала рат свою послал"[1].

მოყვანილი ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს ზემოთ გამოთქმული მოსაზრებების სისწორეს, რომ შამხალის წინააღმდეგ ომი მოსკოვს თვით აინტერესებდა და კახეთი შამხალის საწინააღმდეგოდ მას ესაჭიროებოდა. მოსკოვის ელჩებმა კახეთში მიზანს ვერ მიაღწიეს. რუსეთის ლაშქარი პირველ ხანებში იმარჯვებს შამხალთან და ყუმუხებთან ბრძოლაში 1604 წელს, მაგრამ მეორე წელს შემახიდან თურქეთის ლაშქრით გაძლიერებული შამხალ-ყუმუხნი სასტიკად ამარცხებენ რუსებს. კახეთი, როგორც აღვნიშნეთ, ამ ბრძოლაში არ ჩარეულა კახეთში მომხდარ არევ-დარევის გამო. რუსეთის ლაშქრის ამ დამარცხების გამო ბორის გოდუნოვისადმი მტრულად განწყობილი რუსი მემატიანე წერს: „Посылаху ко царю Борису грузинские цари, что им утеснение великое от черкас горских, чтоб их пожаловал, велел оборонити. Царь же Борис радение держаше о чюжих землях, а того не ведяше, что будет над своим государством"[2]. რუსი მემატიანის ზემომოყვანილი მოსაზრება არსებითად არაფერით განსხვავდება ბელოკუროვის შეხედულებისაგან მოსკოვ-კახეთის ურთიერთობაზე. მოსკოვის მთავრობის იმდროინდელი პოლიტიკის ზემომოყვანილი გაგებით წარმოდგენა მემატიანეს ბორის გოდუნოვის დასამცირებლად და განსაქიქებლად სჭირდებოდა, ხოლო ბელოკუროვს და სხვებსაც მაშინდელი მოსკოვის საგარეო პოლიტიკის ასევე ახსნა რუსეთის „ველიკოდერჟავნიკული" იდეების გასამართლებლად სჭირდებოდა თვითმპყრობელობის მიერ დაჩაგრული ერების თვალში.

რით დასრულდა მე-17 საუკუნის დასაწყისში მოსკოვ-კახეთის ურთიერთობა? როგორც ვწერდით, ეს ურთიერთობა მოსკოვის ვოლგის სისტემაზე გაბატონების შემდეგ დაიწყო. კახეთისადმი ყურადღება მოსკოვის საგარეო პოლიტიკას ჩრდილოეთ კავკასიის მიდამოებში ფეხის მომაგრებამ მიაქცევინა. აქ ორი თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა მოსკოვი—სამხედრო და სავაჭრო. მიზნების მიღწევას ორი ძალა აბრკოლებდა: თურქეთი—დაღისტანის და ყირიმის სახით, და ირანი. ირანის შესუსტებამ მოსკოვ-კახეთის ურთიერთობა გააცხოველა. მოსკოვის საგარეო პოლიტიკა აქტიური ხასიათისა არის სამხრეთით. ირან-თურქეთის ურთიერთ შორის წინააღმდეგობა კახეთისადმი დიდ ინტერესს იწვევდა მოსკოვში. მოსკოვი იმედოვნებდა ირანთან თურქეთის საწინააღმდეგო საერთო ფრონტის შექმნის მოლაპარაკების პროცესში ირანისაგან კახეთზე დაუფლების ნებართვას მიიღებდა, ოდგანაც თურქეთის იმხანად გაძლიერებამ ფაქტიურად ირანი კახეთს მოსწყვიტა, და მოსკოვს უფრო მიუწვდებოდა ხელი კახეთზე, ვიდრე ირანს. პირველ

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 430—431.

[2] Полное собрание русск. летописей. Изд. Имп. арх. к. ტომი XIV. გვ. 57. 1910 წ. გამოც.

ხანებში ირანი კახეთის გამო მოსკოვთან მოლაპარაკების დროს სდუმდა, ავს ამბობდა არც კარგს. ეს იმიტომ, რომ თურქეთისაგან მეტისმეტად შევიწროებული და მოსკოვისაგან თურქეთის საწინააღმდეგოდ შეთანხმებულად მოქმედებას გამოელოდა, იმავე დროს აღარ დაეძებდა, თუ კი მოსკოვი თავის ლაშქართან ერთად კახეთის ძალას თურქების შესამუსრავად გამოიყენებდა. და როდესაც 1588 წელს მოსკოვში ირანის წარმომადგენელი „ანდიბეგი" მივიდა და თურქეთის საწინააღმდეგოდ შეთანხმებულ მოქმედებაზე ჰქონდათ მოლაპარაკება, მოსკოვის საგარეო საქმეთა საგანგიოში ირანის წარმომადგენელს განზრახ კახეთის ამბებზე ჩამოუგდეს ლაპარაკი და გააცნეს საქმის ვითარება, რომ კახეთი თავისი ნებით მოსკოვის „მფარველობაში" შევიდა, რათა მოსკოვმა იგი თურქეთისაგან დაიცვას. ირანელ ელჩს ანდიბეგს არავითარი საყვედური კახეთის მიმართ და არც მოსკოვის მიმართ მათ შორის დამყარებულ ურთიერთობის გამო არ გამოუთქვამს, პირიქით, მოსკოვის დიპლომატები დაუიმედებია: „Иверской царь прям: которое он слово молит, на том и стоит, и верити ему мочно во всяких делех"[1]. მაგრამ ზემდეგ მდგომარეობა შეიცვალა; შაჰაბაზის ირანმა თურქები თანდათან შეავიწროვა და მოსკოვს კახეთში დიასახლისობას აღარ უწონებდნენ. დიპლომატიურად აგრძნობინეს მოსკოვს, რომ კახეთი ძველიდანვე მათი მორჩილი იყო, იმავე დროს თავისი გულისწყრომა კახეთის მიმართ რუსეთის ელჩს გაუზიარეს და ახლა მოსკოვის წარმომადგენელს უმტკიცებდნენ ირანში: „Олександро царь грузинской человек неправедной... Олександру царю никому веры няти нелзя: как государю вашему манит, так и государю нашему. А ко государю вашему пишет и бьет челом, а называется крестьянином, а ко государю нашему пишет, а называется нашие веры, а к турскому ежегод посылает по 30 вьюков шолку"[2].

მიუხედავად ამისა მოსკოვი მაინც არ ფიქრობს ირანს კახეთი დაუთმოს; შემდეგ გაგზავნილ ელჩების ინსტრუქციაში კვლავ ეეალება ელჩებს როგორმე შაჰაბაზი დაიყოლიონ და ირანში მძევლად მყოფი კახთა ბატონიშვილი კონსტანტინე მოსკოვში წაიყვანონ. ირანის მფლობელი მოსკოვს 1605 წელს საბოლოო პასუხს აძლევს კახეთის შესახებ კახეთის მეფის ალექსანდრეს და მისი შვილის გიორგის მოკვლით და აქ ირანში მძევლად მყოფ კონსტანტინეს გამეფებით კახეთში. ეს ის ხანა არის, როცა მოსკოვის სანეფო სამოქალაქო ომმა მოიცვა, მოსკოვის სამხრეთი საზღვრები პირველ რიგში მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან გამოვიდნენ და აქ აქტიური მოქმედებისათვის მოსკოვის ხელისუფლებას აღარ ეცალა. მაგრამ კახეთზე თავიანთ უფლებას მოსკოველი მეფეები ფორმალურად არ სთმობდნენ და ტიტულაციაში ივერთა ქვეყანას თავის სამფლობელოთა რიცხვში იხსენიებდნენ. XVII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობით კი, ირანსა და თურქეთში გაგზავნილ ოფიციალურ საბუთში, მოსკოვის მეფე

[1] Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 563.
[2] Веселовский, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 36.

ტატულაციაში ივერთა ქვეყნის მოხსენიებას ველარ ბედავდა[1]. კახეთში მომხდარი ამბების შერიგებას მოსკოვი, როგორც ჩანს, არ ფიქრობდა. ეგანეტ-ბეგ მომხდარი ამბების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მაშინ იქ მყოფ რუსეთის ელჩმა ტატიშჩევმა მიაწოდა მოსკოვს თავისი საანგარიშო მოხსენების სახით. როგორც ცნობილია, გოდუნოვი 1605 წელს გარდაიცვალა და მის შემდეგ რამდენიმე თვით მისი შვილი თეოდორე მეფობდა, ხოლო თეოდორეს შემდეგ ტახტი, როგორც ვიცით, ცრუ დიმიტრი I ჩაუვარდა ხელთ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ცრუ დიმიტრიც მოჰკლეს და ტახტზე ვასილ შუისკი ავიდა. ვასილ შუისკის მთავრობა, იწყებს რა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას მეზობელ სახელმწიფოებთან, ელჩს გზავნის ირანშიაც რომოდანოვსკის მეთაურობით. ამ ელჩის „ნაკაზში“ ვხვდებით მოსკოვის ხელისუფლების პროტესტს ირანის შაჰის მიმართ კახეთში 1605 წელს მომხდარი ამბების გამო. „ნაკაზში“, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ელჩს, აღნიშნულია მოსკოვის ხელისუფლების გულისწყრომა შაჰაბაზის მიმართ. აქ მოსკოვი ამტკიცებს, რომ კახეთი მოსკოვის ხელქვეითია და ირანს კახეთთან ხელი არ აქვს, რომ ალექსანდრე მეფის მოკვლა შაჰაბაზის განკარგულებით მოხდა, მაშინ როცა შაჰაბაზმა იცოდა კახეთის მოსკოვთან დამოკიდებულება. საინტერესოა, რომ შაჰაბაზს უმტკიცებს მოსკოვი, რომ კახეთი არას დროს არავისი მორჩილი არ ყოფილა, ხოლო თურქეთმა შეავიწროვა და დროებით წინანდელ ირანელ შაჰებს მფარველობა სთხოვა; ირანს კი თურქეთისა თვით ეშინოდა და კახეთის შველა არ შეეძლო, და, დაინახა რა თითქოს ალექსანდრე კახთა მეფემ ასეთი უმწეო მდგომარეობა, შემოეფარა მოსკოვს, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოს. მოსკოვი თითქოს იცავდა ათეული წლების განმავლობაში თურქებისაგან კახეთს და რას იფიქრებდა, თუ მოსკოვის მეგობარი ირანი ააწიოკებდა მას. კიდევ ბეტი: „Иверскую землю от царского величества отводит“; ორ ადგილას სახგასმით არის აღნიშნული ეს მომენტი „ნაკაზში“. მოსკოვი იმუქრება კიდეც ამ „ნაკაზში“: „О том шаху напомянуть, чтоб Абас шахово в-во в Ыверскую землю не вступался и теснити ее ничем не велел... потому что Иверская земля под царского в-ва рукою. И о том бы шах Абас царскому в-ву ведомо учинил вскоре, чтоб за то меж ими великими государи нелюбье не всчалося и недруги б их вопчие тому не порадовалися“[2].

რომოდანოვსკის ირანამდე ვერ მიაღწია, იგი აჯანყებულმა ყაზახებმა საარატოვთან მოჰკლეს. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელობა არ აქვს, რომ ამ „ნაკაზის“ ძიხედვით ირანში პროტესტი არ განუცხადებიათ. აქ საინტერესოა, როგორ უცქეროდა კახეთს მოსკოვი და როგორ მიდიოდა რუსეთი ირანთან გართულებაზე კახეთის გამო. თუმცა კარგად ვიცით, რომ მოსკოვი კახეთის გამო ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებას არ ფიქრობდა, მაგრამ, ალბათ, ხელსაყრელი მომენტისათვის ამ პროტესტით ნიადაგს ამზადებდა. ამრიგად, მოს-

---

[1] Григорий Котошихин, О России в царствование Алексея Михайловича. 1906 г. §§ 59.

[2] Белокуров, დასახ. ნაშრომი, §§. 573.

კოვი დამარცხდა ჩრდილო კავკასიაში; იგი დამარცხდა ამიერკავკასიაში. ჩრდილო კავკასიაში დაამარცხა თურქეთმა, ამიერკავკასიაში—ირანმა. კახეთის საკითხი რომანოვების სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაშიაც თურქეთ-ირანის ძირითად საკითხებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს საკითხი ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება.

მოსკოვის სამეფოში მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული შინაგანი კრიზისი თანდათან ფართო ხასიათს იღებდა და სამხრეთით წარმოებული პოლიტიკა იმთავითვე განწირული მოსჩანდა. კახეთის საკითხი თურქეთ-ირანის საკითხებთან დაკავშირებით წამოიჭრა მე-16 საუკუნის მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში და იგი დღის წესრიგიდან მაშინ მოიხსნა, როცა ირან-თურქეთის ძლიერება საბოლოოდ დაეცა და რუსეთის ლაშქარს საშუალება მიეცა ა.-კავკასიაში ფეხი მოედგა. ამრიგად, ყველა ზემოთქმულის შემდეგ, კახეთის საკითხი მოსკოვის სამეფოს მე-16 საუკუნის საგარეო პოლიტიკაში შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. კახეთის საკითხი მე-16 საუკუნის მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში პირველად მოსკოვის მიერ ეოლგის სისტემის და კასპიის ზღვის ჩრდილო ნაპირების საბოლოოდ ხელში ჩაგდების შემდეგ დაისვა, სახელდობრ, 1556 წლის შემდეგ, ივანე IV ანუ მრისხანის დროიდან.

2. კახეთის საკითხი ცალკეულად მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში არასოდეს არ მდგარა; იგი დაკავშირებულია მოსკოვის იმდროინდელ საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებთან, მოსკოვის ირან-თურქეთთან დამოკიდებულების საკითხთან.

3. მოსკოვის საგარეო პოლიტიკას მე-16 საუკ. კახეთი აინტერესებს როგორც ფეოდალური ექსპლოატაციის ობიექტი და გზა ირანისაკენ.

4. მოსკოვ-კახეთს შორის დამყარებული ურთიერთობა ფორმალურად სიუზერენისა და ვასალის დამოკიდებულებაა და არა ორი სრულუფლებიანი სახელმწიფოს კავშირი საერთო მტრის წინააღმდეგ.

5. 1587 წელს მოსკოვსა და კახეთს შორის დამყარებული ურთიერთ დამოკიდებულების ინიციატივა მოსკოვს ეკუთვნის და არა კახეთს, ხოლო ამ ურთიერთ დამოკიდებულების ოფიციალური დოკუმენტები მოსკოვმა განზრახ ისე გააფორმა, რომ კახეთი გამოდის ინიციატორი.

6. მოსკოვის მიერ წარმოებული ომები დაღისტანისა და ყუმუხების წინააღმდეგ სუბიექტურად არას დროს არ ითვალისწინებდა კახეთის დაცვას ამ ტომთა თარეშისაგან, არამედ იგი მოსკოვის ინტერესებს ემსახურებოდა და იმავე დროს კახეთის ამ ომში ჩაბმაც მოსკოვს საკუთარი ინტერესებისათვის სწადდა.

7. კახეთზე დაუფლების პროცესში მოსკოვი უშუალოდ თურქეთისა და ირანის წინააღმდეგობას წააწყდა. ამ ბრძოლისათვის ჯერ კიდევ სუსტმა მოსმოვმა კახეთში კვლავ ირანის ბატონობა უზრუნველჰყო.

(შემოვიდა რედაქციაში 1940 X.20)

ტფილისი. 1937 წ. ივ.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. XXIV, 1942
ТРУДЫ ТБИЛИСС. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXIV, 1942
TRAVAUX DE L'UNIVERSITÉ STALINE A TBILISSI, XXIV, 1942

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრ. ნათაძე

მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მართვა მეროვინგების მეფეების ხანაში

I

ამ შრომის სათაურში აღნიშნული საკითხის გარშემო დიდი ლიტერატურა არსებობს. თითქმის არცერთი თვალსაჩინო გამოკვლევა არ ასცდენია მას, დაწყებული იმ დროიდან, როდესაც შუასაუკუნეების ისტორიის პრობლემების გარშემო გაჩაღდა მუშაობა. საარქივო მასალებში, დოკუმენტალურს აღ-ღებთ, თუ ნარატიულს, ყოველგან მეროვინგებისა და კაროლინგების დროის მეურნეობის დამახასიათებელი თვისებების აღწერას ან დახასიათებას შეხვდებით. ამიტომ, თუმცა სრულიად არ ვფიქრობ აქ დასმული საკითხის ისტორიოგრაფიის მოცემას, მაგრამ იძულებული ვარ გაკვრით მაინც შევეხო მას, რამდენადაც ამას მოითხოვს საკითხის დასმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უპასუ-ხოდ დარჩება მკითხველის წინაშე უნებურად აღძრული საკითხი, თუ რამ გა-მოიწვია ამ პრობლემის ხელახლად დამუშავების საჭიროება? ნუთუ დარჩა რამე უპასუხოდ იმ მეცნიერთა ბლეადას, რომელნიც ამ პრობლემის გარშემო ამდენს შრომობდნენ? მით უმეტეს რომ ამ საკითხის გარშემო მუშაობა ჩატა-რებული აქვთ ისეთ მეცნიერებსაც, რომელნიც მარქსისა და ენგელსის მიერ დიდად დაფასებულნი იყვნენ. ასეთი იყო მაურერი, კოვალევსკი, როტი და სხვები. ეს მეცნიერნი, მიუხედავად მათი მიმართულებისა, მიუხე-დავად საკითხის სწორი თუ არა სწორი დაყენებისა, მიუხედავად პრობლემის გადაჭრის მცდარობისა თუ სისწორისა, ისეთ აუარებელ მასალას გვაძლევენ მის დასამუშავებლად, და თვით მასალებსაც ისე დეტალურად და ზუსტად ამუ-შავებენ, რომ დღეს მკვლევარს აღარა დარჩებოდა რა იმის მეტი, რომ ერთ-ერთი მიმართულებათაგანი ამ საკითხში, თითქმის მზამზარეული მასალების ნია-დაგზე დაედასტურებინა და საბოლოოდ მისაღებად ჩაეთვალა. ეს ასეც იქნებოდა, მაგრამ აქ ერთ გარემოებას აქვს ადგილი, რომელიც საქმეს ართულებს.

ამ გართულების გამოსარკვევად იძულებული ვიქნებით შევეხოთ მთავარ მიმართულებებს, რომელთაც აქვს ადგილი სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სა-კითხის გარშემო, და გამოვარკვიოთ, თუ რას იძლევა თითოეული მათგანი და რა აკლია საკითხის სრული გადაწყვეტისათვის. ხოლო შემდეგ ამ ნაკლის შევ-სებას თვით ჩვენც შევეცადოთ. მკვლევართა შორის წინააღმდეგობა ეხება უმ-თავრესად იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მიწაზე კერძო საკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების განვითარებასა და ნახევილი მიწათმფლობელობის ბატონობის ჩრდილ-ოეთ-ში ებთან. ამ მხრივ პროფ. უდალცოვი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ მეცნიერთ სამ მთავარ ჯგუფად ჰყოფს[1]. ძირითად და ზოგადად ამნაირი დაჯგუფება მისაღებია.

უკვე დიდიხნის ცნობილია, რომ ფიუსტელ-დე-კულანჟი და მასთან ერთად მისი მიმდევრები იცავდნენ იმ აზრს, რომ გერმანელებში რომის დაპყრობამდის, და შემდეგშიც ფრანკთა მონარქიაში უდავოდ და უთუმცაოდ მსხვილ-მიწათმფლობელობა იყო გაბატონებული. როგორც თემური მიწათმფლობელობის, ისე თავისუფალი გლეხობის არსებობას იგი „რომანს" უწოდებდა. მისი აზრით, IV საუკუნიდან დაწყებული IX საუკუნემდის მთელი მხარე (ფრანკებისა გ. ნ.) მოფენილი იყო მამულების (villae) უამრავი რიცხვით. ცალკეული სოფლები (vici) კამონაკლისს შეადგენდნენ. ასე ამბობს ეს მეცნიერი თავის მთავარ შრომაში[2], ხოლო მეორე ნაშრომში (La Gaule Romaine) ხომ ტაციტეს დროის გალლებშიც უარჰყოფს თემური წესწყობილების არსებობას და თავისუფალი გლეხობის ბატონობას[3]. ამის საწინააღმდეგოდ ვიოლე[4] და ლაველე[5] ამტკიცებენ, რომ ძველ გერმანელებში კერძო საკუთრება არ არსებობდა და თემობა იყო საზოგადო ცხოვრების მომწესრიგებელი ორგანო. ამათი დებულება თავისთავად სწორია, მაგრამ ამ დებულების დამტკიცება ძველი გერმანელების შესახებ და კერძო საკუთრების თანდათანობითი განვითარების პროცესი და საფუძვლები მათ ვერ გამოარკვიეს. ამიტომ მათი ეს თავისთავად სწორი დებულება დღესაც არ იენებოდა მთლად დაჯერებელი მარკსის და ენგელსის შრომები რომ არ გვქონდეს. ასევეა ორი ძირეულად და პრინციპულად ერთმანეთთაგან განსხვავებული მიმართულება. მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე ორ-ორ ნაწილად იყოფა. კერძო საკუთრების უარმყოფელებს ეკუთვნის მაურერიც, მაგრამ მისი არგუმენტაციის საფუძვლიანობა და მარკის განვითარების პროცესის გაშლა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ვიოლესი და ლაველესი. ასევე სათემო საკუთრების უარმყოფელებს ეკუთვნიან ისეთი მეცნიერნი, რომელნიც ფიუსტელ-დე-კულანჟს არ ეთანხმებიან ძველი გერმანელებისა და მეროვინგების დროის მეურნეობის განვითარების პროცესის ახსნა-გამმარტებაში. კარო ამტკიცებს, რომ თავისუფალი გლეხობა არა თუ IX საუკუნეში, არამედ მის შემდეგაც დიდ როლს თამაშობდა ფრანკთა მონარქიისა და საფრანგეთის ცხოვრებაში. ამ პერიოდში, მისი აზრით, ბრავითარი აგრარული კრიზისი არ მომხდარა. ვინც ამტკიცებს, რომ ვეთომ თავისუფალი გლეხობის დამოკიდებულ გლეხებად გადაქცევის პროცესს ჰქონდა ადგილი, ის ემყარება იმ საბუთებს, რომლებიც დამახასიათებელია რომანული ოლქებისათვის და არა გერმანულისათვის. IX საუკუნეში, კაროს აზრით, მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ იმით, რომ მსხვილმა მემამულეებმა ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება და, ამით—და არა ეკონომიურად—დაიმორჩილეს წვრილი გლეხობა (Zur Grundbesitzverteilung in der Carolingerzeit III, 65—79). კაროს თვალსაზრისს ნაწილობრივ ეთანხმება ვიტტიხი, რომელიც იზიარებს იმ აზრს, რომ გერმანელთა ისტორიაში, რაც უნდა შორეული წარსულის სიღრმეში შეიჭრა, თუნდაც ტაციტეს დროიდან, ყველგან და ყოველთვის აშკარა და ნათელია წვრილი, და ზოგგან წვრილთან ერთად საშუალო მამულის უპირატესობა. ასე ამბობს ვიტტიხი, მაგრამ ამ აზრზე არ ჩერდება. ავითარებს მას და წინააღმდეგ კაროსი, ნახულობს ნახევრად დამოკიდებულ და მთლად დამოკიდებულ (Mindfreien, unfreien) მოსახლეობასაც, რომელნიც რიცხობრივად სჭარბობდნენ წვრილ და საშუალო მემამულეებს. ისე ოომ, ვიტტიხის აზრით, ეკონომიურად და, შეიძლება, პოლიტიკურადაც წვრილ და საშუალო მემამულეებს ჰქონდათ უპირატესობა, თუმცა რიცხობრივად დამოკიდებული გლეხობა სჭარბობდა. ამას გარდა, ვიტ-

---

[1] Удалов, Свободная деревня в Зап. Нейстрии: ЖМНПР. 1901 წ. № 10 (ოქტ.), გვ. 250 და შემდ.

[2] Fustel-de-Coulange. L'ist des inst. pol. de benef. et le patr. passim.

[3] იგივე. La Gaule Rom. გვ. 4—5.

[4] P. Violet, Histoire des institutions polit. et adm. de la France. t. I p. 176.

[5] Lavelayé, La propriété etc...

ტიხი იხილავს ავრეთვე მანზების და ხოდაბუნების (mansus indominicatus) მდგომარეობას ამტკიცებს, რომ ხოდაბუნები, ანუ საბატონო მანზები, დიდები არ იყო. ამასთან ერთად ჩვეულებრივ თავისი მამული გაფანტული ჰქონდა სხვადასხვა სოფელში, ხშირად თითო-თითო ჰუფობით, ისე რომ თითოეულ სოფელში რამდენიმე მემამულე ცხოვრობდა. ფლაკიც, წინაალმდეგ ფიუსტელ-დე-კულანჟისა, იცავს წვრილი საკუთრების არსებობას[1], მაგრამ ამას ამტკიცებს ის, როგორც ვიოლე, რომ ერმანელებმა რომის იმპერიის ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ, დაპყრობილ ოლქებში თემური წესწყობილება ალადგინესო და, სათემო ტყე და საძოვარი საერთო სარგებლობაში დიდხანს არსებობდაო. ამასთან წვრილი ალოდი დიდხანს დარჩა შეურყეველი მსხვილი მიწათმფლობელობის მიერ. მაიცენი იცავს კერძო საკუთრების არსებობას სალიკური კანონების მოქმედების პერიოდში. არც ეს დებულებაა ჩვენთვის ახალი რამ, მაგრამ მაიცენის შრომის თვით საუაურიც კი აშკარად გვიჩვენებს, თუ რა მრავალფეროვანი და შინაარსიანი მასალები აქვს მას დამუშავებული. იმისი მთავარი შრომის სათაურია, „Siedlung und Agrarwesen der Westgermanen, der Kelten, Römer und Slaven“ (1895 წ.).

ამ დიდძალი მასალის გარშემო ჩატარებულმა მუშაობამ მეროვინგების დროის მიწათმფლობელობის ხასიათი საკმაოდ კარგად გამოარკვია და წინაალმდეგ სხვადასხვა უნიადაგო თეორიებისა, თვით ამ თეორიების ავტორების წინაალმდეგ გამოარკვია, ყოველ შემთხვევაში, ერთი მეტად მნიშვნელოვანი და ურყევი დებულება: რომ სათემო მიწისმფლობელობა თანდათან ირღვეოდა და კერძო საკუთრების განვითარება წინ მიდიოდა მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარების და გლეხობის მუშებად გადაქცევის სახით. ეს აშკარად ჩანს თუნდაც იმავ უდალცოვის, აგრეთვე კოვალევსკის შრომებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს, დოპშის მეოხებით, ისევ ძველს (განსაკუთრებით, ფიუსტელ-დე-კულანჟის) თეორიებს უბრუნდებიან, მაინც ზემოაღნიშნული დებულება ურყევი რჩება და თვით დოპშის დებულებებში ხომ ძრავალ დათმობასა და შენიშვნას აქვს ადგილი, ვიდრე თავის ძირითად აზრს დამტკიცებულად ჩასთვლიდეს. იმის მიერ დახატულ სურათში მაინც ჩვენ ვხედავთ მსხვილი მიწათმფლობელობის სხვადასხვა სახეებს სხვადასხვა დროს. აგრეთვე განსხვავებას ვხედავთ თვით კერძო საკუთრების სხვადასხვა დროის ფორმებს შორის. ამაზე ჩვენ წინანდელ გამოკვლევებში უფრო დაწვრილებით გვქონდა საუბარი, ამჟამად კი უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად ამ ძირითადი საკითხის გარშემო დიდძალი მასალების დაგროვებისა და თვით საკითხის ყოველმხრივი დამუშავებისა, ერთი მნიშვნელოვანი რამ აკლია მას, ურომლისოდაც ეს საკითხი ცხოვრების ცოცხალ სინამდვილეს დაშორებული რჩება. მსხვილი საკუთრება, მართალია, უკვე არსებობდა მეროვინგების დროს, მაგრამ როგორი იყო მისი ორგანიზაცია, როგორი იყო მის მონაწილეთა შორის ურთიერთობა? იქნება, მისი ორგანიზაცია ისეთი იყო, რომ იგი აძლევდა საბაბს კაროსა და მის მომხრეებს მართლაც ეფიქრათ, რომ საშუალო და წვრილი საკუთრება სჭარბობდა მსხვილსა, ანუ, სხვაფრივ რომ ვთქვათ, მეროვინგების დროს ფეოდალური მეურნეობა იყო თუ არა უკვე გაფორმებული და მოწესრიგებული ფეოდალური სისტემის თვალსაზრისით? და თუ არ იყო ჯერ მოწესრიგებული, ამ პროცესის რომელ საფეხურზე იდგა მაშინ მეურნეობის განვითარება? ფეოდალური

[1] Flach, Les crigines de l'anc. France, I. ფლაკის აზრი არ არის რომელიმე მიმართულების დამახასიათებელი მაგრამ მისი შრომა საყურადღებოა მრავალი მასალის დამუშავების მხრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემამულის მეურნეობა, თუ იგი მოწესრიგებულია თავის კვალობაზე, თუ ისე ცენტრალიზებული იყოს ფეოდალის სასახლის გარშემო. მაგრამ ცენტრალიზებული არა ორგანულად თვით წარმოების პროცესთან დაკავშირებით, არამედ მექანიკურად. იგი მექანიკურად აერთიანებს მრავალ წვრილ მეურნეობას სამსახურის შესრულების და ბეგარის გადახდის სახით, რისთვისაც აუცილებელია გარე-ეკონომიური იძულება, რომლის ორგანოც უკვე ამ დროს საკმაოდ განვითარებული უნდა იყვეს. ყველა ამისათვის პირველად ყოვლისა საჭიროა, რომ მამული ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდეს ტერიტორიულად; მაშასადამე, რამდენად გაერთიანებული იყო მამული და რამდენად ერთი ხაზი ტარდებოდა მის მოწესრიგებაში, მამულზე დასახლებულთა ძალლონე მთლიანად მამულისა და პატრონის საჭიროებაზე იხარჯებოდა, თუ ეს საქმეებოდა სხვადასხვა უცხო ელემენტებს შორის, ამის გამოსარკვევად ... ... მასალაა თავმოყრილი სპეციალისტების ნამუშევარში. მაგრამ ... ... დასმული ძირითადი საკითხი მამულის მთლიანობისა გაოკვეთილად არ არის დასმული. მისი გამოკვეთილად დასმა კი ფეოდალურ მეურნეობის განვითარების პროცესს გააცოცხლებს, მის ძირეულ ძარღვს გვაპოვნინებს. გამოგვირკვევს, თუ მეურნეობის გაფორმების რომელ საფეხურთანა გვაქვს საქმე მეროვინგების ხანაში. მაშინ ვფიქრობ, კაროს და მისი მომხრეების აზრის მცდარობას წვრილი საკუთრების ბატონობის შესახებ და მის მიზეზსაც ნათელი მიეფინება.

II

მსხვილი მამულების მთლიანობის თუ წვრილ-წვრილ ნაკვეთებად გაფანტულობის საკითხისათვის სამეცნიერო ლიტერატურა დიდძალ მასალას იძლევა. მსხვილი მამულების წარმოშობის პროცესი ისეთ ნიადაგზე წარმოებდა, რომ პირველ ხანებში გაფანტულობა მას ვერ ასცდებოდა. მოვიგონოთ ის, რაც ჩვენ ერთ-ერთ წინანდელ გამოკვლევაში უკვე გვქონდა აღნიშნული, სახელდობრ, რომ მსხვილი საკუთრება, ერთი მხრით, ახოს აღების და ყამირის გატეხის საფუძველზე წარმოიშვა და, მეორე მხრით, ალოდების წარმოშობის შემდეგ, მათი დაქუცმაცება და პრეკარიის და კომენდაციის ნიადაგზე მათი გაერთიანება ხდებოდა მცირეოდენ მემამულეების ხელში. პირველი პროცესი უფრო ადრე დაიწყო და უფრო სწრაფადაც განვითარდა, მეორე უფრო შეგვიანებით იწყება და უფრო ნელი ტემპით ვითარდება. ახოს აღება და ყამირის გატეხა, როგორც ჩვენ აღნიშნული გვქონდა, სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი და ძლიერ გავრცელებული ყოფილა როგორც გერმანელებს, ისე გალებს შორის. შესაძლოა მხოლოდ, რომ გალებში იგი უფრო ადრე დაწყებულიყოს და ადრეც შეჩერებულიყვეს. ყოველ შემთხვევაში ამ მოვლენის შესახებ დიდძალი მასალა მოგვეპოვება. მხოლოდ ვერც ერთი მეცნიერი თავის მასალას ვერ იყენებს ისე, როგორც საჭიროა, და იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია. ენგელსი თავის გამოკვლევაში ფრანკთა ეპოქის შესახებ მსხვილი საკუთრების განხილვის დროს გვიჩვენებს გზას, რომლითაც უნდა იაროს მკვლევარმა, რომ სხთანადო შედეგებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიალწიოს[1]. ის თავის ნარკვევში გვაძლევს ცოცხალი მამოძრავებელი ძალების ნიმუშს და, თუ ამ გზით წავედით, საახოვე სისტემის შესაფალა აგვიხსნის, თუ რა მამოძრავებელი ძალები ავითარებდნენ იმ დროს მსხვილ საკუთრებას. ჩვენ უკვე გამორკვეული გვქონდა, თუ როგორ უწყობდა ხელს საახოვე სისტემა კერძო მონური მეურნეობის განვითარებას. ახლა ჯერჯერობით საჭიროა გამოირკვეს, თუ რამდენად იყო იგი გავრცელებული არა მარტო გერმანელ ტომებში, არამედ გალებშიც. და რამდენად ფართოდ გავრცელდა იგი ტაციტუს შემდგომ პერიოდში.

ჯერ ავიღოთ საკითხი გალების შესახებ, ვინაიდან ტაციტუს მოწმობა ამ სისტემის არსებობის შესახებ უკვე წინათ გვქონდა აღნიშნული. როგორც ჩანს, ცეზარის დროს გალებში ძლიერ გავრცელებული ყოფილა ჩვეულება ოითო ოჯახად ტყის და ხეობის სხვადასხვა ადგილებზე დასახლება. ცეზარი ამას თავდაცვის საჭიროებით ხსნის, მაგრამ, რასაკვირველია, შეუძლებელია ამ საქმეში მთავარი და გადამწყვეტი მოსაზრება ეს ყოფილიყოს.

Ubi cuique aut valles abdita, aut lacus silvestris, aut palus impedita spem aesidii aut salutis aliquam offerebat, considerant[2] („სადაც კი ან მიმალული ხეობა, არტყის ტბა, ან ჭაობი დაცვის იმედს იძლეოდა, იქ სახლდებოდნენ“). ამას რომ შევადაროთ მეორე ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ სადაც ჭალა, ან ტყის პირი მოეწონებათ (ubi fons, ubi nemus placuit), იქ სახლდებოდნენო, მაშინ უფრო ცხადი იქნება, რომ ტყეში გაფანტულად დასახლების მიზეზი მარტო თავდაცვის საჭიროება არ ყოფილა. ამას კიდევ უფრო კარგად არკვევს მეორე ადგილი, სადაც ცეზარი ერთ რიგში ასახელებს სოფლებს და კერძო შენობებს რომელთაც ომში ერთი და იგივე ბედი სწევიათ: oppida sua omnia, numero ad duodecim vicos ad quadringentos, reliqua privata aedificia incendunt[3]. ზოგჯერ ამნაირ სახლკარს და მამულს ცეზარი უწოდებს possessiones („მფლობელობას“), რომელსაც სოფელს, როგორც კოლექტიურ და არა განცალკევებულ მოსახლეობას. უპირისპირებს: Allobroges, qui trans Rhodanum vicos possessionesque habebant[4].

ამგვარად დასახლებული, გაფანტული, მოსახლე, როგორც ჩანს, ცეზარის დროს გერმანელებშიც და გალებშიც ბევრი ყოფილა, რომ იგი ამით შეიდროდ დასახლებულ სოფლებს და ქალაქებს უპირისპირებს და ზოგჯერ multitudo-საც კი უწოდებს[5]. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქს უკვე ისეთ მოსახლეობასთან, რომელშიც საახოვე სისტემა სჭარბობდა სასოფლო სისტემას და ამ ახალი ფორმების გავრცელების პროცესი უკვე ძლიერ შორს ყოფილა წასული. ამასი გარდა, ეს სიტყვები გვიჩვენებენ კიდევ იმას, რომ ცეზარის დროს ჯერჯერობით ამ პროცესს მასობრივი ხასიათი არ დაუკარგავს და მსხვილი მემამულეობა ამ ნიადაგზე ჯერ გაბატონებული არ ყოფილა. ტყეში, წყლის პირზე, თუ ხეობებში სახლდებოდა ყველა, ვისაც რამე მიზეზით მამული აკლდა ან შიშიანობა აიძულებდა ძველი სახლკარი მოეშალა და აყრილიყო. რასაკვირველია, თუ არ გაჭირვების გამო, სხვა მიზეზით ასეთი აყრა არ მოხ-

---

[1] Энгельс, Франкский период: К. Маркс и Ф. Энгельс, Сочин., т. XVI. стр. 397 და წმდ.

[2] Caesar, De bello gallico წ. VI, თავი XXXIV.

[3] Caesar, ibid. I, V.

[4] Caesar, ibid. I, XI.

[5] Caesar, ibid. VI, XXXIV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა, ვინაიდან მრავალ დაბრკოლებასთან იყო იგი დაკავშირებული. ამას გარდა, ამნაირი მოსახლე გარეშე ქვეყანას უნდა სრულიად მოსწყვეტოდა. Silvae incertis occultisque itineribus compertos adire prohibebant[1], ამბობს ამათზე ცეზარი და ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ ულრან ტყეში დასახლებული ოჯახი „უცნობი და დამალული გზების გამო“ მტრისგანაც უფრო კარგად იყო დაცული, მაგრამ სამოყვრო მისელა-მოსვლასაც აძნელებდა. ამიტომ გასაგებია, რომ ისეთი იზოლირებული დასახლება, მძიმე წინასწარი მუშაობის აუცილებლობაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, შეეძლო უფრო შეძლებულს, მონების პატრონს. ამიტომ ამბობს მაქს ვებერი, რომ ბიფანგეზს (заимка, ქართ. „ახო“) იღებდნენ უფრო ხშირად ისინი, ვისაც ბლომად ჰყავდა როგორც საქონელი, ისე მონები, და ამიტომ „ჩვეულებრივ ეს შეეძლო მეფეს, თავადს და მიწის არისტოკრატიას“[2], რასაკვირველია, როდესაც ასეთნი გაჩნდნენ, დავუმატოთ ჩვენ, ვინაიდან ახოს აღება იყო წესად იმ დროშიც, როდესაც მეფეები და თავადები არ არსებობდნენ. თვით ვებერიც ამბობს, რომ ბიფანგის აღების წესი გერმანიის „აგრარული წესწყობილების ძველ პერიოდშიც“ არსებობდაო. ოღონდ მაშინ ასეთი ახოს, აღება ხშირად დროებითი იყო. მაზედ დასახლებული კაცი ხშირად მას თავს ანებებდა რამდენიმე ხნის შემდეგ და მაშინ ეს გატეხილი ყამირი, ან აღებული ახო თემს ანუ მარკას უერთდებოდა. შემდეგში კი წესი შეიცვალა.

საარქივო მასალები შეიცავენ საბუთებს, რომლებიც ახოს აღების ახალ წესს ახასიათებენ. „ჯერ ერთი ხშირად საახოვე მიწას მეფისაგან, ან ხაზინისაგან იღებდნენ“, ამაზე მიგვითითებს მაგალითად სიგიბერტის სიგელი 664 წლისა № 21[4].

მხოლოდ ამ პერიოდში ახოს აღება სხვა ტერმინით აღინიშნება: novellae, რასაც რუსულად გადმოგვცემენ „заимка“ და მაზედ დასახლებულებს ეძახიან „хорчевщики“, ე. ი. ტყის გამწმენდნი, ახოს ამღებნი. ასე ხსნის კოვალევსკი. მაიცენიც ამბობს, ბურგუნდების შესახებ, რომ მათ შორის მოსახლეობის ორი ტიპი არსებობდაო: სოფელი და ცალკეული მოსახლე (რუსულად хутор), რაც რასაკვირველია, ახოს აღების, ან ყამირის გატეხის (ანუ რუსულად заимк-ის) სისტემასთან იყო დაკავშირებული. ბურგუნდებს შორისაც ყოფილა შემთხვევები საახოვე მიწის აღებისა მემამულეებისაგან და მეფეებისაგან publica largitione. უფრო ადრინდელ პერიოდში ბურგუნდების გადმოსახლებამდის ეს, რასაკვირველია, ასე არ იქნებოდა. ბურგუნდიაში, ე. ი. ქალ. ლიონის მიდამოებში, სადაც ბურგუნდები დასახლდნენ რომის პროვინციის დაპყრობის შემდეგ, ახო ცნობილი იყო კიდევ სხვა სახელით. ბურგუნდთა კანონში არის ასეთი უსლი: De exartis: si quis tam Burgundio, quam Romanus in silvam communem exartum fecit aut fecerit[5].

ცხადია, რომ პროგრესი საახოვე სისტემის გავრცელებისა მოსახლეობის თავთავის ბინაზე დალაგების შემდეგაც არ მოსპობილა და თავის გავლენას ახდენდა ფეოდალური მეურნეობის გაფორმების პროცესზე. საზოგადოდ უნდა

---

[1] Ibidem.

[2] М. Вебер, Ист. Хоз. გვ. 23.

[3] М. Ковалевский, Экономич. рост Европы, т. I. გვ. 68.

[4] იქვე, Pertz M. G. H. Diplomata, № 21.

[5] Lex Burgundiorum ტიტ. XIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვახსოვდეს, რომ, სამეურნეო განვითარების ტიპიურობის მიხედვით, ფრანკთა მონარქიის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა პირობებში იმყოფებოდა. ერთ-ერთ ნაწილი, სადაც სალიკური კანონი მოქმედებდა, შედგებოდა თითქმის მთლიანად გერმანელი მოსახლეობისაგან. იქ ზუსტად იყო დაცული სალიკურ კანონებში გამოვლინებული წესები. მეორე ნაწილს წარმოადგენდა გალიის ნაწილი, სადაც შემოსევის შემდეგ ვესტგუთები დასახლდნენ, ხოლო მესამეს ის, რომელსაც შეესიენენ ბურგუნდები. მეორე და მესამე ნაწილში საზოგადოებრივი განვითარების და მეურნეობის ორგანიზაციის პროცესი გართულებული იყო იმ გარემოებით, რომ გადმოსახლებულ და შემოსეულ გერმანელთა ტომებს რომაული ტიპის ლატიფუნდიები დახვდათ, თუმცა საგრძნობლად შეცვლილი იმპერიის არსებობის პირველ საუკუნეებთან შედარებით. შესაძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ ამგვარმა წესწყობილებამ იმდენად შესცვალა გერმანელი ტომების პირვანდელი წესწყობილება, რომ იმ წესებიდან, რომლებიც აწერილია სალიკურ კანონებში, არა დარჩენილა რა. მაშინ ხომ აღარც ახოს ალების ჩვეულებას ექნებოდა ადგილი სამხრეთ გალიაში. ვესგუთების და ბურგუნდების გადმოსახლების და შემოსევის შემდეგ რომ გავეცნოთ აღნიშნული დროის ნამდვილ მდგომარეობას, ამისათვის უნდა ავწეროთ, თუ როგორ და რა პირობებში ხდებოდა ამ ტომების გადმოსახლება და რომაელებში ჩასახლება.

III

ამ საკითხის გარშემო თითქმის ყველა მკვლევარი ერთმანეთს ეთანხმება, როდესაც ისინი აგვიწერენ ამბებს ვესტგუთებისა და ბურგუნდების გალიაში შემოსევისა და ადგილმამულის განაწილების შესახებ. ყველანი იმას ამტკიცებენ, რომ ამათ გადმოსახლების შემდეგ რომაელებისა და გალების მამულები ნაწილდებოდა მოსულებსა და დამხვდურებს შორის იმ ვარაუდით, რომ ორი მესამედი მისცემოდა მოსულებს და ერთი მესამედი დარჩენოდათ ადგილობრივ მცხოვრებლებს. პოლ ვიოლეტ[1], ეხება რა ამ საკითხს, ჯერ აგვიწერს ჯარისკაცების ნივთიერად უზრუნველყოფის შესახებ არსებულ რომაულ წესებს, რომელთა ძალითაც ჯარისკაცს, როგორც სტუმარს, გალო-რომაელთა „სახლის“ ერთი მესამედი უნდა მისცემოდა; თუ ჯარის კაცი იყო რა მორიგი მეომარი, არამედ წარჩინებული, (illustris), მაშინ ნახევარიც კი ეძლეოდა. ამ ვალდებულებას რომაელებისას ეძახდნენ: hospitalitas. როდესაც სამხედრო ოპერაციები ან სხვა რაიმე საზოგადოებრივი ხასიათის საჭიროება ამ ჯარისკაცების სხვა ადგილზე გადაყვანას მოითხოვდა და ესენიც დაკერილი ადგილებიდან მიდიოდნენ, სახლი და ადგილ-მამული ისევ ძველ მფლობელებს რჩებოდათ. გუთებისა და ბურგუნდების შემოსეკის დროს მდგომარეობა რამოდენადმე შეცვლილი იყო. ჯარისკაცების შოვნა უფრო გაძნელებული იყო და ძველი წესით (annona) ალარ ხერხდებოდა და, ამის გარდა, თვით გალო-რომაელთა მამულებს მუშა ხელი ხშირად აკლდათ მონების ლანდათანობით მოსპობის პროცესში. ამიტომ შემოსეულების საკვებით უზრუნველსაყოფად ნაწილდებოდა ადგილ მამული და, ამას გარდა, შემოსეულებს ევალებოდათ მიწის დამუშავება და თავის გამოკვება. ამისათვის კი საკმარისი მამულის მისაღებად მათ აეძლეოდათ უკვე ორი მესამედი და არა ერთი მესამედი ან ნახევარი. ბურგუნდებში, როგორც

---

[1] P. Viollet, op. cit. t. I, p. 175—177. ამგვარი წესების არსებობის დასადასტურებლად ვიოლეტ გვაწვდის ამონაწერს თეოდოსეს კოდექსიდან, რომელშიც ნახევარი სახლის დათმობა ერთ შემთხვევაში და მესამედისა მეორეში დადასტურებულია.

Duas dominus propriae domus. tertiam hospiti deputata... illustribus sane viris non tertiam partem domus sed mediam hospitalitatis gratia deputari decernimus:

(Code Théod.. VII—VIII, De metatis, 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით აღნიშნავს გიოლე, არა თუ სახნავი მიწის, არამედ მონების განაწილებასაც კი ჰქონია ადგილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მონების ერთი მესამედი ეძლეოდათ ბურგუნდებს და არა ორი მესამედი, როგორც ადგილ-მამული. ყველა ამ ცნობებს გიოლე გადმოგვცემს არა ზეპირად ან სხვისგან გადმოღებით, არამედ წყაროებიდ საშუალებით დადასტურებით (Loiş des Wisigots X, I De divisionibus et terris ad placitum datis. 8; Lex Burgund. tit. 13, 54, 55, 67, 107). ამგვარი გარემოების არსებობას, როგორც ეტყობა ფიუსტელ-დე-კულანჟიც სცნობს, ვინაიდან hospitales მასაც მიაჩნია გადმოსახლებულ ხალხად, რომელნიც მიწებს ღებულობდნენ ორმაელებისაგან, ხოლო გასხვავება ის აქვს, რომ ამ მეცნიერების მიხედვით ეს ჰოსპიტები ანუ სტუმრები (ქართულ ხიზნებს წააგავდნენ) დაძოკიკებული იყვნენ და არა თავისუფალნი, როგორც ეს უმრავლესობას მიაჩნია.

მ. კოვალევსკის ამ შემთხვევაში გიოლეს აზრი მართებულად მიაჩნია და საბუთით ადასტურებს. მის ამოწეილ საბუთიდან ჩანს, რომ ბურგუნდები და რომაელები ძირად ტყეს საპოვედაც კი იხაწილებდნენ. ამ შემთხვევაში მათ ევალებოდათ სტუმრისთვისაც (hospiti) საკმაო ნაწილი დაეტოვებინათ. ეს ის საბუთია, რომელიც ზემოთ უკვე ამოწერილი იყო ტერმინის exartum-ის გამოსარკვევად. ახლა კი უფრო აოსებითად ვეხებით მის შინაარსს.

რომ გუთები საძრეთ გალიის დაპყრობის ჟამდეგ ადგილობრივი მემამულეებისაგან (ex gallicis senatoribus, როგორც წყაროგადმოგვცემს) მიწებს ინაწილებდნენ და ორ მესამედს თვითონ ღებულობდნენ, ხოლო მესამედს ძველ აატრონებს უტოვებდნენ, ამას ა. დოპშიც ადასტურებს და მეფის ევრიხის კანონმდებლობით ასაბუთებს (75 წ.)[1]. ამასთან დოპშიც ამ დასახლებულებს უწოდებს hospites. ევრიხის კანონით ძველი მამულების და გაყოფილის ნიკნები ისე ზუსტად ყოფილა აღნიშნული, რომ როდესაც ოდნავ ეჭვი შეუვიდოდათ მიჯნების სისწორეში, მაშინვე ზომებს ღებულობდნენ მის აღსადგენად. გაბაკუთრებულ ინსპექციას ხიშნავდნენ, რომელსაც უნდა მიწები აღედგინა (eligat inspectio iudicantium quos panium consensus elegerit)[2] ეს ინსპექცია ორივე დაინტერესებული მხარის თანხმობით ირჩეოდა. შემდეგ დოპში მოგვითხრობს ბურგუნდებია გადმოსახლების შესახებ. ამის შესახებაც დოპში იმასვე ამბობს, რასაც ბ. გიოლე. ეანი დასახლებულან ლიოხის მახლობლად და სახნავი მიწებია ორი მეამედი აღებიათ განაწილების შედეგად. ხოლო ძონებს (untreien) ერთი მესამედი[3].

IV

ახლა ამასთან დაკავშირებულია საკითხი, თუ როგორ სახლდებოდნენ მოსულები: ცალცალკე იზოლირებულად თუ სოფლებად. დოპში ფიქრობს, ესენი უმთავრესად სოფლებად სახლდებოდნენო (nicht mit Einzelhöfen). მაგრამ, როგორც შეკრებილი მასალებიდან ჩანს, ეს მთლად ასე არ ყოფილა. კოვალევსკის აზრით გადმოსახლებულები ცალკე მოსახლეებად სახლდებოდნენ. ამასვე ადასტურებს აგრეთვე ბურგუნდთა კანონიდან ამოწერილი ცნობა exartum-ის (რაც ამავე ახოს ხიშნავს) შესახებ. დოპში ამ საკითხში მაიცენის და კოვალევსკის აზრს მთლად არ იზიარებს[4], მაგრამ თვით მის მიერვე აწერილი გარემოება უფრო მის წინააღმდეგ ლაპარაკობს. აწერილი სურათიდან ჩანს, რომ ძველი ტყეები მამულებიდან ნაწილი მიტოვებული იყო კოლონებისაგან. ისე რომ ზოგიერთ შემთხვევაში იზოლირებული და მიტოვებული მამულის აღება ყაბირის

---

[1] A. Dopsch, Wirtschaftl. und soc. Grundlagen des europeischen Kulturentwicklung, t. I. S. 212.

[2] MG. LL, 1, 1, 4. დოპშიდან. გვ. 213.

[3] Dopsch. op. cit. 1, 217—218.

[4] იქვე. გვ. 219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატეხას ან ახოს აღებას უდრიდა. რასაკვირველია, თუ ეს წესი გავიგეთ ისე, როგორც სამარკო თეორიის საწინააღმდეგო მოვლენა, მაშინ მისი მიღება ადვილად არ იქნება. ასე უპირისპირებს ერთმანეთს ამ ორ მოვლენას ისტორიისა დოპშში [1], გამოდის ერთის შეხედვით სამგვარი სხვადასხვა თეორია, ერთი მხრით კერძო საკუთრების უდავო არსებობა სალიკური კანონის შემდეგ, მეორე მხრივ მარკის არსებობა მის შემდეგ პერიოდშიც და საბიფანგო სისტემა (Bifangsrecht, როგორც ამბობს დოპშში) [2]. რასაკვირველია, კერძო საკუთრების არსებობა სალიკური კანონის დროიდან უდავო მოვლენაა. კოვალევსკის ჯერ კიდევ სჭირდებოდა ამისი ენერგიულად მტკიცება. დღეს კი ამაზე საუბარიც ზედმეტია. ოღონდ კი უნდა გვახსოვდეს, რომ კერძო საკუთრების სრული გაფორმება მემკვიდრეობის გარკვეული წესის დაცვით სალიკური კანონის შემდეგაც რამდენსამე ხანს შეგვიანდა, როგორც ამას მ. კოვალევსკიც აღნიშნავს, და მეროვინგების მეფეების დროსაც გვხვდება მისი დარღვევის შემთხვევები. ჰოლვიოლე თითქმის იმასაც კი ფიქრობს, ვითომ ბურგუნდებს და ვესტგუთებს გალიაში მიწების განაწილების დროს კერძო საკუთრება ზოგიერთ შემთხვევაში მოესპოთ [3], მაგრამ ეს არ აოის დასაჯერებელი, ვინაიდან ამის საბუთი არ არსებობს; ის კი უდავოა, რომ მიწის განაწილების დროს ჰუფები ანუ მანზები კერძო საკუთრებად-ნაწილდებოდა, ხოლო ტყე და საძოვარი საერთო სარგებლობაში რჩებოდა. მარკაც თავისი განვითარების ერთერთ საფეხურზე, სახელდობრ, სათემო მფლობელობის მოსპობის და კერძო საკუთრების დამყარების პროცესის პირველ პერიოდში, როდესაც ჯერ მსხვილი საკუთრება დამყარებული არ იყო, სხვათა შორის ამ ფუნქციასაც ასრულებდა, აწესრიგებდა ტყითა და საძოვარით სარგებლობის საქმეს. შემდეგ საფეხურზე ხომ ვიცით, რომ მსხვილი საკუთრება გაბატონდა და მარკაც მსხვილი მესაკუთრის ინტერესებს იცავდა და მხოლოდ ამ ფარგალში ჰქონდა მას დაცული ძველი სათემო წესები. ახლა უნდა დაისვას საკითხი, თუ რა მოუვიდა ახოებს და ცალკეულ მეურნეობებს (possessiones), როდესაც მარკაში მსხვილი მემამულეობა გაბატონდა. წყაროები ამის შესახებაც იძლევიან ცნობებს. ოღონდ ამ ცნობებს სათანადო ანალიზი და გამოყენების წესი ესაჭიროება. საქმე ის არის, რომ სამარკო წესების გავრცელება თანდათან ფართოვდება და იმორჩილებს ყოფილ ახოებს, მაგრამ მეორე მხრივ სოფლებშიც, რომლებიც თავიდანვე საფუძველი იყო მარკისა, მსხვილი მემამულეობა თანდათან იმარჯვებს და არა ერთბაშად. მარკის ისტორიაში არის მომენტი, როდესაც მის ფარგალში მსხვილი მემამულეები მოიპოვებიან, მაგრამ ჯერ ჯერობით მარკას კი არ მბრძანებლობენ, ნაწილობრივ მაინც მას ემორჩილებიან, როდესაც, მაგალითად, საკითხი ეხება საერთო ტყისა და საძოვრის გამოყენებას. ამასთან თავის შეძლებულობის მეოხებით მარკის გადაწყვეტილებაზე ისეთ გავლენას ახდენენ, რომ მარკა ღებულობს უმეტეს შემთხვევაში მათი ინტერესებისათვის ხელსაყრელ დადგენილებებს. ასე

[1] Dopsch, op. c. S, 367.
[2] ibidem.
[3] P. Viollet, აღნიშნული შრომა, გვ. 176.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღის განვითარების პროცესი მანამდის, ვიდრე მსხვილი მემამულეები მარკას მთლად თავის მორჩილ ორგანოდ არ გადააქცევენ. ამ გავლენის საშუალებით მსხვილი მემამულეები თანდათან ხელში იგდებენ სახალხო მიწას (folksland) [1]. ამას გარდა, მარკის ზრდასთან დაკავშირებით, მისი მოსახლეობის ნაწილი სხვაგან სახლდება და იქ აარსებს ახალ მარკას. მაურერის თქმით, ესენი ახალ დაუსახლებელ მიწებზე სახლდებოდნენ [2] და ამიტომ შეგვიძლიან თამამად ვთქვათ, რომ ამ გადასახლების პროცესში ახალი მარკები ძველად აღებულ ახოვს შეეხეჩებოდნენ და მათაც შემოიერთებდნენ. ამნაირად, უნდა ვიფიქროთ მეს ახოებიც მარკას, ერთებოდნენ. ამ პირობებში მიწის ნაკვეთების თანაბრობის დაცვა ყოვლად შეუძლებელი იყო, ვინაიდან უკვე წინა დროებში აღებული ახოს ნაკვეთი მიწის ფართობი უფრო ხშირად დიდი იყო. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მარკის წევრები გადასახლებაზე უარს იტყოდნენ, მაშინ უნდა მიწის მცირე ნაკვეთით დაკმაყოფილებულიყვნენ. ამ ნიადაგზე ხდებოდა წვრილი მიწის ნაკვეთების გადასვლა მსხვილ მიწათმფლობელების ხელში. რასაკვირველია, ჯერ ეს პროცესი, სანამ ფართოდ არ იყო იგი გავრცელებული, უხეში ძალადობის საშუალებით ვითარდებოდა. ეს განსაკუთრებით ადვილი იყო იმათთვის, ვისაც რამდენსამე ალაგას ჰქონდა ახო აღებული, რადგანაც მთელ იმ რაიონს ის თავისად გამოაცხადებდა, თუმცა ეს უკვე ეწინააღმდეგებოდა საერმო წესებს; რომლის ძალითაც ახო ანუ მიფანგი კერძო პირის ხელში ითვლებოდა მანამდის, ვიდრე იგი მას ამუშავებდა, და ამ ფართობზე, რომელსაც იგი ამუშავებდა. შემდეგში ეს წესი მიეცა და ძლიერმა ხალხმა ჯერ, მართალია, ნომინალურად, ხელში ჩაიგდო დიდი მიწები. როდესაც ამ შემთხვევებმა მასობრივი ხასიათი მიიღეს, მაშინ ამ უხეშ ძალადობას რაიმე კანონიერი გამართლება ესაჭიროებოდა და აი სწორედ ამის შედეგად შემოვიდა პრეკარიების და კომენდაციების წესები.

როგორც ვხედავთ, ეს პროცესი უხეში ძალადობის და კანონიერი ძალადობის საშუალებით განხორციელებულ ეკონომიურ პროცესის შედეგს წარმოადგენდა, იმ პროცესის, რომელიც მდგომარეობდა მსხვილი საკუთრების მიერ წვრილი საკუთრების გადაყლაპვაში. ამიტომ არ შეიძლებოდა, რომ იგი ტერიტორიალურად თანამიმდევრობით განხორციელებულიყო. მესაკუთრეები იქ დაეპატრონებოდნენ მიწის ნაკვეთს, სადაც ამჟამად უფრო მოსახერხებელი იყო. ამიტომ თვით ძველ სოფლებშიც თითოეული მსხვილი მამული გაფანტული იყო წვრილ-წვრილ ჰუფებად, თვითეულ სოფელში რამდენიმე მსხვილი მესაკუთრე იყო, რომელთა ჰუფებიც და მასზე მცხოვრები კოლონები ერთმანეთში იყო არეული. ეს პროცესი ყველაზე უკეთ სასულიერო მამულებში მიმდინარეობდა, ალბათ იმის გამო, რომ სასულიერო პირებს უფრო მრავალი, ვითომდა კანონიერი, საბაბი ჰქონდა ასეთი ძალადობისათვის. ამისათვის ეკლესია არ ერიდებოდა არც ღვთის სახელის გამოყენებას, არც წმინდანისას, არ ერიდებოდა ყალბი

---

[1] Энгельс, Происх. семьи, собств. и госуд. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XVI, стр. 129.

[2] Maucer, Einleitung zur Gesch. der Mark- Hof-Dorf-und Stadt-Verfassung, 33. 175.

საბუთების შედგენასაც. შედეგი ის იყო, რომ საეპისკოპოსოებს ყველაზე ... მრავალი და გაფანტული ყმა და მამული ჰქონდა. თვით საეკლესიო ... ბასაც კი შერდა ეს და არა ერთხელ ხან გაუბედავად, ხან უფრო გაბედულად—გამოუღია ხელი სამღვდელოების წინააღმდეგ[1]. საეპისკოპოსო სამფლობელოების გაფანტულობას საუკეთესოდ ამტკიცებს საბუთებში მოხსენებული საზღვრები მათი მამულებისა. ეს განსაკუთრებით ფორმულებშია მკაფიოდ გამოხატული. მაგალითად, ერთი ვენახის მოსაზღვრე ხშირად სხვა მეპატრონე ყოფილა. Vinia medio iuncto tantum... Et subiungit de uno latere vinia illius. „ამდენი და ამდენი ზომის ვენახი, ერთი მხარეზე მიჯნავს ამა და ამის ვენახი". ან კიდევ Campello ferente modius tantus ...et subiungit de uno latere campus illius „ამა და ამ ზომის საბალახე, ერთი მხრით მას მიჯნავს ამა და ამ კაცის მინდორი[2]. აქ უკვე სამი მხრის მომიჯნავეა დასახელებული[3]. ანტერის ფორმულებში მრავალია ამნაირი. აი ერთი მაგალითი: Casacum curte et omni circumcincto suo... campo ferente... madiustantus de uno latere est campus illius, vinia iunctus tantus de uno latere vinia illius,—silva iunctus tantus de uno latere silva illius,—prado iunctus tantus de uno latere prato illius.

აქ უკვე სხვადასხვაგვარი მამულებია დასახელებული და თითოეულს მათგანს მომიჯნავედ აქვს სხვისი ამგვარივე მამული: სახნავ მინდორს სხვისი სახნავი მინდორი, ვენახს სხვისი ვენახი, ტყეს სხვისი ტყე, სათიბს სხვისი სათიბი. აქედან ჩანს თუ რამდენად დაქუცმაცებული ყოფილა მამული[4]. ამას გარდა, როგორც სამართლიანად ღონიშნავს უდალცოვი, ზოგ მემამულეს მაინც თავმოყრილი ჰქონია მიწის სხვადასხვა მეურნეობაში გამოყენებული ნაკვეთები, თუმცა კი წვრილ-წვრილი, ზოგს კი თითო დარგის მეტი ერთ ალაგას არ ჰქონია. ისე რომ საბოლოო ანგარიშში თითოეული მამული შედგებოდა სხვადასხვა დარგებისათვის გამოყენებულ ნაკვეთებისაგან, მაგრამ ესენი გაფანტული არიან და სხვა მემამულის ამგვარსავე მიწის ნაკვეთებში არიან შეჭრილი[5]. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის ერთეულებს სოფელს—სხვადასხვა სახელებს ეძახიან. ხან ეძახიან locis (ადგილი), ხან villa (რაც შეიძლება სოფელსაც ნიშნავდეს და დიდ მამულსაც) ხან locellum. Casa una in loco nuncupante, ან in villa illa casa sua, ან terre proprietatis nostrae in loco nuncupante illo ან კიდევ Aliquo locello nomen illo in loco, qui vocatur illo მისი სახლი, აღნიშნული ამა და ამ სოფელში. ძნელი სათქმელია, რით აიხსნება ეს გახსხვავება, საბუთები არ იძლევიან ამისათვის საკმაოდ მტკიცე მასალას, მაგრამ ვარაუდით შეიძლება ვაკუთვნათ შემდეგი: რადგანაც სოფლის ჩვეულებრივი სახელი უნდა იყოს vicus, რაც სხვა ადგილებზე გვხვდება კიდეც, ალბათ ეს სახელი შერჩათ

[1] Удальцов, დასახ. შრ. Ж. М. Н. пр. 1912, ოქტ. გვ. 329.
[2] ანტერის ფორმა №№ 21—22. ამოღებულია უდალცოვიდან იხ. აღნიშნ. შრომა.
[3] Form. turonenses იქვე, გვ. 281.
[4] შად. MGH. Formniae Leges V, იგივე ნომ. გვ. 11.
[5] Удальцов, აღნ. შრომა, გვ. 281, Formulae გვ. 140. № 8.
[6] იქვე. გვ. 280.

ძველებურ სოფლებს, რომელნიც ძველი თემებიდან არიან წარმოშობილი, ხოლო ახალი სოფლები, წარმოშობილი ან ახოს ადგილას ან მსხვილი მიწათმფლობელობის გარშემო, გერმანელების გადმოსახლებისა და მოსახლეობის შემეიდროების პროცესში, ვიდრე ისინი ნამდვილი სოფლის დონეზე დადგებოდნენ, ღებულობს სხვა სახელებს: villa, locus, locellum. სხვაგვარი ახსნა ამ მოვლენისა, არა მგონია, არსებობდეს. თუ ეს სწორი მოსაზრებაა, მაშინ ერთხელ კიდევ მტკიცდება საახოვე სისტემის დიდი გავლენა მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდის პროცესში.

V

ასეა თუ ისე, უდავო რჩება, რომ როგორც ახოების გარშემო, ისე ძველი რომაული ლატიფუნდიების ტერიტორიაზე და ძველი თემის ალაგას, წარმოშობილი მსხვილი მიწათმფლობელობა, კარგახანს მოუწესრიგებელ და უორგანიზაციო მეურნეობას წერმოადგენდა. რამდენად ხელის შემშლელი იყო მემამულეებისათვის ეს გარემოება, ჩანს იქიდან, რომ მემამულეები ცდილობდნენ დაეძლიათ ეს გაფანტულობა მათი ნაკვეთებისა. ამისათვის ისინი ჰყიდნენ თავისი მამულის მოშორებულ ნაკვეთებს და ყიდულობდნენ მამულის ცენტრის გარშემო ან ახლოს მყოფ ნაკვეთებს. ეს პროცესი, რასაკვირველია, ძლიერ ხანგრძლივი იყო, და მამული ალე ვერ მოწესრიგდა, მაგრამ მოწესრიგების ცდებს კი ადრევე ჰქონდა ადგილი. ეს გარემოება განსაკუთრებით მკაფიოდ იხატება საეკლესიო მამულებში. ამ საშუალებით სამღვდელოება ამრავალებს თავის მამულს, თავს უყრის რა ერთი ცენტრის გარშემო და აადვილებს მამულის მართვა-გამგეობას. ამის შესახებაც საბუთები მოჰყავს უდალცოვს ზემოთ აღნიშნულ შრომაში[1]. ეპისკოპოს ბერტრამს თავისი მამულებიდან 8—10 მამული მემკვიდრეობით ჰქონია მიღებული, 17 მიუღია მეფისაგან და 14 შემოწირულობით. ხოლო 60 შეუსყიდნია და ასე დაუმრგვალებია სამფლობელო. აი შედარებით უფრო მკაფიოდ მეტყველ საბუთები:

1) Vineolas seu prata, que sunt Ruilione, et adiungunt ad vineas sanctae ecclesiae, vel infra terminum calimarcensem sunt, quae dato precio comparavi.

2) Campellos, quos cum ipso abbate commutavimus[2].

ვენახები და სათიბი, რომელიც რუილონისა ყოფილა, და ტერიტორიალურად კი ეკლესიის მამულებთან ყოფილა დაკავშირებული და სხვა ამგვარნი ფასით შეუსყიდია.

მეორე შემთხვევაში მიწების გაცვლაზეა საუბარი. Itemque et vineolos, quae sunt sabonarienses, quas meo opere undique subiunix, aut per domum aut per vinditionem[3].

„ვენახებს, რომლებიც ეკუთვნოდა სხვას (sabonarienses), თავი მოვუყარე ჩემი ჯაფით ან სახლის საშუალებით (ალბათ დამუშავება იგულისხმება) ან ყიდვით. ამას გარდა, უდალცოვს აქვს დასახელებული მაგალითები, როდესაც ორი

[1] Удальцов, op. cit. გვ. 321.
[2] იქვე, გვ. 321.
[3] იქვე, გვ. 323.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატი ერთმანეთს ნაკვეთებს უცვლიან და ასე ამრგვალებენ თავის in loco nuncupante Recconcorte terra arabili bunuaria novem, inter adfinis de uno latere Chrodomarus et heredes sui, de uno fronte Godinus et heredes sui, de alio vero fronte Magno aldus (pars Magnoaldi) ამ საბუთის მიხედვით ორი ბატი ლანდებერხი და მაგნოალდი—სცვლიან მიწებს. აქ ამოწერილ ტექსტში ნაჩვენებია ამ მიწის საზღვრები"[1]. ამასთან უდალცოვი აღნიშნავს, რომ ნამოთვლილ მომიჯნავეებს შორის იყვნენ წარჩინებულნიც. მაგალითად, უდალცოვის აზრით, ხროდომარი, გოდინი, ბერტინი, ანსბერტი—მდაბიონი არიან, სხვები კი წარჩინებულნი (Vire venerabiles abbates და vire illustri)[2].

ყველა ეს გვისახავს მამულების შედგენილობის და, ასე ვთქვათ, აღნაგობის ისეთ სურათს, რომ შეუძლებელია ლაპარაკი იმაზე, რომ იქ ყოფილიყო თუნდაც ფეოდალური თვალსაზრისით, მოწესრიგებული მეურნეობა. მართალია, ფეოდალური თვალსაზრისით მეურნეობის მოწესრიგება არც ისე ძნელ საქმედ გვეჩვენება ჩვენ დღეს. რაკი მსხვილი ერთიანი მეურნეობა არ იყო, ამიტომ მთელი ხელოვნება ფეოდალური მეურნეობის მოვლა-პატრონობისა მდგომარეობდა იმაში, რომ დროზე მიეღოთ დარიგებულ და ხელში ჩაგდებულ მამულებიდან ყოველი სახის ბეგარა და გადასახადი. ეს კი ასეა, ვაგრამ სწორედ ამის გაკეთება იყო ძნელი იმ პირობებში, რომლებიც ჩვენ ზევით ავწერეთ. გარეეკონომიური იძულების აპარატიც კი რომ უკვე მოწყობილი და ჩამოყალიბებული ყოფილიყო ამ დროს, ეს საქმე მაინც ძნელი იქნებოდა. სადმე ცენტრიდან შორს მდებარე ნაკვეთი მიწისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, იზოლირებული კი არ იყო, პირიქით გარს შემორტყმული იყო სხვა მფლობელებით. ეს მფლობელები სულაც რომ მდაბიონი ყოფილიყვნენ, მაინც მეზობლობის კვალობაზე მიწის მუშა იძულებული იქნებოდა თავის მომიჯნავეებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონოდა და მცირედი რამ სამსახური მაინც გაეწია მისთვის, რომ მისგან სამაგიერო მიეღო საჭიროების შემთხვევაში. თუ წვრილი მემამულე, სხვის მიწაზე იყო იგი დასახლებული, თუ საკუთარზე, იძულებული იყო თავისავით მდაბიო მეზობლისთვის გაეწია ანგარიში და მასთან კარგი დამოკიდებულების დაჭერის მიზნით სხვადასხვა ნებაყოფლობითი სამსახური გაეწია, რა უნდა ყოფილიყო იმ შემთხვევაში, როდესაც მეზობლად წარჩინებული კაცი ჰყავდა მას, ამასთან მსხვილი მემამულე? ამას ხომ ამჭარა და უხეში ძალადობის ნესაძლებლობაც ჰქონდა. საკუთარი ბატონი შორს იყო. უცხო ბატონი კი ახლოს. პირველი ვერც კი გაიგებდა, თუ როგორ აიკლებდა მის მამულზე მცხოვრებ კლეხკაცს მის-მეზობლად მცხოვრები მემამულე. ხოლო თუ ეს მემამულე ამასთან საეკლესიო პირი იყო, მაშინ ხომ უფრო ადვილი იყო უმწეო გლეხკაცის ექსპლოატაცია, რადგანაც როგორც აღნიშნული გვქონდა, ეკლესიას, უხეში ძალადობის გარდა, საშუალება ჰქონდა არაპირდაპირი ძალადობისა ღმერთის ან წმინდანის სახელით. ხატს დაასვენებდა სადმე, თუ წმინდანთა ნაწილებს

---

[1] Удальцов, იქვე, გვ. 322—323.

[2] იქვე, გვ. 323.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იპოვიდა და მოიტანდა, ამათი თაყვანისცემა გლეხკაცს იაფად არ უჯღირებია ან ავადმყოფისათვის „განსაკურნავად“ სახარების დაბერტყას, როგორც საქართველოში იტყოდნენ ხოლმე, ან სხვა ხარჯებს და სამაგიერო სამსახურის აუცილებლობას იწვევდა.

დაბოლოს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ზოგიერთ ნაკვეთ მიწაზე მოსახლე გლეხი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი დამოკიდებული იყო, უფრო მეტად სხვებს ემსახურებოდა, ვიდრე თავის ბატონს. მართლაც და ჯერ ერთი მსხვილ მემამულეს წინასწარ აწერილი არ ჰქონდა თავისი ყმა და არც მამული, აღნუსხული, თუ საიდან რა შემოსავალი უნდა მიეღო; ამნაირი აღწერები ყმათა და მამულისა შემდეგ პერიოდში, შემოვიდა: კარტულარიებრ, პოლიპტიკები, ბრევიები. ამას გარდა, ნაკვეთების გაფანტულობის გამო არ შეიძლებოდა განკარგულება წასულიყო დროზე და თან თვალყური ედევნებინათ, თუ ვინ საიდ და რას სთესავს, რასა რგავს და რა საქმიანობას აწარმოებს. მთლიან მამულში ეს ადგილი იყო, რადგანაც ერთი ან ორი კაცი დროგამოშვებით მთელ მამულს მოიკლიდა და მუდმივი მეთვალყურეობა, კონტროლი და გადასახადების აკრება შესაძლებელი რყო. დაქუცმაცებულ შორი-შორს გაფანტულ და უცხოელემენტით გარს შემორტყმულ ნაწილებისაგან შემდგარ მამულში კი ეს განუხორციელებელი იყო. ერთ ხანად ზოგგან, განსაკუთრებით ახლობლად და მის ტერიტორიაზე, ისეთი მდგომარეობაც კი შეიძლება დავუშვათ, რომ ცარიელ მიწაზე დაუკითხავად დასახლებულიყო ვინმე და დაემუშავებინა და ასე რამდენსამე ხანს მაინც ესარგებლა ამ მიწით, ვიდრე გაუგებდა მემამულე და მის წინააღმდეგ ზომებს მიიღებდა. ყველა ეს საკითხები მტკივნეული საკითხები იყო მაშინდელი მსხვილი მეურნეობისათვის. აწერილი გარემოებანი ეღობებოდა წინ ფეოდალური მეურნეობის განვითარებას. ამ დაბრკოლებების დაძლევას და ფეოდალურად მოწესრიგებულ მეურნეობის მოწყობას ცდილობდნენ სწორედ ის მემამულეები, რომელნიც ყიდვა-გაყიდვის და გაცვლის საშუალებით თავის მამულს ამრგვალებდნენ ტერიტორიალურად. ამაზე მიუთითებენ შემდეგი დროის უკვე მოწესრიგებული მამულის საბუთები, რომლებშიც სწორედ ამ დამაბრკოლებელ გარემოებებს ებრძვიან, რაც კი ზემოთ გვქონდა აღნიშნული: წინასწარი ანგარიშიანობა ყმისა და მამულის აღნუსხვით; მუდმივი კონტროლი მიწის ნაკვეთებზე წარმოებული მუშაობისა, გადასახადების გაღების და ვალდებულებების დროზე შესრულება, თავის მემამულისა და არა სხვის მომართ სამსახური და სხვა ამგვარი—აი რა აინტერესებს კაპიტულარებს და პოლიპტიკებს შემდეგში.

რომ მამულების გაფანტულობა იყო ამის ხელშემშლელი გარემოება, რომ იგი მაშინდელი დროის დიდმნიშვნელოვანი და დამახასიათებელი მოვლენაა, ჩანს იქიდან, რომ მეროვინგების დროის საბუთებში მემამულეებს უწოდებენ „სხვადასხვა ადგილს მფლობელებს“, per diversa possidentes [1]. ეტყობა, ეს სახელწოდება ტერმინად არის გადაქცეული, ისე ხშირად გვხვდება და ამასთან სხვადასხვა საჩის და ხასიათის წყაროებში ხან სულ ცალკე და ხან სიტყვა potentes-თან ერთად. აი ამის მაგალითებიც:

---

[1] Decret. Chlotario § 12. Lex salica ed. Geffcken. ჰესელის დანატებები, §§. 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Episcopi vero vel potentes qui in aliis possident regionibus. Si cuiuslibet de potentibus servus, qui per diversa possident loca [1].

„ეპისკოპოსნი ან ძლიერნი, რომელთაც სხვადასხვა ქვეყნებში აქვთ მამულები“; „მონა რომელიმე ძლიერისა, რომელიც სხვადასხვა ადგილებში ფლობს მიწას“.

Potentes გაურკვეველი ტერმინია, რადგანაც ძლიერება შეიძლება მფლობელობაზედაც იყოს დამყარებული და შეიძლება პოლიტიკურ ძალაუფლებაზედაც, თუ კაცი ამის შესაფერისი ორგანოს წევრია, ან მეფესთან დაახლოებული ან, შეიძლება, ორივე ერთად იყოს საფუძველი ძლიერებისა. „Per diversa possidentes“ კი პირდაპირ გვიჩვენებს მსხვილ მემამულეობას, როგორც ამათუიმ კაცის ძლიერების საფუძველს. ამასთან ეს გამოთქმა ისე გავრცელებულია წყაროებში, რომ მას ტერმინის ძალა და მნიშვნელობა ეძლევა. სხვანაირი მსხვილი მემამულე მაშინ ალბათ არ ყოფილა, რომ ყველა მათ ასეთ სახელს უწოდებენ [2].

VI

ამგვარად მსხვილი მამულის მოუწესრიგებლობა, როგორც ეტყობა, მეროვინგების დროის მეურნეობის შესასწავლად მთავარი პრობლემაა. მართალია, ხანა-თესვას რომ მეტი ყურადღება ექცევა, შედარებით მესაქონლეობასთან, რომ მეტი პატივი აქვს, ეს უდავოა, მაგრამ ვერავითარი გაუმჯობესება ვერ გატარდებოდა მეურნეობაში, თუ მსხვილი მამულის ნაკვეთები არ იქნებოდა გაერთიანებული ერთი ცენტრის-გარშემო, თუ არ იქნებოდა შესაძლებლობა გარეკონომიური იძულების განხორციელებისა. ამ საკითხის გასაღრმავებლად ჩვენთვის საჭირო იქნება კიდევ რამდენიმე ტერმინის გამორკვევა; ერთი არის ტერმინი „latrones“ ყაჩაღები, მეორე mali homines—კაცნი უკეთურნი, ხოლო მესამე boni homines—კაცნი კეთილნი. დავიწყოთ პირველიდან. სიტყვა latro-latrones მერლეგობების დროის წყაროებში უფრო ხშირად არის მოხსენებული, ვიდრე რომელიმე სხვა ტერმინი. თუმცა საერთოდ რომ ვთქვათ, ეს სიტყვა ტერმინს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ისეთი ხაზგასმითი კილოთი და ისე ხშირად არის იგი წყაროებში ნახსენები, რომ ეჭვს არა სტოვებს მისი ტერმინისებური მნიშვნელობა. ეს აშკარა გახდება, როდესაც გავეცნობით, თუ რა კონტექსტში იხმარება ეს სიტყვა.

Nullus latronem vel quemlibet culpabilem sicut cum episcopis convenit, de atrio ecclesiae extrahere praesumat [3]. ყაჩაღის, ან სხვა დამნაშავის ეკლესიის შენობიდან გამოყვანას ეხება ეს მუხლი—ალბათ დამნაშავეები თავის გადასარჩენად სასჯელისაგან ეკლესიას ეფარებდნენ თავს.

---

[1] MGH 814 წლის ედიქტი ხლოტარისა § 19

[2] Lex sal. იქვე. იხ. ავტორთან MGH, leges, V.

[3] ეს ტერმინი შეტანილი აქვს უძველეს სასწავლებლების სახელმძღვანელოში უდალცოვს. რამდენადაც მე ვიცი, სხვას ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. ყოველ შემთხვევაში იმ ლიტერატურაში, რომელიც ხელთ მქონდა, ამაზე არაფერია ნათქვამი, ალბათ უდალცოვი პირველია, რომ მიმხვდარა ამგვარი თქმის დიდ მნიშვნელობას, მაგრამ არა აქვს თავისი აზრი გამოთქმული ამის შესახებ. რასაკვირველია, სანე ეშმაკეულებში ამისთვის ადგილი არ არის და ცალკე გამოკვლევა ჯერ ეტყობა ალ დაუნახავია.

[4] MG, Legum t. I, 312. Decr. Chlotarii regis.

Si quis occulte rem sive compositionem a quolibet latrone accepit, ipse quoque latronis culpam subiacerit[1]. აქ საუბარია იმათზე, ვინც ყაჩაღთან ერთად ქაფშირს დაიპერს და მისგან რასმე მიიღებს; ესეც ყაჩაღის დანაშაულს გაიზიარებს. Nullus latronem aut quemlibet culpabilem occultare praesumat. Quod si fecerit, similis illi subiaceat culpae[2]. აქ იკრძალება ყაჩაღის დამალვა, ეი-ნაიდან, ვინც ამას იზამს, ის თვით ყაჩაღის დანაშაულს მოსიარეულ გამოდის.

ამ ტექსტიდან არა ჩანს, რომ ყაჩაღი რიღაც სპეციფიკური დანაშაულის ჩამდენი იყოს და სხვა დამნაშავეებისაგან განირჩეოდეს. ასეც უნდა იყოს; აქ სპეციფიკური არაფერია, ყაჩაღი ყოველთვის და ყოველგან ასეა. ამგვარადვე არიან ყაჩაღები მოხსენებული სხვა ადგილებში. მაგალითად, სალიკური კანონის ჰესელის მიერ შეკრებილ დანაკუკებში[3], „მაგრამ მაინც ყურადღებას იქცევს თავისი არაჩვეულებრივობით ამ სიტყვის ბმარების სიხშირე. ჩვეულებრივ შეუძლებელია კანონმდებლობაში ყაჩაღს ამდენი ადგილის დათმობა სჭირდებოდეს. ისე გამოდის, თითქოს ყაჩაღი უბრალო დამნაშავე კი არ არის, არამედ ერთგვარი კატეგორიის კაცი, თუ სოციალური კატეგორიისა არა, მასთან დაახლოვებული. მაინც ეს მსჯელობა გაგვიადვილდება, თუ დავიხმარეთ კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც იმავე მასალებში გვხვდება და იმავე მნიშვნელობით იხმარება, რა მნიშვნელობითაც latrones. ეს არის ტერმინი „mali homines", — კაცნი უკეთურნი, ანუ კაცნი ბოროტნი. Si homo malus fuerat, qui malefacit et si res non habet, unde sua mala componat[4]. თუ ცუდის ჩამდენი ბოროტი კაცი იყო და არ იცის, თავის ჩადენილი საქმე როგორ მოიხსაროს. მაშასადამე ბოროტების ჩამდენი შეიძლება არ იყოს ბოროტი კაცი, არამედ შემთხვევით ჩაიდინოს ბოროტება. ბოროტი კაცი კი განსაკუთრებული კატეგორიის ადამიანია. Rebellio vel insolentia malorum hominum severissime reprimatur[5]. („ჯანყი (ურჩობა) და ქედმაღლობა ბოროტ კაცებისა სასტიკად უნდა აიკრძალოდეს").

აქ უკვე თითქმის ზუსტად ირკვევა ბოროტი ანუ უკეთური კაცის ვინაობა. იგი ჯანყიანი და ურჩი ელემენტია, ახალ პირობებს არ ეგიგდება, ან ვერ შეჰგუებია. არის კიდევ ერთი ტექსტი, რომელშიც ბოროტი ხალხის დანაშაულზეა საუბარი და მათ ამ ბოროტ საქციელს „latrocinium" (ყაჩაღობა) ეწოდება. ეს ეს ტექსტიც. Et quia malorum insania cumulaverit, malis pro inmanitatem scelerum digna reddatur. Id ergo decretum est, ut apud quemcumque post iste interdictum latrocinius conprobatus, vitae incurrat periculum[6].

აქ ჯერ ბოროტი ხალხის ქცევას უწოდებენ უგნურებას (insania), შემდეგ უზომო დანაშაულობას და შემდეგ წინადადებაში ყაჩაღობას (latrocinium). ცხადია, რომ ყაჩაღობა და ბოროტი კაცობა ერთი კატეგორიის მოვლენად ითვლება და, მაშასადამე, ყაჩაღი და კაცი ბოროტი ერთი და იგივე ცნებაა. ჩვეულებრივი დამნაშავე არსებულ პირობებს ეგუება, რომ უფრო შეტი გამორჩენა ნახოს თავისი

[1] ibid. § 12.
[2] MG, Chlot. decr.
[3] ჰესელის დამატებები, გამოც. Geffcken-ისა, გვ. 40, 81, 82, §§ 10, 13, 14, 15, 16 და სხ.
[4] იქვე, გვ. 86, § 8.
[5] იქვე.
[6] Lex sal. ჰესელის დამატებებით, გვ. 78, § 1.

ბოროტმოქმედებისაგან. აქ კი, პირიქით, დამნაშავეს მთელი თავისი მოქმედება არსებული წესის წინააღმდეგ აქვს მიმართული. ამიტომ ეწოდება მის ქმედებას rebellio და insania. ეს მოსაზრებები კიდევ უფრო დამარწმუნებელი იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ წყაროებში გვხვდება ამ ცნების (mali homines) წინააღმდეგი ცნებაც—boni hom. კაცნი კეთილნი. მასთან ამ კაცთა კეთილთა მოღვაწეობა სწორედ იმის წინააღმდეგ არის მიმართული, რასაც აკეთებენ „კაცნი უკეთურნი", ანუ, როგორც გამოირკვა, იგივე ყაჩაღები—latrones.

Proinde ipsi ante bonis hominibus convenit, ut hanc epistolam facere debuerint ut nullum quam tempore contra ipso agere non presumat[1]. კაცნი კეთილნი იმისთვის არსებობენ, რომ თუ ერთმა მეორეს რამე ბოროტება მიაყენა (male fecisset), შესაფერისი წერილობითი პირობა დაადებინონ, რომ ერთმა მეორის წინააღმდეგ არაფერი ჩაიდინოს. ამით ეს ხალხი ხელს უწყობს ახალ ფეოდალურ-წესების განმტკიცებას და განვითარებას, წინააღმდეგ „კაცთა ბოროტთა", რომელნიც თავისი მოქმედებით ამას ხელს უშლიან. რომ ეს სწორედ ასეა, რომ ესენი—შეგნებით თუ სტიქიურად—ახალი ფეოდალური წესწყობილების განვითარებას ხელს უშლიან და ცდილობენ ისევ ძველი წესების ფარგალში იმოქმედონ, ეს ჩანს მაშინდელ დანაშაულთა ხასიათისა და მნიშვნელობის აღნიშვნიდან, რასაც ჩვენ წყაროებში ბლომად შევხვდებით. ჯერ ერთი მათი საერთო, ასე ვთქვათ, იურიდიული მდგომარეობა ხშირად ისეთი ხასიათისაა, რომ უკვე ამით იქმნება მათთვის აუცილებლობა მაშინდელი წესწყობილების საწინააღმდეგო მოქმედებისა. აი ამისი ერთი მაგალითიც. სალიკურ კანონებში მოხსენებულია Vuargus და იქვე შენიშვნებში, ერთ-ერთი ხელნაწერის თანახმად, ეს სიტყვა ახსნილია ასე: id est expellis[2] მაშასადამე Vuargus ნიშნავს გაძევებულს. მართალია, ამ შემთხვევაში გაძევების მიზეზად დასახელებულია ისეთი დანაშაული, რომელიც ყოველ ფორმაციაში გამოიწვევს ხალხის აღშფოთებას—დასაფლავებული მკვდრის გაძარცვა—მაგრამ მთელი კონტექსტიდან ჩანს, რომ სხვაგვარ დანაშაულისათვისაც მოხდებოდა ასეთი გაძევება. კოვალევსკი ამგვარ გაძევებას სერენკრუდასაც კი ადარებს[3]. მართლაც, მსგავსება არის. თუნდაც ავიღოთ ის, რომ გაძევებულს ვერც ცოლი, ვერც შშობლები ვერც პურს მიაწვდიდნენ და ვერც ბინას მისცემდნენ. ამგვარი ხალხი კავკასიის ერების აბრაგს კი არა, როგორც ფიქრობს კოვალევსკი[4], მაგრამ თემიდან გაძევებულს კი ძლიერ მოგვაგონებს. რით უნდა ეცხოვრა ამ ხალხს? ამათი რიცხვი ხომ თანდათან მატულობდა! ალბათ ამ კატეგორიის ხალხიდან გამოდიოდნენ ის latrones და mali homines, რომელნიც ასე ხშირად არიან დასახელებული წყაროებში. წინათ ამათთვის არც ისე ძნელი იყო საცხოვრებელი სახსარის შოვნა ისე, რომ სიძულვილი და ლეგენი არ გამოეწვიათ. შემდეგში, როდესაც ბამულები მეფეებმა და წარჩინებულებმა თავისად გამოაცხადეს, მიუხედავად

[1] M. G. Formulae. Legum s. t, V, გვ. 6 § 5.
[2] Lex salica, იქვე. გვ. 54, ტიტ. L. V, 2.
[3] М. Ковалевский, op. cit, т. I. comp. 54.
[4] ibidem.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისა, იქ მიწები მუშავდებოდა თუ არა, და ზედ კოლონგებს ან თავისუფლად ასახლებდნენ ღალის აღების მიზნით, თავისუფლად დამუშავება მიწისა, ახლის აღება, გაძნელდა. შემდეგ ხომ სრულიად შეუძლებელი გახდა. ამიტომ ამ გაძევებულების მდგომარეობა გაძნელდა. მეროვინგების ეპოქის პერიოდში გაძევებას ისეთი დიდი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონოდა და, მგონია, წყაროებში ეს აღარც მოიხსენიება. მიზეზი ამისა ისაა, რომ ამ დროს გვარი უკვე ირღვეოდა ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზების გამო. ამიტომ ფორმალური გაძევების გარეშეც გარეწარი და მარტოდ უმოსარჩლოდ დარჩენილი ხალხი ბევრი იყო, უფრო მეტი, ვიდრე წინთ გაძევებულები. ესენი იყვნენ: ალოდის დაქუცმაცების შემდეგ უმამულოდ დარჩენილები, თემში მიწის სიმეტროვის გამო გადასახლებულები, შემოსევების დროს აკლებული გვარის ან თემის გადარჩენილი წევრები და სხვანი. ეს ესენი იყვნენ მამულის და სამუშაოს მაძიებელნი. ახალი ფეოდალური წესით ესენი კანონიერ სამუშაოს იშოვიდნენ იმ შემთხვევაში, თუ დაეყმევებოდნენ ძლიერ ხალხს, რომელთაც, როგორც ზემოთ იყო ნაამბობი, სხვადასხვა საშუალებით დიდი მამულები ჰქონდათ ჩაგდებული ხელში, გაფანტული სხვადასხვა ალტებში. ზოგი დამშეული მუშაკაცი იმ ხანებში ჯერ კიდევ მონადაც კი ჰყიდდა თავის თავს, როგორც ეს სრულიად აშკარადა ჩანს წყაროებიდან. რასაკვირველია, სანამ თავის და თავის შვილების ძონად გაყიდვამდის მივიდოდა, კაცი წინასწარ სხვა საშუალებას მიჰმართავდა. ამ საშუალებას კი მას უკარნახებდა ძველი ადათები, როდესაც მემამულეებს ჯერ-ჯერობით მიწები დაჩემებული არ ჰქონდათ და თავისუფალი მიწა თემის განკარგულებაში იყო. რა დასაჯერებელია ის, ვითომც მშრომელი თავის თავს ცოლშვილიანად ჰყიდის სიხარულით და სიამოვნებით, კიდევაც მადლობას უცხადებს მყიდველს წყალობისათვის. საბუთები მხოლოდ ასეთი ფორმითაა შედგენილი[1]. არც პრეკარიის და კომენდაციის წესი იყო მაინც და მაინც ბევრად იმაზე უკეთესი, ისიც თუ მთლად არა, ნახევრად მაინც არა მეცდა კაცს თავისუფლებას: შემდეგში ხომ ესენიც სრულ ყმებად გადაიქცნენ, რომელთა მდგომარეობაც მონების მდგომარეობისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. ყველგვარი ცდა დაუმონავებლად თავის რჩენისა, თავისუფლების შენარჩუნებისა იწვევდა ახალ რეჟიმთან შეტაკებას, ვინაიდან ძსხვილი მემამულეების ინტერესებს ეხებოდა, არღვევდა მას. რა საშუალებით შეეძლო გარეწარ კაცს თავი დაერჩინა? უნდა სადმე მიწა მოეხნა, მაგრამ მიწას უკვე პატრონი ჰყავდა. ხშირად იგი მოხნულიც იყო, ხშირად ღობეც ჰქონდა შემორტყმული. უკიდურესობამდის მისული კაცი, ბოლოს და ბოლოს სხვის ყანასაც წაიღებდა, თუ მისი აზრით, იმ ალაგას, საცა ახლა ყანაა, თავისუფალი საახოვე მიწა უნდა ყოფილიყო. ღობესაც დაშლიდა და მამულში შევიდოდა. აზგვარ მაგალითებს გვიჩვენებენ წყაროებიც. ამოვწეროთ ზოგიერთი. Si quis messem alienam sine consilio glenaverit, DC dinarios, qui faciunt solidos XV, culpabilis judicetur[2]. წინათ სალიკური კანონის ხანაში ნათესი ასე არ ყოფილა დაცული. ეს ახალი,

---

[1] MGH, seetio legum, t. V, formulae, გვ. 7. § 9, გვ. 10, § 19 და სხვ.

[2] Lex salica. ჰენსიტლის დამატება, გვ. 70 LXXXVIII, Geifcken.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეროვინგების დროის მოვლენაა და უდავოდ დაკავშირებულია იმ ცვლილებებთან, რომლებიც ჩვენ გვქონდა აღნიშნული.

ბურგუნდთა კანონებში აღნიშნულია მამულისადმი ზიანის მიყენება ღობის გაფუჭებით მეურნეობის დაზიანების განზრახვის გარეშე [1]. ეს უკვე მიგვითითებს იმაზე, რომ ადგილი ჰქონია შეგნებულ პროტესტს თავისუფალი მამულების შემოღობვის, ე. ი. საკუთრებად მითვისების წინააღმდეგ.

იგივე ბურგუნდთა კანონი აღიარებს, რომ არავის არა აქვს უფლება რაიმე მეურნეობა მოაწყოს სხვის ნაკვეთ მიწაზე [2]. ამნაირი დანაშაულიც ალბათ ყოფილა გავრცელებული, რაც იმით აიხსნება, რომ, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ახლად მითვისებულ და საკუთრებად გამოცხადებულ მიწას ყველა არა სთვლიდა საკუთრებად.

და ეს ყოფილა არა მარტო მდაბიო ხალხისათვის. ამის გარშემო, როგორც ჩანს, თვით წარჩინებულებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორისაც ყოფილა დავა. აი 614 წ. კანონის ერთი მუხლი, რომელიც ამას ჭლალადებს.

Porcarii fiscales in silvas ecclesiarum aut privatorum absque voluntate possessoris in silvis eorum ingredi non praesumant [3]. საფისკო ღორების შეგზავნა საძოვრად საეკლესიო და კერძო მესაკუთრეთა ტყეში აკრძალულია. თუ ამათ შორის ირღვეოდა ახალი წესი და მსხვილი მემამულეების უფლება, რაც დაეს იწვევდა, რა გასაკვირველია, რომ უკიდურესად გაჭირვებულ კაცს არ ეცნო ამათი უფლება ახლად დაპერილ მიწაზე? ძაგრამ, რამდენადაც ამათ წინააღმდეგ ბრძოლას სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მსხვილი მესაკუთრეების ინტერესებს იცავდა ლარიბ-ლატაკ მშრომელთა წინააღმდეგ, იმდენად მათ დანაშაულს კვალიფიკაციაც სხვანაირი ჰქონდა, ვიდრე თვით მემამულეებისას. ისინი კანონმა ყაჩაღებად და ბოროტ ანუ უკეთურ კაცებად მონათლა, რომ უფრო მეტად დაერაზმა მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი. და მიაღწიეს კიდეც მიზანს. მე-VII საუკუნიდან ძლიერ გავრცელდა პრეკარიები და კომენდაციები, რამაც მშრომელთა თავისუფალი მასა ბატონყმურ მდგომარეობაში ჩააგდო. მანამდის კი ბრძოლა წარმოებდა. ამჟამად ჩვენ ამ ბრძოლის პერიოდზე გვაქვს საუბარი, ე. ი. მეროვინგების მეფობის პერიოდზე. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ეს პერიოდი იყო მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარების პერიოდი, როდესაც იგი ჯერ კიდევ მექანიკურად გაერთიანებული ერთი მემამულის მიერ სხვადასხვა საშუალებით ხელში ჩაგდებულ, ნაკვეთებისაგან შედგებოდა. ამიტომ ეს ნაკვეთები გაფანტული იყო შორიშორს, მათი უმრავლესობა ყოფილ ახოებიდან და გატეხილი ყამირიდან შედგებოდა და ნაწილი წიხანდელი ჰუფებიდან. ამიტომ ეს გაფანტული ნაკვეთები ერთიმეორესთან დაკავშირებული არ იყვნენ. თითოეული მათგანი თავისებურ გარემოცვა-

[1] ბურგუნდთა კანონები ტიტ. XXV (კოვალევსკიდან).

[2] იქვე. ტიტ. XXXI

[3] MGH Edict. Chlotarii 614 § 21. ეს ედიქტი ცნობილია ეს მრავალმხრივ არის საყურადღებო, მაგრამ ამ მხარესაც ესაჭიროება ყურადღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში იმყოფებოდა და მსხვილ მემამულეს ისე არ ემსახურებოდა, როგორც მას სურდა, ხან სულაც არ ემსახურებოდა. მსხვილ მემამულეს ყველა თავისი ნაკვეთების მართვა-გამგეობისათვის არ ჰქონდა მოწყობილი აპარატი. არც მართვაგამგეობის წესი და ტექნიკა ჰქონდა შემუშავებული. ამიტომ მემამულეები იმას ცდილობდნენ, რომ ყიდვა-გაყიდვის და გაცვლა გამოცვლის ოპერაციების საშუალებით თავის მიწის ნაკვეთებისათვის თავი ერთად მოეყარათ. მეორე მხრივ წარმატება ფეოდალური ორგანიზაციის შექმნის საქმეში შეფერხებული იყო აგრეთვე მშრომელი მასების წინააღმდეგობით, რომელიც გამოიხატებოდა მამულების გამსხვილების საწინააღმდეგო აქტებში. ამათ წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა მიზნად თითქმის მთელი მაშინდელი კანონმდებლობა. ასე ორგანიზაციის ბრძოლის საშუალებით ბოლოს მემამულეები აღწევენ მამულების გაერთიანებას, ფეოდალური წესების განვითარებას. ყველა ამას გულისხმობს capitulare de villis, როდესაც იგი ფეოდალური მამულის მართველობის წესდების მიღების წინ ამბობს: ჩვენი მამული ჩვენ უნდა გვემსახურებოდეს და არა სხვასაო. თუ წინასწარ აქ აწერილი მდგომარეობა არ გავითვალისწინეთ, ისე ეს სიტყვები უაზროდ გვეჩვენება.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საშუალო საუკუნეთა ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1941. 15. V)

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXIV, 1942
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXIV, 1942
TRAVAUX DE L'UNIVERSITÉ STALINE À TBILISSI, XXIV, 1942

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. კიკნაძე

ხ ბგერის განვითარების შემთხვევები ქართულში[1]

ქართველურ ენებში შენიშნული იყო უკანონისმიერ ლ, გ ბგერათა განვითარების შემთხვევები ბაგისმიერი ვ'ს წინ. ნ. მარი ღ'ს დართულად თვლიდა ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: სვან. ღვინალ, მეგრ. ღვინი, ჭან. ღუინი ||ღინი, ქართ. ღვინო, სვან. ღვაე (შდრ. ქართ. ვაუ-ი), ღვაზ, ღვაკ, ღვაკარ... იგი გ'ს გამოყოფდა გვრრაბ'სა და გუასპურაგან'ში; ა. ჩიქობავას გ დანართად მიაჩნია ჭან. გერუნ'სა (← გვირ-უნ) და მეგრ. გირინ'ში (← გურუნ...).

ვ. თოფურია ღ'სა და ვ'ს ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულად მიიჩნევს აგრეთვე ლოლნოშო, სვან. ღვაშ, ღოლდნქ, ღვარკლაშ, ღვრიალა, ღვარ-; გვალე, სვან. გვეში, გულმაშარ, გვიდამი, გინდვერ სიტყვებში. იგი ჭ'საც გამოყოფს, ისეთ მაგალითებში, როგორიცაა: ქვეშნა, ნიქვთი, ექვსი და ვქვთიმე[2].

ქართულში ლ, გ, ჭ'ს გარდა შეინიშნება ა'ს განვითარების შემთხვევებიც; ამასთან ეს ხ მარტო ბაგისმიერი ვ'ს წინ კი არ ჩნდება, არამედ ნარნარი ა'ს წინაც.

ხ განვითარებულია ვ'ს წინ

ხტომა, ხლდომა მაგალითში: ხტომა ←*ხდომა←ხლდომა←ხელდომა←ვლდომა (←*ვალ-ედ-ომ-ა). ხლდომა'ს პირიელი ფორმებია ხლდებისა, აღხლდა და სხ. (...ვიდოდა და ხლდებოდა და ადიდებდა ღ'ა...: ცხ. საბა ასურისაჲ, გამოც. ს. ჯანაშიას მიერ: „ბრილი", 18₁₀; ..აღ-მცა-ვ ხლდი და მარმარინოჲთ ქმნულთა მაგათ საყდართა-გან გარდა-მცა-გაგდე... კიმენი, 153₃). თანამედროვე ქართულში ხლდომა შეიცვალა ხტომა'დ ლ'ს ამოღების შემდეგ[3].

---

[1] წაკითხულია მოხსენებად აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე 2.VII.1942 წ.

[2] ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. V. ვ სონანტის გადასვლა ლვ, გვ, ქვ'დ (ენიმკი'ს მოამბე, X, გვ. 232-235).

[3] მისივე. ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. I. ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა („მბმომბილველი", I, გვ. 210).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ ქართულში ხლდომა'ს პარალელურად ხტომის მნიშვნელობით გვხვდება ვლდომა და მისი სათანადო პირიელი ფორმები:

... აჰა დისწულაჲ ჩემი ვ̆ლდომ̆ით მოიწია და მოვიდა. რაჲმე არს ვ̆ლდომ̆ისა მის სიტყუაჲ ქებაჲ ქებათაჲ, (გამოც. ნ. მარის მიერ: TP, III)

... გარდამოვ̆ლდა ზეცით საშოსა მას ქალწულისასა, აღ̆ვ̆ლდა მუ̆ცლისაგან წ̆ლისა ზ̆ა ძ̆ელსა მას, ̆ვ̆ლდა ძ̆ელისა მისგან ̆ჯ̆ოჯ̆ოხეთა, აღ̆მოვ̆ლდა მიერ კაცობრიეთა ამით კორციეთა ̆ქ̆ყნად... 21_{11-23}).

... მოხუცებულნი შირბიოდეს კუერთხებითა თჳსითა, ... მ̆ელ̆ლ̆ობ̆ელ̆ნი ̆ვ̆ლ̆დ̆ომ̆ით, ̆ვ̆ითარცა ირემნი... ჰაბო (ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოცემა).[1] 75_{20}.

ჩანს, ხ̆ლ̆დ̆ომ̆ა (← ხ̆ვ̆ლ̆დ̆ომ̆ა) და ̆ვ̆ლ̆დ̆ომ̆ა ერთი და იგივეა. მაშასადამე, ხ̆ლ̆დ̆ომ̆ა'ში ხ̆ განვითარებულია. ხ̆'ს დართვის შემდეგ ძირისეული ვ დაკარგულა ორ თანხმოვანს (ხ̆'სა და ლ̆'ს) შორის და შემოგვენახა ხ̆ლ̆დ̆ომ̆ა (შდრ. შრომა ← შ̆ვ̆რ̆ომ̆ა ← შ̆უ-ერ-ომ-ა, ძ̆რ̆ომ̆ა ← ძ̆ვ̆რ̆ომ̆ა, ძ̆ვ. ქართ. წ̆დ̆ომ̆ა ← წ̆ვ̆დ̆ომ̆ა, კ̆ვ̆დ̆ომ̆ა → კ̆დ̆ომ̆ა, წ̆ყ̆ვ̆დ̆ომ̆ა → წ̆ყ̆დ̆ომ̆ა...).

ვ̆ლ̆დ̆ომ̆'ისა და ხ̆'ს განვითარების შედეგად მისგან მიღებული ხ̆ლ̆დ̆ომ̆'ის (= ხ̆ტ̆ომ̆'ის) ძირი უნდა იყოს ვ̆ალ-, რომელიც გვაქვს ს-ვ̆ალ-ა'სა და მ̆ო-ვ̆ალ-ს (→ მ̆ო-ვ̆ა-ს → მ̆ო-ვ̆ა) ზ̆ნ̆ნ̆ა'ში. ამ ვარაუდს უთუოდ მ̆ხ̆არს უ̆ჭ̆ერს ს ა ბ ა ს ჩ̆ვ̆ენ̆ებ̆ა: „ს ლ ვ ა — სიარული. სიარულიცა მრავალსახე არიან, რამეთუ სლ̆ვ̆ანი სხ̆ვ̆ადასხ̆ვ̆აობ̆ით განიყ̆ოფ̆ებ̆ან: ნ̆ებ̆ი̆ერ̆ად სლ̆ვ̆ასა უ̆ამ̆ბ̆ან ვ ი დ ო ო ბ ა ს ა და ს ლ ვ ა ს ა... მ̆ალ̆ლ̆ა კ̆ის̆კ̆ასად რ̆ეცა შ̆ეფ̆ერ̆ენ̆ასა — ხ̆ლ̆დ̆ომ̆ა ს...“.

ამგვარად, ხ̆ლ̆დ̆ომ̆'ისაგან წარმომდგარ ხ̆ტ̆ომ̆ა'ში ძირისეულ ბგერათაგან არც ერთი აღარ ჩანს: ხ̆ დანართია, ტ̆ კი -ედ სუფიქსის დ̆'ს სახ̆ეცვლ̆ილ̆ებ̆აა, ხ̆ოლ̆ო -ომ̆- სხ̆ვ̆ა-დ̆ან̆ი̆შ̆ნ̆ულ̆ებ̆ის აფიქსებ̆ია. ხ̆ტ̆ომ̆'ის ძ̆ირ̆ია ვ̆ალ-.

აქ̆ე შ̆ევ̆ნ̆ი̆შ̆ნ̆ავ̆თ, რ̆ომ̆ ̆ვ̆ლ̆დ̆ომ̆'ისა და ̆ვ̆რ̆დ̆ომ̆'ის ̆ვ̆ალ-, ̆ვ̆არ- ძ̆ირ̆ებ̆ი ერთი და იგივ̆ე ̆უ̆ნ̆დ̆ა ი̆ყ̆ოს̆ წ̆არ̆ომ̆ო̆მ̆ბ̆ირ̆ით. სემ̆ასიოლ̆ოგ̆ი̆ურ̆ადაც „ ̆ვ̆ლ̆დ̆ომ̆ა“ და „ ̆ვ̆რ̆დ̆ომ̆ა“ („ ̆ხ̆ტ̆ომ̆ა“ და „ ̆ვ̆ა̆რ̆დ̆ნ̆ა“) არც ი̆ს̆ე̆ დ̆ა̆შ̆ორ̆ებ̆ულ̆ი̆ ̆ა̆ر̆ი̆ან̆ ̆ერ̆თ̆ მ̆ან̆ეთ̆ი̆ს̆ა̆გ̆ან̆.

ხ̆ განვითარებ̆ულ̆ია ̆ რ̆'ს წ̆ინ̆

ხ̆ر̆ჩ̆ობ̆ა — ა ხ̆ر̆ჩ̆ობ̆ს̆ მ̆ა̆გ̆ალ̆ითმ̆ი̆: ა ხ̆ر̆ჩ̆ობ̆ს̆ ← ა r̆ჩ̆ობ̆ს̆ ← ← *ა ჩ̆ობ̆ს̆ ← ა შ̆ თ̆ ობ̆ს̆ ← *ა შ̆ უ̆ დ̆ ობ̆ ს̆... ამ ზ̆ნ̆ი̆ს̆ ძ̆ირ̆ია შ̆თ̆ვ- ← შ̆დ̆ვ- ← ← შ̆დ̆უ ← შ̆უ̆ დ̆-[1].

შ̆თ̆ვ- ძ̆ირ̆ს̆ შ̆ეი̆ცავ̆ენ̆ ზ̆ნ̆ებ̆ი̆ — დ̆ა̆ა̆შ̆თ̆ვ̆ებ̆ს̆ (...ღ̆ამ̆ე ბ̆ა̆ვ̆ირ̆ი̆ წ̆ა̆უ̆ვ̆ირ̆ებ̆ს̆, დ̆ა̆ა̆შ̆თ̆ვ̆ებ̆ს̆ და შ̆თ̆ა̆ა̆ვ̆დ̆ებ̆ს̆ ̆ორ̆მ̆ო̆ბ̆ი̆ ̆ ̆

(ნაწერების სრული კრებული ბ. ინგოროყვას და ალ. ობაშელის რედაქციით, ტ. III)... მურას რას არჩობდენ ი ოჯახდაქცეულები.... ე. ნინოშვილი, „ანა-მონა“, გვ. 201 (თხზულებათა სრული კრებული სიმონ ხუნდაძის რედაქციით)... დავითის დიდი მურაც დეერჩოთ... იქვე, გვ. 201 ...თავი ისიტომ დაირ-ჩოო... იქვე, გვ. 222.

რ ბგერა ჩ'ს წინ შთ'ს გაიფრიკატებისთანავე გაჩენილა (შდრ. ძვ. ქართ. და-შთ-ა→ახ. ქართ. და-რ-ჩ-ა); ხ კი, როგორც ეტყობა, შედარებით გვიან ჩნდება რ'ს წინ და მოგვეპოვება ა-ხ-რ-ჩ-ობ-ს...

ხოვს კილოში ამ ხმნას, სადაც ხ არის დამკვიდრებული, რ არ უჩანს ხ'სა და ჩ'ს შორის და იხმარება ა-ხ-ჩ-ობ-ს, და-ა-ხ-ჩ-ო (...წყალმა წაგლა, ტალაბზში მოლურტა, ლურლურში ჩააგდა, დაახჩო... მ. ჯანაშვილი, საინგილო: „ძველი საქართველო“, ტ. II, გვ. 190).

აშკარაა, რომ ა-ხ-რ-ჩ-ობ-ს ხმნაში ხ განვითარებულია რ'ს წინ, როშელიც აგრეთვე გაჩენილია ჩ'ს წინ.

უკანანენსმიერი ხ'ს განვითარების ეს ორი მაგალითი მოგვაგონებს უკანა-ენისმიერივე ლ, გ, ქ ბგერების განვითარების შემთხვევებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში—1942, VII. 25).

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXIV, 1942
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXIV, 1942
TRAVAUX DE L'UNIVERSITÉ STALINE à TBILISSI, XXIV, 1942

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინ. შარაძენიძე

თა-სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში[1]

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში სახელებთან მრავლობითი რიცხვის ორგვარი წარმოება გვაქვს: -ებ-იანი და ნარ-თანიანი. ეს ორი მრავლობითი მარტო აფიქსებით კი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ წარმოების წესითაც: -ებ- სახელისაგან ახალს—მრავლობითის ფუძეს ქმნის და დაირთავს ბრუნვათა იმავე ნიშნებს, რაც მხოლობითში იყო. ასეთი წარმოება დამახასიათებელია აგლუტინაციური ენისათვის და, ამდენად, ქართულისათვისაც ბუნებრივ მოულენას წარმოადგენს.

ნარ-თანიან მრავლობითთან სხვაგვარი მდგომარეობაა: აქ მრავლობითში ორი სუფიქსი გვევლინება. ამითგან: -ნ -ებ-ის წარმოების წესს მისდევს, ე. ი. მრავლობითის ფუძეს ქმნის და ბრუნვათა ნიშნებს (სახელობითისას და წოდებითისას) დაირთავს. -თა კი რამდენიმე ბრუნვასთან გვხვდება და მას ეკალება როგორც მრავლობითი რიცხვის, ისე ამ ბრუნვათა აღნიშვნაც.

სახელდობრ რომელ ბრუნვებს დაერთვის -თა სუფიქსი? საყოველთაოდ მიღებულია შეხედულება, რომ -თანიანი მრავლობითი მოთხრობით, მიცემით, ნათესაობით ბრუნვებთან გვხვდება; მოქმედებითი და ვითარებითი მას არა აქვს და ამ ბრუნვებში ინაცვლებს -ებიან მრავლობითს.

„ნარ-თანიანი (ძველი) მრავლობითისაგან მხოლოდ ხუთი ბრუნვა იხმარება: სახელობითი, წოდებითი, მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი. რაც შეეხება ორს დანარჩენს (მოქმედებითსა და ვნებითს), იგინი მხოლოდ ებ'იან (ახალ) მრავლობითს ვააჩნია" (ა. შანიძე, მორფოლოგია, 1930. გვ. 23).

ბევრი ქართველი გრამატიკოსი მოქმედებითი ბრუნვის დამოლოებად აცხადებს თა-ზიერ-ს (ს. დოდაშვილი. 1880; ბ. იოსელიანი. 1863; მ. ჯანაშვილი. 1906) მაგ.: სიტყვათა-მიერ, ხელთა-მიერ.

აქ მოქმედებითი ბრუნვისა და მიერ-თანდებულიანი სიტყვის მნიშვნელობათა მსგავსება უნდა იყოს ამოსავალი. ს. დოდაშვილი წერს:

„მოქმედებითი ბრუნვა არს შეცვლილი დამოლოება სახელისა, რომლითაცა განცხადდების ანუ შესრულდების ერთისა საგნისაგან მოქმედება მეორისა

[1] წაკითხულია თბ. უნივერსიტეტის მეცნ. მუშაკთა სამეცნიერო ხელისაგან 1940 წ. აპრილს.

ზედა და იცნობის კითხვითა მებრ: ვისითა ანუ ვის მიერ? რაჲთა ანუ რაჲსა მიერ? ბაგალ. მკედრითა ანუ მკედრისა მიერ, სიბრძნითა ანუ სიბრძნისა მიერ" (ს. დოდაევი, შემოკლებული ქართული ლრამმატიკა. 1830. გვ. 3).

მიერ რომ თანდებულია და რომ ის ნათესაობით ბრუნვას მართავს, ეს აღნიშნულ ავტორებს კარგად ესმით. ამ მხრივ საინტერესოა პ. იოსელიანის შენიშვნა:

„მოქმედებითი ბრუნვსა დაბოლოებანი არიან: ითა, ჲთა, ჳთა; ზოლებული ანტანისა მიერ კათალიკოზისა დაბოლოება მიერ (ლრ. § 110, 202) მაგ. მზისა მიერ; არს უკანონო: იგი შემდგარ-არს ნათესაობითისაგან ბრუნვსა და თანდებულისა მიერ" (პ. იოსელიანი, პირუსლ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ლრამმატიკისა. 1863. გვ. 16).

მიუხედავად ამ განცხადებისა, თვით პ. იოსელიანი მრავლობითი რიცხვის მოქმედებითი ბრუნვის განხილვისას წერს; „მოქმედებითსა აქუს დაბოლოებითი მარცუალი თა-მიერ; მაგ. კაცთა-მიერ"-ო.

გარდა აკად. ნ. მარისა, არც ერთ გრამატიკოსს აღნიშნული არა აქვს, რომ -თა მოქმედებით და ეითარებით ბრუნვებთან გვხვდება [1]. აკად. ნ. მარის შეხედულება ბოლოს იქნება განხილული.

-თა სუფიქსს, როგორც აღნიშნული იყო, რამდენიმე ფუნქცია აქვს: ის გადმოგვცემს მრავლობით რიცხვსა და სამ ბრუნვას. ერთ აფიქსს რომ რამდენიმე ფუნქცია აქვს, ეს ფლექსიური ენისათვის არის დამახასიათებელი და ქართულისათვის მეორეულ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს.

„აგლუტინაციურს ენებში ფლექსიურ მოვლენათა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფლექსიურობას წინ უძღოდა აგლუტინაცია" (ა. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება. 1935. გვ. 87).

პირველად -თა-ს ერთი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ჩვენი მკვლევარების აზრით, ის რიცხვს აღნიშნავდა მხოლოდ:

„Ни показатель множественности თ, ни полный суффикс თა сам по себе не связан с косвенными падежами. Он лишь использован в них" (Н. Марр. Грамматика древне-литературного грузинского языка. 1925. стр. 37).

„საფიქრებელია, რომ ისტორიულად ეს [ოგულისხმება თ(ა)] იყო მრავლობითობის ნიშანი" (არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: უნივერსიტეტის შრომები, X. გვ. 169).

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს იმავე სუფიქსის გამოყენება ზმნებთან მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად. მაგ. ვაკეთებთ, ხატავთ [2].

---

[1] ა. დირის შეხედულება გაუგებარია; ის წინააღმდეგობას შეიცავს. -თა ნათესაობით, მიცემით, მოთხრობით, მოქმედებით ბრუნვებთან გვეჩვდებაო ამბობს, მაგრამ მაგალითებში მოქმდებითი ბრუნვა არა აქვს.

„Pl. auf -n aber hat im Gen, Dat, Erg, Instr t' emphat. t'a: N. mamani, G., D., Erg. mamat'(a), V. mamano" (A. Dirr, Einführung in das Studium der Kaukasischen Sprachen. 1928). ან მსჯელობის პირველ ნაწილშია შეცდომა, ან—მეორეში.

[2] საბელებთან -თა იშლება: თ-ა, ა—ემფატიკური დაბოლოებაა, ისეთივე, როგორც მხოლოდ-ობითი რიცხვის მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით ბრუნვებთან გვაქვს.

თუ -თა მხოლოდ რიცხვს აღნიშნავდა, მოსაკლოდნელია, რომ ის მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებთანაც იქნებოდა. უფრო სწორად რომ ვთქვა, -თა- დართული სახელი არცერთ ბრუნვას არ წარმოადგენდა და იმ ბრუნვის როლში მოგვევლინებოდა, რომელსაც კონტექსტი მოითხოვდა. ბრუნვებზე აქ იმდენად შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც -თა სუფიქსიანი ფორმები უპირისპირდება მხოლოობით რიცხვში სხვადასხვა ბრუნვაში დასმულ სახელებს.[1].

მაგ, ვიმეორებთ, -თა-ს ფუნქციიდან გამომდინარე, წინასწარ შეიძლებოდა გვეეარაუდებინა, რომ ის ერთ დროს მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებსაც დაერთვოდა და შემდეგ დაიკარგა ამ ბრუნვებთან.

ამ შეხედულებას თუ გავიზიარებთ, მეორე საკითხი დადგება: ხომ არ არის შემორჩენილი ნაშთის სახით -თა მოქმედებით-ვითარებით ბრუნვებთან? ამ საკითხის გარკვევა წარმოადგენს წინამდებარე მოხსენების მიზანს.

მოქმედებითი ბრუნვა.

მოქმედებითი ბრუნვის განხილვის დროს საჭიროა ანგარიში გაეწიოს ერთ გარემოებას: როდესაც ნაგენიტივარი ზოგადი სახელი იბრუნვის, ის ემფატიკური დაბოლოების -ა-ს ინარჩუნებს.

მაგ. სიტყუაჲ ნუგეშინისცემისაჲ, სიტყუამან ნუგეშინისცემისამან, სიტყუასა ნუგეშინისცემისასა' და ა. შ.

მხოლოობითი რიცხვის მოქმედებით ბრუნვაში ვიღებთ დაბოლოებას -ითა>ადთა: სიტყუთა ნუგეშინისცემისადთა.

შემდეგ, შეიძლება ა' დაიკარგოს კიდეც: სიტყუთა ნუგეშინისცემისათა.

მსგავს პროცესს აქვს ზოგჯერ ადგილი თ ბოლოხმოვნიან სახელებთანაც: -ოითა>ოადთა>ოთა.

ა-ს დაკარგვის შემდეგ, მხოლოობითი რიცხვის მოქმედებითი ბრუნვა გარეგნულად ემსგავსება თა-სუფიქსიან მრავლობით რიცხვს. საჭიროა ასეთი მაგალითები არ იქნეს არეული ნამდვილ მრავლობით რიცხვთან.

«სიტყუითა ღუთისათა(!) ამა საწუთოჲთ, ჩ მე, საუკუნოდ მიიზიდა» („ალაბნი": ათონის ხელნაწერი [2], 266_{12}).

«მარადის განვახლდებოდეთ... ბრწყინვალედ შესხმითა წ̄ისა დ ე დ ო ფ ლ ი ს ა თ ა ა ჲ» („კსნა კონსტანტინეპოლისა" [3], 58_5).

«ლოცვა აღესრულებოდა... ცრემლითა მხურვალითა და ლოცვითა ღ̄ისა მ̄რთ წესიერითა, სახითა ს ი მ შ ვ დ ი ს ა თ ა ა ჲ» (იქვე, 51_2).

---

[1] ეს დებულება არ ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები შედარებით გვიანდელი წარმოშობის არიან. -თა ხმარებული იქნებოდა შოავლობით რიცხვში ამ ბრუნვებთან ამ უკანასკნელთა ჩამოყალიბების შემდეგ. ეს პერიოდი კი საკმაოდ უსწრებდა წინ ძველ ქართულ ტექსტებში წარმოდგენილ ვითარებას.

[2] „ათონის ხეერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით". საეკლესიო მუზეუმის გამოცემა. 1901 წ.

[3] „ღვთისმშობლისა მიერ სასწაულებრივი კსნა კონსტანტინეპოლისა სპარსთა და სკვთთა ზედამოსვლისაგან 625—632 წ." ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმის გამოცემა 1903 წ. დაბეჭდილია 1042 წ. ტყავის ხელნაწერიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«გარდაემატა მძლავრებაჲ და სიმრავლჱ მათი შენდობითა ს ტ ნ ა ...» (იქვე, 47₁).

ყველა ამ მაგალითში მოქმედებითი ბრუნვა გვაქვს, მაგრამ რომ მრავლობითი რიცხვი არ არის, ამის გარკვევის საშუალებას იძლევა საზღვრული სიტყვები. მაგ. „სიტყუითა ღუთისათა"-ში „სიტყუითა" მხოლოობით რიცხვშია, ცხადია, მისი მსაზღვრელიც მხოლოობითში უნდა იყოს, ე. ი.:

სიტყუითა ღუთისათა — სიტყუითა ღუთისაჲთა.

მხოლოობითი რიცხვი უნდა იყოს, ჰგრეთვე, მაგალითში:

«დაძუელებული კელინები, დაცემად მიახლებული, მ ა თ თ ა ვ ე საკმრითა აღეშენა» („აღაპნი": ათონ. 256₁).

შდრ. იქვე: «მ ა თ ი თ ა ვ ე საკმრითა აღეშენა» (256₂).

მაგრამ, გაუგებარია, რას უნდა გამოეწვია ი-ს ჩავარდნა თანხმოვნებს შორის? შეიძლება გადამწერის შეცდომა იყოს?

-ია-ნიანი მრავლობითი მოქმედებით ბრუნვასთან გვხვდება შემდეგ მაგალითებში:

«ხოლო ღ ̄თნი რ ̄ლთა ცაჲ და ქ ̄ყანაჲ არა შექმნეს: იგინი წარწყმდედ: კერპნი წარმართთანი ოქროჲსანი და ვეცხლისანი ქმნულნი კ ე ლ თ ა კაცთანი» (კიმენი[1], 121₃₀).

«ყ ̄ლნი კერპნი წარმართთა ოქროჲსანი და ვეცხლისანი არიან ქ ̄ნულნი კ ე ლ თ ა კაცთანი» (იქვე, 155₁₃).

შდრ.

«ხ ̄ კერპთა უსულოთა და უგრძნობელთა კ ე ლ ი თ ა კაცთაჲთა შექმნულთა ნივთისაგან უსულოჲსა არა თავყუანის ვსცემთ» (იქვე, 7₂₃).

«ხ ̄ განიზრახეთ მათ მორაქცეულიყვნეს წყობისაგან, რ ̄ა მ ̄რ შ ̄ე მ დ გ ო მ ი თ ა მ ა თ ნ ა ვ ი თ ა მოვიდენ კერძოთა ელაქერნისათა» (კანა კონსტ. 52₁₁).

მხოლოობითში იქნებოდა:

„რ ̄ათა მიერ (=იქიდან) შემდგომითა მით ნავითა მოვიდენ კერძოთა ელაქერნისათა".

«თაყ ̄ის-ცემდეს წ ̄სა მას და უთხრობდეს ყ ̄ლსა მას ყოფილსა: და ვ ̄რ იგი იხილა კაცმან მან ყამსა მას გარდამოგდებისა მისისა წ ̄დაჲ იგი და რ ̄ შეიპყრა იგი კ ე ლ თ ა და დაიცვა ვნებისა-გან და სიკუდილისა» (კიმენი, 255₂₁).

=შეიპყრა იგი კელებითა.

«ხ ̄ ცნა რაჲ ხალან სკვთმან, რ ̄ მეფე ჰერაკლე წარვიდა ლაშქრითა ყ ̄ითა სპარსეთად... მოუკდა ქალაქსა ამას დიდსა სამეუფოსა და ყ ̄ივე იგი ზღუაჲ გარემოჲს ქალაქისა აღავსო ნავებითა მით...; ხ ̄ ქ ̄ყნით კმელით, მკედართა მ ̄რ და ქ ̄ეყეთ მ ბ რ ძ ო ლ თ ა ე რ თ ა მოუკდებოდეს ბრძოლად ზღუდეთა და ერისა და ისწრაფდეს იგი ორ კერძოვე ურთიერთას ძალისცემითა ყ ̄ითრთ მოუძლურებად და ძლევად ქალაქისა მის» (კანა კონსტ. 10₃).

---

[1] კიმენი. ტ. I. რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემა კ. კეკელიძის რედაქტორობით. 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგერის მეტაფრასში მხოლოობითი რიცხვია:

«ქუეით მბრძოლითა ერითა მიუხდებოდა ბრძოლად».

1042 წლის ხელნაწერი, რომელიც საფუძვლად უდევს ნაბეჭდ ტექსტს, და ცაგერის მეტაფრასი სხვადასხვა ავტორების მიერ არის თარგმნილი. საინტერესო იქნებოდა ზემოთ მოყვანილი ადგილის შედარება ბერძნულ დედანთან.

კ. დონდუას აზრით, მხოლოდ -ებ-რანი მრავლობითი კი არ ენაცვლება თ»-ნიანს მოქმედებით-ვითარებით ბრუნვებთან, არამედ მხოლოობითი რიცხვის მოქმედებით-ვითარებითიც:

„Здесь необходимо обратить внимание на ту особенность языка, что мн. число твор. и напр. падежей он имеет возможность заменить единственным" (К. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском: Язык и мышление. I. 1933 г., стр. 54).

თუ ბერძნულში მრავლობითი რიცხვია, მაშინ გამოდის, რომ ცაგერის ხელნაწერის მთარგმნელი არ ხმარობდა -თა-ს მოქმედებით ბრუნვასთან და ამიტომ მან მხოლოობითი რიცხვის მოქმედებითი ბრუნვით შეცვალა მრავლობითი რიცხვი; მეორე მთარგმნელი კი მოქმედებით ბრუნვასთანაც ხმარობდა ამ სუფიქსს და მრავლობითი რიცხვის მოქმედებითი ბრუნვა მრავლობითითვე გადმოსცა.

«ეპოვეთ ნავი მიმავალი ასიადთ კერბოთა, შევედით მას შინა და ათოთხმეტ დღე შევედით ეფესოს» (ათონის ხელნაწ. 167_{25}) ორგვარი მნიშვნელობით შეიძლება იყოს: „მიმავალი აზიის მხარეებიდან" და „მიმავალი აზიის მხრით, მიმართულებით".

«განიზრახა ნიკოლ ბ ხთა რა დაუტეოს ადგილი იგი და აღვიდეს მფასა მას მაღალსა რ ლი იყო მახლობლად მისა» (კიმენი, 247_{3}).

შდრ. მხოლოობითში:

«განიზრახა, რათა მიერ წარვიდეს ჭრომედ და წარემართანებითა ღუთისადთა» (ათონის ხელნაწ. 86_{17}).

«განგებითა საღუთოადთა და ბჭობითა მეფეთადთა თჳსი შვილი მიიყვანა» (იქვე, 7_{18}).

«წჳმითა ცრემლთადთა და ოფლთა შრომითა კეთილად მოჰრწყე იგი» (ათონის ხელნაწ. 190_{13}).

აქ შეიძლება დასმულიყო კითხვა „ოფლის შრომით" ხომ არ არისო, მაგრამ ასე რომ არ ფუდა იყოს, ამას ზმნა გვიჩვენებს: მოჰრწყე რით?—წვიმითა და ოფლითა (და არა შრომითა). „შრომა" კი „ოფლ"-თან არის შეთანხმებული ბრუნვაში. ორივე მოქმედებითია, განსხვავება რიცხვშია: პირველი მრავლობითშია, მეორე—მხოლოობითში.

«იწყალა გონებად შენი ტრფიალებითა საუფლოთა მათ ენებათა მკსნელისათა, ამისთჳს ჯუარსეცუ სოფლისა და სოფელი ჯუარსაცუ შენდამი» (ათონის ხელნაწ. 204_{15}).

მხოლოობითში იქნება: «იწყალა გონებად შენი ტრფიალებითა საუფლოადთა მით ენებითა მკსნელისადთა».

ეს მაგალითი საეჭვოა, შეიძლება ნათესაობითი იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ვეღრებითა მეფისა მიმართ და მ რ ა ვ ა ლ თ ა მეოხებითა ბრძანა მიცემად ნეშტნი იგი» (კიმენი, 160_2).

ეს წინადადება შეიძლება ორგვარად გავიგოთ: „მრავლითა მეოხებითა“ (უპასუხებს კითხვაზე: როგორი მეოხებითა? რაოდენი მეოხებითა?) და „მრავლისა მეოხებითა“ (ვისი მეოხებითა? ე. ი. მრავალნი შუამდგომლობდნენ).

თუ რომელია, ამის გარკვევის საშუალებას იძლევა სომხური ტექსტი. „წამებაჲ ფილექტიმონისი“, საიდანაც ამოღებულია ეს მაგალითი, დოც. ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოკვლევით[1], თარგმნილია სომხურიდან. სომხურში ამის შესატყვისი წინადადებაა:

Եւ իբրև ապաշխարել լինէր թագաւորն բազում բարեխօսիւք, հրամայեաց նոցա զի բարձցեն զնշխարս սրբոյն. (վարք և վկայաբանութիւնք սրբոց, գ. II Վենետիկ, 1874. 474$_{26}$).

აქ *բազում* (=მრავალი) *բարեխօսիւք*-ის მსაზღვრელია (სომხურში წინდასმული ზედსართავი არ ეთანხმება ბრუნვებში საზღვრულს). ამის მიხედვით ქართულში მხოლოობით რიცხვში იქნებოდა „მრავლითა მეოხებითა“.

სომხურში *բարեխօսիւք* მრავლობით რიცხვშია, ქართულში კი „მეოხებითა“ მხოლოობითი რიცხვია. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ „მეოხება“ განყენებული სახელია. მაგრამ, რაკი საზღვრულმ მხოლოობითშია, მსაზღვრელიც მხოლოობითში უნდა იყოს, ე. ი. უნდა გვქონდეს „მრავლითა მეოხებითა“ და არა „მრავალთა მეოხებითა“. ასე რომ არ არის, შეიძლება სომხურის გავლენით იყოს გამოწვეული: მრავლობითი რიცხვი მთარგმნელმა მსაზღვრელთან გადმოსცა, რაკი საზღვრულთან არ ყოფილა შესაძლებელი. შეიძლება ეს ახსნა დამაკმაყოფილებელი არ იყოს, მაგრამ ის კი თითქოს უეჭველ ჩანს, რომ „მრავალთა“ მოქმედებითი ბრუნვაა და მრავლობითი რიცხვი.

«აჰა ესერა ო რ თ ა მ ა თ ბ უ ნ ე ბ ა თ ა განთვისებულნი და განწესებულნი საქმენი გამოაჩინნა» (კიმენი. 91_{28}).

მხოლოობითში: ორითა მით ბუნებითა.

შეიძლება ნათესაობითი ბრუნვის საკითხი დაისვას. საქმენი რისა?—ორისა მის ბუნებისა. მაგრამ, ნათესაობითი რომ იყოს, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა, რომ „ორთა მათ ბუნებათა“ „საქმენი“-სთან ყოფილიყო (მის წინ ან შემდეგ), ე. ი.

„აჰა ესერა განთვისებულნი და განწესებულნი საქმენი ორთა მათ ბუნებათანი გამოაჩინნა“.

აქ კი მათ შორის სხვა სიტყვებია ჩართული. ასე რომ, აქაც მოქმედებითი ბრუნვა უნდა გვქონდეს.

«ხოლო ნ ე ტ ა რ ი ი გ ი მიზეზ-იდგამნ ლ ო ნ ი ე თ ა მ რ ა ვ ა ლ ს ა ხ ე თ ა» (კიმენი, 228_3).

მხოლოობითში იქნებოდა: „მიზეზ-იდგამნ ლონითა მრავალსახითა“, ე. ი. მრავალგვარი საშუალებით.

---

[1] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: თბ. უნივერსიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

«გარდამოსლვასა მას შინსა მრავალთა სიბოროტეთა მისა ვიდა ძალი სულისა წ̄დისაჲ მისა და მოკუეთნა ორნივე ფრთენი მისნი» (კიმენი, 277_{10}).

მხოლოობითში თითქოს უნდა იყოს: „მრავლითა სიბოროტითა მისითა“. ეს მაგალითი საეჭვოა.

«ონ მონისაგან ნათელ იღო და ჩ̄ნ ულთა ჴეშმარიტთა მათ კორცთა სიწმიდისა მ ი ს ი ს ა თ ა შეგინებულნი და შებღალულნი განვიბანენით» (კიმენი, 10_{29}).

შეიძლება აქ მიცემითი ბრუნვა გვევარაუდებინა, მაგრამ მაშინ ზმნა ე-ნიან ენებითში იქნებოდა, ე. ი. „კორცსა... განვებანენით“. ამჟამად, „კორცთა“-ს მრავლობითში არ ვიხმარდით; მაგრამ ძველი ქართულისათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. შდრ.:

«მოუკვდა იგი ძოვნად კ ო რ ც თ ა მისთა» (კიმენი, 11_{15}).

«შეჰზავნა შეუზავებელთა ს̄ლნი კ ო რ ც თ ა თანა განბჭნნა» (იქვე, 10_{29}).

«დაშურა სიწმიდს̄ თ̄ქნი შ ო რ თ ა გ ზ ა თ ა მოსელითა და მრავალთა დღეთა დაყოვნებითა» (კიმენი, 102_{11}).

მხოლოობითში: შორით გზით მოსლვითა.

«შდრ. თ̄ვსით გზით» წარვიდა.

«წარვედ სხვთ გზით» (ათონის ხელნაწ. 163_{13}).

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ვეფხის ტყაოსნიდანაა. აქ მოქმედებითი ბრუნვა გეხვდება დაწყებითის მნიშვნელობით.

«თ ვ ა ლ თ ა ცრემლნი გარდმოსცვივდეს» („ვეფხ- ტყ.“ სახელგამის გამოცემა, 1937 წ. 986)=თვალებიდან.

«ესე ჩემგან გაუკვირდა ფრიდონს, მეტად ეუცხოვა,
მაგრა მეტად შევებრალე, ტირილითა მესათნოვა;
ვითა შვილი დამადუმა, მემუდარა, შემეპოვა,
თ ვ ა ლ თ ა ვითა მარგალიტი, ცრემლი ცხელი გარდმოთოვა» (630).

«ციხეზრად ადგეს გასაყრელად, ერთმანეთსა მიეხვევნეს;
მაშინ მათგან ნაუბარნი, დადნეს, ვინცა მოისმინეს;
თ ვ ა ლ თ ა, �itا წყაროს თვალი, ცრემლი ველთა მოადინეს» (949).

«ბაგეთა გასეგირს ბროლ ლალი, მათ კ ბ ი ლ თ ა ელვა ჰკრთებოდა» (723). შდრ. კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა. (1137).

მოქმედებითი ბრუნვა -გან თანდებულს დაირთავს. იგივე თანდებული ნათესაობით ბრუნვასაც მართავს. პირველ შემთხვევაში ის უპასუხებს კითხვაზე საიდან? მეორეში—რისგან? ვისგან? მაგრამ ამ კითხვებით მკაცრი გამიჯვნა მოქმედებით-ნათესაობითი ბრუნვებისა არ ხერხდება. მათი მნიშვნელობები ძლიერ უახლოვდება ერთმანეთს. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ძველ ქართულში არის შემთხვევები, როდესაც -გან თანდებული ნათესაობით ბრუნვას დაერთვის იქ, სადაც ჩვენ ამჟამად მოქმედებით ბრუნვასთან ვიხმარდით. მაგალითები:

«მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა გ ა ნ გაასხნა» (ათონის ხელნაწ. 42_{16}).

«წარგზავნა ს ა ხ ლ ი ს ა გ ა ნ მ ი ს ი ს ა» (ათონის ხელნაწ. 134_{21}).

ეროვნული ბიბლიოთეკა

«იწრაფა ქვეყნისა მისგან» (ქებაჲ ქებათაჲ[1]) იე, 155).

«ეგევითარი იგი მეყსეულად კრებულისაგან განდევნის» (ათონის ხელნაწ. 23_{3}).

«რაჲოდენნიმე წერილნი ქართველისაგან თარგმნა ბერძნულად» (იქვე, 4_{24}).

«ოერისაგან ერთი ქმენით» (ვეფხის ტყ. 1107).

«ყრმა ცხენისაგან გარდიჴრა» (იქვე, 1335).

-თა-სუფიქსიან მრავლობითში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვები ერთნაირი ფორმით იქნებოდა (დაბოლოებით -თაგან). როგორც აღვნიშნეთ, აოც შინაარსით ხერხდება მათი გარჩევა. ამიტომ, ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში შეიძლება ნათესაობითი ბრუნვა იგულისხმებოდეს, შეიძლება მოქმედებითი.

«კბილთაგან შუქი შეადგა ხედან გიშრისა სარეისა» (ვეფხ. ტყ. 1228).

«კბილთაგან ელვა ჭურეთებოდა» (იქვე, 1337).

«ყოველთა დაბადებულთა ოი წიაღთაგან მამისათა მოვიდა» (ქიმენი. 10_{33}).

«მოიცალა რაჲ კერძოთაგან აღმოსავლეთისაჲთა, მიერ წარმოემართა იგი ქალაქად სამეუფოდ» (ასნა კონსტ. 8_{1}).

«მრავალნი მოვიდიან საფასითა დიდითა მოქალაქენი დაჲ სხუათა ადგილთაგან» (ათონის ხელნაწ. 45_{26}).

«ესე მომავალთაგან გუეუწყა ჭ̄ლთაგან გზათაჰ̄ თქუეს ვ̄ დ გუეცა ბ̄ნტული მყრალობისაჲ» (ქიმენი, 323).

«ყ̄ნი ერისთავნი სპასსთანი ადგილთაგან ბერძენთა სამეუფოჲსთა ვინაყვანნა» (ასნა კონსტ. 43_{9}).

«მოვიდოდეს გარემოთა მონასტერთაგან ხილვად მისა» (ათონის ხელნაწ. 86_{1}).

რაკი ასეთ შემთხვევებში ნათესრბითი ბრუნვის არსებობა არ არის გამორიცხული, ამიტომ ზემოთმოყვანილი მაგალითები ერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ -თ მოქმედებით ბრუნვასთანაც გვხვდება. მხოლოდ მის შემდეგ, რაც ეს დებულება დადასტურდება, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ -გან თანდებულიან ფორმებშიაც არის მიმაღული მოქმედებითი ბრუნვა -თა-სუფიქსიან მრავლობითში.

უფრო მოსალოდნელია მოქმედებითი ბრუნვა შემდეგ მაგალითებში:

«სულთ ითქუნეს მწარედ, სიმრავლეთაგან გულისაჲთა» (ასნა კონსტ. 18_{11}). შდრ.

«სულთ ითქუნა სიმრავითა გულისაჲთა» (ათონის ხელნაწ. 88_{9}).

«მოვიდა ჭ̄თაგან ცათა ჴმაჲითა ვანიშოვრეს სულთა მათგან ლ̄თეგაჲ მისი» (სახლისა სიტყუაჲ[2] 8, 3, 34).

---

[1] იერლიტე, თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ. X საუკუნის ხელნაწერიდან. Тексты и разыскания по армяно-груз. филологии. III. 1901.

[2] „სახლისა სიტყუაჲ". X საუკუნის ხელნაწერიდან. Тексты и разыскания по армяно-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავს შემთხვევებში მხოლოობით რიცხვში უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვა გვხვდება ყოველთვის:

«ზეცით მოვიდეს მეუფეს» (ათონის ხელნაწ. 127_{21}).

«გარდამოკდა ზეცით» (კიმენი, 13, 29).

«ცით გამოვიდა» (სახისა სიტყ. 14, ი, 41).

ამის მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მრავლობითშიც მოქმედებითი ბრუნვაა და -გან თანდებული მნიშვნელობის გამახვილებისათვის დაერთვის

ასევეა მოსალოდნელი მოქმედებითი ბრუნვა:

«რომელთა კერძოთაგან აღმოჭკდა ახალი ესე და ყოველად ბრწყინვალეს მზეთობი, რომელი იგი აღმოსავალით აღმოჭკდა და სათნოებათა ელვითა დასავალისა მყოფნი განანათლნა» (ათონის ხელნაწ. 70_{22}).

შდრ. იქვე, „აღმოსავლით აღმოჭკდა“.

«აჰა კანჯარი ერთი მოვიღინ ოლისა მიერ მთათა-გან სადგურით თჳსით» („წამებაჲ ფილეტიმონისი“. კიმენი, 143_{12}).

აქ -გან თანდებული მხოლოდ „მთათა“-ს კი ბრ მართავს, არამედ მომდევნო სიტყვებსაც. ძველ ქართულში, ჩვეულებრივად, როდესაც თანდებული რამდენიმე სიტყვას მართავს, ის მხოლოდ ერთ მათგანს დაერთვის.

მაგალითად:

«ვისწავეედ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა» (ათონის ხელნაწ. 3_{9}).

«დაიცვა ენებისაგან და სიკუდილისა» (კიმენი, 255_{28}).

«იყო... შემუსრვილ მრავალ გზის სპარსთა მიერ და სკვეთთა, ესე-იგი არს რუსთა» (ჯუნა კოსტ. 7_{20}).

„სადგურით თჳსით“ მოქმედებით ბრუნვაშია, ამიტომ მოსალოდნელია, რომ „მთათაგან“-აც მოქმედებითში იქნება. სომხურ დედანში დაწყებითი ბრუნვა არის ორივე სახელთან:

Եւ պնա իշաւադրի մի ատաքնալ 'ի Տեառնէ (իշանէր) 'ի լեռանէ 'ի կայանիս իւրոյ։ (

ეროვნული ბიბლიოთეკა

«მრავლით ჟამითგან ვერ განკურნებულ» (ქებაჲ ქებ. ჲბ, 5).

«იქმნა მიერ ჟამითგან მშჳდობაჲ და ერთობაჲ». (კსნპ კონსტ. 31_{17}).

„მიერ ჟამისაგან" არასოდეს არ არის; ასე რომ, მრავლობითშიაც მოქმედებითი ბრუნვა უნდა იყოს.

ზოგჯერ -გან და -მდე თანდებულიანი ფორმებია დაპირისპირებული. უპასუხებს კითხვაზე: საიდან—სანამდე? ასეთ შემთხვევებში -გან ყოველთვის მოქმედებით ბრუნვას დაერთვის და არასოდეს ნათესაობითს.

მაგალითად:

«იყო სიხარული დიდი დღლითგან ვ᾽ე მწუხრადმდე» (კიმენი, 161_{23}).

«გარდაირთხნა აღმოსავლითგან ვ᾽ე დასავლადმდე» (კიმენი, 278_{20}).

ამიტომ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიაც მოქმედებითი ბრუნვა იქნება უეჭველად:

«ღალადყვეს კაცთა მათ გოდებით და ტირილით ყრმათა მათთა ზ᾽ა და კაცთა ღ᾽თის-მოყუარეთა აღმოსავლისათა ბჭეთა მათგან ვ᾽ე დასასრულადმდე ქალაქისა» (კიმენი, 278_{22}).

«ვ᾽დ წართქმულ მის მიერ სამათასთა იგავთა და ხუთათასთა შესხმათა და ნაძუთაგან ლიბანისათა ვ᾽ე მცენარეთამდჱ რ᾽ლ ერდოთა ზ᾽აცა» (ქებაჲ ქებ. ე, 99).

ვითარებითი ბრუნვა.

ვითარებითი ბრუნვა გვხვდება -მდე თანდებულთან:

«ვ᾽ე საცხოვართამდე თაჳი თჳსი აუწყე» (კიმენი. 200_{12}).

«დღეს სინანულითა ჩემითა ყოველთა საუკუნეთამდე ყუავილგარდაფენილ იქმნა» (იქვე, 143_{9}).

«გუემეს ნეტარი იგი ყურიმლის-ცემითა და მჯიღებითა და ქუსლებითა. ვიდრე ს᾽დ მოაუძლურეს. თავითგან ფერჳთამდის» (კიმენი. 84_{8}).

«იყო გუემაჲ იგი მ᾽რ ადგილით რ᾽ლსა ჰრქჳიან ქერობინ ვ᾽ე ადგილადმდე რ᾽ლსა წოდებულ არს როდეონ და გარემოჲს სანახებსა მისსა და ვ᾽ე ადგილად კერატთა მათმდე» (კიმენი, 278_{26}).

«ვინაჲცა იყო აგრეთვე სამოთხე იგი და მცველნიცა იგი მისნი ბოროტნი ვ᾽ე დღეთამდე საკჳრველისა მაკარისთა რ᾽ი იყო მეუდაბნოე» (კიმენი, 51_{9}).

«ვ᾽დ წართქუმულ მის მიერ სამათასთა იგავთა და ხუთათასთა შესხმათა და ნაძუთაგან ლიბანისათა ვ᾽ე მცენარეთამდჱ. რ᾽ლ ერდოთა ზ᾽აცა» (ქებაჲ ქებ. ე, 99).

ეს მაგალითი მოქმედებით ბრუნვასთანაც იყო მოყვანილი. „ნაძუთაგან ლიბანისათა" მოქმედებითია.

«სხვა მისებრი ვერა პოოს, ცათამდისცა აღცაფრინდეს» (ვეფხ. ტყ. 1525).

«ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, ხმა მისწვდების ცათამდის» (იქვე, 952).

«სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო» (იქვე, 528).

-მდე თანდებულის წინ ახალ ქართულში ვითარებითი ბრუნვის -დ იყარგება. ისმის კითხვა, ასეთივე მდგომარეობა ხომ არა გვაქვს ჩვენს მაგალითებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიაც? ე. ი. ცათამდის—ცათადმდის; დღეთამდე—დღეთადმდე და ა. შ. ამგვარნი, ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებში მხოლოობით რიცხვში ვითარებითი ბრუნვის -დ არ იკარგება -მდე თანდებულთან. მაგ.:

«ვ^ე აღსრულებადმდე სიტყჳსა მის მოვიდა ერი მრავალი» (კიმენი, 255_{23}).

«რ^ლ იგი გუშინდელად დღედმდე დიდებულ იყო შენგან» (იქვე, 143_{6}).

«წარვიდიან ვამოისუენიან ვიდრე მეორედ რეკადმდე» (ათონის ხელნაწ. 37_{4}).

«ვიდრე დაგებადმდე ტრაპეზისა ვერ შევიდენ» (იქვე, 37_{11}).

«მთავრობათა თანა მთავარ ჩანნ. ვ^ე ეამადმდჱ მოსვლისა მისისა» (სახ. სიტყ. 3, ბ, 31).

უთანდებულო ვითარებითია:

«ხ^ა აწ სარკუმელთა მათ ვიეთსამე იტყჳს» (ქებაჲ ქებ. მთ., 10).

შდრ. იმავე შინაარსის ზმნებთან:

«ძედ საყუარლად უწოდდა» (ათონის ხელნაწ. 114_{4}).

«მიძგითად უწოდდენ» (კსნა კონსტ. 52_{5}).

«ჩუენთჳს ითქუა ძედ კაცისად» (კიმენი, 199_{19}).

ვითარებითი ბრუნვა, როგორც ცნობილია, მიმართულებასაც გადმოსცემს ძველ ქართულში. იმავე ფუნქციას ასრულებს მიცემითი ბრუნვაც.-თა-სუფიქსიანი მრავლობითი ორივე ამ ბრუნვისა ერთნაირი იქნება, ამიტომ, როგორც -გან თანდებულთან არ შეგვეძლო გვეთქვა ნათესაობით ბრუნვასთან გვაქვს საქმე თუ მოქმედებითთან, ისე აქაც ვერ ვიტყვით ვითარებითია თუ მიცემითი.

მაგალითად:

«მეხუთასით წლით მოვიდეს ხეთა ლიბანისათა» (სახ. სიტყ. 13, ი, 17).

«პოვეს რაჲ ვითარცა მივიდეს ბჭეთა საბლისათა, პოვეს იოანე მუნ» (ათონის ხელნაწ. 126_{12}).

«მოვიდა იგი მთათა საბერძნეთისათა.» (კიმენი. 307_{10}).

«მოვიდოდა იგი მთათა მათ ლავდიკიაჲსთა» (იქვე, 305_{25}).

«შესავალთა მათ ბჭეთა ციესათა მოვიდეს ან^ გზნი თ^ ყნის-ცემად ო^ა და ეშმაკიცა დგა^ მათ თ^ა» (იქვე, 276_{5}).

«შე-რაჲ-ვიდოდეს ივინი ბჭეთა მათ მონასტრისათა შეემთხვა მათ მაგისტრიანოსი» (იქვე, 288_{14}).

«შევიდა ძალი ერთი ტაძართა მათ» (იქვე, 153_{7}).

შდრ. ერთი მხრით:

«მოვიდის არეგდ ქალაქად» (სახისა სიტყ. 13, ი, 10).

«შეევიდის ბაგინად» (იქვე, 13, ი, 15).

«მივიდის ყანობირად» (იქვე, 20, იე, 41).

«ვ^ დ მოვალს იგი მთად წ^ დისა მის» (კიმენი, 305_{23}).

«შე-რაჲ-ვიდა სახედ თჳსად» (იქვე, 304_{19}).

«მირაჲვიდეს აბანოდ» (ათონის ხელნაწ. 160_{23}).

მაგრამ მეორე მხრით:

«ძუელსავე ადგილსა მივიდის» (სახ. სიტყ. 14, ი, 31).

«შევიდოდა ქალაქსა მას დიდსა» (კიმენი, 218_{3}).

«ლავრასა დიდებულსა ეკლესიათასა შევიდა» (ათონის ხელნაწ. 6_{8}).

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ოდესცა ეკლესიასა შევიდოდიან» (იქვე, 37_{16}).

ასევეა:

«მიიწიოს მიერ ადგილთა ალექსანდრიადსათა» (კიმენი, 193_{21}).

«მიიწია კკრინეს ხუთქალაქთა მათ» (იქვე, 193_{18}).

«მიიწია სალსკორეთა ქალაქისათა» (იქვე, 203, 21).

«მიიწინეს იგინი კერძოთა სკვლეოსისათად» (ასნა კონსტ. 48_{19}).

«მიიწია რა ტრაპეზუნტედ, სანახევთა მათ სამუკრელოდსათა, უშვა ძუ» (იქვე, 38_{23}).

შდრ.:

«მეორესა დღესა მიიწია ალექსანდრიად» (კიმენი, 194_{5}).

«მოიწინეს ნავთსაყუდელად სულთა მრავალთა» (ათონის ხელნაწ. 61_{5}).

«ვ'რ მოიწინეს იგინი ჯმელად, დადგეს» (კიმენი, 36_{6}).

და

«მივიწენით მთასა სინასა» (იქვე, 28_{23}).

«მთასა ფლუმბოისასა მიიწია» (ათონის ხელნაწ. 6_{18}).

«მიიწია არესა მას ნავებითა ბათითა» (ასნა კონსტ. 54_{7}).

«რ'ამცა შენ წყალთა მათ შთაჰკედ მონად და ალმოჰკედ ქ'ჟ-შემოსილი» (კიმენი, 12_{14}).

შდრ.:

«შთაკდის კურულად» (სახ. სიტყ. 42, ლდ, 8).

«ქუე დადგის ქუესკნელად» (იქვე, 26, კ, 17).

«შთაკდის წყაროსა» (იქვე).

ეს მაგალითებიც იმავე ტიპისაა, როგორიც -გან თანდებულიანი ფორმები იყო.

ანალოგიით შეიძლება ვთქვათ ვითარებითიან მაგალითში:

«ორა განუტეო ვ'ლს მივაწიო სახიდ დედისა ჩემისა და საუნჯეთა რ'ნ მუცლად მილო მე» (ქებაჲ ქებ. ნ, 8).

აკად. ნ. მარრის რუსული თარგმანი:

Не отлущу пока не приведу его в дом матери моей и в сокровищницы той, которая зачала меня (24_{1}).

„მივაწიო"-სთან არის დაკავშირებული ორი სახელი: „სახიდ" და „საუნჯეთა". რაკი პირველი ვითარებით ბრუნვაშია, მოსალოდნელია მეორეც ვითარებითში იყოს.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, თა-სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებთანაც ყოფილა. ძველ ქართულში ის თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება. შემდეგ, ამ ორ ბრუნვასთან -თა-ს -ებ-იანი მრავლობითი შეენაცვლა. მაგრამ, როგორც ჩანს, პირველ ხანებში ენა სხვა საშუალებებსაც მიმართავდა მრავლობით რიცხვში ამ ბრუნვათა აღსანიშნავად. სახელდობრ, -თა-ს დაერთვოდა ბრუნვის ნიშნები. ე. ი. ისეთსაგე წარმოებას ჰქონდა ადგილი, როგორიც -ებ-იან მრავლობითთან გვაქვს. აქ -თა-ს პირვანდელი ფუნქცია (მხოლოდ მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა) აღდგენილი ჩანს. მაგრამ ეს მეორეული მოვლენაა. ბრუნვის ნიშნები -თა-ს მხოლოდ მის შემდეგ დაერთვოდა, რაც მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედებითსა და ვითარებით ბრუნვებთან -ებ-იანმა მრავლობითმა გაიკაფა გზა. ბრუნვათა ნიშნების დართვა შეიძლება -ებ-იანი მრავლობითის ანალოგიურად იყოს გამოწვეული.

მაგალითები:

«კიდეთა ქ^ენისათ^ა^ა^ა^ თ^ა^ ^ა^ ^ა^ ^ა^ ^ა^ ^ა^ ^ა^ ^ა^ ^ა^ ^ا^ ^ا^ ^ا

«თვალთათ ვითა საგუბარი, ცხელი ცრემლი გარდმომჩქეფდა» (406).

«მელნისა ტბათათ ილვრების საცსე სათისა რუბები» (1146).

«ნარგისთათ წვიმა ბროლისა წვიმს გარდი ნაწვიმარია» (1220).

«ბაგეთათ მუქი შეადგის ზედან ბროლისა ფიცართა» (1448) და ა. შ. სულ 16 მაგალითია.

-თა სუფიქსის მოქმედებით ბრუნვასთან გაქრობასთან უნდა იყოს დაკავშირებული რამდენიმე თავისებური ფორმა: -გან თანდებული გვხვდება -თა-სუფიქსიან მრავლობითთან ისეთ შემთხვევებში, როდესაც ის სრულიად არ არის მოსალოდნელი: ვერც ნათესაობით ბრუნვასთან ვიგულისხმებთ და ვერც მოქმედებითთან. უნდა იყოს უთანდებულო მოქმედებითი. მაგ.:

«დაგუალული კაცთა გონებაჲ ცუართაგან მადლისათა მორწყო და აღაყუავილა ჩუენ შორის ნაყოფი სიმართლისაჲ» (ათონის ხელნაწ. 178_{37}).

«ვითარცა გგრგვნი სამეუფოჲ შემკული ბრწყინვალედ თუალთაგან მრავალ სასყიდელისათა, დაუდგამს თავსა თჳსსა» (ათონის ხელნაწ. 209, 19).

«ვიხილე ტარიგი იგი ქრისტჱსი შუენიერად ვითარცა სძალი შემკული საკრველთა მათგან» (მარტკლობაჲ შუშანიკისი[1], 31_{20}).

«შეუქმნეს მას გგრგვნი ოქროჲსაჲ შემკული თუალთაგან პატიოსანთა» (კიმენი, ცხოვრებაჲ ნისიმესი. 202_{9}).

«ეკლესიაჲ ღუთისაჲ ღუთივ შუჱნიერად განამდიდრე საუნჯეთაგან დაულეველთა სულისა წმიდისათა» (ათონის ხელნაწ. 190_{8}).

«ენამან შენმან, ყოვლად ღუთივ შუენიერმან, თარგმანებითა საღუთოთა წერილთაჲთა აღავსო მდიდრად ეკლესიაჲ ქრისტესი საუნჯეთაგან სულისა წმიდისათა» (იქვე, 206_{28}).

«აღავსენ გულნი მგალობელთა შენთანი მდინარეთაგან მადლისა შენისათა» (იქვე, 193_{20}).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ -გან თანდებულის თავისებურ ხმარებასთან გვაქვს საქმე, და უცხო ენის გავლენის საკითხიც დასმულიყო. მით უმეტეს, რომ ორის გარდა ყველა მაგალითი ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერიდანაა და ამდენად ბერძნულ-ლათინურის ძლიერი გავლენაა მოსალოდნელი, მაგრამ მსგავსი მაგალითები მხოლოთობით რიცხვში უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვითაა წარმოდგენილი იმავე ძეგლში, როგორც ეს ჩვეულებრივ მოსალოდნელი იყო:

«წჳმითა ცრემლთაჲთა კეთილად მოჰრწყე იგი» (ათონის ხელნაწ. 190_{13}).

სწავლითა საღუთოჲთა მორწმუნეთა ერსაჲ მოჰრწყევდი შენ უხუებით (იქვე, 213_{15}).

«ვითარცა ძეგლი ოქროჲსაჲ შემკობილი თუალითა პატიოსნითა და მარგალიტითა მრავალ სასყიდლისაჲთა» (იქვე, 70_{7}).

«ვითარცა ფესუედიჲა ოქრრეანად განრჩუნვილითა შემკობილნი» (იქვე, 69_{13}).

---

[1] იაკობ ცურტაველი, მარტკლობაჲ შუშანიკისი. 1938. ი. აბულაძის გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«შეუქმნეს მას გვრგვნი ოქროჲსაჲ შემკული თუალითა პატიოსნითა» (ცხორებაჲ ნისიმესი. 202_9. სხვა ვარიანტი).

«აღივსო სიხარულითა» (ათონის ხელნაწ» 333_8).

«აღივსო იგი სულიერითა სურვილითა» (იქვე, 72_{26}).

«აღივსე შენ მადლითა მის თანა» (იქვე, 205_{26}).

ცხადია, რომ -გან თანდებული მხოლოდ მრავლობით რიცხვში დაერთვის. მის შემდეგ, რაც ჩვენ ვნახეთ, რომ თა-სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებით ბრუნვასთან გვხვდებოდა, შეიძლება დაისვას კითხვა: -თა-ს ხმარება რომ შესუსტდა ამ ბრუნვასთან, იმიტომ ხომ არ დაერთო -გან თანდებული მნიშვნელობის გასაძლიერებლად?

აკად. ნ. მარი „Грамматика древне-литературного грузинского языка"-ში წერს, თა-სუფიქსიანი მრავლობითი ყველა ირიბ ბრუნვაში გვხვდებაო და ბრუნების ტაბულებშიაც შეაქვს მოქმედებით-ვითარებით ბრუნვებთან -თა[1].

უფრო ადრე ქართველი გრამატიკოსები აღნიშნავდნენ, რომ თა-სუფიქსიანი მრავლობითი ამ ორ ბრუნვას არა აქვს.

აკად. ნ. მარს არ მოყავს თავისი ახალი დებულების დამამტკიცებელი მაგალითები. ასე რომ არ ჩანს რას ემყარება ის?

ჩვენ ვნახეთ, რომ მოქმედებით-ვითარებით ბრუნვებთან მართლაც იხმარებოდა -თა, მაგრამ ეს ხმარება იმდენად შეზღუდულია (თითო-ოროლა მაგალითი თუა), რომ ამის მიხედვით მისი ძველი ქართული სალიტერატურო ენის ბრუნვათა ტაბულებში შეტანა არ იქნებოდა მართებული. ძველი სალიტერატურო ძეგლებიდან ამოკრეფილი მაგალითები მხოლოდ იმის დასკვნის საშუალებას იძლევიან, რომ ქართული ენის განვითარების იმ საფეხურისათვის, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებშია წარმოდგენილი, -თა მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებთან ჯერ კიდევ იხმარებოდა.

აკად. ნ. მარის გრამატიკიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს -თა მოქმედებით-ვითარებით ბრუნვებსაც ისევე თავისუფლად აწარმოებს, როგორც ძოთხრობითს, მიცემითსა და ნათესაობითს. ამიტომ, იბადება კითხვა: აკად. ნ. მარის დებულება, -თა ყველა ირიბ ბრუნვასთან გვხვდებაო, იმ აზრის განზოგადებას ხომ არ წარმოადგენს, რომ -თ(ა) მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია და ამიტომ ყველა ბრუნვასთან უნდა ყოფილიყო? თუ ასეა, გამოდის, რომ გაკეთებულია დასკვნა, რომელიც სრულიად სამართლიანია და კონკრეტული მაგალითებითაც დასტურდება. მაგრამ, აკად. ნ. მარის ბრუნების ტაბულები ძველი სალიტერატურო ქართულის (იგულისხმება ჩვენამდე ძეგლებით მოღწეული) მდგომარეობას არ გვიჩვენებს. ის შეიძლება შეესატყვისებოდეს უფრო ადრინდელ ვითარებას, როდესაც, საფიქრებელია, -თა მოქმედებით-ვითარებით ბრუნვებთანაც ისევე იყო გავრცელებული, როგორც შემდეგ მოთხრობით-მიცემით-ნათესაობითთან გვხვდება მხოლოდ.

---

[1] როგორც ჩანს, ნ. მარი ამავე აზრის იყო გაცილებით უფრო ადრეც. 1908 წ. „Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка"-ში მას -თა-სუფიქსიანი მრავლობითი ნახმარი აქვს მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებთანაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Т. С. Шарадзенидзе

К ИСПОЛЬЗОВАНИЮ ФЛЕКСИИ -თა (-ta) В ТВОРИТЕЛЬНОМ И НАПРАВИТЕЛЬНОМ ПАДЕЖАХ МНОЖЕСТВЕННОГО ЧИСЛА

(Резюме)

Согласно установившемуся в специальной литературе мнению, флексия -თა (-ta) в древнегрузинском литературном языке является показателем трех падежей множественного числа: повествовательного, дательного и родительного. Путем специального изучения древнегрузинских текстов устанавливается, что этот суффикс спорадически используется также в творительном и направительном падежах, причем в последнем случае обычно на форму с флексией -თა (-ta) нарастает послелог -მდე (-mde = „до"), сочетающийся в грузинском языке лишь с направительным падежом.

Твор. пад.:

q'lni kerpni... arian kmnuli qelta kactani = все идолы сделаны руками человеческими.

Направит. пад.:

...nazwtagan libanisata v'e mcenaretamde... = от кедров ливанских (вплоть) до растений.

В более поздние времена к флексии -თა (-ta) прибавляются показатели творительного и направительного падежей, и получаем окончания: -თა—ჲთ (-ta—jt), -თა—დ (-ta—d).

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის ფაკულტეტი

(შემოვიდა რედაქციაში 1941.VI.20)